რუდოლფ შტაინერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?

(74)

ს.ბ.ბ-2000
ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ-კავკასიური ინსტიტუტი

გამომცემლობა "მთრეული"
თბილისი
1993

13 + 141 + 1(43)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) [illegible]
2) [illegible]

RUDOLF STEINER

WIE ERLANGT MAN ERKENNTNISSE DER HOHEREN WELTEN?

ეროვნული ბიბლიოთეკა
R 306

(GA №10)
VERLAG FREIES GEISTESLEBEN · STUTTGART
1961

Das internationale Forschungsinstitut
fur Georgisch-Kaukasische Kultur,
Geschichte und Etnologie

Schoreti Verlag
Tbilissi/Georgien
1993

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლისაგან

მეოცე საუკუნის დიდი მეცნიერის, დოქტორ რუდოლფ შტაინერის (1861 - 1925 წწ.) ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვე მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში განხორციელებულ უმნიშვნელოვანეს რეფორმებთან. მისტიკოსი და ფილოსოფოსი, ბუნებისმეტყველი და დრამატურგი, მჭერმეტყველი, ჰუმანისტი და სოციოლოგი, თავის ლექსში ასე გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას ცხოვრებასთან, სამყაროსთან:

ოდეს მიაპყრომ მსოფლიო სულს
შინაგან მზერას,
ჰპოვემ საკუთარ თავს:
თავისუფალ კაცს
მედიხჩერის ფართო ასპარეზზე.

და თუ ზეურგს შეაქცევ,
რათა განიხარო
საწუთროს ამაო დიდებით,
დაჰკარგავ შენს თავს,
გასდემი ფიფქული,
უმრალო თოჯინა მედიხჩერის ხელში.

K 20.215
J

წინამდებარე წიგნში, როგორც ეს სათაურიდან და შინაარსიდანაც კარგად ჩანს, გაცნობიერებულია სულიერი განვითარების ასპექტები, ის, თუ როგორ უნდა „განვასხვავოთ არსებითი არაარსებითისაგან... როგორ ვიპოვოთ საკუთარ თავში ის, რაც მარადიულია და არ შემოიფარგლება დაბადებითა და გარდაცვალებით“.

პირველ გამოცემასთან დაკავშირებულ ყველა საქმიან შენიშვნას მომავლისათვის აუცილებლად გავითვალისწინებთ.

დეკემბერი, 1993 წ. ვიტალი დარსანია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი გამოცემა

© 1990 by Rudolf Steiner-Nachlassverwaltung,
Dornach/Schweiz

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინათქმა 8-11 ათასი გერმანული გამოცემისათვის

ვფიქრობ, წინამდებარე წიგნის მორიგი გამოცემის შინაარსი ხელახალი გამოცემისას მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებას საჭიროებს. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამ გამოცემას ბოლოთქმა დავურთე, სადაც შევეცადე უწინდელზე მკაფიოდ გამომეთქვა ზოგი რამ, სულიერ საფუძვლებს რაც შეეხებოდა და რასაც ეყრდნობა ამ წიგნში მოცემული ცნობები. მწამს, ბოლოთქმის შინაარსს შესწევს აგრეთვე ძალა განუმარტოს ანთროპოსოფიული სულიერი მეცნიერების ზოგიერთ მოწინააღმდეგეს, რომ მისი მსჯელობის ერთადერთი გამართლებაა სულიერი მეცნიერების იმად წარმოდგენა, რაც ის სრულიად არ არის; მაშინ, როდესაც ოდნავადაც კი არ ითვალისწინებს მის ნამდვილ რაობას.

მაისი, 1918 წელი **რუდოლფ შტაინერი**

წინათქმა მეხუთე გამოცემისათვის

წიგნის „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?“ ხელახალი გამოცემისათვის ათ წელიწადზე მეტი ხნის წინათ დაწერილი თხზულება დეტალურად, გამოწვლილვით იქნა გადამუშავებული. ამგვარი გადამუშავების საჭიროება ბუნებრივად აღმოცენდება ხოლმე მშვინვიერი განცდებისა და სულიერ გზათა იმგვარი აღწერისას, როგორც ეს ამ წიგნშია მოცემული. უკლებლივ ყველა ნაწილი თხზულებისა უმჭიდროვეს კავშირს ინარჩუნებს ავტორისავე სულთან და დღემდე განაგრძობს ზემოქმედებას მასზე. შეუძლებელია ამგვარ სულიერ მუშაობას არ ახლდეს თან სურვილი რამდენიმე წლის წინათ დაწერილი თხზულების უფრო მეტი სიცხადით და მკაფიოდ წარმოჩენისა. სწორედ ამ სურვილმა გამაწევინა მთელი შრომა წიგნის ხელახალი გამოცემისათვის. უცვლელადაა დატოვებული პოლემიკის ძირითადი, **ყველა არსებითი ნაწილი**; და მაინც, შესწორება **საკმაოდ მნიშვნელოვანია.** მე შევძელი **უფრო ზუსტად დამეხასიათებინა** ზოგი რამ **ნაშრომის ცალკეულ ადგილებში,** რაც კი არსებითად მეჩვენებოდა. და თუ ვინმე მოინდომებს საკუთარი სულიერი ცხოვრებისათვის გამოიყენოს ამ წიგნში აღწერილი, მაშინ თხზულების აზრიც ის იქნება, შეაძლებინოს მას დააკვირდეს აქ ნახსენებ შეძლებისდაგვარად ზუსტად დახასიათებულ სულისმიერ გზას. შინაგანი, მშვინვიერი პროცესების აღწერამ შესაძლოა გაცილებით დიდი გაუგებრობანი წარმოშვას, ვიდრე ეს ფიზიკური სამყაროს ფაქტების აღწერისას ხდება. სამშვინველის ცხოვრების მოძრავი ხასიათი, აუცილებლობა არასდროს დავივიწყოთ მისი განსხვავებულობა ცხოვრების ყოველგვარი გამოვლინებისაგან ფიზიკურ სამყაროში და სხვა მრავალი შესაძლებლად ხდის ამგვარი გაუგებრობების წარმოშობას. ხელახალი გამოცემისას დავძებნე წიგნში ის ადგილები, რომელთაც შეეძლოთ მსგავს გაუგებრობათა გამოწვევა; ხოლო შედგენისას ვიზრუნე, რათა თავიდან აღარ გაჩენილიყვნენ ისინი.

წიგნის შემადგენელი თავების წერისას ზოგი რამ სხვაგვარად უნდა გამომეთქვა; უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სულიერი სამყაროს ფაქტების შემეცნებისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიძღვნილი ნაშრომის შინაარსი იმყამად სხვაგვარად განვმარტე, ვიდრე ეს აწმყოში მისი გამოქვეყნების შემდეგ მოხდა. ჩემს შრომებში „იდუმალთმეტყველებისა“, „ბიანისა და კაცობრიობის გაძღოლი“, „გზა თვითშემეცნებისაკენ“, და განსაკუთრებით „სულიერი სამყაროს ხელურბლი“, აგრეთვე დანარჩენ თხზულებებში ... ლია სულიერი პროცესები, რომელთა შესახებაც წინამდებარე წიგნში ჯერ კიდევ ათი წლის წინ იყო მინიშნებული, თუმცა დღესდღეობით ჩვენთვის უკვე მიღებული გამოთქმების გამოყენებით. იმყამად წიგნში გამოტოვებული ბევრი რამის შესახებ უნდა მეთქვა, რომ მათი გაგება „ზეპირი გადმოცემის“ გზითაა შესაძლებელი. დღესდღეობით **ბევრი** ისეთი რამ გამოქვეყნდა, რაც სწორედ ამგვარ მინიშნებათა მიღმა იგულისხმებოდა. ეს ის მინიშნებები იყო, რომლებიც არც გამორიცხავენ სრულიად მცდარი მოსაზრებების გაჩენას მკითხველში. სულიერი მოწაფეობის მაძიებლის **პირადი** ურთიერთობა ამა თუ იმ მოძღვართან ბევრად უფრო არსებითი ეჩვენებოდათ ხოლმე, ვიდრე ეს საჭირო იყო. ვიმედოვნებ, შევძელი ამ ახალ გამოცემაში ცალკეული წვრილმანების სხვაგვარად გადმოცემის გზით უფრო მკვეთრად ... მნიშნა, რომ თანამედროვეობის სულიერ ვითარებაში იდუმალთგანსწავლის მსურველისათვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია მიმართება ობიექტურ სულიერ სამყაროსთან, ვიდრე ... ნებისმიერ მასწავლებლის პიროვნებასთან. ეს უკანასკნელი სულიერი განსწავლის პროცესში თანდათანობით ისეთივე დამხმარე ადგილს იკავებს, როგორც თანამედროვე შეხედულებისამებრ უკავია მასწავლებელს ცოდნის ნებისმიერ სხვა სფეროში. მჯერა, საკმარისად შივახსენე იმაზეც, რომ მასწავლებლის ავტორიტეტი და რწმენა მისდამი არ უნდა თამაშობდნენ სხვაგვარ როლს, ვიდრე ეს ცოდნისა და ცხოვრების სხვა სფეროებში ხდება. ძალზე მნიშვნელოვნად მეჩვენება აგრეთვე, თუ რამდენად მართებულია განსჯა სულის მკვლევარის ხსენებული დამოკიდებულებისა მისი კვლევის შედეგებით დაინტერესებულ ადამიანთან. ვგონებ, წიგნში გავაუმჯობესე ის ადგილები, რომლებიც ათი წლისთავზე გასასწორებელი მეჩვენა.

პირველ ნაწილს ებმის მეორე ნაწილი. ის იძლევა შემდგომ განმარტებებს იმ მშვინვიერი აგებულების შესახებ, რომელსაც მიჰყავს ადამიანი ზენა სამყაროების განცდამდე.

წიგნის ეს ახალი გამოცემა იბეჭდებოდა დიდი ომის დაწყებისას, რომელშიც კაცობრიობა ჩაბმულია დღეს. და ამ წინათქმის დაწერა მიხდება მაშინ, როდესაც ჩემი სული შეძრულია ამ საბედისწერო მოვლენებით.

ბერლინი, 7 სექტემბერი, 1914 წელი **რუდოლფ შტაინერი**

წინათქმა მესამე გამოცემისათვის

ჩემი გამოკვლევები ამჯერად ერთ წიგნად გამოდის. ისინი თავდაპირველად ცალკეულ წერილებად დაიბეჭდა სათაურით „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?“. ეს ტომი პირველ ნაწილს შეადგენს. შემდეგი ტომი მისი გაგრძელებაა. ეს შრომა, მიძღვნილი ზეგრძნობადი სამყაროების წვდომად ადამიანის წარმმართველი განვითარებისადმი, არ უნდა გამოიცეს ხელახლა ზოგიერთი იმ წინათქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეშე, მას რომ აქვე დაერთვის. იგი შეიცავს ცნობებს ადამიანის სულიერი განვითარების შესახებ, რომლებმაც უნდა დააკმაყოფილონ სხვადასხვაგვარი მკითხველები. უწინარეს ყოვლისა თავისი წილი უნდა მიეზღოთ იმ ადამიანებს, რომლებიც მიიზიდებიან სულიერი კვლევის ნაყოფებისაკენ და რომელთაც შესაძლოა დასვან კითხვა: საიდან იძენს ცოდნას ის, ვინც ამტკიცებს, რომ შემძლეა ისაუბროს ცხოვრების ამოუხსნელ საკითხებზე? სულიერი მეცნიერება გარკვეულწილად მოგვითხრობს ამ გამოცანების შესახებ. ვისაც სურს დააკვირდეს ფაქტებს, რომელთაც ამგვარი დასკვნებისაკენ მივყავართ, იგი უნდა ამაღლდეს ზეგრძნობად შემეცნებამდე. იგი უნდა შეუდგეს გზას, რომლის აღწერის მცდელობასაც წარმოადგენს ეს ნაშრომი. არ უნდა ჩავთვალოთ, რომ სულიერი მეცნიერების უწყებანი უფასურია მათთვის, ვისაც არ გააჩნია მიდრეკილება ან შესაძლებლობა თავად დაადგეს ამ გზას. ამ რიგის ფაქტების გამოსაკვლევად უნდა გაგვაჩნდეს უნარი ზეგრძნობად სამყაროებში შესვლისა. თუკი ისინი უკვე გამოკვლეულნი არიან და მათ შესახებ სხვები გვაუწყებენ, ამ უწყებათა სიმართლე შესაძლოა სარწმუნოდ ეჩვენოს მასაც, ვინც თვითონ ვერ ახერხებს მათ აღქმას. ამ უწყებათა ჭეშმარიტების შემოწმება შესაძლოა მაშინ, თუ საამისოდ მართლაც მიუკერძოებლად გამოვიყენებთ განსჯის ჯანსაღ უნარს. მხოლოდ ეს მიუკერძოებლობა არ უნდა დავარღვევინოთ ყველა შესაძლო წანამძღვრებს, ადამიანის ცხოვრებაში ესოდენ დიდი ოდენობით რომ გვხვდება. ასე მაგალითად, ადვილად დასაშვებია ვიღაცამ ჩათვალოს, რომ ესა თუ ის აზრი არ ეთანხმება თანამედროვეობის მეცნიერულ მონაპოვარს. სინამდვილეში არანაირი მეცნიერული მონაპოვარი არ არსებობს, რომელიც ეწინააღმდეგება სულიერ კვლევას. თუ მრავალმხრივ და მიუკერძოებლად არ მოეკიდებიან მეცნიერული კვლევის შედეგებს, შესაძლოა იოლად ირწმუნონ, რომ ესა თუ ის მეცნიერული განსჯა არ ეთანხმება უწყებებს ზენა სამყაროთა შესახებ. ხოლო რამდენადაც მიუკერძოებლად შევუდარებთ სულიერ მეცნიერებას სწორედ ამ პოზიტიური მეცნიერების მიღწევებს, იმდენად უკეთ გამოჩნდება სრული თანხმობა მათ შორის. სულიერი მეცნიერების უწყებათა სხვა ნაწილი მეტ-ნაკლებად ვერ მოთავსდება ჩვეულებრივი განსჯის ჩარჩოებში. მაგრამ ჭეშმარიტი მიმართების შეძენა ამ ნაწილისადმი ძნელი არ იქნება იმის გამგებისათვის, რომ სიმართლის მსაჯული მარტოოდენ განსჯა როდია, არამედ ჯანსაღი გრძნობაც. თუ ეს გრძნობა არ მინებდება სიმპატიებსა და ანტიპატიებს ამა თუ იმ შეხედულების მიმართ, არამედ ნამდვილი მიუკერძოებლობით დააცდის ზეგრძნობად სამყაროებში შემეცნებულს თვით მასზე ზემოქმედებას, მაშინ დაიბადება კიდეც შესაბამისი განსჯა. — არსებობს კიდევ სხვა საშუალება ვუჩვენოთ ამ შემეცნებათა ჭეშმარიტება იმათ, ვინც ვერ ახერხებს ან ვისაც არ სურს დაადგეს ზეგრძნობადი სამყაროსაკენ მიმავალ გზას. ასეთი ადამიანები თუმცაღა ვერძნობენ ამ შემეცნებათა ფასეულობას ცხოვრებისათვის მაშინაც კი, თუ ისინი ამის შესახებ სულის მკვლევართა მონათხრობიდან შეიტყობენ. ყველას არ შეუძლია უცბადვე ნათელმხილველი გახდეს. მაგრამ ის, რაც ნათელმხილველს შეუმეცნებია, ნამდვილად ჯანსაღი ცხოვრების საზრდოა ყველა ადამიანისათვის. მათი გამოყენება ცხოვრებაში ყველას შეუძლია. ვინც ამას სჩადის, მალე დაინახავს, თუ რად შეიძლება ეჭცეს ცხოვრება თავის ყველა სფეროში და რას მოაკლდება მათი გამორიცხვით. ცხოვრებაში სწორად გატარებული ზეგრძნობადი

სამყაროების შემეცნებანი არაპრაქტიკულნი როდი აღმოჩნდებიან, არამედ უმაღლესი გაგებით პრაქტიკულნი. თუ ვინმეს თავად არ სურს უმაღლესი შემეცნების გზაზე დადგომა, მაგრამ აქვს მიდრეკილება ამ გზაზე შემჩნეული ფაქტების მიმართ, შესაძლოა დაებადოს კითხვა: როგორ მიდის ნათელმხილველი ამ ფაქტებამდე? ამგვარი შეკითხვით დაინტერესებულთ წინამდებარე ნაშრომი დაანახვებს, თუ რა უნდა იღონონ მათ ზეგრძნობადი სამყაროს ნამდვილი გაცნობისათვის. მან ისე უნდა წარმოაჩინოს ამ სამყაროში მიმავალი გზა, რომ უარისმყოფელიც კი ნდობით მოეკიდოს ამ გზაზე უკვე ნავალის ნაამბობს. ამ მხრივ სულის მკვლევარის მოქმედება შესაძლოა ზოგიერთმა სწორად ჩათვალოს და თქვას: ზენა სამყაროებისკენ მიმავალი გზის აღწერის დროს ჩემზე მოხდენილი შთაბეჭდილება მე მიმახვედრებს, თუ რად მეჩვენება დამაჯერებლად მოწოდებული ცნობები. ამ თხზულებამ უნდა გაუწიოს სამსახური იმასაც, ვინც მოწადინებულია საკუთარ თავში განამტკიცოს და გააძლიეროს განცდა და შეგრძნება ზენა სამყაროს ჭეშმარიტებისა. არანაკლებ სამსახურს გაუწევს იგი მათაც, ვინც თვითონ ეძიებს ზეგრძნობადი შემეცნების გზას. აქ წარმოდგენილის ჭეშმარიტებას ყველაზე უკეთ გამოსცდის ის, ვინც თავის თავში განახორციელებს მას. კარგი იქნებოდა ამგვარი განზრახვის მქონესთვის შეგნება იმისა, რომ განსხვავებით სხვაგვარი გამოკვლევებისაგან, სულიერი განვითარების აღწერისას მისი შინაარსის უბრალო გაცნობაზე მეტია საჭირო. აუცილებელია ინტიმური გაშინაგნება აქ წარმოდგენილისა. აქვე დასაშვებია წინაპირობა, რომ ესა თუ ის საგანი გაგებულ უნდა იქნას არამარტო უშუალოდ მის ირგვლივ ნათქვამით, არამედ სრულიად სხვა საგნის შესახებ თქმულითაც. ამით შეგვექმნება წარმოდგენა, რომ არსებითი მოცემულია არა ერთ ჭეშმარიტებაში, არამედ ყველა მათგანის თანხმოვანებაში. სერიოზულად უნდა დაფიქრდეს ის, ვისაც ვარჯიშების შესრულება სურს. ერთი სავარჯიშო შესაძლოა სწორედ იქნას გაგებული, აგრეთვე შესრულებული. და მაინც, მას შეუძლია უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა, თუ შემსრულებელი მას არ გადააბამს სხვა სავარჯიშოს, რომელიც პირველის ცალმხრივობას სულიერ ჰარმონიაში გადასწყვეტს. ვინც კითხვისას ჩაეღრმავდება ამ თხზულებას ისე, რომ კითხვა მისთვის შინაგან განცდად იქცევა, იგი გაეცნობა არამარტო შინაარსს, არამედ განსხვავებულად შეიგრძნობს სხვადასხვა ადგილებს. ამის საშუალებით იგი შეიცნობს ამა თუ იმ წვრილმანის მნიშვნელობას სულიერი განვითარებისთვის. ის აგრეთვე გაარკვევს, თუ რა ფორმით უნდა სცადოს მან ამა თუ იმ სავარჯიშოს შესრულება თავისი განსაკუთრებული ინდივიდუალობიდან გამომდინარე. ასეთ დროს, რამდენადაც აღწერილი პროცესები განცდილი უნდა იქნენ, ჩნდება აუცილებლობა დროდადრო მათ შინაარსთან დაბრუნებისა. მაშინ დავრწმუნდებით, რომ დამაკმაყოფილებელი გაგება ზოგი რამისა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მისი პრაქტიკული გამოცდის, აგრეთვე უწინ მხედველობიდან გამორჩენილი სინატიფეების შემჩნევის შემდეგ.

აგრეთვე ისეთი მკითხველნი, რომელთაც არ განუზრახავთ დაადგნენ აქ აღწერილ გზას, შესძლებენ თხზულებაში მოიძიონ გარკვეული სარგებელი შინაგანი ცხოვრებისათვის. ისინი მიიღებენ ცხოვრებისეულ წესებს, მითითებებს, აგრეთვე იმას, თუ როგორ განიმარტება ესა თუ ის, აქამდე გამოცანად რომ რჩებოდა და ა.შ.

მავანი, რაიმეს შემძენი თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით, ანუ გარკვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული თვალსაზრისით ცხოვრებისეული ხელდასხმული, შეიძლება დაკმაყოფილებული
თუ მის მიერ უწინ ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღქმულს ახლა ურთიერთკავშირში განძარ-
ტებულად იპოვნის. ეს არის ის, რაც მან იცოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა აეყვანა ეს
ცოდნა თავისთვის დამაკმაყოფილებელ დონეზე.

როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაპირობები

ყოველ ადამიანში თვლემენ უნარები, რომელთა საშუალებითაც მას შეუძლია შეიძინოს ცოდნა ზენა სამყაროთა შესახებ. მისტიკოსი, გნოსტიკოსი, თეოსოფი ყოველთვის საუბრობენ სამშვინველისა და სულის სამყაროს შესახებ, რომელიც მათთვის მისაწვდომია ფიზიკური თვალით აღქმადი, ფიზიკურად ხელშესახები სამყაროს მსგავსად. მათ მსმენელს ყოველთვის შეუძლია თქვას: მეც შემიძლია გაგება იმისა, რის შესახებაც ის ლაპარაკობს, თუკი განვავითარებ ჯერ კიდევ მთვლემარე ძალებს ჩემში. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმას შეეხებოდეს, თუ როგორ დავიწყოთ ამგვარი უნარების განვითარება. მითითებანი ამ მიმართულებით შეუძლიათ მოგვცენ მათ, ვინც უკვე ფლობს ამგვარ ძალებს. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე არსებობდა სწავლება, რომლის საშუალებითაც უმაღლესი უნარების მქონენი მოძღვრავდნენ ამავე უნარების მაძიებელთ. ამგვარ სწავლებას **საიდუმლო სწავლებას** უწოდებდნენ. ის, რასაც აქ ეზიარებოდნენ, ცნობილი იყო იდუმალთმეტყველური, ანუ ოკულტური მოძღვრების სახელით. ამგვარი სახელწოდება, ბუნებრივია, გაუგებრობებს იწვევს. ამის გამგონეს იოლად შეიძლება გაუჩნდეს რწმენა, თითქოს ამ სწავლების მსახურთ სურთ წარმოადგენდნენ ადამიანთა პრივილეგირებულ ფენას, რომელიც გარშემომყოფთ უმალავს თავის ცოდნას. შესაძლოა კიდევაც იფიქრონ, რომ ამგვარი ცოდნის მიღმა არაფერი მნიშვნელოვანი არ იმალება. ის რომ ჭეშმარიტი ცოდნა იყოს — ასე ფიქრობენ ხოლმე — საჭირო არ იქნებოდა მისი გასაიდუმლოება. შეიძლებოდა მისი გამოტანა სააშკარაოზე, რათა მისი მადლი ყველა ადამიანისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო.

მათ, ვინც ხელდასხმულნი არიან საიდუმლო ცოდნის სფეროში, როდი აკვირვებთ არახელდასხმულთა ამგვარი ფიქრი. ხელდასხმის საიდუმლოების გაგება მხოლოდ მას ხელეწიფება, ვინც ამ ხელდასხმას ყოფიერების უმაღლეს საიდუმლოებებში გარკვეულ საფეხურამდე მაინც შესწვდა. შესაძლოა დაისვას კითხვა: როგორ უნდა გაუჩნდეს არახელდასხმულს რაიმე ადამიანური ინტერესი იდუმალთმეტყველების მიმართ ამგვარ პირობებში? როგორ და რანაირად უნდა ეძიოს მან ისეთი რამ, რისი ბუნების შესახებაც არანაირი წარმოდგენის შექმნა არ შეუძლია? მაგრამ ამგვარი კითხვის საფუძველშივე ჩადებულია მცდარი წარმოდგენა იდუმალთმეტყველების არსის შესახებ. იგი ისევე განიხილავს იდუმალთმეტყველებას, როგორც სხვა დანარჩენ ადამიანურ სწავლებებს და მოძღვრებებს. იდუმალთმეტყველება ზუსტად ისეთივე საიდუმლოა რიგითი ადამიანისათვის, როგორც წერა უსწავლელთათვის. და ისე, როგორც ყველას, სწორი გზის არჩევით, შეუძლია ისწავლოს წერა, ასევე ყველას შეუძლია გახდეს იდუმალთმეტყველების მოწაფე ან მასწავლებელი, თუკი საამისოდ შესაბამის გზას ეძიებს. მხოლოდ ერთი თვალსაზრისით აქ სხვაგვარი პირობებია, ვიდრე გარეგანი ცოდნისა და სწავლების სფეროში. ცოდნა და სწავლება ზენა სამყაროთა შესახებ დაუბრკოლებლად მიღწევადია მისთვის, ვინც სერიოზულად ეძიებს მათ.

ბევრი დარწმუნებულია, რომ საჭიროა სადმე მოსძებნოს უმაღლესი ცოდნის მასწავლებელი მისგან ახსნა-განმარტებების მისაღებად. მაგრამ აქ ორმაგი ჭეშმა-

რიტებაა: ჯერ ერთი, უმაღლესი ცოდნის დაუფლებისაკენ სერიოზულად მოსწრაფე არაფ დაგიდევს შრომას და დაბრკოლებებს იმ ხელდასხმულის მოსაძებნად, რომელსაც შეუძლია მისი შეყვანა სამყაროს უმაღლეს საიდუმლოებათა წიაღში. მეორეს ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ პირობებისდა მიუხედავად ხელდასხმა თავად მოსძებნის შემეცნებისაკენ სერიოზულად და ღირსეულად მოსწრაფეს. არსებობს ბუნებრივი კანონი ყველა ხელდასხმულისათვის, რაც მას ავალდებულებს არ დაუმალოს მაძიებელს შესაბამისი ცოდნა. იმავდროულად არსებობს ასევე ბუნებრივი სხვა კანონიც, და ის კრძალავს რაიმე საიდუმლოს გადაცემას იმ პირისთვის, რომელიც საამისოდ მოწოდებული არ არის. ხელდასხმული მით უფრო სრულყოფილია, რაც უფრო მკაცრად იცავს ორივე კანონს. ყველა ხელდასხმულის გამაერთიანებელი სულიერი კავშირი გარეგნული ერთობა როდია, მაგრამ ორივე ზემოხსენებული კანონი წარმოქმნის ჩარჩოებს, რომლის მეოხებითაც ამ კავშირის წევრთა ერთსულოვნებაა შენარჩუნებული. შესაძლოა შენ ღრმა მეგობრობა გაკავშირებდეს რომელიმე ხელდასხმულთან: თავის საიდუმლოს იგი გაგანდობს მხოლოდ მაშინ, როდესაც შენ საამისოდ მომწიფდები. შესაძლოა მიეპირფერო მას, შესაძლოა იგი აწამო კიდეც; ვერაფერი ვერ აიძულებს მას გასცეს რაიმე, რისი გაცემაც შენთვის არ ეგების, თუ განვითარების მოცემულ საფეხურზე შენი სამშვინველი მზად არ არის ამ საიდუმლოს მისაღებად.

გზები, რომლებიც მოამწიფებენ ადამიანს საიდუმლოს მისაღებად, სავსებით ზუსტადაა განსაზღვრული. მათი მიმართულება წარუშლელი, მარადიული ასოებითაა ნაჩვენები სულის საუფლოებში, სადაც ხელდასხმულნი ინახავენ უმაღლეს საიდუმლოებებს. უძველეს დროში, ჩვენს „ისტორიამდე", სულის ტაძრები ხილული იყო ავრეთვე გარეგნულად. დღეს, როდესაც ჩვენი ცხოვრება ესოდენ დაიცალა სულისგან, ისინი ხილულად აღარ არსებობენ სამყაროში. მხოლოდ სულიერი თვალსაზრისით ისინი არიან ყველგან; და ყოველი, ვინც ეძიებს, ჰპოვებს მათ.

მხოლოდ საკუთარ სულში შეუძლია ადამიანს რაიმე ხერხის მიკვლევა, რითაც იგი შესძლებდა ხელდასხმულის დადუმებული ბაგის ამეტყველებას. მან გარკვეულ დონემდე უნდა განივითაროს ზოგიერთი თვისება და მაშინ შესაძლოა წილად ხვდეს უმაღლესი სულიერი საუნჯეები.

ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს სამშვინველის ზოგიერთი ძირითადი განწყობილება. სულის მკვლევარი ძირითად განწყობილებებს უწოდებს **თაყვანისცემას, მოწიწებას** ჭეშმარიტებისა და შემეცნების წინაშე. მხოლოდ მას შეუძლია იდუმალთმოწაფედ გახდომა, ვისაც ეს ძირითადი განწყობილება გააჩნია. ამ სფეროში გამოცდილმა იცის, რომელი მიდრეკილება უნდა ახასიათებდეს იდუმალთმეტყველების მოწაფეს ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში. არიან ბავშვები, რომლებიც ღვთაებრივი ჟრჟოლით შეჰყურებენ თავიანთ სათაყვანებელ პიროვნებას; ისინი განიცდიან მოწიწებას, რომელიც გულის სიღრმეშივე გამორიცხავს კრიტიკული საწინააღმდეგო აზრის წარმოშობას. ეს ბავშვები იზრდებიან ჭაბუკებად და ქალიშვილებად, რომლებიც მოხარულნი არიან ყოველივე თაყვანისცემის ღირსის ხილვისას. ასეთ ბავშვთაგან მრავალი იდუმალთმოწაფე გამოდის. თუ ოდესმე მდგარხარ პირველად სათაყვანებელი ადამიანის კართან, ღვთაებრივი ჟრჟოლით შეპყრობილი თითი დაგიჭერია ზარის ღილაკზე და შესულხარ ოთახში, რაც შენთვის სხვა არაფერი

ყოფილა, თუ არა საკურთხეველი, მაშინ შენში უთუოდ იჩენდა თავს რაღაც გრძნობა — ჩანასახი მომავალი შენი იდუმალთმოწაფეობისა. ბედნიერებაა, როდესაც ყმაწვილს ამგვარი გრძნობა-მიდრეკილებანი გააჩნია. მხოლოდ ნუ დავიბნევთ, რომ ამგვარი მიდრეკილება ბრმად მორჩილების ან მონობის ჩანასახს წარმოქმნის. დასაწყისში ბავშვური მოწიწება ადამიანებისადმი მოგვიანებით იქცევა მოწიწებად **ჭეშმარიტებისა და შემეცნების მიმართ.** გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თავისუფალი ქცევის ადამიანებმა იციან თაყვანისცემის გამოვლენა იქ, სადაც ეს არ არის უადგილო. ამავე დროს იგი არასოდეს იქნება უადგილო, თუ უშუალოდ გულის სიღრმიდან მომდინარეობს.

თუ არ გავაღვივებთ გრძნობას რაღაც ჩვენზე უფრო მაღლის წინაშე, ვერ მივაკვლევთ განვითარების ძალას ჩვენში, რომელიც მიგვმართავს ზემოთკენ. ხელდასხმულმა საკუთარი გულის დამდაბლებით მოკრძალებასა და მოწიწებაში ჰპოვა ძალა შემეცნების სიმაღლეებთან თვალის გასასწორებლად. სულის სიმაღლეს შესაძლოა მაშინ შესწვდნენ, როდესაც გაივლიან მორჩილების კარიბჭეს. ნამდვილ ცოდნას მოიპოვებ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისწავლი მის დაფასებას. ადამიანს აქვს უფლება თვალი გაუსწოროს სინათლეს, მაგრამ ეს უფლება მან უნდა მოიპოვოს. სულიერ ცხოვრებაში მატერიალურის მსგავსი კანონები მოქმედებს. თუ სათანადო ნივთიერებით დავსერავთ მინის წკირს, იგი დაელექტროვდება, რაც ნიშნავს: იგი მიიღებს მცირე სხეულების მიზიდვის ძალას. ეს ბუნების კანონი ცნობილია ყველასთვის, ვისაც ცოტაოდენი ფიზიკა უსწავლია. იდუმალთმეტყველების პირველსაფუძველთა ცოდნიდან გამომდინარე ცნობილია, რომ სულში გაღვივებული **ჭეშმარიტი** მოწიწების გრძნობა ანვითარებს ადრე თუ გვიან შემეცნების გზაზე დამწინაურებელ ძალას.

მოწიწებისკენ მიდრეკილი ადამიანი, ან შესაბამისი წვრთნის შედეგად მისი შემძენი უმაღლეს შემეცნებასთან მისასვლელის ძიებისას უკვე ბევრ რასმე ფლობს. ამ მხრივ მოუმზადებელ ადამიანს შემეცნების პირველსავე საფეხურზე მრავალი სიძნელე აღუდგება წინ, თუ იგი ენერგიულად არ შეუდგება თავის თავში მოწიწების გრძნობის აღზრდას. ჩვენს დროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი ყურადღების გამახვილება ამ მხარეზე. ჩვენი ცივილიზაცია მეტწილად მიდრეკილია კრიტიკისაკენ, განსჯისაკენ, გაკიცხვისაკენ და ნაკლებად მოწიწების ან თაყვანისცემისაკენ. ჩვენი ბავშვები უკვე მეტ კრიტიკულობას ამჟღავნებენ, ვიდრე თაყვანისცემას. მხოლოდ კი ყოველგვარი კრიტიკა, ყოველგვარი განსჯა იმდენად დევნის უმაღლესი შემეცნებისაკენ წარმმართველ მშვინვიერ ძალას, რამდენადაც მათ თაყვანისცემა ანვითარებს. ამით არაფერია თქმული ჩვენი ცივილიზაციის საწინააღმდეგოდ. აქ საქმე ჩვენი ცივილიზაციის კრიტიკაში როდია. სწორედ კრიტიკას, ადამიანის ცნობიერ განსჯას, აგრეთვე სიტყვებს „გამოსცადეთ ყოველივე და შეინარჩუნეთ უკეთესი“ ვუმადლით ჩვენი კულტურის სიდიადეს. ვერასოდეს ეღირსებოდა ადამიანი ჩვენი დროის მეცნიერებას, მრეწველობას, მიმოსვლის საშუალებებს, სამართლებრივ ურთიერთობებს რომ არ გამოეყენებინა კრიტიკა და არ განესაჯა ყველაფერი საკუთარი საზომით. ჩვენ მოვიგეთ მხოლოდ გარეგნულ კულტურაში უმაღლესი შემეცნების და სულიერი ცხოვრების ხარჯზე. აქვე დავსძენდით, რომ უმაღლეს შემეცნებაში იგულისხმება არა ადამიანის, არამედ **ჭეშმარიტებისა და შემეცნების**

ოღონდაც ერთი რამ ყველასთვის ცხადი უნდა გახდეს — ჩვენი დროის გარეგნულ ფორმად ქცეულ ცივილიზაციაში ჩაფლული ადამიანისათვის ძალზე ძნელი იქნება ზენა სამყაროთა შემეცნების მიღწევა. მისთვის ეს შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ ენერგიულად იმუშავებს საკუთარ თავზე. იმ დროს, როდესაც მატერიალური ცხოვრების პირობები უფრო მარტივი იყო, სულიერი ზეასვლა შედარებით იოლად მიიღწეოდა. თაყვანისცემის ღირსი და წმინდად შერჩეული რამ ძალზე გამოირჩეოდა სხვა მსოფლიურ ურთიერთობათა შორის. კრიტიკულობის საუკუნეში იდეალები დაეცნენ. მოწიწებას, მოკრძალებას, თაყვანისცემას და გაოცებას სხვა გრძნობები ჩაენაცვლნენ. ჩვენი საუკუნე თანდათან უკან სწევს ამ გრძნობებს, ისე რომ ყოველდღიურობა სულ უფრო ნაკლებად აძლევს ადამიანს მათთან შეხების საშუალებას. უმაღლესი შემეცნების მაძიებელმა თვითონ უნდა დაჰბადოს ისინი საკუთარ თავში. მან თვითვე უნდა შთაღვაროს ისინი საკუთარ სამშვინველში. ამის სწავლა შეუძლებელია. ეს შესაძლებელი გახდება თავად ცხოვრებით. ვისაც სურს იდუმალთგანსწავლა, ენერგიულად უნდა ეცადოს საკუთარ თავში მოწიწების განწყობილების აღზრდას. თავის გარემოში, თავის განცდებში განუწყვეტლივ უნდა ეძიოს ის, რამაც შეიძლება გააღვივოს მასში მოწიწება და თაყვანისცემა. თუ ვინმესთან შეხვედრისას მე განვსჯი მის სისუსტეებს, ამით საკუთარ თავს ვართმევ უმაღლესი შემეცნების ძალას, ხოლო თუ გულით მოვინდომებ მის ღირსებებში ჩაღრმავებას, გავზრდი ამ ძალას. იდუმალთმოწაფეს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ეს მითითება და უნდა იცავდეს მას. გამოცდილმა იდუმალთმკვლევრებმა უწყიან, თუ რა ძალას ანიჭებთ მათ ყოველ საგანში მუდამ კეთილის ჭვრეტა და თავის შეკავება განსჯისაგან. მხოლოდ ეს არ უნდა დარჩეს ცხოვრების გარეგნულ წესად, არამედ უნდა დაეუფლოს ჩვენს სამშვინველისეულ სიღრმეებს. ადამიანს ხელეწიფება საკუთარი თავის სრულყოფა, დროთა მანძილზე მისი სავსებით გარდაქმნაც კი, თუმცა ეს გარდაქმნა უნდა იყოს სიღრმისეული და უნდა მოხდეს აზრთა დინებაში. საკმარისი არ არის ჩემი გარეგნული ქცევით მივაგო პატივი ვინმეს. ეს პატივისცემა უნდა მსჭვალავდეს ჩემს აზრებსაც. იდუმალთმოწაფემ უნდა დაიწყოს იმით, რომ მოწიწებით განმსჭვალოს საკუთარ აზრთა დინება. იგი უნდა მოერიდოს უკადრის ფიქრებს, გამკიცხავ კრიტიკას თავის ცნობიერებაში. იგი მოწადინებული უნდა იყოს აღზარდოს მოწიწების გრძნობა საკუთარ თავში.

ყოველი წამი იმის გაცნობიერებისა, თუ რამდენი უარმყოფელი, გამკიცხავი და კრიტიკული აზრი იმალება ჩვენში სამყაროსა და ცხოვრების შესახებ, მიგვაახლოვებს უმაღლეს შემეცნებას. და ჩვენ მით უფრო სწრაფად ავმაღლდებით, თუ დროის ამ მონაკვეთში შევავსებთ ჩვენს ცნობიერებას სამყაროსა და ცხოვრებისადმი მოწიწების, გაოცების, თაყვანისცემის გამომწვევი აზრებით. ამ საქმეში გამოცდილმა იცის, რომ ყოველ ასეთ წამს ადამიანში იღვიძებენ აქამდე მთვლემარე ძალები. ასე გაეხსნება ადამიანს სულის მხედველობა. აწ ის თავის ირგვლივ ხედავს ისეთ საგნებს, რომელთაც ადრე ვერ ამჩნევდა. იგი აცნობიერებს, რომ იგი აქამდე გარესამყაროს მხოლოდ ერთ ნაწილს ხედავდა. მის წინაშე მყოფ ადამიანს იგი უწინდელისაგან სრულიად განსხვავებული სახით აღიქვამს. თუმცა **ასეთი** ცხოვრების წესის წყალობით იგი ჯერაც ვერ შესძლებს ადამიანის აურად წოდებული

მოვლენის ხილვას. ამისთვის საჭიროა უფრო მაღალი განსწავლა. და იგი შეიძლება კიდეც ამაღლდეს ასეთ განსწავლამდე, თუ მანამდე **მონდომებით** გაიწაფება მოწიწებაში.[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარესამყაროსთვის უხმაუროდ და შეუმჩნევლად შეუდგება იდუმალთმოწაფე შემეცნების გზას. შესაძლოა ვერც ვერავინ შეამჩნიოს მასში მომხდარი ცვლილება. იგი წინანდებურად ასრულებს თავის მოვალეობებს, ძველებურად განაგრძობს თავის საქმიანობას. ეს ცვლილება მისი მშვინვიერი მზერისთვის უხილავ სიღრმეში მიმდინარეობს. თავდაპირველად მისი მშვინვიერი ცხოვრება განსხვავდება მოწიწების უმთავრესი განწყობილებით ყოველივე თაყვანისცემის წინაშე. სწორედ ეს უმთავრესი გრძნობაა მთელი მისი მშვინვიერი ცხოვრების თავშესაყარი და დამაგვირგვინებელი. ისე როგორც მზე თავისი სხივებით აცოცხლებს ყოველ სულიერს, ასევე იდუმალთმოწაფეში თაყვანისცემა ასულდგმულებს სამშვინველის ყველა შეგრძნებას.

ადამიანისთვის იოლი არ არის თავიდან იმის დაჯერება, რომ მოწიწებას, თაყვანისცემას და ა.შ. რაიმე კავშირი აქვს შემეცნებასთან. ეს იმის ბრალია, რომ შემეცნება წარმოუდგენიათ **სამშვინველის** დანარჩენი პროცესებისგან სრულიად განცალკევებულ უნარად. იმას კი აღარ ფიქრობენ, რომ სწორედ სამშვინველი შეიმეცნებს. თუკი სხეულს პურის ნაცვლად ქვით გამოკვებავთ, მისი ქმედითობა ჩაკვდება. იგივე დაემართება სამშვინველსაც. მისთვის თაყვანისცემა, მოკრძალება და მოწიწება **გამაჯანსაღებელი** და ძალის მომცემი საზრდოა, რაც უწინარეს ყოვლისა ხელს უწყობს შემეცნებას. ალიარების ღირსის გაკილვა, ზიზღი და გაკიცხვა იწვევს შემეცნებითი აქტივობის დასუსტებას და ჩაკვდომას. სულის მკვლევარი ყოველივე ამას ადამიანის **აურაში** ხედავს. იმ ადამიანის აურა, რომელმაც გაითავისა თაყვანისცემა და მოწიწება, უკვე სხვაგვარად გამოიყურება. სულის ზოგიერთი ფერადი ანარეკლი, რომელიც მოყვითალო-მოწითალო და მოჟავისფრო-მოწითალო ელფერებად აღიქმება, თანდათანობით ქრება და მის ადგილს მოლურჯო-მოწითალო ფერი იკავებს. ეს ადამიანი უკვე შესძლებს მისსავე გარემოში მომხდარ, თუმცა კი აქამდე უცნობი ფაქტების შეტყობას. თაყვანისცემა აღვივებს სამშვინველში სიმპატიის ძალას, რომლის მეოხებითაც აქამდე უხილავ ჩვენს გარემომცველ არსებათა თვისებებს მოვიზიდავთ.

მოწიწების შედეგი კიდევ უფრო ბევრისშემძლე ხდება, როდესაც მას ემატება სხვა სახის გრძნობაც. იგი გაღვივდება, როდესაც ადამიანი არ მინებდება გარესამყაროს შთაბეჭდილებებს და სანაცვლოდ განივითარებს ინტენსიურ შინაგან ცხოვრებას. ადამიანი, რომელიც მუდამ გარესამყაროს შთაბეჭდილებებს და „თავშესაქცევს" ეძიებს, ვერ ჰპოვებს მისადგომს იდუმალთმეტყველებასთან. იდუმალთმოწაფე არ უნდა დარჩეს უგრძნობი გარესამყაროს მიმართ; მაგრამ **მდიდარმა შინაგანმა ცხოვრებამ** თვითონ უნდა უკარნახოს, თუ რომელ შთაბეჭდილებებს უნდა მიეცეს.

---

[1] შემეცნების გზის ზოგადი მიმოხილვა მოცემულია ჩემი შრომის „თეოსოფია" ნარკვევის „ზეგრძნობადი მსოფლმხედველობისა და ადამიანის დანიშნულების შესახებ", ბოლო ნაწილში. აქ მითითებულია ზოგი რამ კერძო საკითხების გარშემო, რომელთაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ფაქიზი მგრძნობელობის და სულიერი სილრმის მქონე ადამიანს წარმტაც მთიან ადგილებში გავლისას სრულიად სხვაგვარი განცდები დაეუფლება, ვიდრე ღარიბული მგრძნობელობის მქონეს. მხოლოდ შინაგანად განცდილი იძლევა გარესამყაროს მშვენიერებათა გასაღებს. აი, ვიღაც ზღვით მიემგზავრება — განცდები ოდნავ თუ შეატოკებენ მის სულს. ხოლო იქვე, ვიღაც სხვას ჩაესმის მარადიული საუბარი მსოფლიო-სულისა. ამ უკანასკნელის წინაშე საფარველი აეხდება შესაქმის საიდუმლოებებს. საჭიროა ვიცოდეთ საკუთარ გრძნობებთან და წარმოდგენებთან მოპყრობა, თუ გვსურს ჩვენში განვავითაროთ შინაარსიანი მიმართება გარესამყაროსთან. ამ სამყაროს ყველა გამოვლინება აღსავსეა ღვთაებრივი სიდიადით. მხოლოდ, ღვთაებრივი ჯერ საკუთარ სულში უნდა აღმოაჩინო, ვიდრე მას გარესამყაროში მოსძებნიდე. იდუმალთმოწაფეს ეძლევა მითითება თავის ცხოვრებაში გამოყოს წუთები, როდესაც იგი სიჩუმეში განმარტოებული ჩაიძირება საკუთარ თავში. ასეთ წუთებში იგი არ უნდა მიეცეს იმას, რაც დაკავშირებულია პიროვნულ „მე“-სთან. მაშინ ის მოიტანდა მისივე განზრახვის საპირისპირო შედეგს. ასეთ წუთებში მან სრულ სიჩუმეში უნდა მიუგდოს ყური გარესამყაროში უკვე განცდილის გამოძახილს. თითოეული ყვავილი, ცხოველი თუ მოქმედება გაუმხელს მას აქამდე ამოუხსნელ საიდუმლოებებს. ასე მომზადდება იგი გარესამყაროს შთაბეჭდილებათა უწინდელისგან განსხვავებული აღქმისთვის. ვისაც ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით ტკბობა სურს, აჩლუნგებს თავის შემეცნების უნარს. საკუთარ თავში შემეცნების უნარს აღვივებს ის, ვინც აიძულებს ამა თუ იმ ტკბობას **ამცნოს** კიდევ და კიდევ უფრო მეტი. ის როდი უნდა კმაყოფილდებოდეს ამ ტკბობის მხოლოდ გამოძახილით თავის თავში, არამედ უნდა **უარჰყოს** მორიგი სიამენი და განცდილი თავისი სამშვინველის წიაღში **გადაამუშავოს.** აქ იმალება ერთი ფრიად სახიფათო წყალქვეშა ქვა. ნაცვლად შინაგანი მუშაობისა, მავანნი შეიძლება საპირისპიროდ მოიქცნენ, ანუ ბოლომდე მიეცნენ ტკბობას. არ უნდა მიიჩქმალოს ის გარემოებაც, რომ იდუმალთმოწაფის წინაშე ახლა სრულიად გაუთვალისწინებელი ცდომილებანი იჩენენ თავს. მან უნდა გადალახოს მისი სულის მაცდურ ძალთა მთელი ჯარები. ისინი მოწადინებულნი არიან გააქვავონ მისი „მე“, ჩაკეტონ იგი საკუთარ თავში. მან კი ის გარესამყაროსთვის უნდა გახსნას. იგი ხომ ტკბობას ეძიებს და გარესამყარო მხოლოდ ამ გზით აღწევს მასში. ტკბობის არიდების შემთხვევაში იგი დაემსგავსება მცენარეს, რომელსაც აღარ შეუძლია თავისი გარემოდან საზრდოს ამოღება. თუ ის დარჩება მიღებულ ტკბობასთან, მაშინ იგი საკუთარ თავში ჩაიკეტება. ამით იგი მნიშვნელობას მხოლოდ საკუთარი თავისთვის შეინარჩუნებს და არა სამყაროსთვის. და როგორც არ უნდა ცხოვრობდეს იგი თავის თავში, როგორც არ უნდა ზრუნავდეს საკუთარი „მეს“ გაძლიერებისათვის, სამყარო მაინც გამორიცხავს მას თავისი წესრიგიდან. სამყაროსთვის იგი მოკვდება. იდუმალთმოწაფისთვის **ტკბობა** მხოლოდ **საშუალებაა სამყაროს მსახურებისთვის** საკუთარი თავის გასაკეთილშობილებლად. მისთვის ტკბობა სამყაროს მაცნეა. იგი სწავლობს ნასწავლის არა **სიმდიდრესავით დაგროვებას,** არამედ სამყაროს **სამსახურში** მის ჩაყენებას.

იდუმალთმეტყველებაში არის ერთი ძირითადი კანონი, რომლის დარღვევაც არ ხამს რაიმე მიზნისაკენ სწრაფვისას. ყოველგვარმა იდუმალთგანსწავლამ ეს კანონი უნდა აღბეჭდოს მოწაფეში. **ყოველგვარი ცოდნა, რომელსაც შენ სიმდიდრესავით**

აგროვებ, აგაცდენს გზას, ხოლო წინ გწევს ყოველგვარი ცოდნა, რომელიც ემსახურება შენს მომწიფებას კაცთა გაკეთილშობილებისა და სამყაროს განვითარების სამსახურად. ეს კანონი უმკაცრეს დაცვას მოითხოვს. იდუმალთმოწაფედ მანამდე ვერ ჩაითვლები, ვიდრე ეს კანონი არ გახდება შენი გზის მაჩვენებელი. სულიერი განსწავლის ეს ჭეშმარიტება შესაძლოა მოკლედაც ითქვას: **ყოველი იდეა, რომელიც იდეალი არ გახდება, დააუძლურებს შენს სულს. ის იდეა კი, რომელიც გადაიქცევა იდეალად, შეგმატებს სასიცოცხლო ძალებს.**

შინაგანი სიმშვიდე

მოწიწების გზისა და **შინაგანი ცხოვრების** შესახებ იდუმალთმოწაფეს მიენიშნება თავისი ასპარეზის დასაწყისშივე. იდუმალთმეტყველება იძლევა აგრეთვე **პრაქტიკულ მითითებებს**, რომელთა დაცვითაც შესაძლებელია ამ გზაზე შედგომა და შინაგანი ცხოვრების განვითარება. ეს პრაქტიკული მითითებანი არ აღმოცენებულან თვითნებურად. ისინი უძველეს გამოცდილებებსა და ცოდნას ემყარებიან. ყველგან, სადაც კი დასახულია უმაღლესი შემეცნებისაკენ მიმავალი გზები, ისინი ერთგვაროვანი შინაარსით გადმოიცემა. სულიერი ცხოვრების ყველა ჭეშმარიტ მოძღვართა შორის არსებობს შეთანხმება ამ მითითებათა შინაარსის გამო, მაშინაც კი, თუ ისინი ამას სხვადასხვა სიტყვებით გამოთქვამენ. ეს მეორეხარისხოვანი, მოჩვენებითი სხვადასხვაობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტებზე, რომელთა განხილვასაც ჩვენ ალარ შევუდგებით აქ.

სულიერი ცხოვრების არც ერთ მოძღვარს არ სურს ამ მითითებათა საშუალებით სხვა ადამიანებზე ძალაუფლების მოპოვება. მას არ სურს ვინმეს დამოუკიდებლობის შეზღუდვა, რამდენადაც არავის ძალუძს ადამიანის დამოუკიდებლობის უფრო უკეთ დაფასება და დაცვა, ვიდრე იდუმალთმეტყველს. უკვე ითქვა, რომ ყველა ხელდასხმულის გაერთიანებელი კავშირი სულიერია და ორი კანონი წარმოქმნის ამ კავშირის წევრთა ერთსულოვნების შემნარჩუნებელ ჩარჩოებს. როდესაც ხელდასხმული სულის დახურული საუფლოდან სააშკარაოზე გამოდის, მაშინვე ძალაში შედის მესამე კანონიც. იგი ამბობს: შენი სიტყვა და საქმე უნდა წარმართო ისე, რომ არ ხელჰყო არც ერთი ადამიანის თავისუფალი არჩევანი.

ვინც განჭვრიტა ამ განწყობილების სისავსე სულიერი ცხოვრების მოძღვარში, მან უწყის ისიც, რომ მის დამოუკიდებლობას არაფერი დააკლდება მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ, პრაქტიკულ მითითებებზე მინდობისას.

ერთ-ერთი პირველი წესი შესაძლოა შემდეგი სიტყვებით ჩამოვაყალიბოთ: „გამოჰყავი შენში წუთები შინაგანი სიმშვიდისა და ისწავლე ამ წუთებში **არსებითის გარჩევა არაარსებითისაგან**“ — ეს პრაქტიკული მითითება ჩვენს სასაუბრო ენაზე ასე ჟღერს. თავდაპირველად იდუმალთმეტყველების ყოველი წესი და მოძღვრება სურათ-ხატოვან სიმბოლოთა ენაზე გადმოიცემოდა. ვისაც სურს სრულად გაეცნოს მის მნიშვნელობას და სიღრმეს, გონებით უნდა ჩასწვდეს ამ სურათ-ხატოვან ენას. ამგვარი წვდომისთვის აუცილებელია მოწაფემ გადადგას პირველი ნაბიჯები იდუმალთმეტყველების გზაზე. ამ ნაბიჯების გადადგმა მას შეუძლია აქ გადმოცემულ წესთა ზუსტი დაცვით. გზა ხსნილია **ყველასათვის**, ვისაც კი სერიოზული სურვილი გააჩნია.

წესი შინაგანი სიმშვიდისა მეტად მარტივია, მარტივია აგრეთვე მისი დაცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ამ წესს მიზნისაკენ მისდამი იმდენადვე **მკაცრი და სერიოზული** მიდგომისას მივყავართ, რამდენადაც მარტივია თავად ის. ამდენად ნაშრომში პირდაპირ ითქმება, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ წესთა დაცვა.

იდუმალთმოწაფემ თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა გამოყოს დროის მცირე მონაკვეთი, როდესაც იგი განსხვავებით ყოველდღიური ყოფისაგან სრულიად სხვა საქმით იქნება დაკავებული. ეს საქმიანობა გამორჩეული იქნება დანარჩენი ყოველდღიური საქმიანობისაგან. თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოსდა, რასაც ის სჩადის ამ დროს არავითარ კავშირში არ უნდა იყოს მის ყოველდღიურ სამუშაოსთან. პირიქით: ადამიანი, **სწორად** მაძიებელი განყენების ამგვარი წუთებისა, მალე შეამჩნევს, რომ მათი საშუალებით მოიპოვებს ძალის სისრულეს თავის ყოველდღიურ ამოცანათა გადასაჭრელად. არ უნდა ვიფიქროთ ისიც, რომ ამ წესის დაცვა ვინმეს წაართმევს თავის მოვალეობებისთვის განკუთვნილ დროს. თუ ვინმეს **ნამდვილად არა აქვს საამისო დრო**, დღიურად **ხუთიოდე წუთიც** კი საკმარისი იქნება. საქმე ისაა, თუ როგორ იქნება გამოყენებული ეს ხუთი წუთი.

ასეთ დროს ადამიანი სრულიად უნდა მოსწყდეს თავის ყოველდღიურ ყოფას. ახლა მისი აზროვნებისა და გრძნობათა დინებამ უწინდელისაგან სრულიად განსხვავებული ელფერი უნდა მიიღოს. მან სულის წინაშე უნდა გაისიგრძეგანოს თავისი სიხარული, ტანჯვა, საზრუნავი, გამოცდილება და საქმენი. ამასთანავე მან უნდა შესძლოს ჩვეულებრივად განცდილის უმაღლესი თვალთახედვიდან განჭვრეტა. საკმარისია ერთხელ მაინც დაფიქრება იმაზე, თუ რაოდენ სხვაგვარად მოსჩანს სხვისი განცდები და საქმეები ჩვეულებრივ ყოფაში საკუთარ განცდებთან და საქმეებთან შედარებით. შეუძლებელია ეს ასე არ იყოს. საკუთარ განცდილთან ან ნამოქმედართან მჭიდროდ ვართ დაკავშირებულნი, ხოლო სხვის განცდებსა და საქმეებს **ვაკვირდებით**. განყენების ამ წუთებში უნდა ვეცადოთ ისე შევხედოთ საკუთარ განცდებს და საქმეებს, ისე უნდა განვსაჯოთ ისინი, თითქოს ჩვენს მაგივრად ვიღაც სხვამ განიცადა ან ჩაიდინა. წარმოვიდგინოთ: მავანს ბედისწერამ ძლიერი დარტყმა აგემა. რამდენად სხვაგვარად შეხედავდა იგი ზუსტად იგივე დარტყმას, მსგავსი რამ მის ახლომყოფ ადამიანს რომ შეხებოდა და არავის მოეჩვენება ეს არამართლზომიერად, რადგან საკუთრივ ადამიანური ბუნებიდან მომდინარეობს. განსაკუთრებული შემთხვევების მსგავსად ხდება ეს ყოველდღიური ცხოვრების გარემოებებშიც. იდუმალთმოწაფემ უნდა შესძლოს საკუთარ თავს შეხედოს როგორც უცხოს. **გვერდიდან მაცქერალი** მსაჯულისთვის დამახასიათებელი **სიმშვიდით** უნდა მიუდგეს იგი საკუთარ თავს. თუ მან ეს მოახერხა, მაშინ საკუთარი განცდები სრულიად ახალი კუთხით წარმოუდგებიან. იქამდე, ვიდრე მჭიდრო შეხებაშია ამ განცდებთან და ჩაფლულია მათში, იგი ერთნაირად აღიქვამს როგორც არსებითს, ისე არაარსებითს. მხოლოდ როდესაც ის მჭვრეტელის შინაგან სიმშვიდეს მიაღწევს, არსებითი გაემიჯნება არაარსებითს. ჭმუნვა და სიხარული, ყოველგვარი აზრი, ყოველი გადაწყვეტილება სხვაგვარად წარმოუჩნდება, როდესაც ის საკუთარი თავის პირისპირ დადგება. მაგალითად, მთელი დღის მანძილზე რომელიმე ერთი ადგილიდან ვუცქერდით მცირე და დიდ საგნებს, ხოლო სალამოს კი ავედით მეზობელ ბორცვზე, რათა კიდევ ერთხელ მოგვევლო თვალი იქაურობისათვის; ამ მიდამოს ცალკეული დეტალები ახლა ერთმანეთთან სრულიად სხვაგვარ მიმართებაში წარმოგვიდგებოდა, ვიდრე

მაშინ, როდესაც იქვე ვიმყოფებოდით. ცხადია, ამის მიღწევა შეუძლებელია და საჭიროც არ არის, როდესაც საქმე ეხება ბედის მიერ ახლადმოტანილ, საშმეთაბი განსაცდელ მოვლენებს. იდუმალთმოწაფისთვის ეს დასაშვებია მხოლოდ მორეულ წარსულთან დაკავშირებით. ასეთი მშვიდი თვითდაკვირვება ნაკლებადაა დამოკიდებული ჭვრეტის საგანზე, არამედ უმალ საკუთარ თავში ასეთი შინაგანი სიმშვიდის განვითარებისთვის აუცილებელი ძალის მოპოვებაზე.

ყოველი ჩვენთაგანი ეგრეთ წოდებულ ჩვეულებრივ ადამიანთან ერთად ატარებს თავის წიაღში **უმაღლეს ადამიანსაც.** ეს უმაღლესი ადამიანი დაფარული რჩება იქამდე, ვიდრე მას არ გამოაღვიძებენ. ამ უმაღლესი ადამიანის გამოღვიძება კაცს მხოლოდ თვითონ შეუძლია საკუთარ თავში. იქამდე, ვიდრე ეს უმაღლესი ადამიანი არ გამოღვიძებულა, ყოველ ჩვენგანში მთვლემარე უმაღლესი უნარები, რომელთაც ზეგრძნობადი შემეცნებისაკენ მივყავართ, დაფარულნი რჩებიან.

ვისაც არ უგემია შინაგანი სიმშვიდის ნაყოფი, უნდა ჩააგონოს საკუთარ თავს, რომ საჭიროა უფრო მკაცრად და სერიოზულად მისდიოს ნახსენებ წესს. მაშინ მისთვის დადგება დღე, როდესაც მის გარშემო სულიერად ინათებს და აქამდე უცნობი თვალი დაანახვებს სრულიად ახალ სამყაროს.

აუცილებელი არ არის რაიმე შეიცვალოს იდუმალთმოწაფის ცხოვრებაში ამ წესთა დაცვის დაწყებიდან. იგი წინანდებურად ასრულებს თავის მოვალეობებს. წინანდებურად განიცდის ჭმუნვასა და სიხარულს. ამით იგი არასგზით არ გაუცხოვდება ცხოვრებისაგან. მას ხომ შეუძლია დანარჩენი დღის განმავლობაში მისდიოს ამ „ცხოვრებას“, რადგან განყენების წუთებში იგი უკვე ეზიარა „უმაღლეს ცხოვრებას“. თანდათანობით ეს „უმაღლესი ცხოვრება“ ზეგავლენას მოახდენს ჩვეულებრივზეც. განყენებულ წუთთა სიმშვიდე თავის ზემოქმედებას იქონიებს ყოველდღიურ ყოფაზეც. ადამიანი სავსებით დამშვიდდება, თავის ყველა მოქმედებაში შეიძენს დამაჯერებლობას, აღარ გამოვა წყობიდან ყოველ შესაძლო შემთხვევათა გამო. ამ გზით მავალი იდუმალთმოწაფე თანდათანობით თავადვე იკისრებს საკუთარი თავის გაძღოლას და სულ უფრო ნაკლებ მიენდობა სხვადასხვა გარემოება და გარედან თავსმოხვეულ გავლენებს. ასეთი ადამიანი მალე შენიშნავს, თუ ძალთა რა მარაგს იტევს განყენების ეს წუთები. იგი მეტად აღარ გაიზიანდება ისეთ რამეებზე, რაც უწინ აღიზიანებდა. უამრავი რამ, რაც უწინ შიშს გვრიდა, აღარ შეაშინებს მას. იგი გაითავისებს სავსებით ახლებურ შეხედულებას ცხოვრებაზე. შესაძლოა უწინ გაუბედავადაც კი შესდგომოდა ამა თუ იმ საქმეს. იგი ეუბნებოდა თავს: ძალები არ მყოფნის, რათა გავაკეთო ის, რაც მსურს. ახლა ის ეუბნება საკუთარ თავს: მე უნდა მოვიკრიბო მთელი ძალა, რათა ჩემი საქმე შეძლებისდაგვარად კარგად გავაკეთო. იგი განდევნის იმ აზრებს, რომლებიც გაუბედაობას უნერგავდნენ. მან ახლა იცის, რომ ამ გაუბედაობას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს უგერგილო შრომა; ყველა შემთხვევაში გაუბედაობა ვერაფერში წაადგება მის გასაკეთებელ საქმეს. ამრიგად, იდუმალთმოწაფის ცნობიერებაში ერთიმეორის მიყოლებით აღწევენ აზრები, რომლებიც მისი ცხოვრებისათვის ნაყოფიერნი და სასიკეთონი არიან. ისინი იკავებენ შემაფერხებლად და შემასუსტებლად მოქმედ აზრთა ადგილს. ამიერიდან საკუთარ თავს, ხომალდის მსგავსად, დამაჯერებელი მყარი სვლით წარმართავს ცხოვრების ტალღებში, იმ დროს როცა აქამდე ეს ტალღები აქეთ-იქით ახეთქებდნენ მას.

ამგვარი სიმშვიდე და დამაჯერებლობა ზეგავლენას ახდენს ადამიანის მთელს არსებაზე. მათი მეოხებით იზრდება შინაგანი ადამიანი. ამასთანავე იზრდებიან შინაგანი უნარები, რომელთაც უმაღლესი შემეცნებისკენ მივყავართ. ამ მხრივ მის მიერ მიღწეული წარმატების წყალობით იდუმალთმოწაფე თავად შესძლებს განსაზღვრას, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მასზე გარესამყაროს შთაბეჭდილებებმა. მაგალითად, მას ესმის სიტყვა, რომლითაც მავანი ცდილობს მისთვის შეურაცხჰყოფის მიყენებას ან გაღიზიანებას. იდუმალთმოწაფეობამდე ის უთუოდ შეურაცხჰყოფილი დარჩებოდა ან გაღიზიანდებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც იდუმალთმოწაფეობის გზას შეუდგა, მას უკვე შეუძლია ამ სიტყვის შეურაცხჰმყოფელი ან გამაღიზიანებელი ნესტრის უვნებელჰყოფა მანამდე, სანამ იგი მისი არსების წიაღში შეაღწევდეს. ან სხვა მაგალითი ავიღოთ: ადამიანს იოლად ეუფლება მოუთმენლობა, თუ ლოდინი უწევს. აი, იგი დაადგა იდუმალთგანსწავლის გზას. სიმშვიდის წუთებში იგი მთლიანად განიმსჭვალება გრძნობით, თუ რაოდენ ამაოა ყოველგვარი მოუთმენლობა და შემდგომში, როდესაც კვლავ მოუთმენლობა შეიპყრობს, იმწამსვე იჩენს თავს ეს საპირისპირო გრძნობაც. მოუთმენლობა, რომელსაც ლამის მთლიანად მოეცვა მისი არსება, ქრება. ის დრო, რომელიც დაიკარგა მოუთმენლობისგან გამოწვეულ წარმოდგენებზე, ალბათ შეივსება მოლოდინის განმავლობაში გაკეთებული სასარგებლო დაკვირვებებით.

ახლა საჭიროა ყოველივე ზემოთქმულის მნიშვნელობა გავისიგრძეგანოთ. გავიხსენოთ, რომ უმაღლესი ადამიანი ჩვენში განუწყვეტელ განვითარებაშია. ზემოაღწერილი სიმშვიდისა და დამაჯერებლობის მეოხებით მას ეძლევა კანონზომიერი განვითარების შესაძლებლობა. ცხოვრების ტალღები შინაგან ადამიანს ყოველი მხრიდან ავიწროვებენ, თუ ადამიანი არ ფლობს ამ ცხოვრებას, არამედ პირიქით, ეს უკანასკნელი ფლობს მას. ასეთი ადამიანი ჰგავს მცენარეს, რომელიც უნდა აღმოცენდეს კლდის ნაპრალში. იგი იქამდე დაჭკნება, ვიდრე არ შეუქმნიან სასიცოცხლო სივრცეს. გარე ძალებს არ ძალუძთ ასეთი სივრცე შექმნან შინაგანი ადამიანისათვის. ეს შეუძლია მხოლოდ მის მიერვე საკუთარ სულში დამკვიდრებულ შინაგან სიმშვიდეს. გარე პირობებს შეუძლიათ მისი ცხოვრების მხოლოდ გარეგნული მხარის შეცვლა. „სულიერი ადამიანის" გამოღვიძება მათ არასოდეს ძალუძთ. — იდუმალთმოწაფემ საკუთარ თავში უნდა დაჰბადოს ახალი, უმაღლესი ადამიანი.

ეს „უმაღლესი ადამიანი" იქცევა „შინაგან მბრძანებლად", რომელიც მტკიცე ხელით წარმართავს ფიზიკური ადამიანის ცხოვრებისეულ პირობებს. იქამდე, ვიდრე ამ ფიზიკურ ადამიანს გაბატონებული მდგომარეობა უპყრია და სადავეებს ფლობს, „შინაგანი ადამიანი" მისი მონაა და ვერ ახერხებს საკუთარი ძალების ფართოდ გამოყენებას. თუკი არა ჩემზე, არამედ რაღაც სხვაზეა დამოკიდებული, ვღიზიანდები მე თუ არა, მაშინ მე არ ვყოფილვარ საკუთარი თავის უფალი, ან უკეთ რომ ვთქვათ, მე არ მიპოვნია მბრძანებელი ჩემში. მე უნდა განვივითარო იმის განსაზღვრის უნარი, თუ რომელი შთაბეჭდილება უნდა შემოვუშვა ჩემში. მხოლოდ ამის შემდეგ გავხდები მე იდუმალთმოწაფე. იდუმალთმოწაფე იმდენად მიაღწევს მიზანს, რამდენადაც სერიოზულად ეძიებს იგი ამ ძალას. საქმე ის როდია, თუ რამდენად დაწინაურდება ის ამა თუ იმ დროის მანძილზე, არამედ თუ რამდენად სერიოზულად **ეძიებს**. ზოგჯერ მომხდარა ისეც, რომ მავანთ მთელი თავისი ძალები შემოლევიათ,

თუმცა კი ამას საგრძნობი წინსვლა არ მოჰყოლია; ბევრმა მათგანმა, ვინც სასოწარკვეთას არ მიეცა და უდრეკი დარჩა, თავისთვის სრულიად მოულოდნელად აღმოაჩინა „შინაგანი გამარჯვება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, ცხოვრებას მოაქვს ისეთი გარემოებანი, როდესაც საჭიროა დიდი ძალდატანება შინაგანი სიმშვიდის წუთების შესაქმნელად. თუმცა რამდენადაც მეტი ძალდატანება დასჭირდება ამის მიღწევას, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება შედეგი. იდუმალთმოწაფეობასთან დაკავშირებით ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ენერგიულად, შინაგანი სიმართლით და უანგარო გულწრფელობით შესძლებს ადამიანი თავისი ყველა მოქმედებითა და საქციელით სავსებით გაუცხოებული დაუდგეს წინ საკუთარ თავს.

უმაღლესი ადამიანის დაბადება ახასიათებს იდუმალთმოწაფის შინაგანი მოღვაწეობის მხოლოდ ერთ მხარეს. ამას კიდევ რაღაც უნდა დაემატოს. კერძოდ, როდესაც ადამიანი დგას საკუთარი თავის, როგორც უცხოს წინაშე, იგი ამით განიხილავს მხოლოდ **თავის თავს**. ამ განსაკუთრებული მდგომარეობის წყალობით იგი ხედავს განცდებსა და ქმედებებს, რომლებთანაც ლამის შესისხლხორცებულია. მან თავი უნდა დააღწიოს ამას და უნდა ამაღლდეს **წმინდა** ადამიანურ დონემდე, რასაც საერთო აღარაფერი აქვს მის განყენებულ მდგომარეობასთან. იგი უნდა შეუდგეს იმ საგანთა განჩილვას, რომლებიც მას მაინც შეეხებიან როგორც ადამიანს მაშინაც კი, თუ ის სავსებით სხვა პირობებში, სრულიად განსხვავებული ცხოვრებით ცხოვრობს. ამით მასში მოცემულია რაღაც, რაც მის პიროვნულზე ამაღლებულია. ამგვარად მისი მზერა **უფრო მაღალი სამყაროებისაკენ** წარიმართება, ვიდრე არიან ისინი, რომლებშიც მისი ყოველდღიური ცხოვრება მიედინება. ასე იწყებს ადამიანი განცდას, რომ ის სწორედ ზენა სამყაროებს განეკუთვნება. ეს ის სამყაროებია, რომელთა შესახებაც მის გრძნობებს. მის ყოველდღიურ საქმიანობას აღარაფრის თქმა ძალუძს. ამრიგად, თავისი არსების სიმძიმის ცენტრს ის გადაიტანს საკუთარ წიაღში. აქ იგი ყურს მიუგდებს ხმებს, რომლებიც ჩაესმის სიმშვიდის წუთებში. საკუთარ წიაღში ამყარებს ის ურთიერთობას სულიერ სამყაროსთან. მას ზურგი შეუქცევია ყოველდღიურობისათვის. ამ ყოველდღიურობის ხმაური ჩაიხშო მისთვის. **მის ირგვლივ** სიჩუმემ დაისადგურა. იგი თავიდან იშორებს ყოველივეს, რაც აგონებს გარესამყაროს შთაბეჭდილებებს. **შიგნითმიქცეული მშვიდი ჭვრეტა**, საუბარი სულიერ სამყაროსთან თავისი წმინდა სახით მთლიანად აავსებენ მის სულს. ესოდენ მშვიდი ჭვრეტა ცხოვრების ბუნებრივ მოთხოვნილებად უნდა ექცეს იდუმალთმოწაფეს. თავიდან იგი სავსებით ჩაღრმავებულია აზრთა სამყაროში. ამ მშვიდი აზრისმიერი მუშაობისათვის მან **ცოცხალი განცდა** უნდა განივითაროს, უნდა ისწავლოს **სიყვარული** იმისა, რაც სწორედ სულიდან მომდინარეობს. მალე იგი აღარ ჩათვლის აზრთა სამყაროს იმაზე ნაკლებ რეალურად, ვიდრე მისი გარემომცველი, ყოველდღიური საგნებია და საკუთარ აზრებს ისევე მოეპყრობა, როგორც სივრცეში განლაგებულ საგნებს. მისთვის ახლოვდება წამი, როდესაც აზრისმიერი მუშაობის სიჩუმეში გაცხადებულს იგი კიდევ უფრო რეალურად აღიქვამს, ვიდრე სივრცეში განლაგებულ საგნებს. მისთვის ცხადი ხდება, რომ აზრთა ამ სამყაროში ცხოვრება თავად ლაპარაკობს **საკუთარ თავზე**, რწმუნდება, რომ აზრები მხოლოდ აჩრდილისებრი, მომაკვდავი სურათები კი არ არის, არამედ აზრთა მეოხებით მას ელაპარა-

კებიან **უხილავი არსებები**. სიჩუმეში საუბარი იწყება მასთან. რისი მოსმენაც მას აქამდე მხოლოდ ყურით შეეძლო, ახლა საკუთარი სულიდან მოესმის. შინაგანი მეტყველება — შინაგანი სიტყვა — გაიხსნა მისთვის. ამ წუთებში იდუმალთმოწაფე პირველად განიცდის უმაღლეს ნეტარებას. მთელს მის გარემოს მოეფინება შინაგანი ნათელი და იწყება ახალი ცხოვრება, საიდანაც გადმოედინება ღვთაებრივი სამყაროს ზეციური ნეტარების მომტანი ღვარი.

გნოზისი, სულიერი მეცნიერება **მედიტაციას** (ანუ ჭვრეტით აზროვნებას) უწოდებს სულის ამგვარ ცხოვრებას აზრებში, რომელიც სულ უფრო და უფრო მსჭვალავს სულიერ არსებას. ეს მედიტაცია საშუალებაა ზეგრძნობადის შესამეცნებლად. მაგრამ ასეთ წუთებში იდუმალთმოწაფე გრძნობებად არ უნდა დაიღვაროს. მის სამშვინველში ადგილი არ უნდა ჰქონდეს გაურკვეველ შეგრძნებებს, ეს მხოლოდ შეაფერხებდა ნამდვილ სულიერ შემეცნებამდე მისვლას. ნათლად, მახვილგონივრულად, მკაფიოდ ჩამოქნილი სახე უნდა მიიღონ მისმა აზრებმა. საამისოდ იგი იპოვნის საყრდენს, თუ ბრმად არ მიენდობა საკუთარ თავში წარმოქმნილ ყოველ აზრს. იგი უმალ მაღალი აზრებით უნდა განიმსჭვალოს, რომლებიც კი საერთოდ უფიქრიათ ასეთ წუთებში ამ გზაზე დაწინაურებულ, სულიერად სრულყოფილ ადამიანებს. ამოსავალ წერტილად მან უნდა აიღოს ის თხზულებები, რომლებიც ეფუძნება მიღებულ გამოცხადებებს ამგვარი მედიტაციების დროს. მისტიურ, გნოსტიურ, თანამედროვე სულიერ მეცნიერულ ლიტერატურაში ჰპოვებს იდუმალთმოწაფე ამგვარ თხზულებებს. ეს მას გამოადგება სამედიტაციო მასალად. თავად სულის მაძიებლებმა გადმოსცეს ამგვარ თხზულებებში ღვთაებრივი სიბრძნით აღბეჭდილი იდეები. სულმა თავისი მოციქულების მეოხებით აუწყა ისინი კაცობრიობას.

ამგვარი მედიტაციის შედეგად იდუმალთმოწაფეში სრული გარდატეხა ხდება. მას ახლებური წარმოდგენა ექმნება სინამდვილეზე. ყოველი საგანი უკვე ახალ ღირებულებას იძენს. ისევ და ისევ უნდა ითქვას: ამ გარდატეხის შედეგად იდუმალთმოწაფე არ გაუცხოვდება სამყაროსაგან. იგი არ გაუცხოვდება არც თავისი ყოველდღიური მოვალეობებისაგან, ვინაიდან ისწავლის იმის გაგებას, რომ მის მიერ ჩადენილი თვით ყველაზე უმნიშვნელო ქმედება, საკუთარ გზაზე გამოვლილი უმცირესი განცდაც კი დაკავშირებულია უდიდეს სამყაროულ არსებებთან და მოვლენებთან. თუ ეს მიმართებანი ჭვრეტის წუთებში ცხადი გახდება, იგი ახალი ძალით აღვსილი დაუბრუნდება თავის ყოველდღიურ საქმიანობას. ახლა მან იცის: ის, რასაც ის აკეთებს, რისთვისაც ის წვალობს, დიადი სამყაროული მთლიანობისათვისაა განკუთვნილი. უნიათობის სანაცვლოდ ცხოვრების ძალა შთაიღვრება მასში მედიტაციიდან.

დამაჯერებელი ნაბიჯით მიიკვლევს გზას იდუმალთმოწაფე ცხოვრებაში. ველარაფერი შეაფერხებს მის წინსვლას, რაც არ უნდა შეემთხვეს. თუ ადრე მან არ იცოდა, რისთვის მუშაობდა და რისთვის წვალობდა, ამჯერად იცის ეს. ცხადია, ასეთ მედიტატიურ მუშაობას უკეთ მივყავართ მიზნისაკენ, თუ ის გამოცდილი ადამიანების ხელმძღვანელობით მიმდინარეობს, ისეთი ადამიანების ხელმძღვანელობით, რომელთაც საკუთარი გამოცდილებიდან უწყიან, თუ როგორ სჯობს ამის გაკეთება. ამადაც, საჭიროა ვეძიებდეთ ამგვარი ადამიანების რჩევებსა და მითითებებს. ამით

არავინ დაჰკარგავს თავისუფლებას. ის, რაც ჩვეულებრივ ალალბედზე ხეტიალი იქნებოდა, ამგვარი ხელმძღვანელების მეოხებით იქცევა გამიზნულ, დამაჯერებელ მუშაობად. ვინც მიმართავს ამ მხრივ ცოდნისა და გამოცდილების მქონე ადამიანებს, ამაოდ როდი ირეკს კარზე. მან მხოლოდ უნდა გაიცნობიეროს, რომ ის სხვას არაფერს ეძიებს, თუ არა მეგობრულ რჩევას და არა ვინმეს მიერ თავსმოხვეულ ძალაუფლებას, რომელსაც მბრძანებლობა სურს მასზე. ადამიანები, რომლებიც ჭეშმარიტ ცოდნას ფლობენ, აღმოჩნდებიან ყველაზე თავმდაბალნი და არაფერია მათთვის ძალაუფლების ჟინზე მეტად უცხო.

ვინც მედიტაციის გზით მაღლდება იქამდე, რაც ადამიანს აკავშირებს სულთან, იწყებს თავის თავში მარადიულის, ანუ დაბადებისა და სიკვდილის საზღვრებში დაუტეველის გაცოცხლებას. ამ მარადიულ საწყისში დაეჭვება მხოლოდ მას ძალუძს, ვისაც ის თავად არ განუცდია. ამრიგად, მედიტაცია არის გზა, რომელსაც ადამიანი მიჰყავს შემეცნებისაკენ, თავისი არსების მარადიული, დაურღვეველი ბირთვის განჭვრეტისაკენ. მხოლოდ ეს გზა მიიყვანს ადამიანს ამგვარ განჭვრეტამდე. გნოზისი, სულიერი მეცნიერება საუბრობენ ჩვენს არსში ჩადებული ამ ბირთვის მარადიულობაზე, მის გარდასხეულებაზე. ხშირად ისმება კითხვა: რატომ არაფერი იცის ადამიანმა იმ განცდების შესახებ, რომლებიც დაბადებისა და სიკვდილის მიღმა მხარეს განეკუთვნება? ბაგრამ კითხვა ასე კი არ უნდა დაისვას, არამედ უმალ შემდეგნაირად: როგორ მიიღწევა ამგვარი ცოდნა? გზა გამოჩნდება ნამდვილი მედიტაციისას. მისი წყალობით ცოცხლდება მოგონება იმ განცდებისა, რომლებიც დაბადებისა და სიკვდილის მიღმა მხარეს განეკუთვნება. ყველას შეუძლია ამ ცოდნის მოპოვება: ყოველ ადამიანში ძევს უნარი თავად შეიმეცნოს და განჭვრიტოს ის, რასაც ჭეშმარიტი მისტიკა, სულიერი მეცნიერება, ანთროპოსოფია და გნოზისი ასწავლის. მხოლოდ საამისოდ ჭეშმარიტი საშუალებები უნდა აირჩიოს მან. ბგერებისა და ფერების აღქმა შეუძლია მხოლოდ იმ არსებას, ვისაც ყურები და თვალები ასხია. თუმცა არც თვალს შეუძლია სინათლის რაობის აღქმა, რომელიც საგანს ხილულად აქცევს. სულიერ მეცნიერებაში მოცემულია საშუალებანი სულიერი სმენისა და მხედველობის განვითარებისათვის, აგრეთვე სულიერი სინათლის აგზნებისათვის. სულიერი განსწავლის საშუალებანი შესაძლოა სამ საფეხურად დაიყოს: 1. **შემზადება.** ის ანვითარებს სულიერი შეგრძნების ორგანოებს. 2. **განსხივოსნება.** იგი ააგზნებს სულიერ სინათლეს. 3. **ხელდასხმა.** იგი იძლევა სულის უმაღლეს არსებებთან ურთიერთობის საშუალებას.

ხელდასხმის საფეხურები

ქვემორე ცნობები წარმოადგენენ ერთიანი სულიერი განსწავლის შემადგენელ ნაწილებს, რომელთა სახელებისა და არსის ირგვლივ ნათელი წარმოდგენის შექმნა შეუძლია ყველას, ვინც მათ სწორად გამოიყენებს. ისინი განეკუთვნებიან სამ საფეხურს, რომელთა გავლასაც სულიერი ცხოვრების სკოლაში ხელდასხმის გარკვეულ ხარისხამდე მივყავართ. ამ განმარტებებში მკითხველი იპოვნის მხოლოდ იმას, რისი თქმაც ღიად შეიძლება. ეს ის მითითებებია, რომლებიც გამოტანილია უფრო ღრმა, ინტიმური მოძღვრებიდან. იდუმალთმოწაფეობა ჰგულისხმობს განსწავლის სავსებით განსაზღვრულ თანმიმდევრობას. გარკვეული მეთოდები გამოიყენებიან იმისთვის, რათა ადამიანის სამშვინველი მოიყვანონ სულიერ სამყაროსთან ცნობიერ კავშირში. ეს მეთოდები ქვემოთ მოთხრობილთან დაახლოებით ისეთ მიმართებაში არიან, როგორც სწავლება რომელიმე უმაღლეს, მკაცრად აწყობილ სკოლაში დაწყებითი სასწავლებლის რჩევა-დარიგებებთან. აქ მოცემული მითითებების **სერიოზულმა** და შეუპოვარმა დაცვამ შეიძლება მიგვიყვანოს ნამდვილ იდუმალთმოწაფეობამდე. რასაკვირველია, მოუთმენლობა სერიოზულობისა და შეუპოვრობის გარეშე ვერაფრამდე მიგვიყვანს. იდუმალთგანსწავლა წარმატებული შესაძლოა სწორედ მაშინ გახდეს, როდესაც ჯერ ზემოთქმულის დაცვა მოხდება და ამის საფუძველზე გადაიდგმება შემდგომი ნაბიჯები.

საფეხურები, რომელთაც ხსენებული გადმოცემა იძლევა, სულ სამია: 1. შემზადება, 2. განსხივოსნება, 3. ხელდასხმა. სრულიადაც არ არის საჭირო, სამივე საფეხურს მივყვეთ ისე, რომ პირველი **ბოლომდე** იყოს გავლილი, ვიდრე მეორეს შევუდგებოდეთ, ასევე მეორეც, მესამის დაწყებამდე. გარკვეულ საკითხებში შეიძლება გავხდეთ განსხივოსნებისა და თვით ხელდასხმის თანაზიარიც, სხვებთან შედარებით მხოლოდ მოსამზადებელ საფეხურზე მყოფი. და მაინც, გარკვეული დრო უნდა დაეთმოს შემზადებას, ვიდრე განსხივოსნება დაიწყებოდეს. აგრეთვე იდუმალთმოწაფე რამდენადმე განსხივოსნებულიც უნდა იყოს, ვიდრე ხელდასხმის საფეხურზე შეადგამდეს ფეხს. აღწერისას კი, სიმარტივისთვის, ეს სამი საფეხური ერთმანეთს უნდა მოსდევდეს.

შემზადება

შემზადება ნიშნავს გრძნობათა და აზრთა სავსებით გარკვეულ წვრთნას. ამ წვრთნის წყალობით სამშვინველისა და სულის სხეულებს მიემადლებათ უმაღლესი შეგრძნებისა და ქმედების ორგანოები ისევე, როგორც ბუნების ძალებმა უფორმო, ცოცხალი მატერიიდან მიჰმადლეს ისინი ფიზიკურ სხეულს.

უნდა დავიწყოთ იმით, რომ სამშვინველის ყურადღება წარვმართოთ ჩვენს გარემომცველ სამყაროში მიმდინარე გარკვეულ პროცესებზე. ასეთი პროცესებია გამოკვირტვის, ზრდისა და გაფურჩქვნის სტადიაში მყოფი სიცოცხლე ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ მოვლენები, რომლებიც უკავშირდებიან ჭკნობას, გაუფერულებას და კვდომას. საითკენაც არ უნდა მიმართოს ადამიანმა თავისი მზერა, ორივე ეს პროცესი ერთდროულად ყველგან იარსებებს. ბუნებრივია, ყოველთვის ჰბადებენ ისინი ადამიანში შესაბამის გრძნობებსა და აზრებს, თუმცა ჩვეულებრივ პირობებში ადამიანი არასაკმარისად ეძლევა მას. საამისოდ იგი მეტად სწრაფად ხტება ერთი

შთაბეჭდილებიდან მეორეზე. საქმე ისაა, რომ მან სავსებით ცნობიერად და ინტენ-
სიურად უნდა წარმართოს თავისი ყურადღება ამგვარი ფაქტებისაკენ. ფრიდმანი
იგი აღიქვამს აყვავილებისა და ზრდის გარკვეულ შემთხვევას, უნდა განდევნოს სხვა
ყველაფერი თავისი სამშვინველიდან და მთლიანად მიეცეს **იმ ერთ** შთაბეჭდილებას.
მალე ის დარწმუნდება, რომ გრძნობა, რომელიც ანალოგიურ შემთხვევაში მის
სამშვინველში სწრაფად გასხლტებოდა ხოლმე, ამჯერად იზრდება, იღებს ძალუმ და
ენერგიულ ფორმას. იმ გრძნობისმიერ ფორმას მან მშვიდად უნდა დააცადოს
საკუთარ სამშვინველში ახმიანება. იმავდროულად მის შიგნით სრულმა სიჩუმემ
უნდა დაისადგუროს. იგი უნდა გამოეთიშოს გარესამყაროს და მხოლოდ და მხო-
ლოდ მიჰყვეს იმას, რასაც სული აუწყებს აყვავილებისა და ზრდის მოვლენის
ირგვლივ.

აქვე არც ის უნდა ვიფიქროთ, თითქოს დავწინაურდებით იმდენად, რამდენადაც
დავაჩლუნგებთ ჩვენს **გრძნობებს** სამყაროს მიმართ. თავდაპირველად, რამდენადაც
ეს შესაძლებელია, ცოცხლად და ზუსტად უნდა შევხედოთ საგანს. მხოლოდ **ამის
შემდეგ** უნდა მივეცეთ სულში გაცოცხლებულ გრძნობას, აღმოცენებულ აზრს.
საქმე ისაა, თუ რამდენად სრულ შინაგან წონასწორობაში მყოფი მივაპყრობთ
ყურადღებას **ორივეს.** თუ მოვიპოვებთ საჭირო სიმშვიდეს და თავს მივცემთ იმას,
რაც გაცოცხლდება სამშვინველში, გარკვეული ხნის შემდეგ დაგვეუფლება შემდეგი
განცდა: კერძოდ, შევნიშნავთ ჩვენში აქამდე უცნობ, ახლებური გრძნობებისა და
აზრების აღმოცენებას და რაც უფრო ხშირად მივაპყრობთ ამგვარად ყურადღებას
ხან გამოკვირტვის, ზრდისა და გაფურჩქვნის სტადიაში მყოფ რასმე და ხანაც
ჭკნობის, გაუფერულებისა და კვდომის მდგომარეობაში გადასულს, მით უფრო
გაცოცხლდება ეს გრძნობა. იმ გრძნობებიდან და აზრებიდან, რომლებიც ამგვარად
აღმოცენდებიან, ისევე იგება ნათელხილვის ორგანოები, როგორც ბუნების ძალების
მიერ ცოცხალი მატერიიდან იქმნება თუნდაც ყურები და თვალები ფიზიკური
სხეულისათვის. სავსებით გარკვეული გრძნობის ორგანო დაუკავშირდება ზრდასა
და ქმნადობას, რომელიღაც სხვა კი — გაუფერულებას და კვდომას. ოღონდაც ეს
ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი ~~ზემოაღწერილი წესისამებრ ზრუნავს~~ ამ
გრძნობათათვის. შესაძლებელია მიახლოებით მაინც სწორი აღწერა ამ გრძნობე-
ბისა. სრულყოფილი წარმოდგენა მათ შესახებ შეუძლია ყველას, ვინც კი გაივლის
ამ შინაგან განცდებს. ვინც თავის ყურადღებას ხშირად მიმართავს ქმნადობის,
ზრდისა და აყვავილების პროცესებზე, გარკვეულწილად განიცდის, რომ ეს გრძნობა
შორეულად ემსგავსება იმას, რაც მზის ამოსვლის ცქერისას ეუფლებათ ხოლმე,
ხოლო ჭკნობის, კვდომის პროცესები მასში იწვევენ განცდას, რომელიც ამგვარადვე
მსგავსია მთვარის ნელ-ნელა ამოსვლისა. ეს ორივე გრძნობა წარმოადგენს სულიერ
ძალებს, რომლებიც სათანადო ზრუნვის, სულ უფრო და უფრო გაცხოველებული
განსწავლის შედეგად მიგვიყვანენ უმნიშვნელოვანეს სულიერ შედეგებამდე. ვინც
სულ უფრო და უფრო გეგმაზომიერად, გულში ჩაბეჭდილი ზრახვით ეძლევა ამგვარ
გრძნობებს, მას გაეხსნება ახალი სამყარო. მშვინვიერი სამყარო, ეგრეთ წოდებული
ასტრალური სფერო იწყებს მის წინაშე თანდათანობით გამონათებას. ზრდა და
კვდომა მისთვის აღარ რჩებიან ისეთ მოვლენებად, რომლებიც უწინდებურად
გაურკვეველ შთაბეჭდილებებს იწვევენ მასში. ისინი უმალ გარდაისახებიან სული-

სმიერ მონახაზებად და ფიგურებად, რომელთა შესახებაც მან არაფერი იცოდა უწინ. ეს მონახაზები და ფიგურები თავიანთ სხვადასხვა გამოვლინებებში სხვადასხვაგვარად გაცხადდებიან. გაფურჩქვნის პროცესში მყოფი ყვავილი თითქოს მის სულის წინაშე ჯადოსნურად ქმნის ერთ რაღაც მონახაზს, ასევე ზრდის პროცესში მყოფი ცხოველი, ან გახმობის პირას მისული ხე. მშვინვიერი სამყარო (ასტრალური სფერო) ნელ-ნელა იშლება მის წინაშე. ამ მონახაზებსა და ფიგურებში არაფერია თვითნებური. ორი იდუმალთმოწაფე, როდესაც ორივე განსწავლის ერთ საფეხურზე იმყოფება, ერთი და იმავე პროცესის დროს ყოველთვის ერთნაირ მონახაზებსა და ფიგურებს დაინახავს. ისევე როგორც ორი სწორად მხედველი ადამიანი მრგვალ მაგიდას მრგვლად ხედავს და არა ერთი მრგვლად და მეორე ოთხკუთხედად, ასევე ორი სამშვინველის წინაშე გაფურჩქვნის პროცესში მყოფი ყვავილის ხილვისას ერთი და იგივე სულიერი ხატება წარმოსდგება. ისევე როგორც მცენარეთა და ცხოველთა ხატებანი აღიწერებიან ჩვეულებრივ ბუნებისმეტყველებაში, ასევე აღწერს და ხატავს იდუმალთმეტყველი გვარებისა და სახეობების მიხედვით ზრდისა და კვდომის სულიერ ხატებებს.

თუკი მოწაფე იმდენადაა დაწინაურებული, რომ შეუძლია ამგვარ სულიერ ხატებათა ჭვრეტა, რომლებიც მის თვალს უკვე ფიზიკური სახით ეცხადებიან, მაშინ იგი ბევრად აღარ არის დაშორებული იმ საფეხურს, საიდანაც დაინახავს ფიზიკურად არარსებულ, სხვათათვის სავსებით დაფარული (ოკულტური) ყოფიერების მქონე საგნებს.

უნდა ითქვას, რომ იდუმალთმკვლევარი არ უნდა მიეცეს ფიქრებს ამა თუ იმ საგნის **მნიშვნელობის** შესახებ. ამგვარი განსჯითი მუშაობით იგი მხოლოდ ასცდება მართებულ გზას. იგი მხნედ, ჯანსაღად, მახვილი დამკვირვებლის თვალით უნდა ჭვრეტდეს გრძნობად სამყაროს და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცეს თავის გრძნობებს. მას არ უნდა სურდეს საგანთა მნიშვნელობაში ჩაწვდომა სპეკულატიური განსჯის საშუალებით, არამედ თავად საგნებს უნდა გამოათქმევინოს ეს.[1]

შემდგომში საქმე ეხება იმას, რასაც იდუმალთმეტყველება სულიერ სამყაროში **ორიენტირებას** უწოდებს. ეს კი მიიღწევა, თუ საკუთარ თავს განვმსჭვალავთ იმ ცნობიერებით, რომ გრძნობები და აზრები **ნამდვილი ფაქტები** არიან, ისევე როგორც მაგიდა და სკამები ფიზიკურ-გრძნობად სამყაროში. მშვინვიერ და იდეათა სამყაროებში გრძნობები და აზრები ისევე ზემოქმედებენ ერთმანეთზე, როგორც ფიზიკური საგნები. ვიდრე ადამიანი ცოცხლად არ განიმსჭვალება ამ ცნობიერებით, ვერ დაიჯერებს, რომ მასში არსებული მცდარი აზრი ისევე გამანადგურებლად მოქმედებს იდეათა სივრცის გამაცოცხლებელ სხვა აზრებზე, როგორც ბრმად ნასროლი ტყვია გზად შემხვედრ ფიზიკურ საგნებზე. ასეთი ადამიანი არასოდეს მისცემს თავს უფლებას ჩაიდინოს ისეთი ფიზიკურად დასანახი საქციელი, რომელსაც ის უაზროდ მიიჩნევს, მაგრამ მას არც იმის შეეშინდება, გააჩნდეს რაიმე მცდარი აზრი

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრული მგრძნობელობა, შეწყვილებული ჩუმ, თავის თავში ჩაღრმავებულ ბუნებასთან, საუკეთესო პირობაა სულიერ უნართა განვითარებისათვის. ეს მგრძნობელობა მსჭვალავს საგნის ხილულ ზედაპირს და ჩადის მის საიდუმლოებებში.

და გრძნობა. ისინი მისთვის ხიფათს არ უქმნიან დანარჩენ სამყაროს. იდუმალთმეტყველებაში დაწინაურება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საკუთარ აზრებსა და გრძნობებს ისევე ვუწევთ ანგარიშს, როგორც ფიზიკურ სამყაროში გადადგმულ რაიმე ნაბიჯს. როდესაც მავანი ხედავს კედელს, იგი არ ეცდება ადგეს და პირდაპირ გავიდეს მასში, არამედ გვერდს აუვლის მას. აქ იგი თავს ფიზიკური სამყაროს კანონების მიხედვით წარმართავს. — სწორედ ამგვარი კანონები არსებობენ აგრეთვე გრძნობათა და აზრთა სამყაროსთვის. მხოლოდ ამჯერად ისინი არ იქნებიან ადამიანისთვის გარედან თავსმოხვეულნი. ისინი თვითვე უნდა გადმოსდინდნენ მისი მშვინვიერი ცხოვრებიდან. ამას კი აღწევენ იმით, რომ ყოველთვის უკრძალავენ საკუთარ თავს ისაზრდოოს მცდარი აზრებით და გრძნობებით.

თვითნებური უთავბოლო ფიქრი, ყოველგვარი თამაშობანი ფანტაზიისა ან შემთხვევითი მიმოქცევა გრძნობებისა უნდა განიდევნოს ასეთ დროს. თუმცა ამით როდი გვიღარიბდება გრძნობათა სამყარო. კერძოდ, მალე გაცხადდება, რომ სწორედ ჩვენი შინაგანი სამყაროს ამგვარი მოწესრიგების შედეგად ვხდებით მდიდარნი გრძნობებით, შემოქმედებითნი — ჭეშმარიტი ფანტაზიით. წვრილმანი შეგრძნებებით ტკბობის, აზრთა თამაშის ადგილს დაიკავებენ მნიშვნელოვანი გრძნობები და ნაყოფიერი აზრები. ამგვარ გრძნობებსა და აზრებს მიჰყავთ ადამიანი სულიერ სამყაროში ორიენტირებამდე. იგი მოდის მართებულ დამოკიდებულებაში სულიერი სამყაროს საგნებთან. ის განიცდის სავსებით გარკვეულ ზემოქმედებას. ისევე როგორც მას — ფიზიკურ ადამიანს — შეუძლია გზის გაგნება სხვადასხვა ფიზიკურ საგნებში, ზუსტად ასევე მიუყვება იგი **ზრდასა** და **კვდომას** შორის გამავალ ბილიკს, რომელთა შეცნობაც ისწავლა მან ზემოაღწერილ გზაზე. მაშინ იგი მისდევს, ერთის მხრივ, ყოველივე ზრდისა და აღმოცენების პროცესში მყოფს, ხოლო მეორე მხრივ იმასაც, რაც ჭკნობისა და კვდომის მდგომარეობაში იმყოფება და, ამასთან, ისე, როგორც ამას მისი და სამყაროს განვითარება მოითხოვს.

შემდგომი ზრუნვა იდუმალთმოწაფემ უნდა გასწიოს **ბგერათა** სამყაროსთვის. აქ ურთიერთისაგან უნდა გამოირჩეს უსიცოცხლო ბგერები (ჩამოვარდნილი საგნის, ზანზალაკის ან მუსიკალური ინსტრუმენტის მიერ გამოწვეული) და ისინი, რომლებიც ცოცხალ არსებათაგან (ცხოველისაგან ან ადამიანისგან) წარმოსდგებიან. ვისაც ზანზალაკის წკარუნი ესმის, იგი აღიქვამს ბგერას და მას დაუკავშირებს სასიამოვნო გრძნობას. ვისაც ცხოველის ბღავილი ესმის, მისთვის იქნება ეს გამოვლინება ცხოველის შინაგანი განცდისა, კმაყოფილების ან ტკივილისა. იდუმალთმოწაფემ უნდა დაიწყოს ბგერათა სწორედ ამ უკანასკნელი სახეობიდან. მან მთელი თავისი ყურადღება სწორედ იმაზე უნდა გაამახვილოს, რომ ბგერა აუწყებს მას მისი სულის გარეთ არსებულის შესახებ. იგი უნდა ჩაუღრმავდეს ამ უცხო რასმე. მან თავისი გრძნობა შინაგანად უნდა დაუკავშიროს იმ ტკივილს ან კმაყოფილებას, რასაც ბგერა აუწყებს. მან თავი განურჩევლად შორს უნდა დაიჭიროს იმისგან, რასაც მისთვის წარმოადგენს ეს ბგერა, ე.ი. სასიამოვნოა ეს მისთვის თუ უსიამო, მიმზიდველია თუ უშნო. მისი სული უნდა აღავსოს მხოლოდ იმან, რაც ხდება ამ ბგერის პატრონში. ვინც გეგმაზომიერად და შეგნებულად აკეთებს მსგავს სავარჯიშოებს, ითვისებს უნარს შეერწყას იმ არსებას, რომელიც ბგერას გამოსცემს. მუსიკალურად მგრძნობიარე ადამიანისთვის საკუთარი გრძნობისმიერი სამყაროს ამგვარი აღზრდა

უფრო იოლი იქნება, ვიდრე არამუსიკალურისთვის, მაგრამ არავინ იფიქროს, რომ მუსიკალურმა მგრძნობელობამ შეიძლება შეცვალოს ეს აღზრდა. ამრიგად, იდუმალთმოწაფემ უნდა ისწავლოს **ბუნების მთელი** სისავსით შეგრძნება, რის შედეგადაც გრძნობათა და აზრთა სამყაროში ჩაისახება ახალი უნარი. მთელი ბუნება ჩურჩულით დაიწყებს ათასგვარ ხმებზე ადამიანისათვის თავისი საიდუმლოებების განდობას. ის, რაც უწინ სულისათვის გაუგებარი ხმაური იყო, ამის შედეგად იქცევა **ბუნების აზრიან მეტყველებად.** იქ, სადაც მხოლოდ ბგერა ესმოდა, ეგრეთ წოდებული უსულო ჟღერადობისას, ახლა სულის ახლებური ენა ჩაესმის. თუ ამგვარი აღზრდის შედეგად მისი გრძნობები განვითარდნენ, მალე შეამჩნევს, რომ შეუძლია იმის **მოსმენა,** რისი წარმოდგენაც კი არ შეეძლო ადრე. იგი იწყებს სმენას საკუთარი **სულით.**

იმ მწვერვალის მისაწვდომად, რაც კი ამ სფეროში საერთოდ შეიძლება მიღწეულ იქნას, საჭიროა კიდევ სხვა რამ. იდუმალთმოწაფის განსწავლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ **უგდებს იგი ყურს** სხვა ადამიანის ლაპარაკს. იგი უნდა შეეჩვიოს მოახერხოს ამ დროს თავისი შინაგანი სამყაროს **სრული დადუმება.** როდესაც ვინმე თავის შეხედულებას გამოთქვამს, ხოლო მეორე ყურს უგდებს, როგორც წესი, ამ უკანასკნელის სულში თანხმობა ან წინააღმდეგობა წარმოიშობა ხოლმე. მრავალი ადამიანი მაშინვე გრძნობს მოთხოვნილებას, გამოთქვას თავისი თანხმობა ან, განსაკუთრებით, თავისი საწინააღმდეგო შეხედულება. მაგრამ იდუმალთმოწაფემ უნდა დაადუმოს ყოველგვარი თანხმობა ან წინააღმდეგობა. აქ საქმე როდი ეხება საკუთარი ცხოვრების წესის ასე ერთბაშად შეცვლას და სწრაფვას ესოდენ შინაგანი, მყარი მდუმარებისაკენ. ამით მან დასაბამი უნდა მისცეს იმას, რასაც იგი ცალკეულ შემთხვევებში წინასწარი განზრახვით მოიმოქმედებს. შემდეგ, ძალზე ნელა და თანდათანობით, თითქოსდა თავისთავად, შემოიპარება მის ჩვევებში სავსებით ახლებური წესი მოსმენისა. სულიერი ძიებებისას გეგმაზომიერად ვარჯიშობენ ამისთვის. მოწაფეები თავს მოვალედ რაცხავენ, ვარჯიშის გულისთვის მოისმინონ ყველაზე საპირისპირო აზრები და ამ დროს სრულიად დაადუმონ საკუთარ თავში ყოველგვარი თანხმობა და განსაკუთრებით კი უარმყოფელი განსჯა. ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გონისმიერი განსჯის, არამედ უკმაყოფილების, უარყოფის და თანხმობის გრძნობათა დადუმებაც. განსაკუთრებულად გულდასმით უნდა აკვირდებოდეს მოწაფე, ხომ არ არიან ისეთი შეგრძნებები მისი სამშვინველის ზედაპირზე თუ არა, მის ინტიმურ სიღრმეში მაინც. მან, მაგალითად, უნდა მოისმინოს ისეთ ადამიანთა გამონათქვამებიც, რომლებიც ბევრად დაბლა დგანან, ამასთან, უნდა დათრგუნოს ყოველგვარი გრძნობა თავისი უკეთ გათვითცნობიერებულობისა და უპირატესობისა. — ამგვარად, ყველასთვის სასარგებლოა ბავშვების სმენა. თვით ყველაზე ბრძენსაც კი განუზომლად ბევრი რამ შეუძლია ბავშვისგან ისწავლოს. ამრიგად, ადამიანი ახერხებს სხვისი სიტყვების მოსმენას თავისი თავის და პიროვნების სრული გამოთიშვით, საკუთარი შეხედულებებისა და შეგრძნებების თავისებურების გარეშე. როდესაც ის ვარჯიშობს ყოველგვარი კრიტიკის გარეშე თვით სრულიად საწინააღმდეგო აზრის მოსმენაში, მაშინაც კი, როდესაც ყოვლად „მცდარი“ აზრი მიეწოდება, თანდათანობით სწავლობს სავსებით შეერწყას სხვა ადამიანის არსებას, მთლიანად გადაიღვაროს მასში.

მაშინ იგი სიტყვებს მიღმა ყურს უგდებს სხვა ადამიანის სამშვინველს. ამგვარი ვარჯიშის ხანგრძლივად შესრულებისას ბგერა ხდება ნამდვილი საშუალება სამშვინველისა და სულის აღსაქმელად. რასაკვირველია, ამისთვის საჭიროა უმკაცრესი თვითაღზრდა, მაგრამ მას ხომ მაღალი მიზნისკენ მივყავართ. კერძოდ, როდესაც ეს სავარჯიშოები შესრულებული იქნება სხვა ზემოაღწერილ სავარჯიშოებთან ერთად, — ბუნებაში არსებულ ბგერებთან დაკავშირებით — სამშვინველში აღმოცენდება სმენის ახალი შეგრძნება. მას შეეძლება აღიქვას უწყებანი სულიერი სამყაროდან, რომლებიც თავის გამოხატულებას არ ჰპოვებენ ფიზიკური ყურისთვის მისაწვდომ გარეგან ბგერებში. იღვიძებს შინაგანი სიტყვის აღქმა, იდუმალთმოწაფისთვის თანდათან გაცხადდებიან ჭეშმარიტებანი სულის სამყაროდან. იგი ისმენს მისკენ მომართულ სულიერ მეტყველებას.[1] — ყოველი უმაღლესი ჭეშმარიტების მიღწევას უნდა ვუმადლიდეთ ჩვენსკენ მომართულ შინაგან მეტყველებას. ის, რისი მოსმენაც შეიძლება იდუმალთმეტყველის პირიდან, მან სწორედ ასეთი გზით მოიპოვა. — თუმცა ეს როდი ნიშნავს, თითქოს საჭირო არ იყოს მეცადინეობა იდუმალთმეტყველურ თხზულებებში. ვიდრე თავად შესძლებდე ამგვარი შინაგანი მეტყველების ყურად ღებას, ამგვარ თხზულებათა კითხვას, იდუმალთსწავლებათა მოსმენა თავად არის საშუალება საკუთარი შემეცნების მიღწევისა. იდუმალთმეტყველის მიერ ნათქვამი ყოველი წინადადება, რომელიც ადამიანს ესმის, განკუთვნილია გონების იქეთ წარსამართავად, სადაც მისვლა აუცილებელია, თუკი სულს უნდა განცდა ჭეშმარიტი წინსვლისა. ყოველივე ზემოთქმულთან უნდა შეწყვილდეს გულდასმითი შესწავლა იმისა, რასაც იდუმალთმკვლევარნი აუწყებენ სამყაროს. ყველა სახის იდუმალთგანსწავლისათვის ამგვარი წვრთნა ერთი შემადგენელი ნაწილია მომზადებისა. თუ ვინმე იდუმალთმკვლევართა სწავლების ათვისების ნაცვლად მიმართავს სხვა საშუალებას, იგი ვერავითარ მიზანს ვერ მიაღწევს. ეს სწავლებები ხომ ცოცხალი, შინაგანი სიტყვიდან, ცოცხალი მეტყველებიდან წარმოსდგებიან, მათ თავად გააჩნიათ საკუთარი სულიერი ცხოვრება. ისინი არ არიან მხოლოდ სიტყვები. ისინი ცხოველმყოფელი ძალები არიან. მაშინ, როდესაც მიჰყვები იდუმალებებში გათვითცნობიერებულის სიტყვებს და კითხულობ ნამდვილად შინაგანი გამოცდილებიდან აღმოცენებულ მათ წიგნებს, შენს სამშვინველში აღიძვრიან **ძალები**, რომლებიც ისევე გაქცევენ **ნათელმხილველად**, როგორც ბუნების ძალებმა შექმნეს შენი თვალები და ყურები ცოცხალი მატერიისგან.

განსხივოსნება

განსხივოსნებაც ძალზე მარტივი განცდებიდან გამომდინარეობს. აქაც საქმე ეხება გარკვეულ გრძნობათა და აზრთა განვითარებას, რომლებიც ყოველ ადამიანში თვლემენ და რომელთაც მხოლოდ უნდა გამოიღვიძონ. ის, ვინც სრული მოთმინე-

---

[1] მხოლოდ მას, ვინც თავგადადებული მოსმენის გზით მოიპოვებს შინაგანი მოსმენის უნარს, სიჩუმეში, თავისი პიროვნული შეხედულებებისა თუ გრძნობების აღძვრის გარეშე, შესაძლოა დაელაპარაკონ უმაღლესი არსებანი, რომელთა შესახებაც საუბარია იდუმალთმეტყველებაში. სულიერი სამყაროს არსებანი მანამდე არაფერს გვამცნობენ, ვიდრე მათგან წამოსული სიტყვა შეიძლება წააწყდეს ჩვენში რაიმე შემხვედრ მოსაზრებას ან გრძნობას.

ბით, მკაცრად და ბეჯითად გადაამუშავებს ამ მარტივ განცდებს, შეეძლება აღიქვას შინაგანი სინათლის გამოვლინებანი. შეიძლება დავიწყოთ ბუნების სხვადასხვა არსებებზე გარკვეული წესისამებრ დაკვირვებით. მაგალითად: გამჭვირვალე, კარგად ჩამოქნილი ქვა (კრისტალი), მცენარე და ცხოველი. თავიდან საჭიროა მთელი ყურადღებით შევუდაროთ ქვა ცხოველს. იმ აზრებს, რომლებიც გაივლიან ჩვენს სამშვინველში, თან უნდა ახლდეს ცოცხალი განცდა და არც ერთი სხვა აზრი ან გრძნობა არ უნდა ჩაერიოს და არ უნდა შეუშალოს ხელი ინტენსიურ ყურადღებიან დაკვირვებას. უნდა ვუთხრათ საკუთარ თავს: ქვას გააჩნია ფორმა. ცხოველს აგრეთვე გააჩნია სახე. ქვა მშვიდად რჩება თავის ადგილზე, ცხოველი კი გადაადგილდება. სურვილი (გულისთქმა) აიძულებს ცხოველს შეიცვალოს ადგილი. ასეთსავე სურვილებს ემსახურება ცხოველის სახეც. მისი ორგანოები, მისი სხეულის ნაწილები ჩამოქნილია ამ სურვილთა შესაბამისად. ქვის ფორმა კი შექმნილია არა სურვილების, არამედ სურვილებს მოკლებული ძალის მიერ.[1] როდესაც ინტენსიურად ჩავუღრმავდებით ამ აზრებს და დაძაბული ყურადღებით დავაკვირდებით ქვასა და ცხოველს, მაშინ სამშვინველში დაიბადება ორი სავსებით განსხვავებული გრძნობა. ქვისგან ჩვენს სამშვინველში გადმოიღვრება სხვაგვარი გრძნობა, ხოლო ცხოველისგან — სხვა. თავიდან ეს შესაძლოა არ გამოგვივიდეს, მაგრამ შემდეგ და შემდეგ, ნამდვილად მოთმინებით ჩატარებული ვარჯიშის შედეგად, ეს გრძნობები თანდათანობით გაცხადდებიან. მხოლოდ საჭიროა კვლავ და კვლავ ვარჯიში. თავდაპირველად გრძნობები ჩვენში დარჩება მანამ, სანამ დაკვირვება გრძელდება. შემდგომ ისინი განაგრძობენ მოქმედებას და იქცევიან იმად, რაც აგრძელებს სიცოცხლეს სამშვინველში. ამის შემდეგ ადამიანს ესაჭიროება მხოლოდ ყურადღების მოკრება — და ორივე გრძნობა თავს იჩენს მასში კვლავაც, უცხო საგნებზე დაკვირვების გარეშე. ამ გრძნობებიდან და მათთან დაკავშირებული აზრებიდან იქმნება **ნათელხილვის ორგანოები.** — თუ ამ დაკვირვების საგნებს კიდევ მცენარეც შემოემატება, შევნიშნავთ, რომ მისგან გამოწვეული გრძნობა როგორც თავისი ხასიათით, ისევე ხარისხით წარმოქმნის შუალედს ქვისგან და ცხოველისაგან წამოსულ გრძნობათა შორის. ორგანო, რომელიც ამგვარად წარმოიშობა, სულიერი თვალია. მისი მეოხებით თანდათან სწავლობენ მშვინვიერი და **სულიერი ფერების** დანახვას. ვიდრე ათვისებული გვაქვს მხოლოდ ის, რაც მომზადებად აღიწერება, სულიერი სამყარო თავისი მონახაზებით და ფიგურებით ბნელითმოცული რჩება. განსხივოსნების საშუალებით იგი განათდება. — აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვები „ბნელი“ და „ნათელი“, ისევე როგორც სხვა მიღებული გამოთქმები, მხოლოდ მიახლოებით გამოხატავენ იმას, რაც ნაგულისხმევია. ეს სხვაგვარად შეუძლებელი იქნება, თუ საყოველთაოდ მიღებულ ენას გამოიყენებენ. ეს ენა ხომ მხოლოდ ფიზიკური პირობებისთვისაა შექმნი-

---

[1] აქ ნაგულისხმევი ფაქტი კრისტალზე დაკვირვებისა მრავალგზის იქნა დამახინჯებული მათ მიერ, რომლებსაც მხოლოდ ზედაპირულად (ეგზოტერულად) თუ სმენიათ რაიმე ემის შესახებ. აქედან წარმოიშვა სხვადასხვა ხერხი მსგავსი კრისტალის ჭვრეტისა და სხვა. ამგვარი მანიპულაციები მხოლოდ გაუგებრობებს იწვევს. ისინი მრავალგზის იქნა აღწერილი წიგნებში, მაგრამ არასოდეს წარმოადგენდა რაიმე ღირებულს ჭეშმარიტი (ეზოტერული) იდუმალთგანსწავლისათვის.

ლი. იდუმალთმეტყველება იმას, რასაც ქვა იძლევა, ნათელმხილველს დაუხასიათებს როგორც „ლურჯს“, ანდა „მოლურჯო-მოწითალოს“, ის, რაც ცხოველთან მიმართებაში აღიქმება, არის „წითელი“, ან „მოწითალო-მოყვითალო“. სინამდვილეში კი ამ დროს დანახული ფერები „სულიერი გვარისაა“. მცენარისგან წამოსული ფერი არის „მწვანე“, რომელიც შემდეგ და შემდეგ გადადის ღია ეთერულ მოვარდისფრო-მოწითალოში. საკუთრივ მცენარე ბუნების ის არსებაა, რომელიც ზენა სამყაროებშიც ინარჩუნებს მსგავსებას თავის ხასიათთან, ფიზიკურ სამყაროში რომ გააჩნია. ეს ასე არ არის ქვასთან და ცხოველთან დაკავშირებით. თუმცა საჭიროა გარკვევით ვიცოდეთ, რომ ზემოაღნიშნული ფერები ქვათა, მცენარეთა და ცხოველთა საუფლოების მხოლოდ უმთავრეს ელფერებს წარმოადგენენ. სინამდვილეში არსებობენ ყველა შესაძლო შუალედური, გარდამავალი ელფერები. ყოველ ქვას, ყოველ მცენარეს, ყოველ ცხოველს გააჩნია სავსებით გარკვეული ფერთა ნიუანსები. ამას ერთვიან ის სულიერი არსებანი, რომლებიც არასოდეს განსხეულდებიან ფიზიკურად თავიანთი ხშირად გასაოცარი, ხშირადაც უსიამო ფერებით. სინამდვილეში ფერთა სიუხვე ზენა სამყაროებში განუზომლად დიდია, ვიდრე ფიზიკურ სამყაროში.

თუ ადამიანმა აითვისა უნარი „სულიერი თვალით“ ჭვრეტისა, ადრე თუ გვიან იგი შეხვდება ამ ხან უმაღლეს, ხანაც ადამიანზე რამდენადმე დაბლა მდგომ არსებებს, რომლებიც არასოდეს შემოდიან ფიზიკურ სინამდვილეში.

თუ ადამიანმა მიაღწია იმას, რაც აქ არის აღწერილი, მისთვის გზა ხსნილია ბევრი რამისკენ. თუმცა არავის ვურჩევდით უფრო შორს წასვლას სულის მკვლევარის მიერ გამხელილის, მისი ნათქვამის ზუსტი დაცვის გარეშე. მაგრამ უკვე ზემოთქმულის მიმართ საუკეთესო იქნებოდა გათვალისწინება ამგვარი მრავალნაცადი წინამძღოლობისა. თუ ადამიანს გააჩნია საკმარისი ძალა და მოთმინება იმ დონის მისაღწევად, რომელიც აქ მოცემულ ელემენტარულ საფეხურებს შეესაბამება, იგი ეძიებს და, ალბათ, ჰპოვებს კიდეც ჭეშმარიტ წინამძღოლობას.

მხოლოდ გარკვეული სიფრთხილეა საჭირო ყოველგვარ ვითარებაში და ვისაც ეს არ სურს, უმჯობესია არც კი სცადოს რაიმე ნაბიჯის გადადგმა იდუმალთმეტყველებაში. აუცილებელია, რომ ადამიანმა, რომელიც ხდება იდუმალთმოწაფე, არაფერი დაჰკარგოს კეთილშობილი, კარგი, ყოველგვარი ფიზიკურისადმი მგრძნობიარე ადამიანის თვისებათაგან. უფრო მეტიც, იდუმალთმოწაფეობის დროს მან თავისი მორალური ძალა, შინაგანი სიწმინდე, დაკვირვების უნარი სულ უფრო და უფრო უნდა აიმაღლოს. ასე მაგალითად, ერთი მახასიათებელი ნიშანი: ელემენტარული სავარჯიშოების შესრულებისას განსხივოსნების გზაზე იდუმალთმოწაფე უნდა ზრუნავდეს იმისთვის, რათა გააძლიეროს საკუთარ თავში თანაგრძნობა ადამიანებისა და ცხოველებისადმი, მგრძნობელობა ბუნების სილამაზისადმი. და თუ ის არ იზრუნებს ამაზე, მაშინ მსგავსი სავარჯიშოების შედეგად ეს შეგრძნებები თანდათანობით შესუსტდება. მისი გული გაუხეშდება, ხოლო გრძნობა დაჩლუნგდება, რამაც შესაძლოა სახიფათო შედეგებამდე მიგვიყვანოს.

თუ როგორ წარიმართება განსხივოსნება, როდესაც მოწაფე ქვაზე, მცენარესა ან ცხოველზე შესრულებული ზემოაღნიშნული სავარჯიშოდან ამაღლდება ადამიანამდე და თუ როგორი ერთიანობა დადგინდება სამშვინველსა და სულიერ სამყაროს შორის ხელდასხმის გზაზე, შეძლებისდაგვარად იქნება მოთხრობილი შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავებში.

ჩვენს დროში მრავალნი ეძიებენ გზას იდუმალთმეტყველებისაკენ. ამისთვის სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. და არც თუ იშვიათად სცდიან სახიფათო, თვით მიუღებელ მეთოდებსაც კი. ამიტომაც მათ, ვინც თავის თავს ჭეშმარიტი ცოდნის მფლობელად თვლის ამ სფეროში, სხვებსაც უნდა მისცეს საშუალება გაეცნონ ზოგ რასმე იდუმალთსწავლებიდან. აქ ნაუწყვია ზუსტად იმდენი, რამდენიც შესაძლებელია. ზოგიერთი რამ ჭეშმარიტი ცოდნიდან საჭიროა გაცხადდეს, რათა ცდომილებამ დიდი ზიანი არ მოიტანოს. აქ აღწერილ გზაზე არავინ დააზიანებს საკუთარ თავს, თუ რაიმეს ძალდატანებით არ დააჩქარებს. მხოლოდ ერთი რამ უნდა იქნას გათვალისწინებული: არავინ უნდა დახარჯოს ამგვარ სავარჯიშოებზე უფრო მეტი ძალა, ვიდრე ამის უფლებას აძლევს ცხოვრებისეული მდგომარეობა და მოვალეობანი. იდუმალთმეტყველების გზაზე შემდგარმა არაფერი უნდა შეცვალოს ერთბაშად თავისი გარეგანი ცხოვრების პირობათა შორის. ნამდვილი შედეგების მისაღწევად საჭიროა **მოთმინება.** მას უნდა შეეძლოს სულ რამდენიმე წუთში შეწყვიტოს სავარჯიშოს შესრულება და მშვიდად დაუბრუნდეს თავის ყოველდღიურ საქმიანობას. სავარჯიშოდან გამოყოფილი არც ერთი აზრი არ უნდა შეერიოს მის ყოველდღიურ სამუშაოს. ვისაც არ უსწავლია **მოცდა** ამ სიტყვის უმაღლესი და საუკეთესო გაგებით, იგი არ გამოდგება იდუმალთმოწაფედ და ვერასოდეს მიიღებს მნიშვნელოვან შედეგს.

კონცენტრაცია აზრებსა და გრძნობებზე

როდესაც მავანი ეძიებს გზას იდუმალთმეტყველებისკენ იმგვარად, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე თავებში, მას მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს საკუთარი თავის გაძლიერება **ერთი** განუწყვეტელი აზრის საშუალებით მთელი მუშაობის მანძილზე. კერძოდ, მან ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში ძალზე მნიშვნელოვნად წაიწია წინ — რამაც შესაძლოა სრულიად სხვაგვარად იჩინოს თავი, ვიდრე ის მოელოდა. ვინც ამას მხედველობაში არ მიიღებს, შესაძლოა დაჰკარგოს სიჯიუტე და მოკლე ხანში შეწყვიტოს ყოველგვარი ცდა. ის ძალები და უნარები, რომლებიც უნდა განვითარდნენ, დასაწყისში მეტად სათუთნი არიან. საკუთარი არსის მიხედვით ისინი სავსებით განსხვავდებიან იმისგან, რასაც ადამიანი აქამდე წარმოადგენდა. იგი ხომ მიჩვეული იყო, საქმე ჰქონოდა ფიზიკურ სამყაროსთან. ხოლო სულიერი და მშვინვიერი უსხლტებოდა მის მზერას და აზრებს. ამადაც, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ახლა, როდესაც მასში ვითარდებიან სულიერი და მშვინვიერი ძალები, იგი მაშინვე ვერ ამჩნევს მათ. აქვე იმალება ცდომილების შესაძლებლობა მათთვის, ვინც მრავალნაცად მკვლევართა გამოცდილების გაზიარების გარეშე ადგება იდუმალებათა გზას. იდუმალთმკვლევარმა იცის მოწაფის მიერ მიღწეული წარმატების შესახებ ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს უკანასკნელი მათ გააცნობიერებდეს. იდუმალთმკვლევარის მითითებანი მიმართულია უმეტესწილად იქითკენ, რომ მოწაფემ ნდობა, მოთმინება, სიმტკიცე არ დაჰკარგოს, ვიდრე თვით გააცნობიერებდეს საკუთარი წინსვლის ნაყოფს. იდუმალთმკვლევარს არ შეუძლია

თავის აღზრდილს მისცეს იმაზე მეტი, რაც მასში დაფარულად უკვე ჩადებული იყო. მას შეუძლია მხოლოდ ხელმძღვანელობა გაუწიოს მოწაფეს, რათა ამ უკანასკნელმა განივითაროს საკუთარ თავში მთვლემარე უნარები, მაგრამ ის, რასაც იდუმალთმეტყველი კვლევარი იუწყება თავისი გამოცდილებიდან, დასაყრდენი იქნება მათთვის, ვისაც სიბნელიდან სინათლისკენ გაღწევა სურს.

მრავალნი ტოვებენ იდუმალთმეტყველებისაკენ მიმავალ გზას მასზე დადგომის შემდეგ, რადგანაც წარმატებები იმთავითვე შესამჩნევი არ გახდა. თვით მაშინაც კი, როდესაც მოწაფისთვის შესამჩნევი უმაღლესი გამოცდილებანი იჩენენ თავს, იგი ილუზიად მიიჩნევს მათ, მას სულ სხვა წარმოდგენები შეუქმნია იმის შესახებ, რაც აწი უნდა განიცადოს. იგი ჰკარგავს სიმამაცეს, ვინაიდან ან უფასურად მიაჩნია პირველი გამოცდილებანი, ან ისინი უმნიშვნელოდ ეჩვენება — და არ სწამს, რომ მათ შეუძლიათ მოკლე დროში მიიყვანონ ის რაიმე ამაღლებულთან. მაგრამ **სიმამაცე და ნდობა** საკუთარი თავისა, ეს ის ორი შუქურაა, რომლებიც არ უნდა ჩაქრნენ იდუმალთმეტყველების გზაზე. ვისაც არ ძალუძს დასძლიოს საკუთარი თავი და მოთმინებით განაგრძოს სავარჯიშოს გაკეთება, რომელშიც, ჩანს, მრავალგზის მოეცარა ხელი, იგი შორს ვერ წავა.

წარმატების ცხადად აღქმამდე გაცილებით ადრე თავს იჩენს ბუნდოვანი გრძნობა, რომ მართლაც სწორ გზას ვადგავართ. საჭიროა ამ გრძნობის შენახვა და გაფრთხილება, რადგან სწორედ მას ძალუძს საიმედო წინამძღოლად იქცეს. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა აღმოვფხვრათ რწმენა იმისა, რომ უმაღლესი შემეცნება მიიღწევა რაღაც განსაკუთრებული, იდუმალი ხერხებით. საჭიროა სავსებით ცხადი გავხადოთ ჩვენთვის, რომ უნდა ამოვიდეთ იმ გრძნობებიდან და აზრებიდან, რომლებთან ერთადაც ადამიანი გამუდმებით ცხოვრობს და ამ გრძნობებსა და აზრებს უბრალოდ სხვა მიმართულება უნდა მივცეთ, ნაცვლად ჩვეულებრივისა. ყოველმა ადამიანმა უნდა უთხრას საკუთარ თავს: ჩემს გრძნობათა და იდეათა სამყაროში იმალება უმაღლესი საიდუმლოებანი — მხოლოდ ესაა, აქამდე მე ისინი არ შემიცვნია. საბოლოოდ ყველაფერი იმას ეყრდნობა, რომ ადამიანი მუდამ ატარებს თავის სხეულს, სამშვინველსა და სულს, მაგრამ **აცნობიერებს** საკუთრივ მხოლოდ თავის სხეულს და არა სამშვინველსაც და სულსაც. იდუმალთმოწაფე აცნობიერებს თავის სამშვინველსა და სულს, ისევე როგორც ჩვეულებრივ ადამიანს აქვს გაცნობიერებული თავისი სხეული.

ამადაც, საქმე გრძნობათა და აზრთა სწორი მიმართულებით წარმართვაშია. მერმედ ვითარდება აღქმა ყოველდღიურ ყოფაში უხილავისა. აქ მითითებული იქნება ერთ-ერთი გზა, თუ როგორ მოხდება ეს, რაც ისევ და ისევ უბრალოდ გამოიყურება ყოველივე იმის მსგავსად, რაც აქამდე ითქვა. ოღონდ მას შეიძლება უკვე უდიდესი შედეგები მოჰყვეს, თუ ყოველივე მტკიცედ და განუხრელად იქნება შესრულებული, მაშინ როდესაც ადამიანი შესძლებს მიეცეს მას აუცილებელი ინტიმური განწყობით.

ავიღოთ რომელიმე მცენარის თესლი. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა ამ თითქოსდა უჩინარი საგნის წინაშე მართებული აზრები გააინტენსიუროს და ამ აზრების მეოხებით განივითაროს გარკვეული გრძნობები. თავიდან მან უნდა

გაიცნობიეროს ის, რასაც საკუთარი თვალით ხედავს; თავისთვის უნდა აღწეროს ფორმა, ფერი და თესლის ყველა სხვა თვისება. მერმედ უნდა მიეცეს შემდეგი განსჯას: თუ მიწაში ჩავთესავთ, ამ თესლიდან ამოიზრდება მრავალფეროვანი მცენარე. და მან უნდა წარმოიდგინოს ეს მცენარე და მოახერხოს მისი აგება ფანტაზიაში. შემდეგ იფიქროს ასე: ის, რასაც მე ჩემს ფანტაზიაში წარმოვიდგენ, მოგვიანებით ნამდვილად აღმოცენდება თესლიდან მიწისა და სინათლის ძალთა მიერ. ჩემს წინაშე რომ ყოფილიყო რაიმე ხელოვნური საგანი, რომელიც სავსებით ილუზორულად ემგვანებოდა თესლს, თუნდაც ისე, რომ ჩემს თვალს ვერ მოეხერხებინა მისი გარჩევა ნამდვილისაგან, მაშინ ვერავითარი მიწისა თუ სინათლის ძალა ვერ აღმოაცენებდა მისგან მცენარეს. ის, ვინც სავსებით გაიცნობიერებს ამ აზრს და შინაგანად განიცდის, შესძლებს **მართებული გრძნობის** მეოხებით შეიქმნას შემდეგი აზრი. იგი ეტყვის საკუთარ თავს: თესლში ფარულად ჩადებულია **ძალა**, რომელიც შემდეგში მას გაზრდის. მის ხელოვნურ ორეულში კი არ არის ეს ძალა. და მაინც, **ჩემი მზერისთვის** ორივე ერთნაირია. ამრიგად, ნამდვილი თესლი თვალისთვის უხილავად შეიცავს **ისეთ რამეს**, რაც მის ორეულში არ არის. სწორედ ამ უხილავისკენ უნდა წარიმართოს ახლა გრძნობა და აზრები.[1] საჭიროა წარმოვიდგინოთ: აი ეს უხილავი გარდაიქმნება მოგვიანებით ხილულ მცენარედ, ჩემს თვალწინ რომაა მთელი თავისი ფორმებითა და ფერებით. უნდა მივეცეთ აზრს: **უხილავი გახდება** ხილული. და რომ არ შემძლებოდა **აზროვნება**, ვერ შევძლებდი ახლავე მიმეღო უწყება იმის შესახებ, რაც მხოლოდ მოგვიანებით გახდება ცხადი.

განსაკუთრებით მკაფიოდ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ის, რაზეც ამ შემთხვევაში ფიქრობენ, ასევე ინტენსიურად უნდა იქნას **ნაგრძნობიც**. საჭიროა **სიმშვიდეში**, ყოველგვარი ხელისშემშლელი აზრების გარეშე ზემოაღნიშნულის **განცდაც** საკუთარ თავში. საჭიროა თავისთვის შემოინახოს დრო, რათა აზრი და მასთან გადაბმული გრძნობა ჩაინერგოს სამშვინველის წიაღში. თუ ეს სწორად კეთდება, გარკვეულ დროში — ალბათ, მრავალი ცდის შემდეგ ადამიანში გაჩნდება ახალი ძალის შეგრძნება. ეს ძალა წარმოშობს ახლებურ — აღქმასაც. მცენარის თესლი თვალწინ წარმოგვიდგება სინათლისმაგვარ პატარა ღრუბელში. გრძნობად-სულიერი თვალსაზრისით მისი აღქმა შეიძლება როგორც ერთგვარი **ცეცხლის ალისა**. ამ ალის შუაგულის მიმართ გაგვიჩნდება შეგრძნება, რომელიც მსგავსია შთაბეჭდილებისა, **ლილისფერი** რომ იძლევა, ხოლო შეგრძნება კიდეების მიმართ ემგვანება **ცისფერისგან** მიღებულ შთაბეჭდილებას. აქ გაცხადდება ის, რაც უწინ არ შეგვინიშნავს, რაც დაჰბადა ჩვენში აღძრული აზრისა და გრძნობის ძალამ. გრძნობადი თვალსაზრისით უწინ უხილავი მცენარე ახლა საჩინო გახდება და უკვე სულიერ-ხილულად გვევლინება.

გასაგებია, რომ მავანმა ეს ყოველივე შესაძლოა ილუზიად მიიჩნიოს. მრავალნი იტყვიან: „რაში მარგია მე ასეთი ხილვები, ასეთი ფანტაზიები?“ ზოგიერთები ხელს

---

[1] ვინც აქ შეგვეწინააღმდეგება და იტყვის, რომ ზუსტი მიკროსკოპული გამოკვლევის შედეგად მაინც შესაძლებელია ორეულის გამორჩევა ნამდვილი თესლისაგან, მხოლოდ დაადასტურებს, რომ ვერ ჩასწვდა საქმის არსს. აქ ის კი არაა მნიშვნელოვანი, თუ რასთან გვაქვს საქმე გრძნობადი თვალსაზრისით, არამედ ის, რომ განვივითაროთ მშვინვიერ-სულიერი ძალები.

ჩაიქნევენ და გზას აღარ განაგრძობენ, თუმცა კი საქმე სწორედ ისაა, კაცობრივი განვითარების ამ ურთულეს მომენტებში ერთმანეთში არ ავურიოთ ფანტაზია და სულიერი რეალობა. შემდეგ კი საჭიროა სიმამაცე, რათა შეეძლოთ წინსვლა და არ დაგვეუფლოს სიმხდალე და სულმოკლეობა. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია საკუთარ თავში განუხრელად განვითაროთ **სალი აზრი**, რომელიც ჭეშმარიტებასა და სიცრუეს ურთიერთისაგან გამოარჩევს. ამ ვარჯიშების დროს ადამიანმა არასოდეს უნდა დაჰკარგოს **ცნობიერი** მეუფება საკუთარ თავზე. აქ მან ისევე დამაჯერებლად უნდა იაზროვნოს, როგორც ამას სჩადის ყოველდღიური ცხოვრების საგნებთან და პროცესებთან დაკავშირებით. ძალზე ცუდი იქნებოდა, თუ ის მეოცნებეობას მინებდებოდა. ნათელი განსჯა, სრული სიფხიზლე უნდა შეინარჩუნოს მან ნებისმიერ დროს. უდიდესი შეცდომა იქნებოდა დაშვებული, თუ ადამიანი ამგვარი ვარჯიშების შედეგად დაჰკარგავდა წონასწორობას, თუ ის ვეღარ შესძლებდა ისეთივე ნათელ, სალ მსჯელობას ყოველდღიური ცხოვრების საგნებზე, როგორც მანამდე ახერხებდა. გამუდმებით უნდა ამოწმებდეს იდუმალთმოწაფე, ხომ არ დაერღვა წონასწორობა, ხომ ნამდვილად **იგივე** დარჩა გარემოში, რომელშიც ცხოვრობა უწევს, ურყევი სიმშვიდე საკუთარ თავში, ნათელი აზრი ყველაფერთან მიმართებაში — ყოველივე ეს მან უნდა შეინარჩუნოს. რასაკვირველია, მკაცრად უნდა ვადევნოთ თვალი, არ მივეცეთ თვითნებურ მეოცნებეობას და არც რაიმე სხვა ვარჯიშებით გავერთოთ. აქ მითითებული იდეათა დინებები ნაცადია ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მოყოლებული და იდუმალთმეტყველურ სკოლებშია გამოყენებული: მხოლოდ **ასეთთა** შესახებ არის ნაუწყები ამ წიგნში. ხოლო ვისაც სურს სხვაგვარ მეთოდთა გამოყენება, რომელსაც ან თვითონვე ქმნის, ანდა სადმე სმენია თუ წაუკითხავს, — მოუწევს უსაზღვროდ ხეტიალი და სულ მალე აღმოჩნდება უსაზღვრო ფანტასტიკის გზაზე.

ზემოაღწერილ სავარჯიშოს მოსდევს შემდეგი: დავდგეთ რომელიმე მცენარის პირისპირ, რომელიც სრული განვითარების საფეხურზე იმყოფება. შემდეგ აღვივსოთ აზრით, რომ ოდესმე დადგება ამ მცენარის ჭკნობის დროც; აღარაფერი დარჩება იმისგან, რაც ახლა მაქვს თვალწინ. მაგრამ ეს მცენარე განვითარებს თესლებს, რომლებიც კვლავ იქცევიან ახალ და ახალ მცენარეებად. მე კვლავ ვრწმუნდები, რომ იმაში, რასაც ახლა ვხედავ, დაფარულად ჩადებულია კიდევ რაღაც, ჩემს თვალთაგან უხილავი. და მე სავსებით აღვივსები შემდეგი აზრით: მცენარის ეს სახეობა თავისი ფერებით აღარ იარსებებს მომავალში; თუმცა წარმოდგენა მის მიერ წარმოშობილი თესლის შესახებ მე მასწავლის, რომ იგი არ მიიქცევა არარად. იმას, რაც მას გაქრობისაგან იცავს, ისევე ცუდად ვხედავ, როგორც ადრე არ შემეძლო დამენახა მომავალი მცენარე თესლში. **ამრიგად, მასში არის რაღაც, რასაც მე თვალით ვერ ვხედავ.** თუ მე ამ აზრს **ჩემში** ვაცოცხლებ, თუ მას დაუკავშირდება შესაბამისი **გრძნობაც**, მაშინ ჩემს სამშვინველში გარკვეული დროის შემდეგ განვითარდება ძალა, რომელიც გადაიქცევა **ახალ აღქმად**. მცენარიდან კვლავ ამოიზრდება **ცეცხლის ალისებრი** ერთგვარი **წარმონაქმნი**. ეს, ბუნებრივია, უფრო დიდი იქნება შესაბამისად, ვიდრე ზემოთ აღწერილი. ამ ალის შუა ნაწილი აღიქმება როგორც მომწვანო-მოლურჯო, ხოლო მისი გარე კიდეები — როგორც მოყვითალო-წითელი ფერისა.

აქ გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში „ფერებად“ წოდებულს ადამიანი **ვერ** ხედავს ისევე, როგორც ფიზიკური თვალი ხედავს ფერებს, არამედ **სულიერი აღქმის** შედეგად შეიგრძნობს იმის მსგავსს, რაც ფერების მიერ გამოწვეულ ფიზიკურ შთაბეჭდილებას მოაქვს. სულიერი თვალსაზრისით „ლურჯის“ აღქმა ნიშნავს რაღაც ისეთის განცდას ან შეგრძნებას, რაც ფიზიკური თვალით „ლურჯი ფერის“ ჭვრეტისას გაჩენილი შეგრძნებისა. ეს უნდა გაითვალისწინოს, ვისაც კი ნამდვილად სურს მიეახლოს სულიერ განცდებს. სხვაგვარად შეიძლება ის მოელოდეს, რომ სულიერ სფეროში იპოვნის მხოლოდ ფიზიკურის განმეორებას. ეს კი მას სასტიკ დაბნეულობაში ჩააგდებს.

ის ვინც მოიხერხებს სულიერად იხილოს ასეთი რამ, ბევრის მიღწევას შესძლებს. მის წინაშე გაიხსნებიან საგნები არა მხოლოდ აწინდელი **ყოფიერებით**, არამედ მათი დასაბამით და დასასრულით. იგი იწყებს ყოველგან სულის განჭვრეტას, რის შესახებაც გრძნობადმა არაფერი იცის. ასე გადადგა მან პირველი ნაბიჯები საკუთარი აღქმის საშუალებით **დაბადების და სიკვდილის** საიდუმლოს მიღმა გადასახედად. გარეგანი გრძნობებისთვის არსება წარმოიშობა დაბადებისას და განქარდება სიკვდილისას. ეს ასე იმიტომ ხდება, რომ ხსენებული გრძნობები ვერ აღიქვამენ არსების დაფარულ სულს. სულისთვის დაბადება და სიკვდილი მხოლოდ გარდასახვაა, ისევე როგორც გარდასახვაა ყვავილის აღმოცენება კვირტიდან, რომელიც ჩვენი გრძნობადი თვალის წინ ხდება. ხოლო თუ გვსურს ამის შემეცნება საკუთარი აღქმით, საჭიროა უკვე მითითებული წესით ჩვენში სულიერი შეგრძნების ორგანო გავაღვიძოთ.

საპირისპიროდ ერთი მოსაზრებისა, რომელიც შესაძლოა გამოთქვან გარკვეული მშვინვიერი (ფსიქიკური) გამოცდილების მქონე ადამიანებმა, უნდა ითქვას შემდეგი: არ უარვყოფთ, რომ არსებობს უფრო მოკლე და მარტივი გზაც, რომ მავანნი მართლაც საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე ეცნობიან დაბადებისა და სიკვდილის მოვლენებს აქ აღწერილი გზის გარეშე. არსებობენ ადამიანები, რომელთაც მნიშვნელოვანი ფსიქიკური მონაცემები გააჩნიათ, ისინი საჭიროებენ მხოლოდ მცირეოდენ ბიძგს, რათა განვითარდნენ. მაგრამ ეს ხომ გამონაკლისებია. აქ წარმოდგენილი გზა კი საყოველთაო და საიმედოა. დიახაც შესაძლებელია ქიმიის სფეროში გარკვეული ცოდნის მიღება გამონაკლისი ხერხებით, მაგრამ თუ ქიმიკოსობა გვინდა, საჭიროა მივყვეთ საყოველთაო და საიმედო გზას.

მძიმე შედეგების მომტან ცდომილებაში აღმოჩნდებოდა ის, ვისაც ჰგონია, რომ მიზნის უფრო იოლად მიღწევისათვის უბრალო ფანტაზიითაც შეიძლება წარმოიდგინოს მცენარის თესლი ან მცენარე. ვინც ამას სჩადის, თუმცა შესაძლოა კიდეც მიაღწიოს მიზანს, მაგრამ არა ისე საიმედოდ, როგორც აქ არის მითითებული. ამ დროს მიღწეული ჭვრეტა უმეტესად აჩრდილისებრი ნაყოფია ფანტაზიისა. ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნება ლოდინი, ვიდრე ეს უკანასკნელი არ გარდაიქმნება სულიერ ჭვრეტად. მე თვითნებურად კი არ უნდა შევიქმნა ჭვრეტა, არამედ სინამდვილემ უნდა წარმოქმნას იგი **ჩემში**. ჩემი სამშვინველის სიღრმეებიდან უნდა წარმოსდინდეს ჭეშმარიტება, მაგრამ არა ჩემი ჩვეულებრივი „მე“ უნდა იყოს ჯადოქარი, რომელსაც სურს ჭეშმარიტების გამოვლინება, არამედ ის არსებანი, რომელთა სულიერი რეალობის განჭვრეტასაც მე ვესწრაფვი.

თუ ადამიანმა ასეთი ვარჯიშების გზით მიაღწია ეპოვნა სულიერი ჭვრეტის პირველსაწყისები, მას შეუძლია ამაღლდეს თვით ადამიანზე დაკვირვებამდე, ვიდან შერჩეულ უნდა იქნენ ადამიანური ყოფის რიგითი მოვლენები. ხოლო სანამ აქამდე მივიდოდეს, მან განსაკუთრებით სერიოზულად უნდა იმუშაოს საკუთარ ზნეობრივ თვისებათა სრული განწმენდისათვის; უნდა თავიდან მოიცილოს ის აზრი, რომ იმ გზით მიღწეული შემეცნება შეიძლება გამოყენებულ იქნას პიროვნული თავკერძობისთვის. საჭიროა საკუთარ თავთან შეთანხმება იმაშიც, რომ ამრიგად მოპოვებული ძალაუფლება მოყვასზე **არასოდეს** უნდა იქნეს ბოროტად გამოყენებული. ამადაც ყველამ, ვინც საკუთარი ჭვრეტით ეძიებს ადამიანური ბუნების საიდუმლოებებს, უნდა მისდიოს იდუმალთმეტყველების **ოქროს** კანონს. და ეს ოქროს კანონია: თუ ცდილობ **ერთი** ნაბიჯის გადადგმას იდუმალთმეტყველური ჭეშმარიტებების შემეცნებისაკენ, გადადგი **სამი** ნაბიჯი შენი ხასიათის სრულყოფისაკენ — სიკეთისაკენ. ვინც მისდევს ამ კანონს, შეეძლება ქვემოთ მოცემული სავარჯიშოების შესრულებაც.

წარმოვიდგინოთ ადამიანი, ჩვენ რომ ვაკვირდებოდით მაშინ, როცა ის რაღაცას **ესწრაფვოდა**. ახლა ყურადღება მივაპყროთ მის **გულისთქმას**. უმჯობესია მეხსიერებაში გამოვკვეთოთ ის წუთი, როდესაც გულისთქმა ყველაზე მეტად გამძაფრებული იყო და ადამიანმა არ იცოდა, მიაღწევდა თუ არა სასურველ საგანს. საჭიროა მთლიანად მივეცეთ ამ წარმოდგენას, მეხსიერებაში აღდგენილი დაკვირვებიდან გამომდინარე. საჭიროა ჩვენს სამშვინველში დავამყაროთ სრული სიმშვიდე. ვეცადოთ, შეძლებისდაგვარად დავბრმავდეთ და დავყრუვდეთ ყოველივე იმის მიმართ, რაც ჩვენს გარშემო ხდება. განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რათა აღდგენილი წარმოდგენის საშუალებით გამოვაღვიძოთ ჩვენს სამშვინველში **გრძნობა**. ეს გრძნობა ისე შემოდის ჩვენში, თითქოს ესაა ღრუბელი, რომელიც ამოდის აქამდე სრულიად მოწმენდილ ჰორიზონტზე. ბუნებრივია, დაკვირვება შეწყდება იმის გამო, რომ ვერ მოხერხდება ყურადღების არეში მყოფ ადამიანზე საკმარისად დაკვირვება მოცემულ მშვინვიერ მდგომარეობაში. ალბათ მოგვიწევს ასობით მცდელობის გაკეთება. საჭიროა არ დავკარგოთ მოთმინება, მრავალი მცდელობის შემდეგ შევძლებთ საკუთარ სამშვინველში განვიცადოთ ის გრძნობა, რომელიც შეესაბამება დაკვირვების არეში მყოფი ადამიანის მშვინვიერ მდგომარეობას. რამდენიმე ხნის შემდეგ შევნიშნავთ, რომ ამ გრძნობის მეოხებით ჩვენს სამშვინველში იზრდება ძალა, რომელიც იქცევა სხვა ადამიანის მშვინვიერი მდგომარეობის **სულიერ ჭვრეტად**. მხედველობის არეში ამოტივტივდება ხატება, რომელიც ჩვენს აღქმაში თითქოსდა ანათებს. ეს სულიერ-მნათი ხატება არის ეგრეთწოდებული ასტრალური განსხეულება დაკვირვების არეში მყოფი გულისთქმის მშვინვიერი მდგომარეობისა. ეს ხატება შეიძლება აგრეთვე აღწერილ იქნას როგორც ცეცხლის ალისებრი რამ. მისი შუაგული აღიქმება როგორც ყვითელი და წითელი, ხოლო კიდეები — მოწითალო-მოლურჯო ან ლილისფერი. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად ფაქიზად მოვეპყრობით ამგვარ სულიერ ხილვას. უმჯობესი იქნება არავის გავუმხილოთ ამის შესახებ გარდა საკუთარი მასწავლებლისა, თუკი ასეთი გაგვაჩნია. როდესაც ცდილობენ ამგვარი მოვლენის აღწერას მოუხეშავი სიტყვებით, უმეტესწილად სასტიკ ცდომილებაში აღმოჩნდებიან ხოლმე.

ამისათვის გამოიყენებენ ჩვეულებრივ სიტყვებს, რომლებიც არ არიან განკუთვნილნი მსგავსი რიგის საგანთა აღწერისათვის, საამისოდ ისინი უხეშნი და მძიმენი არიან. ხოლო მცდელობას — სიტყვებით ხორცი შეესხას ნანახს, შედეგად მიაღწევს, ცდუნება, ნამდვილად დანახულს ფანტაზიის ათასგვარი წარმონაქმნები შეემატოს. აქედან ისევ და ისევ გამომდინარეობს იდუმალთმოწაფისთვის მნიშვნელოვანი კანონი: **ხელგაწიფებოდეს დუმილი** შენი სულიერი ხილვების ირგვლივ, არაფერი უთხრა ამის შესახებ საკუთარ თავსაც კი. ის, რასაც სულში ჭვრეტ, არ ეცადო გამოხატო სიტყვით, ან უკირკიტო მას მოუხეშავი განცდით. ყოველგვარი მიკერძოების გარეშე მიეცი საკუთარი თავი სულიერ ჭვრეტას და ნუ დააბრკოლებ ათასგვარი ფიქრით — გახსოვდეს, რომ შენი აზროვნება თავიდან სულაც არ არის მომწიფებული რაიმე განსაჯოს შენეული ჭვრეტის თაობაზე. ეს აზროვნება მოგდევს შენი მანამდელი ფიზიკურ-გრძნობადი სამყაროთი შეზღუდული ცხოვრებიდან. ის, რასაც ახლა აითვისებ, სცილდება ამის საზღვრებს. ამადაც, ნუ ეცდები ახლისა და ზენას მიმართ ძველი საზომების გამოყენებას. ამაზე საუბარი და ამით მოყვასის შთაგონება შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც უკვე საკმაოდ განმტკიცდა შინაგან გამოცდილებებზე დაკვირვებით.

აღწერილი სავარჯიშო შესაძლოა შევავსოთ კიდევ ერთით. უნდა დავაკვირდეთ ადამიანს, რომელსაც წილად ხვდა რაიმე სურვილის დაკმაყოფილება ანდა მოლოდინის ასრულება. თუ დაკვირვებას იგივენაირი წესებით და სიფრთხილით ვაწარმოებთ, რაც მოცემული იყო ზემოთაღწერილ შემთხვევაში, მიიღწევა კიდევ ერთი სულიერი ჭვრეტა. კვლავ შევამჩნევთ ცეცხლის ალისებრ წარმონაქმნს, რომელიც შუაგულში ყვითელი, ხოლო კიდეებში მომწვანოდ აღიქმება.

მოყვასზე ამგვარი დაკვირვების შედეგად ადამიანი შეიძლება იოლად აღმოჩნდეს მორალურ ცდომილებაში — შეიძლება გადაიქცეს სიყვარულის გრძნობას სრულიად მოკლებულ არსებად. ეს რომ არ მოხდეს, ამისათვის მან უნდა მიმართოს ყველა შესაძლებელ საშუალებას. ამგვარი დაკვირვებისას ადამიანი უნდა იდგეს ისეთ სიმაღლეზე, როდესაც მას სავსებით გაცნობიერებული აქვს ერთი რამ — **აზრები** რეალური საგნები არიან. მან არ უნდა მისცეს თავს უფლება ისე იფიქროს მოყვასზე, რომ ეს **აზრები** შეუთავსებელი იყოს ადამიანურ ღირსებასთან და თავისუფლებასთან. ერთი წუთითაც არ უნდა დავუშვათ ის აზრი, რომ ადამიანი შესაძლოა იყოს დაკვირვების ობიექტი. სულიერი რიგის ყოველ დაკვირვებას ადამიანურ ბუნებაზე თან უნდა ახლდეს თვითაღზრდა, უნდა ვაფასებდეთ ყოველი ადამიანის პირად ღირსებას, ყოველივე მასში არსებული — ფიქრებსა და გრძნობებშიც კი — უნდა განიხილებოდეს, როგორც რაღაც წმინდა, ხელშეუხებელი. უნდა გვიპყრობდეს ღვთაებრივი ჟრჟოლა ყოველივე ადამიანურის მიმართ, თვით მაშინაც კი, როდესაც ფიქრები წარსულის მოგონებებს შეეხება.

ამ ორი მაგალითით გვსურდა გვეჩვენებინა, თუ როგორ მიიღწევა განსხივოსნება ადამიანური ბუნების გაგებით. ამ მაგალითებით, ალბათ, შევძელით ჩვენება იმ გზისა, რომელზე შედგომაც გვსურს. დიდმნიშვნელოვან გარდაქმნას განიცდის მისი სამშვინველი, ვინც ამ დაკვირვებათა მეოხებით აუცილებელ შინაგან სიმშვიდესა და აუმღვრევლობას ჰპოვებს. და სულ მალე შინაგანი სიმდიდრე, რამაც მისი არსება მოიცვა, დამაჯერებლობასა და სიმშვიდეს მიანიჭებს თვით მის გარეგნულ ქცევებსაც.

ხოლო გადასხვაფერებული გარეგნული ქცევები უკუიმოქმედებენ მის სამშობლოზე. ასე დაეხმარება ის საკუთარ თავს და გამოძებნის საშუალებებსა და გზებს, სულ უფრო და უფრო მეტი აღმოაჩინოს ადამიანური ბუნების შესახებ — გამოგონილია გრძნობათათვის აქამდე დაფარული. იგი შემდგომში მომწიფდება იმ იდუმალ კავშირთა განჭვრეტისათვის, ადამიანურ ბუნებასა და ყოველივე სამყაროში არსებულს შორის რომ სუფევს. ასე ადამიანი თანდათანობით უახლოვდება წუთს, როდესაც პირველი ნაბიჯი უნდა გადადგას **ხელდასხმის** გზაზე. ხოლო მანამდე კიდევ ერთი რამაა საჭირო, რის მნიშვნელობასაც იდუმალთმოწაფე თავიდან ნაკლებად, მაგრამ მოგვიანებით კი ნამდვილად ჩასწვდება.

ის, რაც ხელდასხმის გზაზე შემდგარს თან უნდა მოსდევდეს, ეს არის გარკვეული თვალსაზრისით გამომუშავებული **სიმამაცე და უშიშრობა.** იდუმალთმოწაფე პირდაპირ უნდა ეძებდეს შემთხვევებს, რომელთა დახმარებითაც ის გამოიმუშავებს ამ სათნოებებს. იდუმალთგანსწავლისას მათ სისტემატიურად გამოიმუშავებდნენ ხოლმე. ამ მხრივ თავად ცხოვრებაა კარგი იდუმალთმეტყველური სკოლა და, შეიძლება ითქვას, საუკეთესოც კი. იდუმალთმოწაფეს უნდა შეეძლოს მშვიდად შეხედოს თვალებში განსაცდელს, სულმოკლეობის გარეშე გადალახოს სიძნელეები. მაგალითად, საფრთხის წინაშე მდგარმა უნდა აღიძრას თავის თავში შემდეგი შეგრძნება: ახლა მე შიში არას მარგია, მე საერთოდ არ უნდა მეშინოდეს და მხოლოდ იმაზე უნდა ვიფიქრო, თუ რა მოვიმოქმედო. და ეს გრძნობა მან იმდენად უნდა განივითაროს, რომ მაშინაც, როდესაც სიმხდალე შეიპყრობს, შიშის განცდა და სულმოკლეობა მისი შინაგანი გრძნობებისათვის მიუღებელი გახდეს. ამ მხრივ, თვითაღზრდის შედეგად ადამიანი თავის თავში განივითარებს გარკვეულ ძალებს, რომლებიც მას ესაჭიროება უმაღლეს საიდუმლოებებში ხელდასხმისათვის. ისევე როგორც ფიზიკურად ადამიანს ესაჭიროება ნერვთა ძალა, რათა გამოიყენოს თავისი ფიზიკური გრძნობები, სულიერად ადამიანს სჭირდება ის ძალა, რომელიც მხოლოდ მამაც და უშიშარ პიროვნებებში ვითარდება. ვინც გზას იკვლევს უმაღლესი საიდუმლოებებისკენ, ამჩნევს საგნებს, რომლებიც ფიზიკურ გრძნობათაგან გამოწვეული მოჩვენებითობის წყალობით დაფარული რჩებიან ჩვეულებრივი ადამიანებისათვის. როდესაც ფიზიკური გრძნობები ადამიანს არ აძლევენ საშუალებას განჭვრიტოს უმაღლესი ჭეშმარიტებანი, ამით ისინი სასიკეთო სამსახურს უწევენ მას. — მათი წყალობით დაფარულნი რჩებიან ისეთი საგნები, რომლებიც მოუმზადებელ ადამიანს უსაზღვრო შეძრწუნებას მოჰგვრიდა, და რომელთა დანახვასაც კი ის ვერ გადაიტანდა. იდუმალთმოწაფე უნდა მომწიფდეს საიმისოდ, რათა თვალი გაუსწოროს ამგვარ სანახაობას. მას ფეხქვეშ ეცლება ზოგიერთი საყრდენი გარესამყაროში, რასაც იგი იმ გარემოებას უმადლის, რომ აქამდე მოჩვენებითობა გარემოიცავდა მას. ეს ნამდვილად და ზედმიწევნით ჰგავს ისეთი ადამიანის მდგომარეობას, რომელსაც მიუთითებენ საფრთხეზე, რაშიც თურმე დიდი ხანია იმყოფება, მაგრამ ვერაფერს ხვდებოდა. და თუ აქამდე შიში არ ჰქონია, ახლა უკვე შიში იპყრობს, თუმცა, მიუხედავად გაცნობიერებისა, საფრთხე არ გაზრდილა.

სამყაროული ძალები მოქმედებენ როგორც დამანგრეველად, ისე აღმშენებლად. გარეგან არსებათა ხვედრია წარმოშობა და გარდასვლა. ამ ძალთა მოქმედების, ბედის ამ მდინარების მიმა უნდა გადაიხედოს გათვითცნობიერებულმა. მან უნდა

ჩამოიცილოს ფარდა, რომელიც ყოფაში ჩამოფარებულია სულიერ თვალზე. მაგრამ ადამიანი თავად არის გადახლართული ამ ძალებთან, ამ ბედთან. საკუთრივ მის ბუნებაშია ეს დამანგრეველი და აღმშენებელი ძალები. ისე როგორც გათვითცნობიერებულის თვალწინ აშკარავდებიან სხვადასხვა საგნები, ასევე ცხადად წარმოუდგება სამშვინველი საკუთარ თავს. ამგვარი თვითშემეცნების პირისპირ იდუმალთმოწაფემ არ უნდა დაჰკარგოს ძალა. და ეს ძალა მას არ მოაკლდება, თუკი მუდამ ჭარბად გასცემს. საამისოდ მან უნდა ისწავლოს ცხოვრების უმძიმეს ვითარებებში შინაგანი სიმშვიდისა და დამაჯერებლობის შენარჩუნება; თავის თავში უნდა აღზარდოს მტკიცე ნდობა ყოფიერების კეთილი ძალების მიმართ; მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ ბევრი მისწრაფება, რომელიც აქამდე წარმართავდა მას, მეტად აღარ წარმართავს. უნდა შეიგნოს, რომ ზოგი რამ არცოდნის გამო ჩაუდენია ან უფიქრია; ის მოტივები, რომლებიც აქამდე ამოძრავებდნენ, ჩამოსცილდებიან. ზოგი რამ მას ამპარტავნობით მოსვლია — აწი კი დაინახავს, თუ რა გამოუთქმელად უფასურია ყოველგვარი ამპარტავნება გათვითცნობიერებულისათვის. ზოგი რამ მას სიხარბით ჩაუდენია. — ახლა გაიგებს, თუ რამდენად დამანგრეველია ყოველგვარი სიხარბე. სრულიად ახლიდან უნდა განივითაროს მან მისწრაფება მოქმედებისა და აზროვნებისათვის. სწორედ ამ რიგის მისწრაფებებს განეკუთვნებიან აგრეთვე სიმამაცე და უშიშრობაც.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ სიმამაცისა და უშიშრობის აღზრდა აზრისმიერი ცხოვრების უღრმეს წიაღში. იდუმალთმოწაფემ უნდა ისწავლოს არ შედრკეს წარუმატებლობის წინაშე. მას უნდა გააჩნდეს უნარი მივიდეს აზრამდე: მსურს დავივიწყო, რომ ეს საქმე არ გამომივიდა და ახლიდან ვცადო, თითქოს არაფერიც არ მომხდარა. ამრიგად იკვლევს იგი გზას რწმენისაკენ, რომ სამყაროში ამოუწურავია ძალთა წყაროები, საიდანაც ის საზრდოობს და სულ უფრო და უფრო მიელტვის სულიერს, რომელიც მას აიტაცებს და ატარებს, რაოდენ უძლური და სუსტიც არ უნდა აღმოჩნდეს მისი მიწიერი ბუნება. იგი უნდა იყოს შემძლე იცხოვროს მომავლისაკენ პირმიქცეულად და ამ მისწრაფებას ხელი ვერ უნდა შეუშალოს წარსულის ვერცერთმა გამოცდილებამ. თუ ადამიანი დაეუფლა აღწერილ თვისებებს გარკვეულ დონემდე, მაშინ იგი მომწიფებულია საგნების **ნამდვილ სახელთა** შესამეცნებლად და რაც წარმოადგენს უმაღლესი ცოდნის გასაღებს. რამდენადაც **ხელდასხმა** მდგომარეობს სამყაროული საგნების იმგვარად სახელდებაში, როგორადაც იწოდებიან ისინი თავიანთი ღვთაებრივი შემოქმედის სულში. ამ სახელებში ჩადებულია საგანთა საიდუმლოებანი. ამადაც ლაპარაკობენ, განსხვავებით არახელდასხმულთაგან, ხელდასხმულნი სხვა ენაზე — მათთვის ხომ ცნობილია არსთა ის სახელები, რომელთა წყალობითაც სული შთაებერა ყოველივეს. შემდგომ თავში, რამდენადაც ეს შესაძლებელია, საუბარი შეეხება საკუთრივ ხელდასხმას (ინიციაციას).

ხ ე ლ დ ა ს ხ მ ა

ხელდასხმა არის იდუმალთგან სწავლის უმაღლესი საფეხური, რის შესახებაც ამ წიგნში მოცემული იქნება საყოველთაოდ გასაგები **მითითებანი.** ცხადია, ყოველივეზე, რაც ამ საფეხურს მიღმა ძევს, ძნელად გასაგებია, თუმცა აქეთ მიმავალ გზას იპოვნის ყველა, ვინც მომზადების, განსხივოსნების და ხელდასხმის საშუალებით გააღწია შედარებით ქვედა რიგის საიდუმლოებებში.

ცოდნა და უნარები, რომელიც ადამიანს წილად ხვდება ხელდასხმის შედეგად, შესაძლოა შორეულ მომავალში — მრავალი გარდასხეულების შედეგად — სრულიად სხვა გზით და სხვა ფორმით მოიპოვოს. ვინც უკვე დღეს გაივლის ხელდასხმას, გაიგებს ისეთ რასმე, რასაც სხვა შემთხვევაში ბევრად გვიან, სრულიად სხვა ვითარებებში თუ შეიტყობდა.

ადამიანს იმდენი შეუძლია გაიგოს ყოფიერების საიდუმლოებებიდან, რამდენიც შეესაბამება მისი სიმწიფის ხარისხს. მხოლოდ ამიტომ არსებობს დაბრკოლებები უმაღლესი ცოდნის და უნარების დაუფლების გზაზე. ადამიანმა არ უნდა გამოიყენოს თოფი იქამდე და ამის შედეგად არ დაატრიალოს რაიმე უბედურება, ვიდრე საკმარისი გამოცდილება არ ექნება. ვინმეს რომ უცბად მიეღო ხელდასხმა, ის დარჩებოდა იმ გამოცდილების გარეშე, რისი შეძენაც მომავალ ინკარნაციებში მოუწევდა, როდესაც შესაბამისი საიდუმლოებანი გაეხსნებოდნენ კანონზომიერი განვითარების შედეგად. ამის გამო ხელდასხმის კარიბჭესთან ეს გამოცდილებანი რაღაც სხვით უნდა შეიცვალონ. პირველი მითითებანი ხელდასხმის მოსურნეს ეძლევა მომავალი გამოცდილების სანაცვლოდ. ესენი არიან ეგრეთ წოდებული, გამოცდები, რომლებიც მან უნდა გაიაროს და რომლებიც იქნება მშვინვიერი ცხოვრების კანონზომიერი შედეგები, თუ წინამდებარე თავში აღწერილი სავარჯიშოები სწორად შესრულდება შემდგომშიც.

ამ „გამოცდების“ შესახებ წიგნები ხშირად მოგვითხრობენ, მაგრამ, ცხადია, მათი ბუნების შესახებ ამგვარი მსჯელობისას, მცდარი წარმოდგენები აღმოცენდებიან ხოლმე. ის, ვისაც არ გაუვლია მომზადება და განსხივოსნება, არაფერი იცის ამ გამოცდების შესახებ და არც მათი საქმიანი აღწერა შეუძლია.

ხელდასხმის გზაზე შემდგარს უნდა გაეხსნას გარკვეული საგნები და ფაქტები, რომლებიც ზენა სამყაროებს განეკუთვნებიან. ის მხოლოდ მაშინ შესძლებს მათ დანახვასა და მოსმენას, როდესაც განსხივოსნების დროს აღწერილ სულიერ შეგრძნებებს — ფიგურებს, ფერებს, ბგერებს და ა.შ. — აღიქვამს.

პირველი „გამოცდა“ მდგომარეობს იმაში, რომ მოწაფე ჩვეულებრივ ადამიანთან შედარებით აღწევს უსიცოცხლო სხეულის ფიზიკური თვისებების უფრო ჭეშმარიტ **განჭვრეტას,** ხოლო შემდგომ — მცენარეების, ცხოველების და ადამიანებისას. აქ არ იგულისხმება ის, რასაც მეცნიერული ცოდნა ეწოდება. საქმე **განჭვრეტაშია** და არა მეცნიერებაში. ჩვეულებრივ ეს ასე ხდება — ხელდასხმის გზაზე შემდგარი სწავლობს იმის შემეცნებას, თუ როგორ აუწყებენ სულიერ მზერასა და სმენას საკუთარი თავის შესახებ ბუნების ქმნილებანი და ცოცხალი არსებანი. ეს საგნები, შეიძლება ითქვას, სრულიად აშკარად, გაშიშვლებულნი წარსდგებიან მჭვრეტელის წინაშე. გრძნობადი მზერისა და სმენისათვის დაფარული რჩებიან თვისებანი, ახლა რომ ხედავს და ისმენს. გრძნობადი ჭვრეტისას მათზე თითქოს

ფარდაა ჩამოფარებული. ხელდასხმის გზაზე შემდგარისათვის ეს ფარდა გადაიხსნება და ამ პროცესს „სულიერი წვა“ ეწოდება. ამადაც ამ პირველ გამოცდას **„ცეცხლოვან გამოცდა“** ეწოდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავანთათვის თავად ყოველდღიური ცხოვრებაა მეტ-ნაკლებად გაუცნობიერებელი პროცესი ხელდასხმისა, გამავალი ცეცხლით გამოცდაზე, ეს ადამიანები ცხოვრებაში იძენენ მდიდარ გამოცდილებას, მათი რწმენა საკუთარი თავისადმი, სიმამაცე და სიმტკიცე საღი გაგებით იზრდება, ისინი დიდსულოვნად უდრეკი ძალით სწავლობენ იმედგაცრუების, წარუმატებლობის გადატანას. ვინც ამგვარი გამოცდილებანი შეიძინა, ხშირ შემთხვევებში უკვე ხელდასხმულია, თანაც ისე, რომ წესიერად არც კი აქვს შეგნებული ეს და სულ ცოტაღა ესაჭიროება სულის სმენისა და მხედველობის გახსნისათვის, რათა ნათელმხილველი გახდეს. საჭიროა მტკიცედ დავიმახსოვროთ: ჭეშმარიტი **ცეცხლით გამოცდისას**, საქმე მოსურნეს ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაში როდია. მართალია, იგი ეცნობა უჩვეულო ფაქტებს, რომელთა შესახებაც სხვა ადამიანებს წარმოდგენაც კი არა აქვთ, მაგრამ ეს ცოდნა მიზანი როდია, არამედ — საშუალება მიზნის მისაღწევად. ხოლო მიზანია ზენა სამყაროების შემეცნებით მოწაფემ მოიპოვოს უფრო მეტი და ნამდვილი ნდობა საკუთარი თავის მიმართ, მეტი სიმამაცე, სრულიად სხვაგვარი დიდსულოვნება და გამძლეობა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ მიიღწევა მსოფლიურ ყოფაში.

ცეცხლით გამოცდის შემდეგ ყველა მოსურნეს შეუძლია უკანვე დაბრუნება. ფიზიკურად და სულიერად გაძლიერებულს შეუძლია განაგრძოს ცხოვრება და მხოლოდ მომავალ გარდასხეულებაში წაიწიოს წინ ხელდასხმის გზაზე. თავის აწინდელ ცხოვრებაში კი იგი ადამიანთა საზოგადოების ადრინდელზე მეტად საჭირო წევრი ხდება. რა მდგომარეობაშიც არ უნდა აღმოჩნდეს ის, მისი სიმტკიცე და წინდახედულობა კეთილისმყოფელ ზეგავლენას მოახდენს მოყვასზე, მისი გადამჭრელობა უწინდელზე ბევრად მოიმატებს.

თუ ცეცხლით გამოცდას გამოვლილი კანდიდატი იდუმალთგანსწავლის გაგრძელებას მოინდომებს, მის წინაშე ახლა უნდა გაიხსნას ერთგვარი წერილობითი სისტემა, ისე როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე იდუმალთგანსწავლისას. ამ წერილობით სისტემაში გაცხადდებიან საკუთრივ იდუმალთსწავლანი. ის, რაც საგნებში ნამდვილად **„დაფარულია“**, (ანუ ოკულტური) შეუძლებელია ყოველდღიურობის ენის მეოხებით უშუალოდ გადმოიცეს ან ჩვეულებრივი წერილობითი სისტემის საშუალებით გამოიხატოს. ისინი, ვინც დაემოწაფებიან ხელდასხმულთ, იდუმალთსწავლებას **თარგმნიან** ყოველდღიურობის ენაზე, ცხადია, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ოკულტური დამწერლობა გაცხადდება ადამიანის წინაშე, როდესაც ეს უკანასკნელი მიაღწევს სულიერ აღქმას. ეს დამწერლობა მუდამ გამოსახულია სულიერ სამყაროში, თუმცა არ შეისწავლება ისე, როგორც ხელოვნური დამწერლობის კითხვა. ადამიანი კანონზომიერად იზრდება ნათელმხილველური შემეცნების მიმართ, და ამ ზრდის პროცესში მშვინვიერი უნარის მსგავსად ვითარდება ძალა, რომელიც უბიძგებს სულიერ სამყაროში მისი გარემომცველი მოვლენების და არსებების დამწერლობის ამოხსნისაკენ. ისეც ხდება, რომ ეს ძალა და მასთან ერთად სამშვინველის განვითარების შესაბამისი შეგრძნება **გამოცდისა**, თავისთავად გამოიღვიძებენ ხოლმე. მიზანს უფრო დამაჯერებლად მივაღწევთ, თუ ძიებით გამო-

ცდილი იდუმალთმკვლევარის მითითებებს, რომლებიც ოკულტურის დამწერლობის ამოხსნისას მიხვედრილობას იჩენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდუმლო დამწერლობის ასო — ნიშნები როდი არიან თვითნებურად შერჩეულ ზულნი, არამედ ისინი შეესაბამებიან ძალებს, რომლებიც სამყაროში მოქმედებენ. ამ ასო — ნიშანთა მეოხებით შესაძლებელია საგნების ენის სწავლა. ხელდასხმის კანდიდატისათვის მალე ცხადი გახდება, რომ მის მიერ შეცნობილი ასო-ნიშნები, ფიგურები, ფერები, ბგერები და ა.შ. შეესაბამებიან იმას, რისი აღქმაც მან უკვე ისწავლა მომზადებისა და განსხივოსნების დროს. მისთვის ნათელი ხდება, რომ აქამდე თურმე იგი ანაბანას სწავლობდა და მხოლოდ ახლაღა იწყებს ზენა სამყაროებში კითხვას. უდიდეს ურთიერთკავშირში წარმოუდგება ამიერიდან ყოველივე ის, რაც აქამდე ცალკეულ ფიგურას, ბგერას, ფერს გამოხატავდა. მხოლოდ ახლა, ზენა სამყაროებზე დაკვირვებისას ეუფლება მას ჭეშმარიტი დამაჯერებლობა. თუ უწინ მას არ შეეძლო გარკვევით სცოდნოდა, რაოდენ მართებული იყო საგნების მისებური ხედვა, ახლა შესაძლებელი ხდება ურთიერთგაგება კანდიდატსა და ხელდასხმულს შორის უფრო მაღალი ცოდნის სფეროებში. როგორადაც არ უნდა წარიმართოს ხელდასხმულის სხვა ადამიანთან თანაცხოვრება, პირველ მათგანს უმაღლესი ცოდნიდან რაიმეს **უშუალო** გაზიარება შეუძლია მხოლოდ ზემოხსენებულ ნიშანთა ენის მეოხებით.

ამ ენის საშუალებით იდუმალთმოწაფე ეცნობა აგრეთვე ცხოვრებაში ქცევის ზოგიერთ წესს. იგი შეიტყობს ზოგიერთი მოვალეობის შესახებ, რაზეც არა უწყოდა რა. გაეცნობა რა ქცევის ამ წესებს, მას შეუძლია იმდენად მნიშვნელოვანი საქმეების ჩადენა, როგორადაც არასოდეს შეფასდება არახელდასხმულის მიერ გაკეთებული საქმე. იგი მოქმედებს ზენა სამყაროებიდან; მითითებანი ამგვარი მოქმედებისათვის შესაძლოა ამოკითხულ იქნას მხოლოდ ზემოაღნიშნული დამწერლობის საშუალებით.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არიან ადამიანებიც, რომელთაც **გაუცნობიერებლად** შეუძლიათ ამგვარი მოქმედება იდუმალთგანსწავლის გარეშეც. ეს სამყაროს და კაცობრიობის შემწენი მოაბიჯებენ ცხოვრებაში ისე, რომ თან მოაქვთ კურთხევა და ქველმოქმედება. სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელთა შესახებაც დაწვრილებით მსჯელობა აქ უადგილოდ მიგვაჩნია, მათ ნაბოძები აქვთ ისეთი მადლი, რომელიც ზებუნებრივად ითვლება და რაც მათ იდუმალთმოწაფისაგან განასხვავებს. ესაა, რომ ეს უკანასკნელი ცნობიერად, ყველა ურთიერთკავშირების სრული **გააზრებით** მოქმედებს. იგი განსწავლის წყალობით აღწევს იმას, რაც პირველთ ზენა ძალთა მიერ სამყაროსთვის სასიკეთოდ მიემადლებათ. ღვთის მიერ დაჯილდოებულნი იმსახურებენ ჭეშმარიტ თაყვანისცემას; მაგრამ ამის გამო განსწავლისათვის გაწეული შრომა ზედმეტად არ უნდა ჩაითვალოს.

თუ იდუმალთმოწაფემ ხსენებული ნიშნებრივი დამწერლობა შეისწავლა, შემდგომ მისთვის დაიწყება მორიგი „გამოცდა". ამ გამოცდამ უნდა წარმოაჩინოს, თუ რამდენად შეუძლია მას თავისუფლად და დამაჯერებლად მოძრაობა ზენა სამყაროში. ყოველდღიურობაში ადამიანს მოქმედებისაკენ გარესამყაროული მიზეზები უბიძგებენ. იგი ასრულებს ამა თუ იმ სამუშაოს ამა თუ იმ მოვალეობის გამო. ალბათ, საჭირო აღარ არის იმის შეხსენება, რომ იდუმალთმოწაფემ არ უნდა აარიდოს თავი

ყოველდღიური ცხოვრების არცერთ მოთხოვნას მისი **ზენა სამყაროებში დამკვიდრების** გამო. **არც ერთმა** ზენა სამყაროულმა ვალდებულებამ **არ უნდა აიძულოს** იდუმალთმოწაფე უგულებელჰყოს თავისი ყოველდღიური მოვალეობანი. ოჯახის მამა ოჯახის კარგ მამადვე რჩება, დედა აგრეთვე კარგ დედად, მოხელე ზურგს არ შეაქცევს თავის სამსახურს, ისევე როგორც ჯარისკაცი ან ვინმე სხვა, იდუმალთმოწაფედ გახდომისას. პირიქით: ყველა ის თვისებანი, რომელთა წყალობითაც ადამიანი უფრო საქმიანი ხდება, იდუმალთმოწაფეში იმდენად იზრდებიან, რომ არახელდასხმულს წარმოდგენაც კი არ შეუძლია იქონიოს ამის შესახებ. როდესაც არახელდასხმულს ხანდახან ეჩვენება, რომ ეს სულაც არ არის ასე, ზოგჯერ ხდება იმის გამოც, რომ მას ყოველთვის არ შეუძლია ხელდასხმულის სწორად განსჯა. ხელდასხმულის ქცევანი ხანდახან არ არის იმთავითვე გასაგები, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეინიშნება.

ხელდასხმის ზემოაღნიშნულ საფეხურს მიღწეულთათვის არსებობს მოვალეობები, რომლებსაც არ განაპირობებენ არანაირი **გარეგანი** მიზეზები. ამ შემთხვევაში ადამიანს გარეგანი მიზეზები კი არ ამოძრავებენ, არამედ ის წესები, რომლებიც მისთვის დაფარული ენის მეოხებით გაცხადდება. ამჯერად მან ამ მეორე „გამოცდის“ საშუალებით უნდა აჩვენოს, რომ იგი ამ წესის დაცვისას ისევე საიმედოდ და მყარად მოქმედებს, როგორც მოხელე თავისი მოვალეობების შესრულებისას. ამ მიზნით იდუმალთგანსწავლა ხელდასხმის კანდიდატს გარკვეული ამოცანის წინაშე დააყენებს. მან რაღაც უნდა მოიმოქმედოს იმის საფუძველზე, რაც შეისწავლა მომზადებისა და განსხივოსნების საფეხურზე, ხოლო ეს ქმედება კი უნდა შეიმეცნოს უკვე ათვისებული ზემოხსენებული საიდუმლო დამწერლობის საშუალებით. თუ მას თავისი მოვალეობა შემეცნებული აქვს და სწორად მოქმედებს, მაშინ გამოცდასაც დასძლევს. წარმატება ამოიცნობა ცვლილებების მიხედვით, რომელიც ამ ქმედების შედეგად მოხდება ხატებში, ფერებსა და ბგერებში, სულიერი სმენა და მხედველობა რომ აღიქვამს. იდუმალთგანსწავლა საკმაოდ ზუსტად მიგვითითებს, თუ როგორ გამოიყურებიან ეს ფიგურები და ა.შ. აღნიშნული ქმედების შედეგად. ხელდასხმის კანდიდატმა უნდა იცოდეს, თუ რას ძალუძს ამგვარ ცვლილებათა გამოწვევა. ამ გამოცდას „წყლით გამოცდა“ ეწოდება, რადგანაც მაღალ საუფლოებში მოქმედებისას ადამიანი ვეღარ პოულობს დასაყრდენს წყალში მცურავის მსგავსად, ფსკერს ფეხით რომ ვერ ეყრდნობა. პროცესი იმდენჯერ უნდა განმეორდეს, ვიდრე ხელდასხმის კანდიდატი სრულ დამაჯერებლობას არ იგრძნობს საკუთარ თავში.

ამ გამოცდის შემთხვევაშიც მთავარია გარკვეული თვისების შეძენა; ზენა სამყაროებში მიღებული გამოცდილებების წყალობით, ადამიანი ამ თვისებას მოკლე ხანში იმდენად მაღალ დონეზე გამოიმუშავებს, რისთვისაც ნორმალური განვითარების პირობებში მრავალი გარდასხეულება დასჭირდებოდა. საქმის არსი შემდეგშია: ხელდასხმის კანდიდატს ყოფიერების უმაღლეს საუფლოში მითითებული გარდაქმნის მოსახდენად შეუძლია მხოლოდ მას მისდიოს, რაც უმაღლესი აღქმის საფუძველზე გაეხსნა და რაც შედეგია საიდუმლო დამწერლობის წაკითხვისა. თუ მის ქმედებას შემოერევა რაიმე მის სურვილთაგან, შეხედულებათაგან და ა.შ. მაშინ მიჰყვება არა თავის მიერვე ჭეშმარიტად ნაცნობ კანონებს, არამედ თვითნებურად გაირჯება. ასეთ დროს მოხდება სრულიად სხვა რამ, ვიდრე უნდა მომხდარიყო:

ხელდასხმის კანდიდატი დაჰკარგავს ორიენტაციას თავისი მიზნისკენ და დაიბნევა. — ამიტომაც ადამიანს ამ გამოცდის საშუალებით ეძლევა მრავალმხრივი შესაძლებლობა საკუთარი **თავის ფლობის** გამომუშავებისთვის. საქმეც ამაში მდგომარეობს. ეს გამოცდა უფრო ადვილად შეუძლიათ ჩააბარონ მათ, რომელთაც ხელდასხმამდე გამოიარეს ისეთი ცხოვრება, რამაც საკუთარი თავის ფლობა შეაძლებინა. ვინც მოიპოვა უნარი მისდიოს უმაღლეს წესებს და იდეალებს პიროვნული განწყობილებებისა და თვითნებობის უგულებელჰყოფით, ვისთვისაც ცნობილია, რომ მოვალეობა სწორედ იქ არის შესრულებული, სადაც სხვადასხვა სურვილები და სიმპატიები ცდილობენ ხელი ააღებინონ მას ამ მოვალეობის შესრულებაზე, იგი არაცნობიერად უკვე ხელდასხმულია ყოველდღიურ ცხოვრებაში. მხოლოდ მცირეოდენი იქნება საჭირო, რათა მან ჩააბაროს აღწერილი გამოცდა. შესაძლოა ითქვას, რომ ცხოვრებაში არაცნობიერად მოპოვებული ხელდასხმის გარკვეული დონე წესით საკმარისი უნდა იყოს, მეორე გამოცდის გასავლელად. ისე როგორც მრავალთათვის, ვისაც წერა-კითხვა სიყმაწვილეში მართებულად არ უსწავლია, ძნელია ამისი ანაზღაურება მოწიფულ ასაკში, ასევე ძნელია საკუთარი **თავის ჯეროვანი ფლობის** გამომუშავება ზენა სამყაროთა განჭვრეტისას, თუ ეს რამდენადმე მაინც არ აგვითვისებია ყოველდღიური ცხოერების მანძილზე. ფიზიკური სამყაროს საგნები არ იცვლებიან ჩვენი სურვილის, გულისთქმის, ლტოლვის მიხედვით. ზენა სამყაროებში კი ჩვენი სურვილები, გულისთქმანი და მისწრაფებანი **ზემოქმედებენ** საგანზე. თუ გვსურს იქიდან შესაბამისად ვიმოქმედოთ ამა თუ იმ საგანზე, სავსებით უნდა ვფლობდეთ საკუთარ თავს, სრულიად მართებულ წესებს უნდა მივსდიოთ და არ დავექვემდებაროთ არანაირ თვითნებობას.

ხელდასხმის ამ საფეხურზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანურ თვისებათა **განსჯის** უპირობოდ **ჯანსაღი და საიმედო უნარი.** მის გამომუშავებას ყურადღება უნდა ექცეოდეს უკვე ადრეულ საფეხურებზე. ასეთ დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს, თუ რამდენად ფლობს ხელდასხმის კანდიდატი ამგვარ განსჯას; რამდენად შეეფერება ეს შემეცნების ჭეშმარიტ გზას. წინსვლა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ილუზია, ფანტაზიის ამაო ჩვენებები, ცრურწმენა და ყოველგვარი აჩრდილები გამოირჩევა რეალური სინამდვილისაგან. ეს ყოფიერების უმაღლეს საფეხურებზე უფრო ძნელია, ვიდრე დაბალ საფეხურებზე. აქ ყოველგვარი წანამძღვრები, ყველა ჩვეული შეხედულებანი უნდა გაჰქრნენ იმ საგანთა წინაშე, რომელთაც ვეხებით. მხოლოდ და მხოლოდ **ჭეშმარიტება** უნდა იყოს გზის მაჩვენებელი ძაფის გორგალი. აუცილებელია სრული მზადყოფნა მაშინვე მივატოვოთ ესა თუ ის აზრი, შეხედულება ან მისწრაფება, თუკი ამას ლოგიკური აზროვნება მოითხოვს. ზენა სამყაროში ადამიანს დამაჯერებლობა დაეუფლება მაშინ, როდესაც იგი არასოდეს დაინდობს საკუთარ შეხედულებას.

ის ადამიანები, რომლებიც თავიანთ აზროვნებაში მიდრეკილნი არიან ფანტასტიკისაკენ და ცრურწმენისაკენ, ვერ შესძლებენ წარმატების მიღწევას იდუმალთმეტყველების გზაზე. იდუმალთმოწაფემ ხომ ფასდაუდებელ საუნჯეს უნდა მიაკვლიოს აქ. ყოველგვარი **ეჭვები** ზენა სამყაროთა არსებობის შესახებ გაჰქრებიან მისთვის. ახლა მის თვალწინ ეს მთელი სისრულით გაცხადდება, მაგრამ ის ვერ შესძლებს მოიპოვოს აღნიშნული საუნჯე, ვიდრე თავს მოიტყუებს აჩრდილებითა და წარმო-

სახვებით. ცუდად წაუვა საქმე იმას, ვისი ფანტაზიაც და წანამძღვრებიც მის განსჯასთან ერთად აღმოჩნდებიან სულიერ სამყაროში. მეოცნებეები და ფანტასტები ისევე გამოუსადეგარნი არიან იდუმალთმეტყველების გზაზე, როგორც ცრურმორწმუნენი. ეს შეფასება არც არის საკმარისი: „მეოცნებეობაში, ფანტასტიკასა და ცრურწმენაში შეფარულნი არიან უბოროტესი მტრები ზენა სამყაროების შემეცნებისათვის.“ ამასთან, არავინ უნდა ჩათვალოს, რომ იდუმალთმოწაფე დაჰკარგავს ცხოვრებისეული პოეზიის შეგრძნების და აღფრთოვანების უნარს, რაკი ხელდასხმის მეორე გამოცდისაკენ მიმავალ კარიბჭეზე წარწერილია: „ჯანსაღი ადამიანური განსჯის გარეშე ამაო იქნება შენი ყველა ნაბიჯი“.

თუ ხელდასხმის კანდიდატი ამ მხრივ საკმარისად დაწინაურდება, მოელის მესამე „გამოცდაც“. აქ მის წინაშე დასახული არ არის რაიმე მიზანი, აწი მის ხელთაა ყველანაირი გადაწყვეტილების მიღება. იგი ჩაყენებულია ისეთ მდგომარეობაში, როდესაც აღარაფერი უბიძგებს მას სამოქმედოდ. მან სავსებით მარტომ უნდა გაიგნოს საკუთარი გზა. საგნები და პიროვნებები, რომლებიც უბიძგებდნენ ხოლმე, აღარ არსებობენ მისთვის. საკუთარი თავის გარდა არავის და არაფერს აღარ შეუძლია მისცეს მას საჭირო ძალა და თუკი ვერ იპოვნის ამ ძალას საკუთარ თავში, სულ მალე აღმოჩნდება იქ, სადაც ადრე იდგა. უნდა ითქვას, რომ მხოლოდ მცირედნი თუ ვეღარ შესძლებენ ამ ძალის პოვნას მათვან, ვინც წინა გამოცდებს ვერ გაუძლეს. ეს ნიშნავს, რომ ან თავიდანვე ჩამორჩებიან, ან სძლევენ ამ შემთხვევაშიც. საქმე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საჭიროა სწრაფად მივხედოთ საკუთარ თავს. უნდა ვიპოვნოთ ჩვენი „უმაღლესი მეობა“ ამ სიტყვის ყველაზე ჭეშმარიტი გაგებით. საჭიროა მივიღოთ სწრაფი გადაწყვეტილება და ყველა შემთხვევაში შევძლოთ ყურის მიგდება სულისმიერი შთაგონებებისათვის. დრო მოფიქრებისთვის და ეჭვებისთვის ამ შემთხვევაში აღარ რჩება. თითოეული წუთით დაყოვნება მხოლოდ იმას დაადასტურებდა, რომ ადამიანი ჯერაც არ არის მომწიფებული. უშიშრად უნდა გადავლახოთ ის, რაც არ გვაცლის სულისთვის ყურის დაგდებას. აუცილებელია ამ მდგომარეობაში გამოვავლინოთ ჩვენში **არსებული სული**. ეს ის თვისებაა, რომლის სრულყოფილად გამომუშავებაც არის გათვალისწინებული განვითარების ამ საფეხურზე. თავს აღარ იჩენს არავითარი საცდური მოქმედების ან აზროვნების დროს, რასაც ადამიანი უწინ მიჩვეული იყო. ადამიანმა **არ უნდა დაჰკარგოს საკუთარი თავი**, რათა უმოქმედოდ აღარ დარჩეს. მან მხოლოდ საკუთარ მე-ში უნდა მოსძებნოს ის საფუძველი, რასაც დაეყრდნობა. არავინ, ვინც ამას წაიკითხავს საქმეში რამდენადმე ჩაუხედავად, არ უნდა განეწყოს ანტიპატიით საკუთარი თავისადმი ამგვარი მიკუთვნების მიმართ. ადამიანისთვის უმაღლესი ნეტარება იქნება, თუ ის გაუძლებს აღწერილ გამოცდას.

იმ თვალსაზრისით ყოველდღიურობა ბევრისთვის უკვე იდუმალთგანსწავლაა სხვა შემთხვევებზე არანაკლებ. იგი ნამდვილი განსწავლაა მათთვის, ვინც ცხოვრებისეული ამოცანების პირისპირ დაყოვნებისა და ბევრი ფიქრის გარეშე მზად არის სწრაფი გადაწყვეტილების მისაღებად. ამ მხრივ ყველაზე შესაფერისია ისეთი მდგომარეობა, როდესაც წარმატება გამოირიცხება იმწამსვე, თუ ადამიანი დაუყოვნებლივ არ იმოქმედებს. ვინც დაუყოვნებლივი მოქმედებისთვის მზად არის, მაშინაც, როდესაც განსაცდელი კარსაა მომდგარი და მცირეოდენი შეფიქრიანება უკვე

უბედურებას მოიტანდა, ვისაც სწრაფი გადაწყვეტილების უნარი მუდმივ თვისებად უქცევია — მას არაცნობიერად უკვე მიულწევია მესამე „გამოცდის“ სიმწიფისათვის. აქ საქმე **სულის უცილობელი თანხლების** გამომუშავებაშია. იდუმალთმოწაფეთა სკოლებში ამას ეწოდება „ჰაერით გამოცდა“, რადგან ხელდასხმის კანდიდატს არ შეუძლია დაეყრდნოს არც გარეგანი მოტივების მყარ ნიადაგს, არც მომზადებისა და განსხივოსნებისას მიღებულ განცდებს, ფერებად, ფორმებად და ა.შ. რომ წარმოუდგებიან: მას შეუძლია დაეყრდნოს საკუთარ თავს.

თუ იდუმალთმოწაფემ დასძლია ეს გამოცდა, მას უფლება ეძლევა შეაბიჯოს „უმაღლეს შემეცნებათა ტაძარში“. ის, რისი თქმაც კიდევ შეიძლება აქ, ამოიწურება მხოლოდ სიტყვაძუნწი მინიშნებებით. ის, რაც აქ უნდა მოიმოქმედოს მან, ხშირად ასეც გამოიხატება: იდუმალთმოწაფემ უნდა დასდოს „ფიცი“, რომ არაფერს „გასცემს“ იდუმალთსწავლათაგან. გამოთქმები „ვფიცავ“ და „გამცემლობა“ მაინც არ ყლერს საქმიანად და თავიდან შესაძლოა დაბნეულობაც კი გამოიწვიონ. აქ ლაპარაკი არ არის „ფიცის“ შესახებ ჩვეულებრივი გაგებით. უმალ შეიძლება ითქვას, რომ განვითარების ამ საფეხურზე ადამიანი იძენს შემდეგ **გამოცდილებას:** ის სწავლობს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს იდუმალთსწავლანი კაცობრიობის მსახურებისათვის. იგი იწყებს სამყაროს მართებულად გაგებას. აქ როდი იგულისხმება სრული დუმილი უმაღლეს ჭეშმარიტებათა შესახებ, არამედ მათი გამოყენება მართებული წესით, შესაბამისი ტაქტით. ის, რის გამოც სწავლობენ „დუმილს“, სრულიად სხვა რამ არის. იდუმალთმოწაფემ ეს დიდებული სათნოება უნდა შეიძინოს ბევრი ისეთი რამის მიმართ, რაზეც იგი ადრე ლაპარაკობდა, განსაკუთრებით კი იმის მიმართ, თუ როგორ ლაპარაკობდა ის. ცუდად მოიქცეოდა ის ხელდასხმული, ვინც შეცნობილ საიდუმლოებებს სამყაროს სამსახურად არ გამოიყენებდა ისე და იმ ზომით, რამდენადაც ეს შესაძლებელია. იმ სფეროში ცოდნის გადაცემისას არ არსებობს სხვა რამ დაბრკოლება, თუ არა მიუხვედრელობა მათი მხრიდან, ვინც ეს შემეცნება უნდა გაიზიაროს. უმაღლესი ჭეშმარიტებანი არ გამოდგებიან ფუჭსიტყვაობისათვის. ხოლო იმისთვის, ვინც განვითარების აღწერილ საფეხურს მიაღწია, არ არის აკრძალული რაიმეს გაზიარება. არც ერთი სხვა ადამიანი ან არსება მას ასე არ დააფიცებს. ყველაფერზე ის პირადადაა პასუხისმგებელი. იგი სწავლობს ყველა ვითარებაში თვითვე მიაკვლიოს იმას, რაც უნდა მოიმოქმედოს. „ფიცი“ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ადამიანის მომწიფებას ამგვარი პასუხისმგებლობისათვის.

თუ ხელდასხმის კანდიდატი ყოველივე ზემოაღწერილის მიმართ მომწიფდა, მას მიეცემა ის, რასაც ხატოვნად „დავიწყების სასმელი“ ეწოდება. კერძოდ, იგი ხელდასხმული იქნება იმგვარად მოქმედების საიდუმლოებაში, როდესაც ქვენა მეხსიერება გამუდმებით ვერ შეუშლის ხელს. ხელდასხმულისათვის ეს აუცილებელია. იგი გამუდმებით უნდა იყოს მინდობილი უშუალოდ აწმყოს. თუკი იმას, რაც დღეს შემემთხვა, განვსჯი გუშინდელის მიხედვით, მრავალმხრივ ცდომილებაში ჩავვარდები. ამით, ბუნებრივია, არ იგულისხმება ცხოვრებისეული გამოცდილების უარყოფა. საჭიროა მისი გათვალისწინება ყოველთვის, რამდენადაც ეს შესაძლებელია; მაგრამ როგორც ხელდასხმულს, ადამიანს უნდა გააჩნდეს უნარი ახლიდან, ყოველთვის საკუთარი თავიდან გამომდინარე განსაჯოს და საშუალება მისცეს განსჯილს აუმღ-

ვრეკლად იმოქმედოს მასზე წარსულის გვერდის ავლით. ყოველთვის მზად უნდა ვიყო, რომ ესა თუ ის საგანი ან არსება სავსებით ახალ გამოცხადებასთან მაზიარებს. ხოლო თუ ახალს განვსჯი ძველის მიხედვით, უთუოდ ცდომილებაში ჩავვარდები. ძველი გამოცდილების გახსენება სასარგებლოა ჩემთვის, რამდენადაც იგი მანიჭებს **ახლის დანახვის** უნარს. გარკვეული გამოცდილება რომ არ გაგვაჩნდეს, საერთოდ ვერ დავინახავდით საგანს ან არსებას, რომელიც წინ გვხვდება. მაგრამ ეს გამოცდილება უნდა ემსახურებოდეს იმას, რომ შევძლოთ ახლის **დანახვა** და არა განსჯა ახლისა ძველის მიხედვით. ამ მხრივ ხელდასხმული სრულიად გარკვეულ თვისებებს იძენს. ასე მის წინაშე გაცხადდებიან ისეთი საგნები, რომლებიც დაფარულნი რჩებიან არახელდასხმულისათვის.

მეორე „სასმელი", რომელიც მიეწოდება ხელდასხმულს, არის „მეხსიერების სასმელი". მისი საშუალებით იგი იძენს უნარს გამუდმებით ატაროს უმაღლესი საიდუმლოებანი საკუთარ ცნობიერებაში. ჩვეულებრივი მეხსიერება საკმარისი არ იქნებოდა საამისოდ. საჭიროა სავსებით შერწყმა უმაღლეს ჭეშმარიტებებთან. საჭიროა მათი არამარტო ცოდნა, არამედ ბუნებრივი ფლობა ცოცხალი ქმედებისას, ისევე როგორც ჩვეულებრივი ადამიანისათვის ჭამა ან სმა. იგი უნდა იქცეს გამუდმებულ ვარჯიშად, ჩვევად, მიდრეკილებად. უნდა მოვახერხოთ ისე, რომ მათზე ფიქრიც კი არ დაგვჭირდეს, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. ისინი უნდა გამოვლინდნენ თავად ადამიანში, წარმოსდინდნენ მასში, როგორც ორგანიზმის სასიცოცხლო ძალები. ამრიგად, სულიერი გაგებით ის სულ უფრო და უფრო ჩამოქნის საკუთარ თავს იმად, რადაც იგი ფიზიკური გაგებით ბუნებამ შექმნა.

პრაქტიკული მითითებანი

საკუთარ გრძნობებზე, აზრებზე და განწყობილებებზე მუშაობისას, როგორც ეს აღწერილია მომზადების, განსხივოსნებისა და ხელდასხმისათვის დაბეჭდილ თავებში, ადამიანის სამშვინველსა და სულში ადგილი აქვს ისეთივე დანაწევრებას, როგორიც ბუნებამ მის ფიზიკურ სხეულში მოახდინა. ამგვარ გადამუშავებამდე სამშვინველი და სული დაუნაწევრებელ მასას წარმოადგენენ. ნათელმხილველის მზერას ისინი წარმოუდგება, როგორც ერთმანეთში ჩახლართული სპირალისებრი ნისლეულები და ისინი უმეტესად აღიქმება როგორც სუსტად მოციმციმე მოწითალო, მოწითალო-მოყავისფრო ან მოწითალო-ყვითელი ფერები. გადამუშავების შემდეგ ისინი იწყებენ მოყვითალო-მწვანე, მომწვანო-ლურჯ ფერებად ნათებას და წარმოაჩენენ მწყობრ ნაგებობას. ადამიანი აღწევს ასეთ სიმწყობრეს და ამგვარად — უმაღლეს შემეცნებასაც, როდესაც იგი მოაწესრიგებს თავის გრძნობებს, აზრებსა და განწყობილებებს ისე, როგორც ბუნებამ მოიმოქმედა ეს მის სხეულებრივ ორგანიზაციაში. მსგავსად ხედვისა, სმენისა, მონელებისა, სუნთქვისა, მეტყველებისა და ა.შ. იდუმალთმოწაფე თანდათანობით სწავლობს სუნთქვას, ხედვას და ა.შ. სამშვინველის მეოხებით, ხოლო სმენას, მეტყველებას და ა.შ. — სულით.

აქ საჭიროა ზოგიერთი უფრო ზუსტი **პრაქტიკული** მითითების მოტანა, რომლებიც შეეხება სამშვინველისა და სულის უმაღლესი გაგებით აღზრდას. მათი დაცვა დასაშვებია სხვა წესთა გათვალისწინების გარეშეც, ისე, რომ შესაძლებელი გახდეს რამდენადმე წინსვლა იდუმალთმეტყველების გზაზე.

განსაკუთრებით საჭიროა ძალისხმევა **მოთმინების** გამოსამუშავებლად. ყოველი გამოვლინება მოუთმენლობისა დამადამბლავებლად, მომაკვდინებლად მოქმედებს ადამიანში მთვლემარე უმაღლეს უნარებზე. არ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ დღეს — ხვალვე გაგვეხსნას უსაზღვრო ხედვა ზენა სამყაროებისა. მაშინ ის, როგორც წესი, არ გაგვეხსნება. დაკმაყოფილება მცირედი მონაპოვრითაც, სიმშვიდე და აუმღვრევლობა სულ უფრო და უფრო განამტკიცებენ სამშვინველს. გასაგებია, რომ მოწაფე მოუთმენლად მოელის შედეგს. მაგრამ იგი ვერაფერს მიაღწევს, ვიდრე არ გაწვრთნის თავის მოუთმენლობას. არაფერს არგებს ისიც, თუ იგი ამ მოუთმენლობას ჩვეულებრივ ჩაახშობს. ამით ეს უკანასკნელი უფრო ძლიერი გახდება. ასე მოწაფე მხოლოდ თავს მოიტყუებს და მოუთმენლობა კიდევ უფრო მყარად დაისადგურებს მისი სამშვინველის სიღრმეებში. მხოლოდ მაშინ, როდესაც სავსებით გარკვეულ აზრს მივეცემით და ბოლომდე გავიშინაგნებთ მას, შესაძლოა რაღაცას მივაღწიოთ. ეს აზრია: „უნდა ყველაფერი ვიღონო ჩემი სამშვინველისა და სულის ჩამოყალიბებისათვის, ამასთან უნდა მშვიდად **ველოდო**, ვიდრე ზენა ძალები განსხივოსნების ღირსად მყოფენ“. როდესაც ეს აზრი ადამიანში იმდენად მომძლავრდება, რომ დამახასიათებელ ნიშნად ჩამოყალიბდება, ნიშნავს, რომ იდუმალთმოწაფე სწორ გზას ადგას. ასეთ დროს ეს დამახასიათებელი ნიშანი თვით გარეგნულშიც კი გამოიხატება. ადამიანის გამოხედვა მშვიდი ხდება, მოძრაობა დამაჯერებელი, გაფაწყვეტილებანი მკაფიო, ყოველივე, რასაც ნერვულს უწოდებენ, მოეშვება მას. თითქოსდა უმნიშვნელო, მცირე წესები აქ ძალაში შედიან. მაგალითად, ვიღაც შეურაცხჰყოფას გვაყენებს. იდუმალთმეტყველური აღზრდის მიღებამდე, ალბათ, ჩვენს გრძნობას მივმართავდით შეურაცხმყოფელის წინააღმდეგ, გაღიზიანება მო-

იცავდა ჩვენს არსებას. იდუმალთმოწაფეს კი ასეთ შემთხვევაში გაუჩნდება აზრი: „ამგვარი შეურაცხყოფა არაფერს შეცვლის ჩემს ღირსებებში“, და შემდეგ სიმშვიდითა და აუმღვრევლად, გაღიზიანების გარეშე მოიმოქმედებს იმას, რაც შეურაცხჰყოფის ზუსტი პასუხი იქნებოდა. საქმე იმაში როდია, რომ შეურაცხჰყოფა უბრალოდ გადავყლაპოთ, არამედ საჭიროა ჩვენი საკუთარი პიროვნების შეურაცხჰყოფას ისევე მშვიდად და დამაჯერებლად ვუპასუხოთ, როგორც სხვისი პიროვნების შეურაცხჰყოფას, ვისი დაცვის უფლებაც ჩვენ ასევე გაგვაჩნია. ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ იდუმალთმოწაფეობა მიმდინარეობს არა უხეშ, გარეგან პროცესებში, არამედ გრძნობათა და აზრთა დინების მშვიდი გარდაქმნის პირობებში.

მოთმინება მიმზიდველად მოქმედებს უმაღლესი ცოდნის საუნჯეებზე, ხოლო **მოუთმენლობა** უკუაგდებს მათ. სიჩქარით და შფოთით შეუძლებელია რაიმეს მიღწევა ყოფიერების უმაღლეს საუფლოებში. უწინარეს ყოვლისა, ადამიანში უნდა დადუმდნენ **სურვილი და გულისთქმა.** ეს სამშვინველის ის თვისებებია, რომელთა წინაშეც შიშნეულად უკუიქცევა ყოველგვარი უმაღლესი ცოდნა. რამდენადაც ფასეული არ უნდა იყოს უმაღლესი შემეცნება: — არ შეიძლება მოვინდომოთ, რომ ის ჩვენამდე მოვიდეს. ვისაც საკუთარი თავიდან გამომდინარე სურს მისი მოპოვება, ამას ვერასოდეს მოახერხებს. საამისოდ საჭიროა სულის სიღრმეში **მართალნი** ვიყოთ საკუთარი თავის წინაშე. საჭიროა საკუთარ შეცდომებს, სისუსტეებს და მანკიერებებს შინაგანი სიმართლით გავუსწოროთ თვალი. — იმ წუთს, როდესაც საკუთარ თავს შენ აპატიებ რაიმე სისუსტეს, ამით დასდებ დამაბრკოლებელ ლოდს იმ გზაზე, რომელსაც მაღლა მიჰყავხარ. ამგვარი ქვების გზიდან მოცილება შეგიძლია მხოლოდ თვითშემეცნების მეოხებით. შეცდომებისა და სისუსტეებისაგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა არსებობს: მათი სწორად შემეცნება, რასაც მხოლოდ სძინავს ადამიანის სამშვინველში და შესაძლოა მისი გამოღვიძება. ადამიანს აგრეთვე ძალუძს საკუთარი განსჯისა და გონების სრულქმნა, როდესაც სიმშვიდესა და აუმღვრევლობაში ნათელჰყოფს, თუ რაში მდგომარეობს მისი სისუსტე. ამგვარი თვითშემეცნება, ბუნებრივია, რთულია, რადგან თვითმოტყუების ცდუნება უზომოდ დიდია. ვინც მიეჩვევა მართლად ხედავდეს საკუთარ თავს, იგი შეაღებს უმაღლესი განჭვრეტის კარიბჭეს.

იდუმალთმოწაფისთვის უნდა გაჰქრეს ყოველგვარი ცნობისმოყვარეობა. იგი შეძლებისდაგვარად უნდა გადაეჩვიოს შეკითხვებს იმ საგნების შესახებ, რომელთა გაცნობაც მას სწადის მხოლოდ პიროვნული ცნობისწადილის გამო და მხოლოდ იმის შესახებ უნდა დასვას შეკითხვა, რაც დაეხმარება მისი არსების სრულქმნას განვითარების გზაზე. ამავე დროს, არ უნდა დაუჩლუნგდეს ცოდნისაგან გამოწვეული სიხარული და მისადმი ერთგულების გრძნობა. მან მოწიწებით უნდა მიუგდოს ყური ყოველივეს, რასაც ამგვარი მიზნისაკენ მივყავართ და ხელიდან არ უნდა გაუშვას შემთხვევა ამგვარი მოწიწების გამოსაწვევად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იდუმალთგანსწავლის დროს საკუთარი სურვილების სფეროს აღზრდა. შეუძლებელია დარჩენა **სურვილების** გარეშე. ხომ უნდა გვსურდეს კიდევაც ყოველივე, რის მისაღწევადაც ვირჯებით. მუდამ სრულდება ყველა სურვილი, რომლის მიღმაც სრულიად განსაკუთრებული ძალა დგას. ეს

ძალა წარმოსდგება ნამდვილი **შემეცნებიდან**: „ნუ ისურვებ მანამ, ვიდრე მოცემულ სფეროში ჭეშმარიტი ცოდნა არ მოგიპოვებია“, — ეს არის იდუმალთმოწაფეობის ერთ-ერთი ოქროს წესი. ბრძენი თავდაპირველად შეისწავლის სამყაროს კანონებს, მხოლოდ ამის შემდეგ იქცევიან მისი სურვილები ძალებად, რომლებიც აღასრულებენ. — შესაძლოა მოვიტანოთ აქ მაგალითი, რომელიც ცხადად ხსნის ამას: მრავალ ადამიანს, საკუთარი მოსაზრებიდან გამომდინარე, სურს რაღაც შეიტყოს თავისი ცხოვრების შესახებ დაბადებამდე. ამგვარი სურვილი სრულიად უმიზნო და უშედეგოა, ვიდრე მსურველი იდუმალთმეტყველური განსწავლის საშუალებით არ შეიმეცნებს კანონებს მარადიულის არსის შესახებ — თავის უფაქიზეს, უინტიმურეს წვრილმანებში. თუკი მან ეს შემეცნება ნამდვილად შეიძინა და სურს წინსვლა, გაკეთილშობილებული, განწმენდილი სურვილი დაეხმარება მას.

არაფერს გვარგებს თქმა: მსურს განვჭვრიტო ჩემი წინა ცხოვრება და მიზნის მისაღწევად უნდა ვისწავლო. უმჯობესია შევეცადოთ ამ სურვილის სრულიად ამოძირკვას და სწავლას ასეთი განზრახვის გარეშე. საჭიროა ჩვენში განვივითაროთ სიხარული, ერთგულება ნასწავლისადმი ხსენებული განზრახვის გვერდის ავლით. მხოლოდ ამის შედეგად შევძლებთ ისეთნაირად სურვებას, რომ მას შესრულებაც მოჰყვეს.

* * *

როდესაც **რისხვა** მეუფლება და **ვლიზიანდები**, მშვინვიერი სამყარო ჩემს გარშემო ალმართავს კედელს და ძალები, რომელთაც სულის მხედველობა უნდა გამიხსნან, ვეღარ ახერხებენ ჩემამდე მოსვლას. თუ, მაგალითად, რომელიმე ადამიანი მალიზიანებს მე, იგი იმავდროულად გამოსცემს სამშვინველისეულ მუხტს მშვინვიერ სამყაროში. ამ მუხტის დანახვა არ შემიძლია მანამ, სანამ გალიზიანების უნარი გამაჩნია. გალიზიანება ჩემი მზერის არედან ამოაგდებს მას. არც ის უნდა ვიფიქრო, რომ გალიზიანების გადავლასთან ერთად მშვინვიერი (ასტრალური) ხედვა გამეხსნება. ამისთვის აუცილებელია სულის მხედველობის განვითარება. ასეთი მხედველობის მონაცემები ჩადებულია ყველა ადამიანში და ისინი უმოქმედოდ რჩება, ვიდრე ადამიანს გააჩნია გალიზიანების უნარი. ისინი არ გამოიღვიძებენ არც მაშინ, თუ ადამიანმა გალიზიანება ცოტაოდენ დასძლია. საჭიროა განვაგრძოთ სიბრაზის დათრგუნვა ჩვენში სულ უფრო და უფრო მეტი მოთმინებით. მაშინ ერთ მშვენიერ დღეს ადამიანი შეამჩნევს, რომ სულის მხედველობა განუვითარდა. რასაკვირველია, გალიზიანების გრძნობა არ არის ერთადერთი, რისი დაძლევაც საჭიროა ამ მიზნით. მრავალნი გამოამჟღავნებენ მოუთმენლობას და შეეჭვდებიან, ვინაც წლების მანძილზე ირჯებოდნენ სამშვინველის გარკვეულ თვისებათა დასაძლევად, ხოლო ნათელხილვა მაინც არ გაეხსნათ. ასეთ შემთხვევაში მათ მართლაც დაუხვეწიათ ზოგიერთი თვისება, ხოლო დანარჩენი უარყოფითი თვისებები მიუშვიათ თავისნებაზე და ამით კიდევ უფრო მოუმძლავრებიათ. ნათელხილვის უნარი ადამიანს გაეხსნება მხოლოდ ყველა იმ თვისების დათრგუნვის შემდეგ, რომლებიც გამოვლინების საშუალებას არ აძლევენ შესაბამის უნარებს. რა თქმა უნდა, ხედვის (ან სმენის) საწყისები იმთავითვე იჩენენ თავს. თუმცა ეს იმდენად ნაზი ყლორტებია, რომ ადვილად ექვემდებარებიან ყველა შესაძლო შეცდომას და იოლად ჭკნებიან,

თუ ადამიანი დიდი რუდუნებით არ განაგრძობს მათ მოფრთხილებას და ზრუნვას. გადასალახ თვისებათა რიცხვს, რისხვისა და გალიზიანების მსგავსად, განეკუთვნება აგრეთვე სიმხდალე, ცრუმორწმუნეობა, მიდრეკილება წანამძღვრებისადმი გაბაზვისას, ამპარტავნება, პატივმოყვარეობა, ცნობისმოყვარეობა, მეტისმეტი გულგადახსნილობა, განსხვავებული ურთიერთობა ადამიანებთან თანამდებობის, სქესის და წარმომავლობის მიხედვით და ა.შ. ჩვენს დროში ძნელია შეგნება, რომ ამგვარ თვისებათა დაძლევას შესაძლოა რაიმე ურთიერთობა ჰქონდეს შემეცნების უნართა ამაღლებასთან. თუმცა ყოველმა იდუმალთმეტყველმა კი უწყის, რომ ამგვარ საგნებზე გაცილებით მეტია დამოკიდებული, ვიდრე ინტელექტის განვითარებაზე ხელოვნური სავარჯიშოების შესრულებით. განსაკუთრებით დიდი გაუგებრობა შეიძლება წარმოიშვას, თუ ვინმე იფიქრებს, რომ საჭიროა უაზრო სიმამაცე უშიშრობის გამოსამუშავებლად; თითქოს არ უნდა შევნიშნოთ განსხვავებანი ადამიანთა შორის, რადგან დაძლეულ უნდა იქნას წოდებრივი, რასიული და ა.შ. წანამძღვრები. ადამიანი სწორად შემეცნებას უფრო მაშინ სწავლობს, როდესაც თავისუფალია წანამძღვართაგან. თვით ჩვეულებრივი გაგებითაც სწორია, რომ შიში რაიმე მოვლენის წინაშე ხელს უშლის ადამიანს ამ მოვლენის ნათლად განსჯაში, რომ თუნდაც რასობრივი წანამძღვარი ხელს გვიშლის ჩავიხედოთ ადამიანის სულში. ეს „ჩვეულებრივი გაგება“ იდუმალთმოწაფემ უნდა მიიყვანოს დიდ სინატიფემდე და სიმახვილემდე.

ადამიანის იდუმალთაღზრდის გზაზე დაბრკოლების ლოდად იქცევა ყოველივე, რაც მას საფუძვლიანად არ განუწმენდია საკუთარ აზრებში. აქვე ყურადღება უნდა მიექცეს ერთ რასმე, რისი ახსნაც შესაძლებელია მაგალითით: თუ ვინმე რაიმე ისეთს მეუბნება, რასაც არ ვეთანხმები, უმალ საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციო მის მოსაზრებას, გრძნობას, თუნდაც წანამძღვარს, ვიდრე გამოვთქვა ჩემი აზრი მოცემული საგნის შესახებ. ამასთანავე აქ იგულისხმება გამომუშავება ნატიფი ტაქტისა, რისთვისაც საგულდაგულოდ უნდა გადასდოს თავი იდუმალთმოწაფემ. ამასთან მან უნდა განსაჯოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა თავისი საკუთარი მოსაზრების დაპირისპირება სხვა მოსაზრებასთან. თუმცა ამის გამო მან არ უნდა შეიკავოს თავი საკუთარი აზრის გამოთქმისაგან, ამაზე არც არის ლაპარაკი, მაგრამ საჭიროა შეძლებისდაგვარად ზუსტად მივუგდოთ ყური სხვას და მოსმენილიდან გამომდინარე ავაგოთ საპირისპირო მოსაზრება. ასეთ შემთხვევაში იდუმალთმოწაფის არსებაში ყოველთვის წამოიჭრება **ერთი** აზრი, და იგი სწორ გზას ადგას, თუ ეს აზრი მასში ხასიათის თვისებად გადაქცეულა. ეს აზრია: „საქმე ის კი არ არის, რომ მე ვინმესგან განსხვავებულად ვფიქრობ, არამედ ის, რომ მან თვითვე მიაგნოს ჭეშმარიტებას, თუკი მე გარკვეულწილად დავეხმარები ამ მხრივ“. ამგვარ აზრთა შედეგად იდუმალთმოწაფის ხასიათი და მოქმედების წესი განიმსჭვალება **ლმობიერებით,** რაც ესოდენ მნიშვნელოვანია იდუმალთგანსწავლისათვის. **სიუხეშე** განაფრთხობს შენგან იმ მშვინვიერ წარმონაქმნებს, რომელთაც უნდა აგიხილონ სულის მხედველობა, ლმობიერება კი ჩამოგაცილებს შენს სავალ გზაზე აღმართულ დაბრკოლებებს და გაგიხსნის შინაგანი ხედვის ორგანოებს.

ლმობიერებასთან ერთად სამშვინველში ერთი ახალი თვისება წარმოიქმნება: მშვიდი **დაკვირვება** გარესამყაროს ყველა სინატიფეებზე, როდესაც სრულიად **შე-**

ჩერებულია სამშვინველის ყოველგვარი მოძრაობა. თუ ადამიანმა ამას მიაღწია, მაშინ გარესამყაროული მშვინვიერი ძვრები მასზე იმგვარად იმოქმედებენ, რომ მისი სამშვინველი გაიზრდება და დანაწევრდება ისე, როგორც მცენარე იფუთება მზის ნათელში. ლმობიერება და სიჩუმე ჭეშმარიტი მოთმინებისას გახსნიან სამშვინველს მშვინვიერი სამყაროსათვის, სულს — სულიერი სამყაროსათვის. „მინებდი სიმშვიდესა და განდგომილებას, დაადუმე გრძნობანი ყოველივე იმის მიმართ, რაც გეუწყებოდა იდუმალთმოწაფეობის დაწყებამდე, დაადუმე ყველა აზრი, რომელიც უწინდელი ჩვეულებისამებრ მუდმივ ცვალებადობას იწვევდნენ შენში, სავსებით დადუმდი შენი არსების წიაღში და მოთმინებით ელოდე. ამის შემდეგ იწყებენ ზენა სამყაროები შენში სულიერი მხედველობის და სმენის გამოძერწვას. ნუ ელი, რომ ერთბაშად მოისმენ და განჭვრეტ მშვინვიერ და სულიერ სამყაროებში. ის რასაც შენ სჩადიხარ, მხოლოდ ეხმარება გრძნობის უმაღლესი ორგანოების ჩამოყალიბებას. სულის მხედველობით დაინახავ და სულიერი სმენით მოისმენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს ორგანოები მოგემადლება. თუ რამდენიმე ხანს დაჰყავი ამ სიჩუმესა და განდგომილებაში, შემდგომ დაუბრუნდი ყოველდღიურ საქმიანობას ისე, რომ შენს თავში ღრმად ალბეჭდო შემდეგი აზრი: კუთვნილი მომეცემა მაშინ, როდესაც სიმწიფეს მივაღწევ. უმკაცრესად აღკვეთე შენში მცდელობა, უმაღლეს ძალებს თვითნებურად გაბორჩ რაიმეს“. ეს ის მითითებებია, რომელთაც იდუმალთმოწაფე გზის დასაწყისშივე იღებს თავისი მასწავლებლისაგან. თუ იგი მათ იცავს, სრულქმნის საკუთარ თავს, ხოლო თუ არ იცავს, მაშინ ამაოა მისი გარჯა. მაგრამ ისინი ძნელი დასაცავია მხოლოდ მათთვის, ვისაც არ გააჩნია მოთმინება და მდგრადი ხასიათი. არ არსებობს სხვა დაბრკოლება, თუ არა ის, რასაც ადამიანი **თვითონვე** იქმნის საკუთარ გზაზე და გკერდის ავლასაც ნამდვილად შესძლებს, თუკი მოინდომებს. ამას კიდევ უნდა გაესვას ხაზი, რადგან მრავალნი მცდარ წარმოდგენებს იქმნიან დაბრკოლებათა შესახებ იდუმალთგანსწავლის გზაზე. გარკვეული თვალსაზრისით გაცილებით ადვილია ამ გზის პირველი საფეხურების გადალახვა, ვიდრე იდუმალთმეტყველური განსწავლის გარეშე ყოველდღიური ცხოვრების სიძნელეების დაძლევა — ამას გარდა აქ ნაუწყები იქნება ისეთი წესების შესახებ, რომელთაც თან არ ახლავს არავითარი საფრთხე სხეულებრივი და სულიერი ჯანმრთელობისათვის. ხომ არსებობს კიდევ სხვა გზებიც, რომლებსაც უფრო სწრაფად მივყავართ მიზანთან. თუმცა ჩვენს მიერ ნაგულისხმევთან ამ უკანასკნელთ არაფერი აქვთ საერთო. მათ შეუძლიათ ადამიანზე ისეთი ზემოქმედების მოხდენა, რასაც გამოცდილი იდუმალთმკვლევარი ერიდება. ზოგი რამ ხსენებული გზიდან საყოველთაოდ ცნობილი გახდა, ამადაც საჭიროა გარკვევით მინიშნება, თუ რა სახიფათოა მათზე დადგომა. იმ მიზეზთა გამო, რომლის გაგებაც ხელეწიფება მხოლოდ იდუმალთმეტყველს, არ შეიძლება ამ გზების თავიანთი ნამდვილი სახით ჩვენება. ცოდნის ნამსხვრევები, რომლებიც აქა-იქ თავს იჩენენ ხოლმე, როდი არიან სიკეთის მომტანნი, არამედ ისინი ძირს უთხრიან ჯანმრთელობას, ბედნიერებას და სულის მშვიდობას. ვისაც არ სურს სრულიად მიანდოს თავი ბნელეთის ძალებს, რომელთა ჭეშმარიტი არსებისა და წარმომავლობის შესახებ მან შეუძლებელია რაიმე იცოდეს, უმჯობესია მოერიდოს ამგვარი საქმიანობით თავის შეჭცევას.

ზოგი რამ უნდა ითქვას იმ გარემოს შესახებაც, რომელშიც იდუმალთგანსწავ-

ლის სავარჯიშოების შესრულება ეგების. ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს. თუმცა ეს ყველა ადამიანის შემთხვევაში სხვადასხვანაირად გამოიყურება: ვინც ვარჯიშობს ისეთ გარემოში, რომელიც მხოლოდ თავკერძა ინტერესებით, მაგალითად, არსებობისთვის ბრძოლის თანამედროვე ფორმებითაა აღბეჭდილი, მან უნდა იცოდეს, რომ ეს ინტერესები მოახდენენ გავლენას მისი მშვინვიერი ორგანოების ჩამოყალიბებაზე. თუმცა ამ ორგანოების შინაგანი კანონები იმდენად ძლიერია, რომ ეს ზეგავლენა არ იქნება ძალზე მავნებელი. ისე როგორც შროშანი, თვით არახელსაყრელ პირობებში არასოდეს გარდაიქმნება კლდის ქუჩად, ასევე სამშვინველისეული თვალი ვერ იქცევა სრულიად სხვა დანიშნულების მქონე საგნად მაშინაც კი, თუ თანამედროვე ქალაქების თავკერძა ინტერესები ზეგავლენას ახდენენ მასზე. მაგრამ ყველა შემთხვევაში კარგია, თუ იდუმალთმოწაფე დროდადრო აუმღვრეველი სიმშვიდის, ბუნებისეული კეთილშობილებისა და მომხიბლაობის გარემოში გადაინაცვლებს. განსაკუთრებით სასურველ გარემოში იმყოფება ის, ვინც თავის იდუმალთმოწაფეობას მცენარეული სამყაროს სიმწვანეში, ან მზის შუქით გასხივოსნებული მთებისა და ბუნების წარმტაც უბრალოებაში ატარებს. ამას შინაგანი ორგანოები ისეთ ჰარმონიაში მოჰყავს, როგორიც არასოდეს ელირსებოდათ მათ თანამედროვე ქალაქში. საქმე ქალაქის მაცხოვრებელზე უკეთესად მიუდის მას, ვისაც ბავშვობისას ჰქონდა საშუალება ესუნთქა ნაძვების სურნელი, ეცქირა დათოვლილი მწვერვალებისთვის, თვალყური ედევნებინა ტყის ცხოველებისა და მწერების მშვიდი ცხოვრებისთვის. მაგრამ მათ, ვისაც წილად ხვდათ ქალაქებში ცხოვრება, არ უნდა გამორჩეთ ჩამოყალიბების გზაზე მყოფი მშვინვიერი და სულიერი ორგანოების გამოკვება სულის მკვლევართა ზეშთაგონებული მოძღვრებებით: ვისაც არ ძალუძს ყოველ გაზაფხულზე თვალი მიადევნოს ტყეთა სიმწვანეს, მან თავის გულს უნდა მიაწოდოს ბჰაგავადგიტას, იოანეს სახარების, თომა კემპიელის ამაღლებული სწავლანი, სულისმეტყველურ გამოკვლევათა შედეგები. განჭვრეტის მწვერვალისაკენ მიმავალი მრავალი გზა არსებობს, მაგრამ აუცილებელია ერთი სწორი არჩევანის გაკეთება. სულის მკვლევარს შეუძლია ბევრი რამ ისეთი თქვას ამ გზების შესახებ, რაც არახელდასხმულს უცნაურადაც მოეჩვენება. მაგალითად, მავანი შესაძლოა ძალზე შორს იყოს წასული იდუმალთმეტყველების გზაზე. იგი შეიძლება უშუალოდ სულიერი მხედველობისა და სმენის გახსნის წინაშე იმყოფებოდეს. და თუ წილად ხვდა ბედნიერება იმოგზაუროს დაწყნარებულ ან სულაც აბობოქრებულ ზღვაში, სახვევი ჩამოსცილდება მის სამშვინველისეულ თვალს. იგი ხდება ნათელმხილველი. ვინმე სხვა ასევე შორსაა წასული და ეს სახვევი მის თვალთაგან მხოლოდ ჩამოხსნას მოითხოვს. ეს ხდება ბედისწერის ძლიერი დარტყმის შედეგად. სხვა ადამიანზე ეს დარტყმა მოახდენდა ისეთ ზეგავლენას, რომ გამოიწვევდა მის ძალთა სრულ პარალიზებას, მისი ენერგიის ჩახშობას. იდუმალთმოწაფისთვის ეს იქნებოდა განსხივოსნების საბაბი.

— კიდევ ვიღაც მესამე მოთმინებით იცდის. წლების მანძილზე იცდიდა ასე, შესამჩნევი ნაყოფის გარეშე. მოულოდნელად ოთახის სიმყუდროვეში მჯდარს სულიერი სინათლე მოიცავს, კედლები გაჰქრებიან და მშვინვიერად გამჭვირვალენი ხდებიან, ახალი სამყარო განივრცობა მისი აწ მხილველი თვალის წინაშე და იწყებს ჟღერას მისი აწ გახსნილი სულიერი სმენისათვის.

იდუმალთმოწაფეობის პირობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდუმალთგანსწავლის გზაზე შედგომის პირობების დადგენა თვითნებურად არავის შეუძლია. ისინი თავისთავად გამომდინარეობენ იდუმალთმეტყველური ცოდნის არსიდან. ისე როგორც ვერ გახდება მხატვარი ის ადამიანი, რომელსაც არ სურს ხელში ფუნჯის აღება, ასევე ვერავინ მიიღებს იდუმალთგანსწავლას, თუკი არ სურს იდუმალთმოძღვრის აუცილებელი მოთხოვნების შესრულება. არსებითად იდუმალთმოძღვარს მხოლოდ რჩევების მოცემა შეუძლია. ამ თვალსაზრისით მისაღებია ყველაფერი, რასაც ის ამბობს. მას უკვე გავლილი აქვს შემზადების გზა, რომელსაც მივყავართ ზენა სამყაროთა შემეცნებისაკენ და საკუთარი გამოცდილებიდან იცის, თუ რა არის საჭირო. ყოველი ადამიანის **თავისუფალ ნებაზეა** დამოკიდებული, სურს თუ არა იგივე გზით სიარული. ვინმეს რომ ეთხოვა მასწავლებლისაგან იდუმალთსწავლათა გაზიარება სათანადო პირობების შესრულების გარეშე, მაშინ ამგვარი მოთხოვნა ემგვანებოდა შემდეგს: მასწავლე ხატვა, ოღონდ ნუ დამავალებ ფუნჯის ხელში აღებასო. იდუმალთმოძღვარს არ შეუძლია რაიმეს შემოთავაზება, თუ არ არსებობს შემხვედრი თავისუფალი ნება ყოველივე ამის მიმღებისა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საკმარისი არ არის უმაღლესი ცოდნის მიღების ზოგადი სურვილი. ამგვარი სურვილი, ბუნებრივია, ბევრს ექნება. ვერაფერს მიაღწევს ის, ვისაც მხოლოდ სურვილი გააჩნია, მაგრამ არ სურს იდუმალთგანსწავლის საგანგებო პირობებში გარკვევა. ამაზე უნდა დაფიქრდნენ ისინიც, რომლებიც ჩივიან იდუმალთგანსწავლის სირთულეების გამო. ვისაც არ შეუძლია ან არ სურს მკაცრი პირობების დაცვა, **დროებით უარი უნდა თქვას** იდუმალთმოწაფეობაზე. პირობები თუმცა **მკაცრია,** მაგრამ **არა სასტიკი** და მათი შესრულება არათუ შეიძლება ჩაითვალოს თავისუფალ ქმედებად, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სწორედ ასეთს უნდა წარმოადგენდეს.

ვინც ამას არ გაიაზრებს, ადვილად შეიძლება იდუმალთგანსწავლის მოთხოვნილებები მოეჩვენოს ძალმომრეობად სულსა და სინდისზე. განსწავლა ხომ შინაგანი ცხოვრების გამომუშავებაზეა დაფუძნებული. იდუმალთმოძღვარმა, ამრიგად, უნდა გასცეს რჩევები, რომლებიც შეეხებიან ადამიანის შინაგან ცხოვრებას. ძალადობად არ უნდა ჩავთვალოთ, თუ ის მოითხოვს კიდევ რასმე, როგორც თავისუფალი გადაწყვეტილების შედეგს. ხოლო თუ ვინმემ თავის მასწავლებელს მოსთხოვა: გამიზიარე შენი საიდუმლოები, მაგრამ ისე, რომ შემინარჩუნო ჩემი ჩვეული შეგრძნებები, განცდები და წარმოდგენებიო, ამით იგი სავსებით შეუძლებელს მოითხოვს მისგან. გამოდის, რომ მას სურდა დაეკმაყოფილებინა მხოლოდ ცნობისმოყვარეობა, ცნობისწადილი. ამგვარი განწყობით კი ვერასოდეს მიიღწევა იდუმალთმეტყველური ცოდნა.

ახლა საჭიროა თანმიმდევრულად განიმარტოს იდუმალთმოწაფისათვის წაყენებული პირობები. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ შემთხვევაში არ მოითხოვება მათი **სრულყოფილად** დაცვა, არამედ საქმე ამგვარი დაცვისკენ **სწრაფვაშია** მხოლოდ. ამ პირობათა **სრულყოფილად** დაცვა ყველას არ შეუძლია, მაგრამ მათი შესრულებისკენ მიმავალ გზაზე დადგომა კი — ნებისმიერს. საქმე მხოლოდ ამგვარ გზაზე დადგომის სურვილსა და განწყობაშია.

პირველი პირობაა: საჭიროა ყურადღების გამახვილება იმაზე, რაც ხელს უწყობს

სხეულებრივ და სულიერ ჯანმრთელობას. თუ რამდენად ჯანმრთელია ადამიანი, ეს ბუნებრივია, მასზე არ არის დამოკიდებული. თუმცა ყველას შეუძლია მოინდომოს ეხმარებოდეს თავს ამ მიმართულებით. ჯანსაღი შემეცნება მხოლოდ ჯანმრთელ ადამიანს მოეკითხება. იდუმალთგანსწავლა არ უკუაგდებს არც სნეულ ადამიანს; მაგრამ იგი მოითხოვს მისგან ნებას ჯანმრთელი ცხოვრებისაკენ. — ამ მხრივ ადამიანმა შეძლებისდაგვარად დამოუკიდებლობა უნდა მოიპოვოს. სხვათა კეთილი რჩევები, ხშირად დაუკითხავად რომ ურიგებენ ყველას, აქ სრულიად ზედმეტია. ყველა უნდა ისწრაფოდეს, თვალყური ადევნოს საკუთარ თავს. ფიზიკური თვალსაზრისით საქმე უმალ მავნე ზეგავლენათა მოცილებაშია, ვიდრე სხვა რამეში. მოვალეობათა შესრულებისას ჩვენ გვიწევს ისეთ საქმეთა აღება საკუთარ თავზე, რომლებიც არ არის ხელსაყრელი ჩვენი ჯანმრთელობისათვის. ადამიანს უნდა შეეძლოს აუცილებლობის შემთხვევაში მოვალეობა დააყენოს ჯანმრთელობაზე ზრუნვაზე უფრო მაღლა. მაგრამ კეთილი ნების გამოვლენის შემთხვევაში რამდენ რამეზეა შესაძლებელი უარის თქმა! მოვალეობა ხშირ შემთხვევებში უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე ჯანმრთელობა, ხშირად თვით სიცოცხლეზე უფრო მაღლაც კი. იდუმალთმოწაფე არასოდეს უნდა მიეძალოს **ტკბობას**. ტკბობა მისთვის შეიძლება იქცეს ჯანმრთელობის და სიცოცხლის **საშუალებად**. ამ მხრივ საჭიროა სავსებით პირნათელნი და მართალნი ვიყოთ საკუთარი თავის წინაშე. არავითარ სარგებელს არ მოგვიტანს არც ასკეტური ცხოვრება, თუ ის წარმოსდგება იგივე მისწრაფებიდან, საიდანაც სხვა დანარჩენი სიამენი. შესაძლოა ვინმე იგივე სიამოვნებას ჰპოვებდეს ასკეტიზმში, რასაც სხვა ღვინის სმაში ჰპოვებს. მაშინ მას არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ეს ასკეტიზმი რამენაირად წაადგება უმაღლესი შემეცნებისათვის. მრავალ ადამიანს თავიანთი ცხოვრებისეული მდგომარეობის ბრალი ჰგონია, თუ ხელი ეშლება ამ მიმართულებით წინსვლაში. ერთნი ამბობენ: „ასეთ ცხოვრებისეულ პირობებში არ შემიძლია განვითარება“. სხვებს სურთ საერთოდ შეიცვალონ ცხოვრებისეული მდგომარეობა. იდუმალთგანსწავლის მიზნით კი არც ერთ ადამიანს არ ესაჭიროება ამის გაკეთება. საამისოდ საჭიროა სწორედ იმ მდგომარეობაში, რომელშიც ვიმყოფებით, შეძლებისდაგვარად ბევრი გავაკეთოთ ჩვენი ხორციელი და სულიერი ჯანმრთელობისათვის. ყოველგვარი სამუშაო შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს მთელი კაცობრიობისათვის. გაცილებით უფრო დიდებულად მოსჩანს ადამიანისგან იმის განცხადება, თუ რაოდენ საჭიროა თვით უმცირესი, შესაძლოა უმსგავსი სამუშაოც კი ამ მთლიანობისათვის, ვიდრე შემდეგნაირად ფიქრი: „ეს სამუშაო არ შემეფერება, მე სხვა რამისთვის ვარ მოწოდებული“. იდუმალთმოწაფისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწრაფვა სულიერი ჯანმრთელობისაკენ. სამშვინველისა და აზრთა არაჯანსაღი ცხოვრება მხოლოდ გადაგვახვევინებს უმაღლესი შემეცნების გზიდან. ნათელი, მშვიდი აზროვნება, სანდო გრძნობები და შეგრძნებები წარმოქმნიან აქ საფუძველს. მოწაფემ უნდა ჩამოიცილოს ყოველგვარი მიდრეკილება მეოცნებეობისაკენ, აღგზნებისაკენ, შფოთისაკენ, ეგზალტაციისაკენ, ფანატიზმისაკენ. მან უნდა გაითავისოს ჯანმრთელი შეხედულება ცხოვრების ყველა გარემოებზე. ის საიმედოდ უნდა ერკვეოდეს ცხოვრებაში, უნდა მისცეს საშუალება საგნებს, ესაუბრებოდნენ მას და იმოქმედონ მასზე. იგი უნდა ცდილობდეს ყველგან, სადაც ეს საჭიროა, თავისი მისაგებელი მიაგოს ცხოვრებას, მოერი-

დოს ყოველგვარ უკიდურესობას, ცალმხრივობას განსჯასა და შეგრძნებაში. თუ ეს პირობები არ შესრულდება, იდუმალთმოწაფე ზენა სამყაროთა ნაცვლად საკუთარი ფანტაზიის სამყაროში აღმოჩნდება, ხოლო ნაცვლად ჭეშმარიტებისა, [illegible] ძალაში შევა ჩვეული შეხედულებანი. იდუმალთმოწაფე უმჯობესია ფხიზელი იყოს, ვიდრე ეგზალტირებული და მეოცნებე.

მეორე პირობაა თავს შევიგრძნობდეთ ცხოვრების, როგორც ერთი მთლიანობის, ნაწილად. ეს პირობა ბევრ რასმე გულისხმობს, მაგრამ ყველას თავისებურად შეუძლია მისი შესრულება. თუ მე აღმზრდელი ვარ და ჩემი აღსაზრდელი არ არის ჩემთვის სასურველი, უნდა განვეწყო არა ამ უკანასკნელის, არამედ საკუთარი თავის წინააღმდეგ. მე საკუთარ თავს ჩემს აღსაზრდელთან ისეთ ერთიანობაში უნდა განვიცდიდე, რომ შემეძლოს კითხვა დავუსვა თავს: „შენი აღსაზრდელის ნაკლი შენივე საქმიანობის შედეგი ხომ არ არის?“ ნაცვლად მის წინააღმდეგ განწყობისა, უმალ დავფიქრდები: როგორ მოვიქცე, რომ მომავალში ჩემი აღსაზრდელი უკეთესად შეესაბამებოდეს ჩემს მოთხოვნილებებს. ამგვარი განწყობის წყალობით თანდათანობით იცვლება ჩემი აზროვნების წყობაც. ეს ერთნაირად შეეხება როგორც უმნიშვნელოს, ისე მნიშვნელოვანს. მაგალითად, ასეთი განწყობიდან გამომდინარე, მე დამნაშავეს სხვაგვარად ვუყურებ, ვიდრე უწინ. ჩემს განსჯას ვიკავებ და ვეუბნები საკუთარ თავს: „მეც ხომ ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც ეს, მაგრამ ალბათ აღზრდამ, რომელიც გარემოებათა გამო წილად მხვდა, გადამარჩინა ამგვარ ბედს“. შემდეგ ვხვდები, რომ ეს ადამიანი, იგივე ჩემი ძმა, სხვაგვარი იქნებოდა, თუ ჩემთვის მოამაგე მასწავლებელი მასაც შეაწევდა ამაგს. მე ვიაზრებ, რომ ბედმა მარგუნა ის, რაც მას დააკლო, ანუ ჩემთვის მონიჭებულ ყველა სიკეთეს უნდა ვუმადლოდე იმას, რომ ამ უკანასკნელს ეს ყველაფერი წაერთვა. ამის შემდეგ აღარ ვიქნები დაშორებული იმ წარმოდგენას, რომ მე მხოლოდ წევრი ვარ მთელი კაცობრიობისა და პასუხისმგებლობა მაკისრია ყველაფერზე, რაც ხდება. აქ არ იგულისხმება, რომ ასეთმა აზრმა იმთავითვე უნდა გადაინაცვლოს გარეგნულ აგიტატორულ ქმედებაში, მაგრამ იგი საჭიროებს ზრუნვას ჩვენი სამშვინველის სიჩუმეში. შემდგომ ეს თანდათან გამოიხატება ადამიანის გარეგან მოქმედებაშიც. ამგვარ საგნებთან მიმართებაში ყველას შეუძლია საკუთარი თავის გარდაქმნის დაწყება. სრულიად უნაყოფოა, ამგვარი აზრებიდან გამომდინარე ზოგადი მოთხოვნები წავუყენოთ კაცობრიობას. ადვილია მსჯელობა, თუ როგორნი უნდა იყვნენ ადამიანები, მაგრამ იდუმალთმოწაფე მუშაობს სიღრმეში და არა ზედაპირზე. სრულიად მცდარი იქნებოდა აქ იდუმალთმოძღვრის მიერ მითითებული მოთხოვნის დაკავშირება რაიმე გარეგან, სულაც პოლიტიკურ მოთხოვნასთან, რომელსაც იდუმალთგანსწავლასთან არაფერი აქვს საერთო. პოლიტიკურმა აგიტატორებმა, წესით, „იციან“, რა უნდა მოითხოვონ სხვა ადამიანებისგან, ხოლო მოთხოვნებზე საკუთარი თავის მიმართ ისინი ნაკლებად ლაპარაკობენ.

ყოველივე ამასთან უშუალოდაა დაკავშირებული იდუმალთგანსწავლის მესამე პირობა. მოწაფემ უნდა შესძლოს გზის გაკვლევა იმ შეხედულებისაკენ, რომ მისი აზრები და გრძნობები იგივე მნიშვნელობისანი არიან სამყაროსთვის, რაც მისი საქმენი. უნდა გაცნობიერდეს, რომ ისევე დამღუპველია მოყვასის სიძულვილი, როგორც მისი ცემა. შემდეგ მე მივდივარ შეგნებამდე, რომ ჩემი სრულქმნით მე

არამარტო ჩემთვის ვირჯები, არამედ სამყაროსთვისაც. ჩემი განწმენდილი აზრებიდან და გრძნობებიდან სამყარო ისეთსავე სარგებელს ჰპოვებს, როგორსაც ჩემი კარგი საქციელიდან. ვიდრე არ ვიწამებ ჩემი შინაგანი ცხოვრების სამყაროულ მნიშვნელობას, მანამდე არ გამოვდგები იდუმალთმოწაფედ. მხოლოდ მაშინ მოვიპოვებ ჭეშმარიტ რწმენას ჩემი შინაგანი ცხოვრების, ჩემი სამშვინველის მნიშვნელობის შესახებ, როდესაც ამ მშვინვიერზე ისევე ვიმუშავებ, თითქოს იგი ფიზიკური საგნებივით რეალურად არსებული ყოფილიყოს. მე უნდა ვაღიარო, რომ ჩემი გრძნობაც ისეთსავე ზემოქმედებას ახდენს გარემოზე, როგორც რაიმე ჩემი ნახელავი.

ამით საკუთრივ გამოთქმულია მეოთხე პირობაც: გათავისება შეხედულებისა, რომ ადამიანის არსება გარემომცველ სამყაროში კი არა, თვით მისსავე წიაღშია ჩადებული. ვინც საკუთარ თავს მხოლოდ გარესამყაროს პროდუქტად მიიჩნევს, ანუ ფიზიკური სამყაროს ნაყოფად, იგი ვერაფერს მიაღწევს იდუმალთგანსწავლის გზაზე. შეიგრძნობდე საკუთარ თავს მშვინვიერ-სულიერ არსებად — ეს არის ამგვარი განსწავლის საფუძველი. ვინც ამგვარი გრძნობისაკენ გაიკვლევს გზას, იგი შეძლებს ურთიერთისაგან განასხვაოს შინაგანი მოვალეობა და გარეგანი წარმატება. იგი შეიცნობს, რომ ერთი არ განიზომება მაინცდამაინც მეორეთი. იდუმალთმოწაფემ უნდა მოსძებნოს ნამდვილი შუალედი გარეგანი პირობების მიერ წაყენებულ მოთხოვნასა და საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებას შორის. მან თავის გარემოცვას თავზე არ უნდა მოახვიოს ისეთი რამ, რისი გაგებაც ამ უკანასკნელს არ შეუძლია, თუმცა ასევე სავსებით თავისუფალი უნდა იყოს მიდრეკილებისაგან მოიქცეს მხოლოდ ისე, როგორც ეს მიღებულია გარემოში. საკუთარი ჭეშმარიტების აღიარებას იგი უნდა ეძიებდეს თავისი პატიოსანი, შემეცნებისათვის მებრძოლი სულის ხმაში. თანაც თავისი გარემოცვისაგან შეძლებისდაგვარად უნდა ისწავლოს იმის გარკვევაც, თუ რა არის სასარგებლო და ხელსაყრელი მისთვის. ამგვარად, იგი თავის თავში განივითარებს იმას, რასაც იდუმალთმეტყველება სულიერ სასწორს უწოდებს. ამ სასწორის ერთ მხარეს დევს გახსნილი „გული" გარესამყაროს მოთხოვნილებათათვის, მეორეზე — შინაგანი სიმტკიცე და ურყევი გამძლეობა.

აქვე მითითებული იქნება მეხუთე პირობის შესახებაც: ეს არის თანმიმდევრულობა ერთხელ მიღებული გადაწყვეტილების მიღებისას. არაფერმა აღარ უნდა აიძულოს იდუმალთმოწაფე, შეცვალოს ერთხელ უკვე მიღებული გადაწყვეტილება, თუ არა იმის განჭვრეტამ, რომ იგი ცდომილებაში აღმოჩნდა. ყოველგვარი გადაწყვეტილება არის ძალა, და მაშინაც კი, როდესაც მას არ მოაქვს უშუალო შედეგი, ის მაინც თავისებურად მოქმედებს. შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც მოქმედებისაკენ მოწოდება გამოწვეულია გულისთქმით. ამასთან ყველა მოქმედებანი, რომლებიც ჩადენილია გულისთქმათა გამო, უფასურია ზენა სამყაროებისათვის. აქ გადამწყვეტია მხოლოდ **სიყვარული** მოცემული ქმედების მიმართ. ამ **სიყვარულში** განიცდება ყოველივე, რაც იდუმალთმოწაფეს მოქმედებისაკენ უბიძგებს. ამის გამო იგი თავს არ დაზოგავს საქმედ აქციოს გადაწყვეტილება, რამდენჯერაც არ უნდა მოეცაროს ხელი. ამრიგად, ის იქამდე მიდის, რომ არ ელოდება თავისი მოქმედების **გარეგან შედეგს**, არამედ კმაყოფილდება თავად მოქმედებით. იგი სწავლობს თავისი ნაღვაწის თვით საკუთარი არსების სამყაროსთვის

მსხვერპლად მიტანას იმისდა მიუხედავად, თუ როგორ მიიღებს ეს უკანასკნელი მის მსხვერპლს. ვისაც სურს იდუმალთმოწაფე გახდეს, იგი მზად უნდა იყოს [illegible] თავგანწირული მსახურებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეექვსე პირობა არის **მადლიერების** გრძნობის განვითარება ყოველივე იმის მიმართ, რაც ადამიანს ეძლევა. საჭიროა იმის ცოდნა, რომ საკუთარი ყოფიერება მთელი სამყაროს საჩუქარია. რა აღარ არის საჭირო, რომ ყველა ჩვენგანმა მიიღოს და გაიხანგრძლივოს თავისი ყოფიერება! რაოდენ ბევრ რასმე უნდა ვუმადლოდეთ ბუნებასა და სხვა ადამიანებს! ამგვარი აზროვნებისაკენ უნდა იყვნენ მიდრეკილნი ისინი, ვისაც სურს იდუმალთგანსწავლა. ვისაც არ შეუძლია თავი მისცეს ასეთ აზრებს, იგი ვერ შესძლებს ამ **ყოვლისმომცველი სიყვარულის** დათესვას, რაც ესოდენ აუცილებელია უმაღლეს შემეცნებათა მისაღწევად. შეუძლებელია გამეხსნას ის, რაც არ მიყვარს. და ყოველგვარი გამოცხადება მადლიერებით უნდა მავსებდეს, რადგან მე მისი წყალობით მდიდარი ვხდები.

ყველა ზემოაღწერილმა პირობებმა მეშვიდეში უნდა მოიყარონ თავი: უნდა შეგვეძლოს თვალის გასწორება ცხოვრებისათვის სწორედ იმ გაგებით, როგორსაც ეს მოთხოვნები გვიყენებენ. ასე მოწაფეს ეძლევა საშუალება თავის ცხოვრებას ერთი საერთო ელფერი მიანიჭოს. მისი ცხოვრების ცალკეული გამოვლინებანი ერთმანეთთან თანხმობაში მოვლენ, მეტად აღარ იქნებიან წინააღმდეგობაში. იგი მომზადებული იქნება იმ სიმშვიდისთვის, რაც მას იდუმალთგანსწავლაში პირველივე ნაბიჯის გადადგმამ უნდა მოუპოვოს.

თუ ვინმეს გააჩნია სერიოზული და პატიოსანი ნება მოცემული პირობების შესასრულებლად, მას შეუძლია გადაწყვიტოს იდუმალთგანსწავლა. ის იგრძნობს თავის თავში მზადყოფნას, მისდიოს ზემოთმოტანილ რჩევებს. შესაძლოა, ბევრი რამ ამ რჩევათაგან ზოგიერთს ზერელედაც მოეჩვენოს. ის ალბათ იტყვის, რომ არ მოელოდა ესოდენ **მკაცრ** განსწავლას. მაგრამ ყოველივე შინაგანი უნდა განიცდებოდეს გარეგანშიც, ისე როგორც სურათი არ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მხატვრის წარმოსახვაში, ასევე იდუმალთგანსწავლა ვერ იარსებებს გარეგანი გამოხატვის გარეშე. მხოლოდ ისინი უგულებელჰყოფენ მკაცრ ფორმებს, ვინც არ იცის, რომ გარეგნულში შინაგანი უნდა გამოვლინდეს. მართალია, საქმე საგნის სულშია და არა ფორმაში, მაგრამ რამდენადაც ფორმა არარაობაა სულის გარეშე, ასევე ამაოდ დარჩებოდა სულიც, თავისთვის ფორმა რომ არ წარმოექმნა.

აქ მოყვანილი პირობები განკუთვნილია იდუმალთმოწაფის ისე განსამტკიცებლად, რომ მან შესძლოს შემდგომ მოთხოვნათა შესრულება, რომლებსაც იდუმალთგანსწავლა წაუყენებს. თუ ის ასეთ პირობებს მოკლებულია, მაშინ იგი დაბნეული იდგება ყოველი ახალი მოთხოვნილების წინაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ ექნება ნდობა ადამიანთა მიმართ, რაც მისთვის ესოდენ აუცილებელია. ადამიანისადმი ნდობასა და ნამდვილ სიყვარულზე უნდა აიგოს ყოველგვარი მისწრაფება ჭეშმარიტებისადმი. იგი უნდა დაეყრდნოს ამ საფუძველს მიუხედავად იმისა, რომ ეს შესაძლოა ამ უკანასკნელიდან კი არ მომდინარეობდეს, არამედ თვით მოწაფის სამშვინველისეული ძალებიდან. ხოლო სიყვარული ადამიანისადმი თანდათანობით უნდა გადაიზარდოს სიყვარულში ყველა არსების, მთელი ყოფიერების მიმართ. ვინც აღნიშნულ პირობებს არ ასრულებს, მას არ ექნება სრულყოფილი სიყვარული

ალმშენებლობის, შემოქმედების მიმართ, არ იქნება მიდრეკილი ყოველგვარი განადგურების და მოსპობის, როგორც ასეთის უკუსაგდებად. იდუმალთმოწაფემ არაფერი არ უნდა გაანადგუროს საკუთრივ განადგურების მიზნით, არამარტო მოქმედებებში, არამედ სიტყვებში, გრძნობებსა და აზრებშიც. მას სიხარულს უნდა ანიჭებდეს მხოლოდ რაიმეს წარმოშობა და ქმნადობა. მას მხოლოდ მაშინ ხელეწიფება რაღაცის განადგურება, როდესაც შეუძლია განადგურებულიდან ან განადგურებულის საშუალებით ახალი სიცოცხლის დაბადებას შეუწყოს ხელი. აქ არ იგულისხმება, თითქოს იდუმალთმოწაფე მშვიდად უნდა შეჰყურებდეს უკეთურების ზრდას, მაგრამ თვით ამ უკეთურებაშიც იგი უნდა ეძიებდეს ისეთ მხარეებს, რომელიც მას შეუძლია სიკეთედ გარდაქმნას. მისთვის სულ უფრო და უფრო ცხადი უნდა გახდეს, რომ ნამდვილი ძლევა უკეთურისა და არასრულყოფილისა არის შექმნა კეთილისა და სრულყოფილისა. იდუმალთმოწაფემ იცის, რომ არაფრისგან შეუძლებელია რაიმეს შექმნა, მაგრამ არასრულყოფილის გარდაქმნა სრულყოფილად შესაძლებელია. ის, ვინც საკუთარ თავში განივითარებს მიდრეკილებას შექმნისაკენ, მალე შესძლებს სწორი დამოკიდებულების შემუშავებას უკეთურების მიმართ.

ვინც შეუდგება იდუმალთგანსწავლას, უნდა უწყოდეს, რომ მისი მიზანია შექმნა და არა ნგრევა. ამას თან უნდა სდევდეს პატიოსანი, თავდადებული მუშაობისნება და არა კრიტიკისა და ნგრევისა; უნდა გააჩნდეს უნარი მოწიწებისა, რამდენადაც უნდა ისწავლოს ის, რაც არ იცის. იგი **მოწიწებით** უნდა შეჰყურებდეს ყველაფერს, რაც მის წინაშე იხსნება. მუშაობა და მოწიწება: ესაა ორი უმთავრესი გრძნობა, რომლებიც მოეთხოვება იდუმალთმოწაფეს. ზოგიერთს ჰგონია, რომ „დაუღალავად იღვწის", მაგრამ უშედეგოდ. ეს იმის გამო მოხდა, რომ ისინი ვერ ჩასწვდნენ მუშაობისა და მოწიწების ჭეშმარიტ აზრს. უმნიშვნელო შედეგს მოგვიტანს ისეთი მუშაობა, რომელიც მხოლოდ წარმატების გამო სრულდება და ოდნავ თუ წაგვწევს წინ მოწიწების გრძნობისგან დაცლილი სწავლა. მხოლოდ სიყვარული მუშაობისადმი და არა წარმატებისადმი მოიტანს ნამდვილ შედეგს. როდესაც მოწაფე ეძიებს ჯანმრთელ აზროვნებას და საიმედო განსჯას, მან არ უნდა მოწამლოს ეჭვითა და უნდობლობით მოწიწების გრძნობა.

სულაც არ მივყავართ მონობისკენ ისეთ საუბარს, როდესაც ადამიანი რაიმე ცნობის მიღებისას მაშინვე კი არ დაუპირისპირებს თავის აზრს, არამედ მშვიდ მოწიწებას და გახსნილ გულს შეაგებებს. მათ, ვინც შემეცნებაში რაღაცას მიაღწიეს, იციან, რომ ამას უნდა უმადლოდნენ არა თვითნებურ, პიროვნულ განსჯას, არამედ მშვიდად მოსმენას და მოსმენილის გადამუშავებას. საჭიროა მუდამ მხედველობაში ვიქონიოთ, რომ არ საჭიროებს შესწავლას ის, რის შესახებაც მას უკვე შეუძლია მსჯელობა. ამრიგად, თუ ადამიანს მხოლოდ მსჯელობა სურს, საერთოდ ვეღარ შესძლებს მეტის სწავლას. იდუმალთმოწაფეობისას კი საქმე სწორედ სწავლაში მდგომარეობს. აქ საჭიროა სავსებით მოგვიცავდეს მოწაფეობის სურვილი. თუ რაიმე არ გვესმის, სჯობს საერთოდ შევიკავოთ თავი მასზე მსჯელობისგან, ვიდრე იგი მცდარად განვსაჯოთ. ასეთ დროს უმჯობესია მისი გაგება სამომავლოდ გადავდოთ. შემეცნების რაც უფრო მაღალ საფეხურზე ავდივართ, მით უფრო საჭიროა მშვიდი, მოწიწებით აღსავსე ყურის გდება. ყოველგვარი შემეცნება ჭეშმარიტებისა, ყოვე-

ლგვარი ცხოვრება და მოქმედება სულის სამყაროში უმაღლეს საუფლოებში ასვლისას სულ უფრო და უფრო ნატიფი და ნაზი ხდება, ვიდრე განსჯისეული ქმედებაა, ანდა ცხოვრება ფიზიკურ სამყაროში. რაც უფრო „მაღალ სფეროებში“ ეწევა ადამიანს შესვლა, მით უფრო დახვეწილი ხდება ქმედება, რომელსაც იგი ასრულებს. და რადგანაც ეს ასეა, ამიტომ მიდიან ადამიანები უმაღლეს საუფლოებთან დაკავშირებით ესოდენ მრავალგვარ შეხედულებასთან და თვალსაზრისთან. უმაღლესი ჭეშმარიტების შესახებ კი **ერთი** შეხედულება არსებობს. ამ შეხედულებასთან მისვლა შეიძლება, თუ მუშაობითა და მოწიწებით ავმაღლდებით ჭეშმარიტების ნამდვილ განჭვრეტამდე. მხოლოდ ის შორდება ჭეშმარიტებას, ვინც სჯის მოუმზადებლად, თავისი დაჩემებული წარმოდგენებიდან, ჩვეული აზრებიდან გამომდინარე. ისევე როგორც ამა თუ იმ მათემატიკური წესის გამო არსებობს მხოლოდ ერთი შეხედულება, ასევეა ზენა სამყაროთა საგნების მიმართაც. მაგრამ საჭიროა მომზადება, რათა მივიდეთ ამგვარ შეხედულებამდე. თუ ამას კარგად ჩავუკვირდებით, იდუმალთმოძღვრის მიერ წაყენებულ პირობებში ვერაფერს ვპოვებთ მოულოდნელს. სრული სიმართლეა, რომ ჭეშმარიტება და უმაღლესი ცხოვრება მოცემულია ყოველი ადამიანის სულში, იგი შეუძლია და ხამს თვითონვე მოსძებნოს ყოველმა. მხოლოდ ისინი სიღრმეებში არიან ჩაძირულნი და მათი ამოღება სულის ღრმა წიაღიდან შესაძლებელია მხოლოდ დაბრკოლებათა გადალახვის შემდგომ. თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს, ამის შესახებ რჩევის მოცემა შეუძლია იდუმალთმეტყველების სფეროში ჩახედულს. ამგვარ რჩევებს იძლევა იდუმალთმეტყველება, იგი არავის არ ახვევს თავს რაიმე ჭეშმარიტებას, არავის არ აუწყებს რაიმე დოგმას, მხოლოდ უჩვენებს გზას. მართალია მრავალ ადამიანს რიგ გარდასხეულებათა შემდგომ თვითონვე მოეძებნა ეს გზა, მაგრამ ის, რაც იდუმალთგანსწავლისას მიიღწევა, არის გზის შემოკლება. ამის წყალობით ადამიანი ადრევე ახერხებს აქტიური მონაწილე გახდეს იმ სფეროებში, სადაც სულიერი მუშაობის წყალობით ხელი შეეწყობა კაცობრიობის კეთილდღეობას და განვითარებას.

აქვე მითითებული იქნა საკითხებზე, რომლებიც საჭიროდ მივიჩნიეთ ამთავითვე გვეცნობებინა სამყაროს უმაღლესი შემეცნების გამოცდილებიდან. შემდგომ თავში ეს უწყებანი გაგრძელდება იმით, რომ ნაჩვენები იქნება, თუ რა ხდება ადამიანური ბუნების უმაღლეს ორგანოებში (სამშვინველის ორგანიზმში ანუ ასტრალურ სხეულში და სულში, ანუ აზრისმიერ სხეულში) ამ განვითარების დროს. ამჯერად ეს უწყებანი წარმოგვიდგებიან ახლებურად და შესაძლებელი გახდება მათში კიდევ უფრო ღრმად შეღწევა.

ხელდასხმის ზოგიერთი შედეგის გამო

ჭეშმარიტი იდუმალთმეტყველების ერთ-ერთი ძირითადი დებულებაა ის, რომ ადამიანი სავსებით შეგნებულად უძღვნის თავს ამ სწავლებას. მან არ უნდა შეასრულოს ისეთი ვარჯიშები და არ უნდა წამოიწყოს არაფერი ისეთი, რისი შედეგების შესახებაც წარმოდგენა არ აქვს. იდუმალთმოძღვარი, რომელიც რჩევას ან მითითებას იძლევა, იქვე მოიხსენიებს იმასაც, თუ რას გამოიწვევს მათი დაცვა უმაღლესი შემეცნებისაკენ მოსწრაფე ადამიანის სხეულში, სამშვინველსა და სულში.

ახლა საჭიროა აღვნიშნოთ იდუმალთმოწყალის სამშვინველზე აღბეჭდილი ზოგიერთი ქმედება. მხოლოდ მას, ვინც ამ ფაქტებს გაცნობილია იმ სახით, როგორც ისინი აქ არის ნაუწყები, შეუძლია სავსებით ცნობიერად შეასრულოს ზეგრძნობადი სამყაროების შემეცნებისათვის განკუთვნილი სავარჯიშოები. ყოველგვარი ალალბედზე ძებნა ჭეშმარიტი იდუმალთგანსწავლისას სასტიკად იკრძალება. ვისაც არ სურს განსწავლა გახელილი თვალებით, იგი შესაძლოა მედიუმად იქცეს. ის ვერ გახდება ნათელმხილველი იდუმალთმეტყველების გაგებით.

როდესაც ვინმე სავარჯიშოებს წინამდებარე თავებში აღწერილი წესებით ასრულებს (იხ.თავები ზეგრძნობადი შემეცნების მიღწევის შესახებ), მის მშვინვიერ ორგანიზმში ადგილი აქვს გარკვეულ ცვლილებებს. ეს შესამჩნევია მხოლოდ ნათელმხილველისათვის. ამ ცვლილებათა შედარება მეტ-ნაკლებად სულიერ-მშვინვიერი სახით შეიძლება მოელვარე ღრუბელთან, რომელიც მოთავსებულია ადამიანის ფიზიკური სხეულის შუაგულში.[1] ამ ორგანიზმში სულიერად საჩინო ხდება ლტოლვები, გულისთქმანი, ვნებები, წარმოდგენები და ა.შ. მაგალითად, გრძნობადი გულისთქმა აქ აღიქმება როგორც გარკვეული ფორმის მუქი წითელი ფერის გამოსხივება. წმინდა, კეთილშობილური აზრი თავის გამოხატულებას ჰპოვებს როგორც მოწითალო-იისფერი გამოსხივება. მკაფიო აზრი ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანისა შეიგრძნობა როგორც მოყვითალო, სავსებით გამოკვეთილი მოხაზულობის მქონე ფიგურა. გზააბნეული აზრი მკაფიო აზროვნებას მოკლებული გონებისა შეიგრძნობა როგორც ბუნდოვანი მოხაზულობის მქონე გამოსახულება. ცალმხრივი, გაყინული შეხედულებების მქონე ადამიანის აზრები თავიანთ მოხაზულობებში მოსჩანან როგორც მკვეთრნი, უძრავნი, ხოლო იმ პირთა აზრები, რომლებიც იოლად ექვემდებარებიან სხვათა შეხედულებებს, აღიქმებიან მოძრავ, ცვალებად მოხაზულობებად და ა.შ.[2]

რაც უფრო ვითარდება ადამიანი მშვინვიერად, მით უფრო სწორად ყალიბდება მისი სამშვინველის, როგორც ორგანიზმის აგებულება. განუვითარებელი მშვინვიერი ცხოვრების მქონე ადამიანის შემთხვევაში ეს ორგანიზმი არეულია, დაუნაწე-

---

[1] ამ მოვლენის აღწერა მოცემულია ავტორისავე „თეოსოფიაში“.

[2] ყოველი შემდგომი აღწერისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ამა თუ იმ ფერის ხილვის მიღმა სულიერი ჭვრეტა იგულისხმება. როდესაც ნათელმხილველური შემეცნება ამბობს: მე ვხედავ წითელ ფერს, ეს ნიშნავს: მე მაქვს სულიერ-მშვინვიერი განცდა, რომელიც მსგავსია ფიზიკური წითელისგან მიღებული შთაბეჭდილებისა. ეს გამოთქმა გამოიყენება იმადაც, რომ ნათელმხილველური შემეცნებისათვის სავსებით ბუნებრივია გამონათქვამი: მე ვხედავ წითელ ფერს. საჭიროა ამის გააზრება, რათა არ აგვერიოს რომელიღაც ფერადი ხილვა ნამდვილად ნათელმხილველურ განცდასთან.

ვრებელია, მაგრამ თვით ასეთ დაუნაწევრებელ ორგანიზმშიც ნათელმხილველს შეუძლია აღიქვას სურათი, რომელიც მკაფიოდ გამოირჩევა გარემოსგან. იგი თავის შიდა ნაწილიდან ვრცელდება ფიზიკური სხეულის შუამდე. იგი გვევლინება ერთგვარ დამოუკიდებელ სხეულად, რომელსაც გააჩნია გარკვეული ორგანოები. ის ორგანოები, რომელთა შესახებაც ლაპარაკი იქნება აქ, სულიერად აღიქმებიან ფიზიკური სხეულის შემდეგ ნაწილებთან შეფარდებით: პირველი მათგანი თვალებს შორის, მეორე — ხორხის მახლობლად, მესამე — გულის მიდამოებში, მეოთხე მოთავსებულია ეგრეთ წოდებული მზის წნულის არეში, მეხუთე და მეექვსე განლაგებულია სხეულის ქვედა ნაწილში. ამ წარმონაქმნებს სულის მეცნე ადამიანები უწოდებენ ბორბლებს (ჩაკრამებს), ან „ლოტოსის ყვავილებს". მათ ასე შეერქვათ მბრუნავ ფერსოსთან და ყვავილთან მსგავსების გამო. თუმცა ამასთან საჭიროა გაცხადდეს, რომ ეს გამოთქმა ისევე მართებულია, როგორც ფილტვების ორივე ნაწილის „ფრთებად" მოხსენიება. ცხადია, აქ ფრთები არაფერ შუაშია, უბრალოდ ეს სახელწოდება შედარებისთვისაა მოხერხებული. განუვითარებელ ადამიანებს ეს ლოტოსის ყვავილები მუქი შეფერილობისა აქვთ, წყნარი და უმოძრაო. ნათელმხილველის შემთხვევაში კი ისინი მოძრაობენ და ელვარებენ სხვადასხვა ფერებში. იგივე ხდება, ოღონდ რამდენადმე სხვაგვარად მედიუმის შემთხვევაშიც. ამ საკითხს უფრო ღრმად აღარ შევეხებით. როდესაც იდუმალთმოწაფე იწყებს სავარჯიშოების შესრულებას, უპირველეს ყოვლისა ლოტოსის ყვავილები იწყებენ ნათებას, ხოლო მოგვიანებით დატრიალდებიან კიდეც. როდესაც ეს მოხდება, ადამიანს გაეხსნება ნათელხილვის უნარი, რამდენადაც ეს ყვავილები არიან სამშვინველის შეგრძნების ორგანოები. მათი ბრუნვა გამოხატულებაა იმისა, რომ ადამიანი აღიქვამს ზეგრძნობად სინამდვილეს. არავის არ შეუძლია აღიქვას რაიმე ზეგრძნობადი, ვიდრე მისი ასტრალური ორგანოები არ იქნებიან ამგვარად ჩამოყალიბებულნი.

სულიერი შეგრძნების ორგანო, მოთავსებული ხორხის მახლობლად, სხვა მშვინვიერი არსების **აზრთა წყობის** განჭვრეტის საშუალებას იძლევა, იგი უფრო ღრმად ჩაგვახედებს ბუნების მოვლენათა ჭეშმარიტ კანონებში. ორგანო გულის მახლობლად ნათელმხილველურად შეგვამეცნებინებს **სამშვინველის მქონე** სხვა არსებათა შეგრძნებებს. ვინც ეს ორგანო გამოიმუშავა, შეუძლია შედარებით უფრო ღრმა ძალთა შემეცნება მცენარეებსა და ცხოველებში. მზის წნულში მოთავსებული ორგანოს წყალობით მიიღწევა სამშვინველისეული უნარების და ტალანტების შემეცნება; შესაძლებელი ხდება განჭვრეტა იმისა, თუ რა დანიშნულება გააჩნიათ ცხოველებს, მცენარეებს, ქვებს, ლითონებს, ატმოსფერულ მოვლენებს და ა.შ. ბუნების საყოველთაო განწესებაში.

ხორხის მახლობლად მდებარე ორგანოს გააჩნია თექვსმეტი ყვავილის „ფურცელი", ანუ „სხივი", გულის მახლობლად მდებარეს — თორმეტი, მზის წნულში მოთავსებულს — ათი.

გრძნობის ამ ორგანოს ჩამოყალიბება დამოკიდებულია გარკვეულ სულიერ წვრთნაზე და ვინც ამ წვრთნას სრულიად გარკვეული წესით წარმართავს, იგი თავის წვლილს შეიტანს აღნიშნული სულიერი გრძნობის ორგანოს ჩამოყალიბებაში. „თექვსმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილში" რვა ფურცელი ჩამოყალიბებული იყო ჯერ კიდევ კაცობრიობის განვითარების ადრეულ საფეხურზე, უხსოვარ წარსულში.

ამ ჩამოყალიბებაში თავად ადამიანს არავითარი წვლილი არ მიუძღვის. მან იგი, როგორც ბუნების საჩუქარი, ჯერ კიდევ სიზმარეული, ბუნდოვანი ცნობიერების მდგომარეობაში მიიღო. კაცობრიობის განვითარების მაშინდელ საფეხურზე ინსტინქტები უკვე ამოქმედებულნი იყვნენ, მაგრამ მათი ამგვარი ქმედება უკავშირდებოდა სწორედ ცნობიერების ამ ბუნდოვან მდგომარეობას. როდესაც შემდგომში ცნობიერება განათლდა, ყვავილის ეს ფურცლები გამუქდნენ და შეწყვიტეს მოქმედება. დანარჩენი რვა ფურცლის გამომუშავება ადამიანს შეუძლია ცნობიერი ვარჯიშის გზით. მაშინ მთელი ლოტოსის ყვავილი მოელვარე და მოძრავი ხდება. თექვსმეტი ფურცლიდან თითოეულის განვითარება დამოკიდებულია გარკვეული თვისებების გამომუშავებაზე. თუმცა, როგორც ითქვა, ადამიანს ცნობიერად მხოლოდ რვა მათგანის გამომუშავება შეუძლია, დანარჩენი რვა კი შემდეგ თავისთავად ჩნდება.

განვითარება შემდეგნაირად ხდება: ადამიანმა გარკვეული ყურადღება უნდა მიაქციოს და იზრუნოს ზოგიერთ მშვინვიერ პროცესზე, რომელთაც ის ჩვეულებრივ უზრუნველად და უყურადღებოდ ტოვებს ხოლმე. არსებობს რვა ასეთი პროცესი. პირველია, თუ როგორ ითავისებს ადამიანი წარმოდგენებს. ამ მხრივ, როგორც წესი, ადამიანი სავსებით მინდობილია შემთხვევითობას. მას ესმის ესა თუ ის, ხედავს ამას თუ იმას და შესაბამისად აყალიბებს საკუთარ ცნებებს. ვიდრე ის ასე იქცევა, მისი თექვსმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილი სრულიად უმოქმედოა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ამ მხრივ თვითაღზრდის სადავეებს ხელთ იპყრობს, ლოტოსის ყვავილი მოქმედებას დაიწყებს. მიზნის მისაღწევად მან ყურადღება უნდა გაამახვილოს თავის წარმოდგენებზე. მისთვის მნიშვნელობა უნდა შეიძინოს ყოველმა წარმოდგენამ, რომელშიც მან გარესამყაროულ საგანთა ერთგვარი დესპანი, მაცნე უნდა დაინახოს. იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს იმ წარმოდგენებით, რომელთაც არ გააჩნიათ ამდაგვარი მნიშვნელობა. მან ისე უნდა წარმართოს მთელი თავისი ცნებების სფერო, რომ ეს უკანასკნელი გარესამყაროს უტყუარი სარკე გახდეს. მისი მისწრაფება მიმართული უნდა იყოს საკუთარი სამშვინველიდან არასწორი წარმოდგენების მოსაშორებლად. — მეორე მშვინვიერი პროცესი ასევე შეეხება ადამიანის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. თვით ყველაზე უმნიშვნელო გადაწყვეტილება დასაბუთებულად, აზრის მომწიფების შემდეგ უნდა იქნას გამოტანილი. ყოველგვარი უაზრო ქმედება, მნიშვნელობას მოკლებული საქმიანობა უნდა განირიდოს მან საკუთარი სულიდან და ყველაფრის მიმართ უნდა გააჩნდეს კარგად აწონილ-დაწონილი საფუძველი. იგი უნდა მოერიდოს ყოველივეს, რისკენაც რაიმე სერიოზული მოწოდება არ გააჩნია. — მესამე პროცესი შეეხება მეტყველებას. იდუმალთმოწაფის ბაგეებმა უნდა წარმოსთქვან მხოლოდ ის, რასაც აზრი და მნიშვნელობა გააჩნია. ყოველგვარი საუბარი მხოლოდ საუბრის გულისთვის გზიდან ააცდენს მას. იდუმალთმოწაფე უნდა ერიდებოდეს რიგით საუბარს, სადაც ადგილი აქვს უწესრიგობას და ფუჭსიტყვაობას. ამასთან მან არ უნდა გამოთიშოს საკუთარი თავი მოყვასთან ურთიერთობისაგან. სწორედ ურთიერთობაში უნდა შეიძინოს მისმა საუბარმა მნიშვნელობა. იგი მზად უნდა იყოს ესაუბროს და პასუხი გასცეს ყველას, მაგრამ ამას უნდა სჩადიოდეს აზრიანად, ყოველმხრივ მოფიქრებულად. იგი აღარასდროს ისაუბრებს დაუსაბუთებლად, ეცდება არც სიტყვამრავალი იყოს, არც სიტყვაძვირი. — მეოთხე, მშვინვიერი

პროცესი მდგომარეობს გარეგანი ქმედების მოწესრიგებაში. იდუმალთმოწაფე ცდილობს საკუთარი ქმედება ისე წარმართოს, რომ იგი თანხმობაში მოვიდეს მოყვასის ქმედებასთან და მის გარემოში მომხდარ მოვლენებთან. იგი ერიდება ისეთ ქმედებას, რომელიც ხელისშემშლელია სხვათათვის ან წინააღმდეგობაშია ყოველივესთან, რაც მის გარემოში ხდება. იგი ცდილობს საკუთარი ქმედების ისე წარმართვას, რომ ჰარმონიაში მოვიდეს თავის გარემოსთან, ცხოვრებისეულ მდგომარეობასთან და ა.შ. როდესაც გარეშე ფაქტორი მას ქმედებისაკენ უბიძგებს, იგი გულდასმით უკვირდება იმას, თუ როგორ უნდა შეუთავსოს საკუთარი მოქმედება ამ ფაქტორს. თუ იგი საკუთარი თავიდან გამომდინარე მოქმედებს, საგულდაგულოდ უნდა სწონიდეს ამ მოქმედების შესაძლო შედეგებს. — მეხუთე პირობა მდგომარეობს მთელი ცხოვრების მოწყობაში. იდუმალთმოწაფე ცდილობს თანხმობაში იცხოვროს ბუნებასთან და სულთან. იგი არასოდეს ჩქარობს და არც ზოზინებს. მისთვის ერთნაირად უცხოა როგორც უსაზმნო ფუსფუსი, ისე დაუდევრობა, ცხოვრება არის საშუალება მუშაობისათვის და ამ უკანასკნელს შესაბამისადაც წარმართავს. იგი ისე აწესრიგებს ჯანმრთელობისთვის ზრუნვას, წესჩვეულებებს და ა.შ., რომ ამას შედეგად ჰარმონიული ცხოვრება მოჰყვეს. — მეექვსე პირობა შეეხება ადამიანურ მისწრაფებას. იდუმალთმოწაფე აწონდაწონის თავის უნარებს, შესაძლებლობებს და იქცევა ამგვარი თვითშემეცნებიდან გამომდინარე. იგი ცდილობს არაფერი მოიმოქმედოს ისეთი, რაც აღემატება მის ძალებს, ამავე დროს არ გამორჩეს ისეთი რამ, რაც მისი შესაძლებლობის ფარგლებში ეტევა. მეორეს მხრივ, იგი ისახავს ისეთ მიზნებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის იდეალებთან და უდიდეს მოვალეობებთან. იგი არ ცდილობს როგორც რაღაც ბორბალი დაუფიქრებლად მოებას კაცობრიობის მექანიზმს, არამედ ეძიებს საკუთარი ამოცანების გააზრებას, ყოველდღიურობის მიღმა ჭვრეტას. იგი ისწრაფვის სულ უფრო უკეთ და სრულყოფილად შეასრულოს თავისი მოვალეობანი. მისი მშვინვიერი ცხოვრების მეშვიდე პირობა შეეხება მისწრაფებას, შეძლებისდაგვარად მეტი ისწავლოს ცხოვრებისგან. იდუმალთმოწაფისათვის არაფერი ჩაივლის ისე, რომ ცხოვრებისთვის სასარგებლო გამოცდილების დაგროვების საბაბი არ მისცეს. თუ მან რაიმე არასრულყოფილად და არასწორად შეასრულა, ამით მას ეძლევა საბაბი მოგვიანებით უკვე სწორად და სრულყოფილად შეასრულოს იგივე. დაკვირვებას სხვათა მოქმედებაზე იგი იმავე მიზნებისათვის იყენებს. იგი ცდილობს გამოცდილებათა მდიდარი საუნჯის დაგროვებას და მათ მზრუნველად შეჯერებას რეალობასთან. იგი არაფერს აკეთებს ამ გამოცდილებათა გათვალისწინების გარეშე, რომელთაც შეუძლიათ დაეხმარონ მას გადაწყვეტილების მიღებასა და შესრულებაში. და ბოლოს მერვე პირობა: იდუმალთმოწაფემ დროდადრო უნდა ჩაიხედოს საკუთარ შინაგან სამყაროში. იგი უნდა ჩაიძიროს საკუთარ თავში, მოეთათბიროს მას, გამოიმუშაოს ცხოვრების წესები და გამოსცადოს ისინი, გონების წინაშე გაისიგრძეგანოს მთელი თავისი ცოდნა, აწონ-დაწონოს საკუთარი მოვალეობანი, დაფიქრდეს ცხოვრების შინაარსისა და მიზნის შესახებ და ა.შ. ყოველივე ამის ირგვლივ უკვე ითქვა წინამდებარე თავებში. აქ ისინი მხოლოდ ჩამოითვლება თექვსმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილის განვითარებასთან დაკავშირებით. ამ ვარჯიშების წყალობით იგი სულ უფრო და უფრო სრულყოფილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდება. ასეთ ვარჯიშებზე არის დამოკიდებული ნათელხილვის უნარის გამომუშავება. ასე მაგალითად, რაც უფრო მეტად ეთანხმება გარესამყაროულ პროცესებს ადამიანის ნააზრევი და ნათქვამი, მით უფრო ჩქარა ვითარდება ეს ფენომენი. ვინც სიცრუეს განიზრახავს ან ამბობს, უთუოდ რაღაცას კლავს თექვსმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილის ჩანასახში. სიმართლე, გულწრფელობა, პატიოსნება ამ მიმართებით შემოქმედი, ხოლო სიცრუე, სიყალბე, არაგულწრფელობა — დამანგრეველი ძალებია. იდუმალთმოწაფემ უნდა უწყოდეს, რომ აქ მთავარია არა კეთილი განზრახვა, არამედ რეალური საქმე. როდესაც მე ვფიქრობ ან ვამბობ ისეთ რასმე, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, ამით მე რაღაცას ვანგრევ ჩემი სულიერი გრძნობის ორგანოში, მაშინაც კი, თუ მე ამას კეთილი განზრახვით ჩავდივარ. ეს ჰგავს იმ ბავშვის საქციელს, რომელიც ცეცხლთან შეხებისას მიიღებს დამწვრობას იმ შემთხვევაშიც, თუ ეს უცოდინრობის გამო მოუვა. ნახსენები მშვინვიერი პროცესების მოწესრიგება ჩვენს მიერ უკვე აღწერილი მიმართულებით საშუალებას აძლევს ლოტოსის ყვავილს გაბრწყინდეს და იწყოს კანონზომიერი მოძრაობა. — აქვე ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ნათელხილვის ხსენებული ნიჭი მანამ არ იჩენს თავს, ვიდრე არ იქნება მიღწეული სამშვინველის წვრთნის გარკვეული საფეხური. ვიდრე ადამიანისათვის საძნელეს წარმოადგენს ამგვარად ცხოვრება, ეს ნიჭი არ იჩენს თავს, როდესაც მოწაფეს აღწერილ პროცესებზე საგანგებო ყურადღების მიქცევა უხდება, ე.ი. მას ჯერაც არ მიუღწევია სიმწიფისათვის. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოცემული წესით ცხოვრება მოწაფისთვის ხდება იგივე, რაც ჩვეული ყოველდღიურობაა ამა თუ იმ ადამიანისათვის, თავს იჩენს ნათელხილვის პირველი ნიშნები. ამის შემდეგ ეს აღარ არის ძნელი, არამედ ცხოვრების თავისთავად ცხადი წესი ხდება. უკვე საჭიროებას აღარ წარმოადგენს გამუდმებული თვითდაკვირვება ან თავის იძულება ამგვარი ცხოვრებისაკენ. ყველაფერი ჩვეულებად უნდა იქცეს. არსებობს კიდევ სხვა ხერხები, რომლებიც თავისებურად უწყობენ ხელს თექვსმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილის განვითარებას. ამგვარ ხერხებს ჭეშმარიტი იდუმალთმეტყველება უარჰყოფს. მათ მივყავართ ფიზიკური ჯანმრთელობის დარღვევისა და მორალური დაღუპვისაკენ. მათი განხორციელება უფრო იოლია, ვიდრე ზემოაღწერილისა. ეს უკანასკნელი უფრო ხანგრძლივი და შრომატევადია, სამაგიეროდ უფრო საიმედოდ მიჰყავთ ადამიანი მიზნისაკენ და მორალურად განამტკიცებენ მას.

ლოტოსის ყვავილის არასწორ განვითარებას ნათელხილვის რამდენადმე გახსნისას შედეგად მოჰყვება არამარტო ზოგიერთი ილუზიისა და ფანტასტიკური წარმოდგენის გაჩენა, არამედ ცდომილებანი და მერყეობანი ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ამის წყალობით ადამიანი შეიძლება გახდეს მხდალი, შურიანი, პატივმოყვარე, ამპარტავანი, თავნება, მაშინ როდესაც უწინ ეს თვისებები მისთვის უცხო იყო. უკვე ითქვა, რომ თექვსმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილის რვა ფურცელი ჯერ კიდევ უხსოვარ წარსულში განვითარდა და ისინი თავისთავად იჩენენ თავს იდუმალთგანსწავლისას. ამჯერად, იდუმალთმოწაფეობის დაწყებისას დიდი რუდუნებით უნდა წარიმართოს რვა დანარჩენი ფურცლის ჩამოყალიბება. არასწორი განსწავლის შემთხვევაში იოლად იჩენს თავს ადრე განვითარებული ფურცლები, ხოლო ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფნი — განუვითარებელნი რჩებიან. ეს

განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში ხდება, თუ განსწავლისას ნაკლები ყურადღება ექცევა ლოგიკურ, გონივრულ აზროვნებას. მეტადრე მნიშვნელოვანია იდუმალთმოწაფე იყოს გონიერი, ნათელი აზროვნების მქონე ადამიანი. შემდგომში [illegible] აგრეთვე მნიშვნელოვანი იქნება განსაკუთრებულად მკაფიო მეტყველების გამომუშავება. იმ ადამიანებს, რომლებიც ზეგრძნობადი სინამდვილის შესახებ უკვე რაღაცას ხვდებიან, სიამოვნებას ანიჭებთ ზედმეტი საუბარი ამ საგანთა ირგვლივ, რითაც ამუხრუჭებენ თავიანთ განვითარებას. უმჯობესია, ნაკლებად ილაპარაკონ ამ თემაზე, ანდა ამ თემაზე უნდა ილაპარაკოს მხოლოდ მან, ვისაც აღქმის გარკვეულ მკაფიოებამდე მიუღწევია. განსწავლის დასაწყისში იდუმალთმოწაფეს უკვირს ხოლმე, რაოდენ ნაკლებ ცნობისმოყვარეობას ამჟღავნებს სულიერად უკვე განსწავლული ადამიანი, თუ ამ უკანასკნელს საკუთარი განცდების შესახებ მოუთხრობს. არადა მოწაფისთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა სრულიად დადუმებულიყო საკუთარ განცდებზე და ელაპარაკა მხოლოდ იმის შესახებ, თუ როგორ გამოუდის სავარჯიშოების შესრულება ან მითითებების დაცვა. სულიერად უკვე განსწავლული ადამიანი მის წინსვლას სრულიად სხვა წყაროებიდან განსჯის, ვიდრე უშუალოდ მისივე მონათხრობიდან. ამგვარი თხრობის წყალობით თექვსმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილის რვა ნახსენები ფურცელი რამდენადმე უხეში ხდება, მაშინ როდესაც მათ უნდა შეენარჩუნებინათ სინაზე და დინამიურობა. ამის ასახსნელად საჭიროა მოვიტანოთ ერთი მაგალითი, ხოლო მეტი სიცხადისთვის ავიღოთ იგი არა ზეგრძნობადი სფეროდან, არამედ ყოველდღიური ცხოვრებიდან: დავუშვათ, შევიტყე რაღაც, რის შესახებაც მაშინვე შევიქმნი გარკვეულ მოსაზრებას. მცირეოდენი ხნის შემდგომ ამავე საგნის შესახებ ვიღებ მორიგ ცნობას, რომელიც არ ეთანხმება პირველს. მე იძულებული ვხდები, უკვე ჩამოყალიბებული მოსაზრება შევცვალო. ამას შედეგად მოჰყვება არასასურველი ზემოქმედება ჩემს თექვსმეტფურცლიან ლოტოსის ყვავილზე. საქმე სრულიად სხვაგვარად წავიდოდა, მე რომ მაშინვე შემეკავებინა თავი მსჯელობისაგან, **დავდუმებულიყავი** შიგნით — აზრებში და გარეგნულად — სიტყვებში, ვიდრე არ მომეცემოდა სავსებით საიმედო დასაყრდენი ჩემი მსჯელობისთვის. სიფრთხილე მსჯელობის ჩამოყალიბებისას და გამოთქმისას არის იდუმალთმოწაფის დამახასიათებელი ნიშანი. სამაგიეროდ, იზრდება შთაბეჭდილებათა და გამოცდილებათა აღქმის უნარი, რასაც ის მდუმარედ ატარებს თავის თავში, ხოლო მსჯელობის შემთხვევაში შეძლებისდაგვარად მეტ დასაყრდენს იქმნის. ამგვარი სიფრთხილის შედეგად ლოტოსის ყვავილის ფურცლებზე მოლურჯო-მოწითალო და ვარდისფერ-წითელი ნიუანსები იჩენს თავს, მაშინ როდესაც სხვა შემთხვევაში მუქი-წითელი და ნარინჯისფერი ნიუანსები წარმოჩინდება. თექვსმეტფურცლიანის[1] მსგავსადვე წარმოიქმნება გულის მახლობლად თორმეტფურცლი-

[1] გათვითცნობიერებული ადამიანი „თექვსმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილის“ განვითარების პირობებში ამოიცნობს იმ მითითებებს, რომელთაც ბუდა აძლევდა თავის მოწაფეებს „გზის“ ირგვლივ. მაგრამ აქ ბუდიზმს კი არ ვქადაგებთ, არამედ აღვწერთ განვითარების პირობებს, რომლებიც საკუთრივ სულიერი მეცნიერებიდან წარმოსდგება. თუ ისინი ბუდას მოძღვრებას გარკვეულწილად ემთხვევა, ეს სულაც არ უშლის ხელს ჩაითვალოს არსით ჭეშმარიტად.

ანი ლოტოსის ყვავილი. მისი ფურცლების ნახევარიც წარსული განვითარების სტადიაში უკვე არსებობდა და მოქმედებდა. ეს ექვსი ფურცელი იდუმალთგანსწავლისას არ საჭიროებს განსაკუთრებულ განვითარებას. ისინი თავისთავად ჩნდებიან და იწყებენ ბრუნვას, როდესაც ადამიანი დანარჩენ ექვსზე მუშაობს. იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ამ განვითარებას, ადამიანმა ცნობიერად გარკვეული მიმართულება უნდა მისცეს სამშვინველის ზოგიერთ მოქმედებას.

ამჯერად საჭიროა ცხადი გახდეს ჩვენთვის, რომ სხვადასხვა სულიერი ან მშვინვიერი ორგანოებით აღქმა სხვადასხვა ხასიათისაა. თორმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილი გვაუწყებს თექვსმეტფურცლიანისაგან განსხვავებულ აღქმას. ეს უკანასკნელი აღიქვამს ხატებებს. ამა თუ იმ სულიერი აზროვნების ტიპი, კანონები, რომელთა მიხედვითაც ხდება ბუნების მოვლენები, თექვსმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილისთვის თავს ხატებებში იჩენს. ეს არის არა გაქვავებული, მშვიდი ხატებები, არამედ მოძრავი, სიცოცხლით სავსე ფორმები. ნათელმხილველს, რომელსაც ეს გრძნობა განვითარებული აქვს, შეუძლია აზროვნების ყოველგვარი ტიპისთვის, ბუნების ყოველი კანონისთვის დაასახელოს ფორმა, რომელშიც ისინი თავიანთ გამოხატულებას ჰპოვებენ. მაგალითად, შურისძიების იდეას გააჩნია ისრისებური, დაკბილული ფიგურა, კეთილგანწყობის იდეას ხშირად აქვს გაშლის პროცესში მყოფი ყვავილის ფორმა და ა.შ. მკაფიო, მნიშვნელოვანი აზრები მწყობრად, სიმეტრიულად გამოიყურებიან, ბუნდოვან ცნებებს აქვთ ჩახლართული მოხაზულობები. — სავსებით სხვაგვარი აღქმები იჩენენ თავს თორმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილის წყალობით. ამ აღქმათა დაახლოებით დახასიათება შესაძლებელია როგორც მშვინვიერი სითბოსი ან სიცივისა. ამგვარი გრძნობით აღჭურვილი ნათელმხილველი აღიქვამს თუ როგორ მოედინება მშვინვიერი სითბო ან სიცივე თექვსმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილის მეოხებით შემეცნებული ფიგურიდან. წარმოიდგინეთ ნათელმხილველი, რომელმაც განივითარა თექვსმეტფურცლიანი, მაგრამ არ განუვითარებია თორმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილი. მაშინ კეთილგანწყობის იდეა მისთვის აღქმული იქნებოდა მხოლოდ ზემოაღწერილი ფორმით. სხვა, ვისაც განვითარებული აქვს ორივე შეგრძნება, შეამჩნევდა აგრეთვე იმ მოვლენასაც, რასაც შეიძლება მხოლოდ მშვინვიერი სითბო ეწოდოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იდუმალთგანსწავლისას ერთი გრძნობა არ ვითარდება მეორის გარეშე, ამდენად ზემოთქმული მხოლოდ თვალსაჩინოებისათვის უნდა იყოს განხილული. თორმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილის განვითარება ნათელმხილველს აგრეთვე გაუხსნის ბუნების პროცესების ღრმა შემეცნებას. ყოველივე, დაფუძნებული ზრდასა და განვითარებაზე, ასხივებს მშვინვიერ სითბოს; ხოლო ყოველივე იმას, რასაც მოიცავს კვდომა, ნგრევა, მოსპობა, ახასიათებს მშვინვიერი სიცივე.

ამ გრძნობის განვითარებას შემდეგნაირად უნდა შეეწყოს ხელი. პირველი, რასაც ამ მხრივ იდუმალთმოწაფე ყურადღებას აქცევს, არის აზრთა დინების მოწესრიგება (ე.წ. კონტროლი აზრებზე). ისევე როგორც თექვსმეტფურცლიანი ლოტოსი ვითარდება ჭეშმარიტი, მნიშვნელოვანი აზრების წყალობით, თორმეტფურცლიანის განვითარება დამოკიდებულია აზრთა დინების ფლობაზე. მოხეტიალე აზრები, რომლებიც ერთიმეორესთან არ არიან დაკავშირებულნი გონივრულად და ლოგიკურად, არამედ შემთხვევით ებმებიან ერთმანეთს, ამახინჯებენ ლოტოსის

ყვავილის ფორმას. რაც უფრო თანმიმდევრულად მიჰყვება ერთი აზრი მეორეს, რაც მეტად ერიდება ადამიანი ულოგიკობას, მით უფრო იღებს გრძნობის ეს ერგანული მისთვის დამახასიათებელ ფორმას. როდესაც იდუმალთმოწაფე ულოგიკობას ისმენს, იგი თავის გონებაში მყისვე შესწორებული სახით გაატარებს ამ აზრებს. იგი უსიყვარულოდ არ უნდა ჩამოშორდეს თავის თუნდაც ლოგიკურ აზროვნებას მოკლებულ გარემოს საკუთარი განვითარების სასარგებლოდ. მან არ უნდა იგრძნოს მოთხოვნილება მყისვე ერთბაშად გამოასწოროს ყოველგვარი ულოგიკობა საკუთარ გარემოში. იგი გარედან შემოჭრილ აზრებს თავის შინაგან არსებაში უმალ მდუმარედ მისცემს ლოგიკურ მიმართულებას. იგი მონდომებულია საკუთარ აზრებშიც შეინარჩუნოს ეს მიმართულება. მეორე ამოცანაა ასეთივე თანმიმდევრულობის შენარჩუნება ქმედებისას (კონტროლი ქმედებაზე). ყოველგვარი ცვალებადობა, დისჰარმონია ქმედებისას დაღუპვას უქადის ლოტოსის ყვავილს. როდესაც იდუმალთმოწაფემ რაღაც ჩაიდინა, იგი შემდგომში ისე წარმართავს თავის მოქმედებას, რომ ეს ლოგიკურად გამომდინარეობდეს თავდაპირველი ნამოქმედარიდან. ვინც დღეს გუშინდელისაგან განსხვავებით იქცევა, ვერასოდეს განივითარებს აღწერილ გრძნობას. მესამე ამოცანაა მოთმინების გამომუშავება. იდუმალთმოწაფე ნებას არ დართავს ამა თუ იმ გავლენას, ააცდინოს იგი დასახულ მიზანს ვიდრე ეს უკანასკნელი სწორად მიაჩნია მას. დაბრკოლებანი მოწაფეში იწვევენ მუხტს, რათა მან გადალახოს ისინი და არასგზით არ წარმოადგენენ მისთვის მოქმედებისაგან თავშეკავების საფუძველს. მეოთხე ამოცანა არის შემწყნარებლობის (ტოლერანტობის), გამომუშავება ადამიანის, სხვა არსებათა და ფაქტების მიმართ. იდუმალთმოწაფე ახშობს ყოველგვარ ზედმეტ კრიტიკას, მიმართულს არასრულყოფილის, ბოროტის და უმსგავსის წინააღმდეგ და უმალ ცდილობს ჩასწვდეს იმას, რაც მის წინაშე გამოვლინდება. ისე როგორც მზე თავის სინათლეს არ განარიდებს უმსგავსთ და ბოროტთ, ასევე მან არ უნდა დასტოვოს ისინი თავისი გონივრული მონაწილეობის გარეშე. თუ იდუმალთმოწაფეს რაიმე უსიამოვნება შეემთხვევა, იგი როდი შეუდგება ამის უარყოფა-კრიტიკას, არამედ მიიღებს მას როგორც რაღაც აუცილებელს და ცდილობს, რამდენადაც საამისო ძალა შესწევს, საქმე სიკეთისაკენ შეატრიალოს. სხვათა შეხედულებებს იგი განიხილავს არა საკუთარი თვალთახედვიდან, არამედ ცდილობს სხვის მდგომარეობაში შესვლას. მეხუთე ამოცანაა მიუკერძოებლობის მიღწევა ცხოვრებისეული მოვლენების მიმართ. ამ თვალსაზრისით საუბარია აგრეთვე რწმენის და ნდობის შესახებ. იდუმალთმოწაფე ყოველ ადამიანს, ყველა არსებას ამგვარი ნდობით ხვდება. როდესაც რაიმეს აუწყებენ, იგი არასოდეს იტყვის: „მე ვერ დავიჯერებ, რადგან ეს ეწინააღმდეგება ჩემს უწინდელ შეხედულებას". პირიქით, იგი ყოველ წამს მზადაა ახალთან შეხვედრისას თავიდან გადაამოწმოს და შეასწოროს თავისი შეხედულება და მოსაზრება. იგი მგრძნობიარეა ყველაფრის მიმართ, რაც თვალწინ აქვს. იგი დარწმუნებულია საკუთარი წამოწყების ქმედითუნარიანობაში. სიმხდალეს და ეჭვიანობას იგი განდევნის საკუთარი არსებიდან. თუ მას რაიმე განზრახვა უდევს გულში, აქვს აგრეთვე რწმენაც ამ განზრახვის ძალის მიმართ. თვით ასგზის წარუმატებლობას არ შეუძლია მას წაჰგვაროს ეს რწმენა. ეს სწორედ ის რწმენა გახლავთ, რომელიც ადგილს შეუცვლის მთებს. მეექვსე ამოცანა არის გარკვეული ცხოვრებისეული წონასწორობის (სულიერი სიმშვიდის) მოპოვება.

იდუმალთმოწაფე ისწრაფვის თავისი გაწონასწორებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად, თუნდაც მწუხარება მოიწიოს ან სიხარული რამ შეემთხვეს, იგი გადაეჩვევა მერყეობას „ზეიმტაც ზეიმსა“ და „სასიკვდილოდ დამწუხრებას“ [illegible] უბედურებას, საფრთხეს იგი ისეთსავე სიმარ მზადყოფნაში შეხვდება, როგორც ბედნიერებასა და წარმატებას.

სულიერ-მეცნიერული თხზულების მკითხველი აღწერილში ამოიცნობს ე.წ. „ექვს თვისებას“, რომელიც უნდა განივითაროს ხელდასხმის მოსურნემ. აქ უნდა წარმოგვედგინა მათი კავშირი იმ მშვინვიერი გრძნობის ორგანოსთან, რომელსაც ეწოდება თორმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილი. იდუმალთგანსწავლას შეუძლია საგანგებო მითითებათა მოცემა, რომლებსაც სიმწიფემდე მიჰყავთ ეს ლოტოსის ყვავილი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გრძნობის ამ ორგანოს მართებული ფორმით ჩამოყალიბება დამოკიდებულია ჩამოთვლილ თვისებებზე. თუ ამ განვითარებას ყურადღება არ მიექცევა, მაშინ ეს ორგანო დამახინჯებულად ჩამოყალიბდება. ამის შედეგად, გარკვეული ნათელხილვის გამომუშავებისას ამ მიმართულებით, ეს თვისებები ნაცვლად კეთილისა შესაძლოა უარყოფით თვისებებად გადაიქცნენ. ადამიანი შეიძლება განსაკუთრებულად შეუწყნარებელი, მხდალი, მარტოსული გახდეს თავისი გარემოსათვის. მაგალითად, მას შეიძლება განუვითარდეს მგრძნობიარობა სხვების მშვინვიერი განწყობის მიმართ, რის გამოც ამ ადამიანებს ან გაურბოდეს, ან ისინი შეიძულოს. ეს დასაშვებია იქამდეც მივიდეს, რომ საწინააღმდეგო მოსაზრებასთან შეხვედრისას მისი გარემომცველი მშვინვიერი სიცივე ან არ მისცემს სხვათა მოსმენის საშუალებას, ან აიძულებს თავისი საქციელით განიზიდოს სხვები.

თუ ყოველივე ზემოთქმულს დაემატება ზოგიერთი მითითების დაცვაც, რომელიც იდუმალთმოწაფეს ზეპირი გადმოცემის გზით შეუძლია მიიღოს იდუმალთმოძღვრისაგან, მოხდება ლოტოსის ყვავილის განვითარების დაჩქარება. მაგრამ უკვე მოცემული წესების წყალობით მოწაფე ნამდვილად ჩაერთვება იდუმალთგანსწავლაში. აგრეთვე მათთვის, ვისაც არ სურს ან არ შეუძლია იდუმალთგანსწავლა, სასარგებლო იქნება ცხოვრების ასე წარმართვა. იგი ყველა შემთხვევაში, შესაძლოა ნელა, მაგრამ მაინც მოახდენს ზეგავლენას მშვინვიერ ორგანიზმზე. ხოლო იდუმალთმოწაფისათვის ამ წესების დაცვა აუცილებელია. თუ იგი მათი დაცვის გარეშე შეეცდება იდუმალთგანსწავლას, მაშინ ის ზენა სამყაროებშიც არასრულფასოვანი სულიერი აღქმის ორგანოებით მოხვდება; ნაცვლად ჭეშმარიტების შემეცნებისა, იგი მოექცეოდა მოჩვენებითობისა და ილუზიის ტყვეობაში. იგი გარკვეულწილად გახდებოდა კიდეც ნათელმხილველი; მაგრამ ამჯერად ბევრად უფრო დაბრმავებული იქნებოდა, ვიდრე უწინ, ვინაიდან უწინ იგი მყარად მაინც იდგა გრძნობად სამყაროში და გააჩნდა გარკვეული დასაყრდენი. ახლა იგი იხედება გრძნობადი სამყაროს მიღმა, მაგრამ იბნევა ამ უკანასკნელში ისე, რომ ჯერ საიმედოდ არ მოუკიდებია ფეხი ზენა სამყაროში. შემდეგ შესაძლოა საერთოდ ვეღარ გაარჩიოს ერთმანეთისაგან ჭეშმარიტება და სიცრუე და ცხოვრებაში ყველა მიმართულებით აიბნეს. სწორედ ამის გამო არის **მოთმინება** ესოდენ საჭირო ამ საკითხში. ყოველთვის უნდა დავუფიქრდეთ, რომ სულიერ მეცნიერებას არა აქვს უფლება შემდგომ მითითებათა მოცემისა, ვიდრე მოწაფე არ გამოამჟღავნებს სრულ მზადყოფნას ლოტოსის ყვავილის მოწესრიგებული განვითარებისაკენ. ეს ყვავილები დამახინჯებულად განვი-

თარდებიან, თუ მათ **მოამწიფებენ** იქამდე, ვიდრე ისინი სავსებით მშვიდად არ შიიღებენ შესაფერის **ფორმას**. სულიერი მეცნიერების მითითებანი ხელს უწყობენ მათ **მომწიფებას**, ხოლო ფორმას ისინი იღებენ ზემოაღწერილი ცხოვრების [illegible] დაცვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებულად ფაქიზ მშვინვიერ მოპყრობას საჭიროებს ათფურცლიანი ლოტოსის ყვავილის განვითარება. აქ უკვე საქმე ეხება გრძნობად შთაბეჭდილებათა ცნობიერად ფლობას, რაც მეტადრე აუცილებელია დამწყები ნათელმხილველისათვის. მხოლოდ ასე შესძლებს იგი განერიდოს ურიცხვი ილუზიებისა და სულიერ თვითნებობათა სათავეებს. ადამიანი, ჩვეულებრივ, არ აცნობიერებს, თუ რა წარმართავს მის თავში დაბადებულ აზრებსა და მოგონებებს, თუ რით არიან ისინი გამოწვეულნი. ავიღოთ ერთ-ერთი შემთხვევა: ვთქვათ, მავანი მიემგზავრება რკინიგზით. იგი ერთი აზრითაა დაკავებული. მოულოდნელად მისი აზრი სულ სხვაგვარად შემოტრიალდება: გაახსენდება ერთი განცდა, რომელიც წლების წინ გადაიტანა და გადააბამს მას თავის ამჟამინდელ ფიქრებს. მხოლოდ სრულებითაც არ დაჰკვირვებია, თუ როგორ წააწყდა ფანჯრიდან მომზირალი მისი თვალი ერთ ადამიანს, რომელიც ჩამოჰგავდა მეხსიერებაში ამოტივტივებულ განცდასთან დაკავშირებულ პიროვნებას. მას ის კი არ გაუცნობიერებია, რაც დაინახა, არამედ მხოლოდ დანახულიდან წამოსული ზემოქმედების შედეგი. ამრიგად, მას ჰგონია, რომ ეს აზრი თავისთავად მოუვიდა თავში. რამდენი რამ ხდება ცხოვრებაში ამგვარად — როგორ ერთვებიან ჩვენს ცხოვრებაში სადმე წანაკითხი და განაგონი საგნები, რომელთა ურთიერთკავშირსაც არ ვაცნობიერებთ. მაგალითად, შესაძლოა ვინმე ვერ იტანდეს რომელიმე ფერს, მაგრამ მან ნამდვილად არ იცის, რომ ეს ხდება მისი მასწავლებლის მიზეზით, რომელიც წლების მანძილზე აწვალებდა მას და რომელიც ზუსტად ამ ფერის სერეფუკს ატარებდა. აურაცხელი ილუზია ეფუძნება ასეთ გაუცნობიერებელ ურთიერთკავშირებს. მრავალი საგანი აღიბეჭდა სულში ისე, რომ არ ეხება ცნობიერებას. შეიძლება ასეთი შემთხვევაც მოხდეს: მავანი ამოიკითხავს გაზეთში რომელიმე ცნობილი პიროვნების სიკვდილის ამბავს. იგი ჯიუტად ამტკიცებს, რომ უკვე „გუშინ“ გააჩნდა წინათგრძნობა მის გარდაცვალებაზე, თუმცა არც არაფერი სმენია და არც უნახავს რაიმე ისეთი, რასაც შესაძლოა იგი მიეყვანა ამ აზრამდე. მართალია, რომ აღნიშნული აზრი მას გუშინ თითქოსდა თავისთავად ამოუტივტივდა ცნობიერებაში: ხსენებული პიროვნება მოკვდა. მხოლოდ მან ერთ რამეს არ მიაქცია ყურადღება. გუშინ, ვიდრე ეს აზრი თავში მოუვიდოდა, იგი სტუმრად ეწვია ერთ ნაცნობს. მაგიდაზე გაზეთი იდო. მას გაზეთი არ წაუკითხავს, მაგრამ გაუცნობიერებლად მაინც მოჰკრა თვალი უწყებას ხსენებული პიროვნების მძიმე ავადმყოფობის შესახებ. ეს შთაბეჭდილება არ გაუცნობიერებია, მაგრამ მისი ზემოქმედების შედეგი კი იყო წინათგრძნობა. თუკი დავფიქრდებით ამ საგნებზე, შეიძლება განვსაჯოთ, ილუზიისა და მეოცნებეობის რა წყარო იფარება ამგვარ გარემოებებში. ეს წყარო უნდა ჩაახშოს იმან, ვისაც სურს ათფურცლიანი ლოტოსის ყვავილის განვითარება. ამ ლოტოსის ყვავილის მეოხებით შესაძლებელია სხვადასხვა სამშვინველთა წიაღში დაფარული თვისებების აღქმა. ეს აღქმები მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან ჭეშმარიტად, როდესაც ადამიანი სავსებით განთავისუფლდება ზემოაღწერილ ცდომილებათაგან. ამიტომ მიზანშეწონილია გარესამყაროდან ადამიანში შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსულ ზემოქმედებათა დაუფლება. ადამიანს უნდა შეეძლოს, საერთოდ არ მიიღოს ის შთაბეჭდილებანი, რომელთა მიღებაც მას არ სურს. ამგვარი უნარის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ძალუმი შინაგანი ცხოვრების მეოხებით. ადამიანმა თავის ნებაზე უნდა გახადოს დამოკიდებული იმ საგანთა ზემოქმედების დაშვება საკუთარ თავზე, რომლებისკენაც იგი ყურადღებას მიმართავს და ნამდვილად მოერიდოს იმ შთაბეჭდილებებს, რომლებსაც იგი თავისუფალი ნებიდან გამომდინარე არ ეძლევა. ნამდვილად უნდა გვსურდეს იმის დანახვა, რასაც თვალით ვხედავთ, ხოლო რისკენაც არ წარვმართავთ ყურადღებას — საერთოდ არ უნდა არსებობდეს ჩვენთვის. რაც უფრო ცოცხლად, ენერგიულად წარვმართავთ სულის შინაგან მუშაობას, მით უფრო მიღწევადია ეს. იდუმალთმოწაფე უნდა მოერიდოს ყოველგვარ უაზრო ცქერას და მზერას თავის ირგვლივ. მისთვის უნდა არსებობდეს მხოლოდ ის, რისკენაც თვითონ წარმართავს თავის სმენას და მზერას. იგი უნდა წვრთნიდეს საკუთარ თავს, საერთოდ არაფერი გაიგონოს თვით უდიდეს ხმაურშიც კი, თუ მას ეს **არ სურს**. თავისი თვალი უგრძნობი უნდა გახადოს იმ საგანთათვის, რომლებზეც საგანგებოდ არ წარუმართავს მზერა. მას უნდა გარემოიცავდეს ერთგვარი მშვინვიერი ჯავშანი ყველა გაუცნობიერებელი შთაბეჭდილების მიმართ. ამ მხრივ, განსაკუთრებული რუდუნებით იგი თავის აზრთა სფეროს უნდა ეპყრობოდეს. მან უნდა აიღოს ერთი აზრი და მერმედ შეეცადოს დაფიქრდეს იმაზე, რაც სავსებით ცნობიერად, სრულიად თავისუფლად შეიძლება მოჰყვეს ამ აზრს. ნაჩვევ იდეებს იგი თავიდან იშორებს. თუ მას ზემოხსენებული აზრის დაკავშირება სურს რომელიმე სხვასთან, იგი გულმოდგინედ დაუფიქრდება, თუ საიდან მოუვიდა ეს აზრი მას. ივი უფრო შორსაც მიდის. თუ მას, მაგალითად, რაიმეს მიმართ გარკვეული ანტიპატია გააჩნია, იგი ცდილობს მის დაძლევას და მოცემულ საგანთან **ცნობიერი** დამოკიდებულების დამყარებას. ამგვარად, მის მშვინვიერ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო ნაკლებად ერევიან გაუცნობიერებელ ელემენტები. მხოლოდ ასეთი მკაცრი თვითაღზრდის შედეგად იღებს ათფურცლიანი ლოტოსის ყვავილი თავის შესაფერის სახეს. იდუმალთმოწაფის ცხოვრებას ახასიათებს გამახვილებული ყურადღება. მან უნდა შესძლოს ნამდვილად განიშოროს ის, რის მიმართაც მას არ სურს ან რაზეც არ ხამს ყურადღების მიქცევა. თუ ამგვარ თვითაღზრდას დაემატება კიდევ მედიტაციაც, სულიერი მეცნიერების მითითებებიდან გამომდინარე, მაშინ მზის წნულში მოთავსებული ლოტოსის ყვავილი მართებული წესით მომწიფდება და იმას, რასაც ზემოაღწერილი სულიერი გრძნობის ორგანოს წყალობით ფორმა და სითბო გააჩნდა, მიეცემა სულიერი სინათლე და შეფერილობა. ამის საშუალებით გაცხადდებიან სხვადასხვა სულიერი ტალანტები და უნარები, ბუნების დაფარული ძალები და თვისებები. ცოცხალ არსებათა ფერადოვანი აურა ამგვარად ხილული გახდება. ის, რაც ჩვენ გარშემო იმყოფება, ასე იუწყება თავისი მშვინვიერი უნარების შესახებ. უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ ამ სფეროში განვითარებისას აუცილებელია უდიდესი რუდუნება, ვინაიდან გაუცნობიერებელ მოგონებათა თამაში შეუდარებლად ცოცხალია აქ. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, მრავალს განუვითარდებოდა აქ ნახსენები გრძნობა. იგი ხომ თავს იჩენს მაშინვე, როდესაც ადამიანი დაეუფლება საკუთარ გრძნობათაგან მომდინარე შთაბეჭდილებებს იმდენად, რომ ისინი დამოკიდებულნი ხდებიან მხოლოდ მის ყურადღებაზე ან უყურადღებობაზე. იქამდე, ვიდრე გარეგანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობები ამ გრძნობას ჩახშობისა და ბუნდოვანების მდგომარეობაში ინარჩუნებენ, იგი უმოქმედოდ რჩება.

აღწერილი ლოტოსის ყვავილის განვითარებაზე კიდევ უფრო ძნელია სხეულის შუა ნაწილში მოთავსებული ექვსფურცლიანი ლოტოსის ყვავილის განვითარება. ამ განვითარებისთვის საჭიროა ადამიანის მთელი არსების სრულყოფილი ფლობის მიღწევა თვითცნობიერების მეოხებით ისე, რომ მასში სხეული, სამშვინველი და სული სრულ ჰარმონიაში მოვიდეს. სხეულებრივი მოთხოვნილებანი, სამშვინველის ლტოლვანი და ვნებანი, სულიერი აზრები და იდეები ერთმანეთს სრულიად უნდა შეეწყონ. სხეული იმდენად უნდა გაკეთილშობილდეს და განიწმინდოს, რომ მისი ორგანოები არაფერი ისეთისაკენ აღარ უნდა უბიძგებდნენ ადამიანს, რაც სამშვინველსა და სულს არ ემსახურება. სხეულმა სამშვინველი არ უნდა მიმართოს იმ გულისთქმათა და ვნებათაკენ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სუფთა და კეთილშობილურ აზროვნებას. არც სული უნდა მბრძანებლობდეს სამშვინველზე მონათმფლობელივით, თავისი მოვალეობებით და კანონებით, არამედ სამშვინველი საკუთარი თავისუფალი მიდრეკილებებიდან გამომდინარე უნდა იცავდეს მოვალეობებს და მცნებებს. მოვალეობა არ უნდა აწვებოდეს იდუმალთმოწაფეს, როგორც მისი ნების საწინააღმდეგო რამ, არამედ იგი უნდა ასრულებდეს მოვალეობას სიყვარულის გამო. იდუმალთმოწაფემ უნდა განივითაროს თავისუფალი სული, რომელიც წონასწორობას ინარჩუნებს გრძნობადსა და სულიერს შორის. მან უნდა შესძლოს დაყრდნობა თავის მგრძნობელობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ეს უკანასკნელი სწორი გზით უნდა ვიდოდეს. იქამდე, ვიდრე ადამიანს ესაჭიროება თვითგვემა, მას არ შეუძლია რაიმე ხარისხის იდუმალთმოწაფედ გახდომა. ის სიქველე, რის მისაღწევადაც საკუთარ თავზე ძალდატანებაა საჭირო, უფასურია იდუმალთმოწაფისათვის. ვიდრე ადამიანს გააჩნია გულისთქმა, იგი ხელს უშლის მოწაფეობას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ცდილობენ არ დაემორჩილონ მას. სულერთია, ეს გულისთქმა სხეულს განეკუთვნება თუ სამშვინველს. თუ, მაგალითად, ვინმე ერიდება ამა თუ იმ აღმგზნებ საშუალებას, რათა განიწმინდოს საკუთარი თავი ტკბობაზე უარის თქმით, ეს მას იმ შემთხვევაში წაადგება, თუ მისი სხეული ამგვარი თავშეკავებით არ დაზიანდება. თუ ეს მოხდა, ცხადი გახდება, რომ მისი სხეული ამ აღმგზნებ საშუალებას ითხოვს და ამდენად თავშეკავება უსარგებლოა. ამ შემთხვევაში დასაშვებია, რომ ადამიანმა უარი თქვას სასურველ მიზანზე, ვიდრე — შესაძლოა მომავალ ცხოვრებაშიც — მისთვის ხელსაყრელი გარემოებები არ იჩენენ თავს. გონივრული უარის თქმა გარკვეულ ვითარებაში გაცილებით უფრო დიდი მიღწევაა, ვიდრე მისწრაფება იმისკენ, რაც მოცემულ პირობებში მიუღწევადია. ამგვარი გონივრული უარი უფრო მეტად შეუწყობს ხელს განვითარებას, ვიდრე საპირისპირო რამ.

ასე ვინც განივითარა თექვსმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილი, იგი შესძლებს ურთიერთობის დამყარებას იმ არსებებთან, რომლებიც ზენა სამყაროებს განეკუთვნებიან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელთა ყოფიერება თავს იჩენს მშვინვიერ სამყაროშიც. იდუმალთგანსწავლისას მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ, ურჩიონ მოწაფეს ამ ლოტოსის ყვავილის განვითარება, ვიდრე იგი იმდენად არ დაწინაურებულა ამ გზაზე, რომ შეუძლია მიაახლოს თავისი **სული** კიდევ უფრო

მაღალ სამყაროს. ეს შესვლა საკუთრივ სულის სამყაროში თან უნდა სდევდეს ლოტოსის ყვავილის განვითარებას. სხვაგვარად მოწაფე ცდომილებაში აღმოჩნდებოდა და არადამაჯერებლობის შეგრძნება დაეუფლებოდა. იგი თუმცა ისწავლიდა **ხილვას**, მაგრამ არ ექნებოდა უნარი დანახულის სწორად განსჯისა. უკვე ექვსფურცლიანი ლოტოსის ყვავილის განვითარების პირობებში ჩადებულია გარკვეული საწინდარი დაბნეულობისა და არამდგრადობის წინააღმდეგ. არც ისე იოლი იქნება იმ ადამიანის მოხვედრა ცდომილებაში, ვისაც მიუღწევია სრული წონასწორობისათვის მგრძნობელობას (სხეული), ვნებას (სამშვინველი) და იდეას (სული) შორის. და მაინც, საწინდარზე უფრო მეტია საჭირო, როდესაც ექვსფურცლიანი ლოტოსის ყვავილის განვითარების შედეგად ადამიანი აღიქვამს ისეთი ცხოვრებისა და თავისთავადობის მქონე არსებებს, ფიზიკურ შეგრძნებათა სამყაროსაგან ესოდენ განსხვავებულ სფეროს რომ განეკუთვნებიან. მოწაფემ რომ უშიშრად იგრძნოს თავი ამ სამყაროებში, არ კმარა ლოტოსის ყვავილის განვითარება, არამედ იგი უნდა ფლობდეს კიდევ უფრო მაღალ ორგანოს. ამჯერად საუბარი იქნება ამ კიდევ უფრო მაღალი ორგანოს განვითარების შესახებ.[1]

მშვინვიერი სხეულის განვითარება, რაც ეს-ესაა აღწერილ იქნა, ადამიანს აძლევს ზეგრძნობად მოვლენათა აღქმის შესაძლებლობას. ხოლო ვისაც სურს ამ სამყაროში ნამდვილად გარკვევა, არ უნდა დარჩეს განვითარების ამავე საფეხურზე. მხოლოდ მოძრავი ლოტოსის ყვავილის ფლობა საკმარისი არ არის. ადამიანს უნდა შეეძლოს თავისი სულიერი ორგანოს მოძრაობის მოწესრიგება და დამოუკიდებელი სავსებით ცნობიერი ფლობა. სხვაგვარად იგი გადაიქცეოდა გარეშე ძალთა და უფლებათა სათამაშოდ. თუ ეს არ სურს მას, უნდა გამოიმუშაოს უნარი „შინაგანი სიტყვის" გათავისებისა. საამისოდ საჭიროა არამარტო მშვინვიერი სხეულის, არამედ ეთერული სხეულის განვითარებაც. ეს ის ნატიფი სხეულია, რომელიც ნათელმხილველის მზერას ევლინება ფიზიკური სხეულის ერთგვარ ორეულად. იგი გარკვეულწილად შუალედური საფეხურია ამ უკანასკნელსა და მშვინვიერ სხეულს შორის.[2] თუ ნათელხილვის უნარი გაგვაჩნია, შეიძლება სრულიად ამოვაგდოთ ყურადღების არედან ჩვენს წინაშე მდგომი ადამიანის ფიზიკური სხეული. განვითარების უმაღლეს საფეხურზე ეს იგივეა, რაც ყურადღების გავარჯიშება უმდაბლესზე. ისევე, როგორც ადამიანს შეუძლია სრულიად მოსწყვიტოს ყურადღება მის წინაშე მყოფ საგანს, ასევე შეუძლია ნათელმხილველს სავსებით გამოთიშოს ფიზიკური სხეულის აღქმა, ისე რომ ეს უკანასკნელი ფიზიკურად გამჭვირვალე გახდეს. ხოლო თუ ამას მის თვალწინ მდგომი ადამიანის მიმართ მოიმოქმედებს, მისი სამშვინველისეული თვალის წინაშე (გარდა მშვინვიერი სხეულისა, რომელიც ორივე სხეულზე დიდი ზომისაა და განმსჭვალავს მათ) დარჩება ეგრეთ წოდებული ეთერული სხეული.

---

[1] თავისთავად ცხადია, რომ პირდაპირი მნიშვნელობით გამოთქმა „მშვინვიერი სხეული" (ისევე როგორც ზოგი მსგავსი რამ სულიერ მეცნიერებაში) თავის თავში წინააღმდეგობას შეიცავს. მიუხედავად ამისა, მაინც გამოიყენება ეს გამოთქმა, რადგან ნათელმხილველური შემეცნება აღიქვამს ისეთ რაიმეს, რაც სულიერი თვალსაზრისით სხეულის ფიზიკური აღქმის შესაბამისად მოიხილვება.

[2] შდრ. აქ წარმოდგენილი ეთერული სხეულის აღწერას ავტორისეულ „თეოსოფიაში".

ეთერულ სხეულს დაახლოებით ფიზიკური სხეულის სიდიდე და ფორმა გააჩნია და იკავებს დაახლოებით იგივე ზომის სივრცეს, რასაც ფიზიკური სხეული. ეს განსაკუთრებულად ნაზი და ფაქიზად ორგანიზებული წარმონაქმნია.[1] მისი ძირითადი ფერი განსხვავდება ცისარტყელას შემადგენელი შვიდი ფერისგან. ვისაც მასზე დაკვირვება შეუძლია, შეიცნობს ისეთ ფერს, რომელიც საერთოდ არ არსებობს გრძნობადი დაკვირვებისათვის. მისი შედარება უმალ ახლადგამოსულ ატმის ყვავილთან შეიძლება. თუ გვსურს ეთერულ სხეულზე, როგორც ასეთზე, დაკვირვება, საჭიროა ყურადღების გადატანის სავარჯიშოს საშუალებით სრულიად გამოვრთოთ მშვინვიერი სხეულის მოვლენა ჩვენს აღქმაში ისე, როგორც ეს ზემოთ იქნა აღწერილი. თუ ამას არ ვაკეთებთ, ეთერული სხეული სხვაგვარად იჩენს თავს იმ მშვინვიერი სხეულის წყალობით, რომელიც მთლიანად მსჭვალავს მას.

ეთერული სხეულის ნაწილები ადამიანში გამუდმებულ მოძრაობაშია. ყველა მხრიდან აურაცხელი დინება განმსჭვალავს მას. ამ დინებათა წყალობით ხდება ცხოვრების შენარჩუნება და მოწესრიგება. ყოველ ცოცხალ ორგანიზმს გააჩნია ასეთი ეთერული სხეული. იგი აქვთ მცენარეებსაც და ცხოველებსაც. ყურადღებიანი დამკვირვებელი ამის კვალს თვით მინერალებშიც კი ხედავს. ხსენებული დინებები და მოძრაობანი თავიდან სავსებით დამოუკიდებელია ადამიანის ნებისა და ცნობიერებისაგან. ისევე, როგორც გულის ან კუჭის მოქმედება ფიზიკურ სხეულში არ არის დამოკიდებული თვითნებობაზე. ეს დამოუკიდებლობა იარსებებს იქამდე, ვიდრე ადამიანი არ შეუდგება განვითარებას ზეგრძნობადი უნარების შეძენის თვალსაზრისით. გარკვეულ საფეხურზე უმაღლესი განვითარება მდგომარეობს იმაში, რომ ეთერული სხეულის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ დინებებს და მოძრაობებს შემოუერთდებიან ისეთნიც, რომლებიც სავსებით ცნობიერად არიან გამოწვეულნი თვით ადამიანისაგან.

როდესაც იდუმალთგანსწავლაში იმდენად დაწინაურდებიან, რომ წინამდებარე თავებში აღწერილი ლოტოსის ყვავილები მოძრაობას იწყებენ, მოწაფეს უკვე მიღწეული ექნება ზოგი რამ, რაც მის ეთერულ სხეულში იწვევს სრულიად გარკვეულ დინებებს და მოძრაობებს. ამ განვითარების მიზანია ფიზიკური გულის მიდამოებში ჩამოყალიბდეს ერთგვარი ცენტრი, საიდანაც გაედინებიან მრავალგვარი სულიერი შეფერილობისა და ფორმის მქონე დინებები და მოძრაობები. ეს ცენტრი სინამდვილეში არის არა ჩვეულებრივი წერტილი, არამედ ძალზე რთული წარმონაქმნი, გასაოცარი ორგანო.

იგი სულიერად ელავს, გადაედინება სხვადასხვა ფერებში და წარმოაჩენს დიდებულად ჩამოქნილ ფორმებს, რომელთაც სწრაფი ცვლილების უნარი გააჩნიათ. ახალი ფორმები და ფერთა ნაკადები მიიწევენ ამ ორგანოდან სხეულის დანარჩენი ნაწილებისაკენ და გადიან მის ფარგლებს გარეთაც ისე, რომ განმსჭვალავენ და განანათლებენ მშვინვიერ სხეულსაც. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანნი ამ დინება-

---

[1] ფიზიკოსს ვთხოვ არ შეაშფოთოს გამოთქმამ ეთერული სხეული. სიტყვა „ეთერი" მეტყველებს მხოლოდ მოცემული წარმონაქმნის სინატიფეზე. ის, რის შესახებაც აქ საუბარია, არ უნდა დავუკავშიროთ ფიზიკური ჰიპოთეზების „ეთერს".

თაგან მიემართებიან ლოტოსის ყვავილებისაკენ. ისინი განმსჭვალავენ ამ უკანასკ-ნელთა თითოეულ ფურცელს და აწესრიგებენ მათ მოძრაობას. შემდგომ ფურცლიანი წვერიდან ისინი მიედინებიან გარეთ, რათა დაიკარგონ გარემომცველ სივრცეში. რაც უფრო განვითარებულია ადამიანი, მით უფრო დიდია ის გარემომცველი წრე, რომელშიც ვრცელდებიან ეს დინებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით ახლო კავშირში აღწერილ ცენტრებთან იმყოფება თორმეტ-ფურცლიანი ლოტოსის ყვავილი. მასში უშუალოდ ჩაედინებიან ეს დინებები. მისი გავლით ეს დინებები მიემართებიან თექვსმეტფურცლიანი და ორფურცლიანი, მეორე (ქვედა) მხრიდან კი — რვა, ექვს და ოთხფურცლიანი ლოტოსის ყვავილებისაკენ. ამგვარ განწესებაში ჩადებულია საფუძველი იმისა, თუ რატომ უნდა მოეპყრონ იდუმალთგანსწავლისას განსაკუთრებული რუდუნებით თორმეტფურ-ცლიანი ლოტოსის ყვავილის განვითარებას. მხედველობიდან რაიმეს გამორჩენის შემთხვევაში აპარატის მთელი ჩამოყალიბება არასწორად მოხდებოდა. ნათქვამიდან შეიძლება განვსაჯოთ, რამდენად ნატიფ და ინტიმურ ხასიათს ატარებს იდუმალთ-განსწავლა და როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ყველაფერმა სათანადო წესით განვი-თარება შესძლოს. აქედან გამომდინარე, ცხადია: ზეგრძნობადი უნარების განვითა-რების შესახებ მხოლოდ მას შეუძლია საუბარი, ვისაც თავად გამოუცდია ის, რაც სხვაში უნდა განავითაროს და ვისაც შეუძლია სრულყოფილად იცოდეს, რამდენად სწორ შედეგებამდე მიიყვანენ მოწაფეს მისი მითითებანი.

როდესაც იდუმალთმოწაფე შეასრულებს მისთვის მიცემულ მითითებებს, იგი თავის ეთერულ სხეულს მიჰმადლებს იმ დინებებსა და მოძრაობებს, რომლებიც ადამი-ანის გარემომცველი სამყაროს კანონებთან და განვითარებასთან ჰარმონიაში იმყოფე-ბიან. ამადაც, ეს მითითებანი ყოველთვის წარმოადგენენ სამყაროული განვითარების დიადი კანონების ანარეკლს. ისინი მდგომარეობენ უკვე ნახსენებ ან მათსავე მსგავს მედიტაციისა და კონცენტრაციისთვის განკუთვნილ სავარჯიშოებში, რომლებიც სწო-რად შესრულების შემთხვევაში ადამიანს მიიყვანენ აღწერილ შედეგებამდე. სულიე-რებას დამოწაფებულმა დროის გარკვეულ მონაკვეთებში სავსებით უნდა განმსჭვალოს თავისი სამშვინველი სავარჯიშოების შინაარსით, შინაგანად თითქოს აღივსოს ამით. ეს იწყება უბრალო მითითებებით, რომლებსაც შეუძლიათ უწინარეს ყოვლისა განსჯის-მიერი, გონებისმიერი აზროვნების გაღრმავება, მათთვის უფრო შინაგანი ხასიათის მინიჭება. ეს აზროვნება ამით ყოველგვარი გრძნობადი შთაბეჭდილებისგან და გამოც-დილებისგან თავისუფალი და დამოუკიდებელი გახდება. იგი გარკვეულად მოიყრის თავს ერთ წერტილში, რომელიც სრულიადაა მოქცეული ადამიანის ძალაუფლებაში. ამით შეიქმნება წინასწარ მომზადებული ცენტრი ეთერული სხეულის დინებათათვის. ეს ცენტრი თავიდან გულის არეში კი არ იმყოფება, არამედ თავში. ნათელმხილველს ეს ევლინება როგორც მოძრაობათა ამოსავალი წერტილი. სრული წარმატებით დაგვირ-გვინდება ისეთი იდუმალთგანსწავლა, რომელიც ამგვარი ცენტრის შექმნით იწყება. ეს ცენტრი თავიდანვე გულის არეში რომ წარმოქმნილიყო, დამწყები ნათელმხილველი, მართალია, შესძლებდა ზენა სამყაროთა გარკვეულ განჭვრეტას, მაგრამ ვერ შესძლებდა ზენა სამყაროთა გარკვეულ განჭვრეტას, მაგრამ ვერ შესძლებდა სწორად დაეკავშირე-ბინა ზენა სამყაროები გრძნობად სინამდვილესთან. ეს კი ადამიანისთვის სამყაროს განვითარების დღევანდელ საფეხურზე **უპირობო** აუცილებლობაა. ნათელმხილველი

მეოცნებედ კი არ უნდა იქცეს, არამედ ფეხქვეშ მყარი ნიადაგი უნდა შეინარჩუნოს.

როდესაც აღნიშნული ცენტრი თავის არეში სათანადოდ მომაგრდება, ეს
გადმოინაცვლებს ქვემოთ, ხორხის მიდამოებში. ეს მიიღწევა კონცენტრაციისთვის
განკუთვნილი სავარჯიშოების შესრულებით. შემდგომ ეთერული სხეულის აღწე-
რილი მოძრაობანი გამოანათებენ ამ ადგილიდან. ისინი იწყებენ ადამიანის გარემო-
მცველი მშვინვიერი სივრცის ნათებას.

შემდგომი ვარჯიში იდუმალთმოწაფეს ანიჭებს უნარს თვითონვე გაარკვიოს
საკუთარი ეთერული სხეულის მდგომარეობა. მანამდე ეს მდგომარეობა დამოკიდე-
ბულია იმ ძალებზე, რომლებიც გარესამყაროდან შემოდიან და ფიზიკურ სხეულში
აქვთ სათავე. შემდგომი განვითარების შედეგად ადამიანს შეეძლება ყოველ მხარეს
აბრუნოს თავისი ეთერული სხეული. ეს უნარი განპირობებულია იმ დინებებით,
რომლებიც ორივე ხელის გასწვრივ გადის და რომელთა ცენტრსაც წარმოადგენს
ორფურცლიანი ლოტოსის ყვავილი თვალის არეში. ეს ხდება ხორხიდან წამოსული
გამოსხივების წყალობით, რომელთაგანაც ნაწილი წრისებურ ფორმებად ჩამოყა-
ლიბებული მიემართება ორფურცლიანი ლოტოსის ყვავილისაკენ, საიდანაც ტალ-
ღისებური ნაკადების სახით ხელების გასწვრივ უნდა გაედინოს. შემდგომი განვი-
თარების შედეგად ეს ნაკადები ძალზე ნატიფად იტოტება და იქცევა ერთგვარ
ქსოვილად, რომელიც ბადის (ან ბადისებრი გარსის) მსგავსად გარემოიცავს მთელს
ეთერულ სხეულს. ამ უკანასკნელს არ გააჩნდა მკვეთრი საზღვარი გარე მხრიდან,
ასე რომ სასიცოცხლო დინებები სიცოცხლის საყოველთაო ზღვიდან უშუალოდ
ჩაედინებიან მასში და გაედინებიან მისგან. ახლა კი გარედან წამოსულ დინებებს
მოუწევთ ამ გარსში გავლა. ამის წყალობით, ადამიანი **გარეშე** დინებების მიმართ
მგრძნობიარე ხდება. ისინი აღქმადი ხდებიან მისთვის. ამასთან ერთად, მოვიდა დრო,
როდესაც მოწაფემ დინებათა და მოძრაობათა მთელს სისტემას უნდა დაუდგინოს
ცენტრი გულის არეში. ეს კვლავ კონცენტრაციის და მედიტაციის სავარჯიშოების
გაგრძელების შედეგად ხდება. ამით მიიღწევა საფეხური, რომელზეც ადამიანს
მიემადლება „შინაგანი სიტყვა". ახლა ყოველი საგანი ახალ მნიშვნელობას იღებს
ადამიანისთვის და თავის სიღრმეში სულიერად აღქმადი ხდება მისი ყურთასმენისა-
თვის. ისინი თავიანთი არსების შესახებ ესაუბრებიან ადამიანს. აღწერილი დინებები
მას აკავშირებენ იმ სამყაროს სიღრმეებთან, რომელთაც იგი თვით განეკუთვნება.
იგი იწყებს სიცოცხლის განცდას გარემომცველ სამყაროში და შეუძლია გამოეხმა-
�
ურროს მას თავისი ლოტოსის ყვავილის მოძრაობით.

ასე ადამიანი შეაბიჯებს სულიერ სამყაროში და როდესაც ის ამას მიაღწევს,
გაეხსნება ახლებური გაგება იმისა, რაც კი უთქვამთ კაცობრიობის უდიდეს მოძღ-
ვრებს. ბუდასა და სახარების ქადაგებანი მასზე ახლა სხვაგვარ ზემოქმედებას მოახ-
დენენ. ისინი განმსჭვალავენ მას ისეთი ნეტარებით, რაზეც მას ადრე წარმოდგენაც
კი არ ჰქონია. მათი სიტყვების ჟღერადობა ხომ უკვე ეხმიანება იმ მოძრაობებსა და
რიტმებს, რომელიც თავად განივითარა მან. ახლა უშუალოდ იცის მან, რომ ისეთი
ადამიანები, როგორიც იყვნენ ბუდა ან მახარებლები, ამცნობდნენ არა **საკუთარი**
გამოცხადების შესახებ, არამედ საუბრობდნენ იმაზე, რაც მათთან საგნის უშინაგ-
ნესი არსებიდან მოედინებოდა. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ ფაქტზე,
რომელიც მხოლოდ ზემოთქმულიდან ხდება გასაგები. განათლების თანამედროვე

საფეხურზე მდგომი ადამიანებისათვის გაუგებარია მრავალგზის განმეორებანი ბუ-
დას მიერ წარმოთქმულ სიტყვებში. იდუმალთმოწაფისათვის იგი წარმოადგენს
ისეთ რაიმეს, რასაც მისი შინაგანი გრძნობა სიამოვნებით მინებდება. ისინი
ბამებიან გარკვეულ რიტმულ მოძრაობებს ეთერულ სხეულში. მინებება მათზე
სრულ შინაგან სიჩუმეში ხელს უწყობს ამგვარ მოძრაობებთან თანხმობაში მოსვ-
ლას. და რამდენადაც ეს მოძრაობები არიან ანარეკლი გარკვეული სამყაროული
რიტმებისა, რომლებიც განსაზღვრულ მომენტში წარმოადგენენ ძველის განმეო-
რებას და თანაზომიერ დაბრუნებას მასთან, იმდენად ბუდასეული სიტყვების სმე-
ნისას ადამიანი იწყებს თანხმობაში ცხოვრებას სამყაროულ იდუმალებებთან.

სულიერ მეცნიერებაში ლაპარაკია **ოთხი** უნარის შესახებ, რომელიც უნდა
გაითავისოს ადამიანმა ე.წ. „გამოცდის გზაწვრილზე", რათა უმაღლეს შემეცნებამდე
ავიდეს. **პირველი** — ეს არის უნარი საკუთარ აზრებში ჭეშმარიტის მოჩვენებითი-
საგან, ხოლო ჭეშმარიტების ჩვეულებრივი შეხედულებისაგან გამორჩევისა. **მეორე**
უნარია ჭეშმარიტისა და ნამდვილის მართებული შეფასება მოჩვენებითთან შედა-
რებით, **მესამე** უნარი მდგომარეობს უკვე წინა თავში ნახსენები ექვსი თვისების
შესრულებაში: კონტროლი აზრებზე, კონტროლი ქმედებებზე, სიმტკიცე, მოთმი-
ნება, რწმენა და სულიერი სიმშვიდე. **მეოთხე** უნარია სიყვარული შინაგანი თავი-
სუფლებისა.

არაფერს გვარგებს მხოლოდ განსჯისმიერი გაგება იმისა, რაც იგულისხმება ამ
უნარებში. ისინი იმდენად უნდა დაინერგონ ადამიანის სამშვინველში, რომ დასა-
ბამი დაუდონ შინაგანი **ჩვევების** გამომუშავებას. მაგალითად, ავიღოთ პირველი
უნარი: ჭეშმარიტის გარჩევა მოჩვენებითისგან. ადამიანმა იმდენად უნდა გაწვრთნას
თავისი თავი, რომ ყოველ შემხვედრ საგანში თითქოსდა სრულიად თავისთავად
გამოარჩიოს არაარსებითი მნიშვნელოვანისგან. საკუთარი თავის ამგვარად გაწვრ-
თნა შესაძლებელია, როდესაც სიმშვიდით და მოთმინებით გარესამყაროზე დაკვი-
რვებისას გამუდმებით განაახლებენ აქეთ წარმართულ მცდელობებს. საბოლოოდ,
იგი ბუნებრივად შეჩერდება ჭეშმარიტზე ისე, როგორც უწინ ის კმაყოფილდებოდა
არაარსებითით. „ყოველი წარმავალი იგივეა მხოლოდ": ეს ჭეშმარიტება სულის
უშუალო რწმენად გადაიქცევა. ასეთივე დამოკიდებულება უნდა გაგვაჩნდეს ზემო-
ხსენებულ სამ უნართან.

ამ ოთხი მშვინვიერი ჩვევის გავლენით ადამიანის ნატიფი ეთერული სხეული
ნამდვილად გარდაიქმნება. პირველი მათგანის წყალობით, რაც ჰგულისხმობს, „ჭე-
შმარიტის გამორჩევას მოჩვენებითისგან", წარმოიქმნება აღნიშნული ცენტრი თა-
ვის არეში და მომზადდება ცენტრი ხორხის მიდამოებში. **ნამდვილი** განვითარები-
სათვის, რასაკვირველია, საჭიროა კონცენტრაციისათვის განკუთვნილი სავარჯიშო-
ები. განვითარებას ეს უკანასკნელნი განაპირობებენ, ხოლო ოთხი ჩვევა ხელს
უწყობს მომწიფებას. თუ ცენტრი ხორხის მიდამოებში მომზადებულია, მაშინ
ჭეშმარიტის მართებული შეფასების უნარი არაარსებით მოვლენასთან შედარებით
იწვევს ეთერული სხეულის უკვე ნაგულისხმევ თავისუფალ ფლობას და მის შემო-
ზღუდვას ბადისებრი გარსით. როდესაც ადამიანი გამოიმუშავებს ამგვარი **შეფასე-
ბის** უნარს, მისთვის აღქმადი გახდებიან სულიერი ფაქტები. თუმცა მან არ უნდა
ჩათვალოს, რომ უნდა ჩაიდინოს მხოლოდ ისეთი ქმედებანი, რაც მნიშვნელოვნად

მოეჩვენება განსჯისმიერი შეფასების თვალსაზრისით. თვით უმნიშვნელო ქმედება, უმცირესი ხელის მოძრაობაც კი მნიშვნელოვანია სამყაროული მთლიანობისთვის ნაგებობაში და საქმე მხოლოდ ამ მნიშვნელობის **გაცნობიერებაშია.** ლაპარაკი ყოველდღიური ცხოვრების **არშეფასებაზე** როდია, არამედ **სწორ შეფასებაზე.** იმ ექვსი სიქველის შესახებ, რომელთაგანაც იქმნება მესამე უნარი, ზემოთ უკვე ითქვა. ისინი დამოკიდებულნი არიან თორმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილის განვითარებაზე გულის არეში. როგორც უკვე ნაჩვენები იყო, აქეთ უნდა წარიმართოს ეთერული სხეულის სასიცოცხლო ნაკადი. მეოთხე უნარი: **განთავისუფლების სურვილი** — ემსახურება გულის მახლობლად მოთავსებული ეთერული ორგანოს მომწიფებას. თუ ეს უნარი სამშვინველის ჩვევად გადაიქცევა, მაშინ ადამიანი **განთავისუფლდება** ყოველივე იმისგან, რაც დამოკიდებულია მხოლოდ მისი პიროვნული ბუნების შესაძლებლობებზე. იგი შესწყვეტს თავისი განსაკუთრებული თვალსაზრისიდან საგნებზე დაკვირვებას. გაჰქრებიან მისი ვიწრო თავისთავადობის საზღვრები, რომლებიც მას მიაჯაჭვავენ ამ თვალსაზრისზე. სულიერი სამყაროს იდუმალებებს ეძლევათ შესაძლებლობა მის შინაგან არსებასთან მისვლისა. ეს არის განთავისუფლება. ხოლო ბორკილები აიძულებდნენ ადამიანს თავისი პიროვნულიდან გამომდინარე შეეხედა სხვადასხვა საგნებისა და არსებებისათვის. საგნებზე პიროვნულიდან გამომდინარე ამგვარი დაკვირვებისაგან იდუმალთმოწაფე დამოუკიდებელი, **თავისუფალი** უნდა გახდეს.

აქედან ჩანს, რომ იდუმალთმეტყველების ეს წესები ღრმად განმაპირობებლად მოქმედებენ ადამიანის შინაგან არსებაზე. წესები ოთხი აღწერილი უნარის შესახებ სწორედ ასეთ წესთა რიცხვს განეკუთვნება. ისინი ამა თუ იმ ფორმით გვხვდება ყველა მსოფლმხედველობაში, რომელიც აღიარებს სულიერ სამყაროს. ამგვარ მსოფლმხედველობათა დამაარსებლებს ეს წესები არ მიუციათ ადამიანებისთვის ბუნდოვანი გრძნობებიდან გამომდინარე. მათ ეს უმალ იმის გამო შესძლეს, რომ დიდი ხელდასხმულები იყვნენ, ხოლო თავიანთი ზნეობრივი კანონები შემეცნებიდან გამომდინარე ჩამოაყალიბეს: მათ უწყოდნენ, თუ როგორ ზემოქმედებენ ისინი ადამიანის ნატიფ ბუნებაზე და სურდათ თავიანთ მიმდევრებს თანდათანობით განევითარებინათ ეს შედარებითი ნატიფი ბუნება საკუთარ თავში. ამგვარ განევითარებინათ ეს შედარებითი ნატიფი ბუნება საკუთარ თავში. ამგვარ მსოფლმხედველობათა მიხედვით ცხოვრება საკუთარი სულიერი სრულყოფისათვის მუშაობას ნიშნავს. როდესაც ადამიანი ამას სჩადის, იგი ემსახურება სამყაროულ მთლიანობას. საკუთარი თავის სრულქმნა არ ნიშნავს ეგოიზმს. არასრულყოფილი ადამიანი არის კაცობრიობის და სამყაროს არასრულყოფილი მსახური. ადამიანი მით უკეთესად ემსახურება მთელს, რაც უფრო სრულყოფილია თავად. აქ ძალაშია სიტყვები: „ოდეს ვარდი თავს შეიმკობს, ის აგრეთვე ამკობს ბაღსაც“.

უდიდესი მნიშვნელობის მქონე მსოფლმხედველობათა დამაარსებლები ამადაც არიან დიდი ხელდასხმულნი. ის, რაც მათგან მომდინარეობს, შთაიღვრება ადამიანთა სულებში. ამის წყალობით კაცობრიობასთან ერთად მთელი სამყარო მიიწევს წინ. კაცობრიობის განვითარების ამ პროცესზე ხელდასხმულებმა სავსებით ცნობიერად იმუშავეს. მათ მიერ მოცემული მითითებების შინაარსი გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი ადამიანური ბუნების შინაგანი სიღრმეებიდანაა

ამოტანილი. ხელდასხმულები იმავდროულად უდიდესი **შემმეცნებელნიც** იყვნენ და კაცობრიობის იდეალებიც ამავე შემეცნების ნიშნით აღბეჭდეს. ადამიანი უახლოვდება ამ წინამძღოლთ, როდესაც იგი საკუთარი განვითარებით მათი სიმაღლეებისაკენ მიიწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ადამიანი დაიწყებს ეთერული სხეულის ისე განვითარებას, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი, მისთვის გაიხსნება სავსებით ახალი ცხოვრება. მან იდუმალთგანსწავლის მეოხებით დროულად უნდა მიიღოს განმარტებანი, რომლებიც მიანიჭებენ იმ ახლებურ ცხოვრებაში გარკვევის უნარს. მაგალითად, იგი თექვსმეტფურცლიანი ლოტოსის ყვავილის წყალობით სულიერად ჭვრეტს ზენა სამყაროთა ხატებებს. მან საკუთარი თავისთვის უნდა ნათელჰყოს ამ ხატებათა განსხვავებულობა ურთიერთისაგან იმისდა მიხედვით, თუ რომელი საგნებისაგან ან არსებისაგან არიან ისინი გამოწვეულნი. პირველი, რისკენაც მას შეუძლია ყურადღების წარმართვა, არის ის, რომ გარკვეული სახის ხატებებზე მას საკუთარი აზრებისა და გრძნობების საშუალებით შეუძლია დიდი ზეგავლენის მოხდენა, სხვების მიმართ კი ეს სრულებით არ ძალუძს, ანდა უმნიშვნელოდ. ხატებათა ერთი სახეობა მაშინვე იცვლება, როდესაც დამკვირვებელს მათი გამოჩენისას გაუჩნდება აზრი: ეს მშვენიერია, შემდეგ კი, ჭვრეტისას, აზრი იცვლება: ეს სასარგებლოა. განსაკუთრებით იმ ხატებებს, რომლებიც მინერალებისგან ან ხელოვნურად დამზადებული საგნებისაგან წარმოსდგებიან, გააჩნიათ თვისება, მყისვე იცვალონ სახე დამკვირვებლისგან მომდინარე აზრის ან გრძნობის ზეგავლენით. ამას უფრო ნაკლებად აქვს ადგილი იმ ხატებებთან დაკავშირებით, რომლებიც განეკუთვნებიან მცენარეებს და კიდევ უფრო ნაკლებად მათთან, რომლებიც ცხოველთა სამყაროს შეესაბამებიან. ეს ხატებებიც მოძრავნი და სიცოცხლით სავსენი არიან. თუმცა მათი მოძრავი ხასიათი, ერთის მხრივ, ადამიანის აზრებისა და გრძნობების შედეგია, მეორეს მხრივ კი, დამოკიდებულია ისეთ პირველმიზეზებზე, რაზეც ადამიანს არავითარი გავლენა არ გააჩნია. ახლა უკვე ხატებათა ამ სამყაროში თავს იჩენენ ისეთნიც, რომლებიც თავიდან სავსებით არ ექვემდებარებიან ადამიანის ზეგავლენას. იდუმალთმოწაფეს შეუძლია დარწმუნდეს, რომ ეს ხატებანი არ წარმოსდგებიან არც მინერალებისგან, არც ხელოვნურად დამზადებული საგნებისგან, არც მცენარეებისგან ან ცხოველებისგან. სრული სიცხადის მისაღწევად ის უნდა დააკვირდეს ისეთ ხატებებს, რომელთა შესახებაც მან იცის, რომ ისინი სხვა ადამიანთა გრძნობებით, ლტოლვებით და გულისთქმით არიან განპირობებულნი. თუმცა ამ ხატებათა პირისპირაც შეუძლია აღმოაჩინოს, რომ მის აზრებსა და გრძნობებს მაინც გააჩნიათ მათზე გარკვეული, თუმცა შედარებით უმნიშვნელო ზეგავლენა. ხატებათა სამყაროში ყოველთვის რჩება გარკვეული ნაშთი, რომლისთვისაც ეს ზეგავლენა თითქმის სრულიად უმნიშვნელოა. ეს ნაშთი იდუმალთმოწაფის გზის დასაწყისში წარმოადგენს უდიდეს ნაწილს იმისას, რასაც ის საერთოდ ამჩნევს მოცემულ სფეროში. ამ ნაწილის ბუნება მისთვის შეიძლება ცხადი გახდეს მხოლოდ თვითდაკვირვებიდან გამომდინარე. აქ ის აღმოაჩენს, თუ რომელი ხატებებია გამოწვეული თავად მის მიერ. ყოველივე, რასაც ის სჩადის, სურს ან ნატრობს, აისახება ამ ხატებებზე. მასში არსებული ლტოლვა, გულისთქმა, განზრახვა და ა.შ. ამგვარ ხატებებში იჩენს თავს. მთელი მისი ხასიათი აღიბეჭდება ხატებათა ამ სამყაროში. ამგვარად, ადამიანს თავისი გაცნობიერებული

აზრებისა და გრძნობების მეოხებით შეუძლია ზეგავლენის მოხდენა ყველა იმ ხატებზე, რომლებიც მისგან არ მომდინარეობენ. ხოლო იმ ფორმებზე, რომლებიც მისი არსებისგანაა გამოწვეული ზენა სამყაროში, ზეგავლენის მოხდენა აღარ შეუძლია მას შემდეგ, რაც მან ისინი წარმოშვა. ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ უმაღლესი ჭვრეტისას ადამიანის შინაგანი სამყარო, აგრეთვე მის ლტოლვათა, გულისთქმათა და წარმოდგენათა სამყარო, თავს იჩენს გარეგნულ ფორმებში ისევე, როგორც სხვა საგნები და არსებები. შინაგანი სამყარო უმაღლესი შემეცნებისათვის გარესამყაროს ნაწილი ხდება. ფიზიკურ სამყაროში ყოველი მხრიდან სარკეებით ისე რომ ვყოფილიყავით გარემოცულნი, რომ შეგვძლებოდა ჩვენი ფიზიკური სახის ყოველი მხრიდან დანახვა, ასევე ზენა სამყაროში ადამიანს საკუთარი მშვინვიერი არსება წარმოუდგებოდა როგორც ანარეკლი სარკეში.

განვითარების ამ საფეხურზე იდუმალთმოწაფისათვის დგება წუთი, როდესაც მისი პიროვნული შეზღუდულობიდან მომდინარე ილუზია უნდა დასძლიოს. ახლა მას შეუძლია საკუთარი პიროვნების წიაღში არსებულს ისევე დაუკვირდეს, როგორც გარესამყაროს. უწინ ხომ გარესამყაროდ თვლიდა იმას, რაც მის გრძნობებზე ახდენდა ზემოქმედებას. ამგვარად, გამოცდილების წყალობით იგი თანდათანობით სწავლობს ისევე მოეპყროს საკუთარ თავს, როგორც უწინ მის გარემომცველ არსებებს ეპყრობოდა.

ადამიანს სულიერი სამყაროების ხედვა იმაზე ადრე რომ გახსნოდა, ვიდრე ის საკმარისად მომზადებული იქნებოდა მათი არსის შესამეცნებლად, იგი საკუთარი სამშვინველის ზემოაღწერილ ხატებასთან იდგებოდა როგორც გამოცანის წინაშე. საკუთარ ლტოლვათა ხატებები მას წარმოუდგებოდნენ ისეთ სახეებში, რომელთაც იგი ცხოველურ ან, უფრო იშვიათად, ადამიანურ სახეებად აღიქვამდა. ამ სამყაროს ორგანული ხატებები არასოდეს წააგვანან ფიზიკური სამყაროს ხატებებს, მაგრამ მაინც გააჩნიათ შორეული მსგავსება მათთან. გაუვარჯიშებელი დამკვირვებლების მიერ ისინი შესაძლოა ერთსა და იგივედ ჩაითვალონ. ამ სამყაროში შესვლისას საჭიროა სავსებით ახლებური განსჯის გათავისება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის შინაგანი სამყაროს შემადგენელი საგნები გაცხადდებიან როგორც გარესამყარო, ამასთანავე თავიანთი ნამდვილი რაობის სარკისებურ ანარეკლებად გამოვლინდებიან. მაგალითად, როდესაც აქ შევნიშნავთ რაიმე რიცხვს, საჭიროა მისი წაკითხვა უკუღმა, როგორც სარკისებრი ანარეკლისა. 265, მაგალითად, სინამდვილეში აღნიშნავს 562-ს. სფეროს ვხედავთ ისე, თითქოს მის ცენტრში ვიმყოფებოდეთ. შემდეგ საჭიროა სწორად გადავთარგმნოთ ეს შიგნიდან დანახული ხატება. მაგრამ თვით მშვინვიერი თვისებები სარკისებურ ანარეკლებად გვევლინებიან. რაიმე გარეგნულისაკენ მიმართული სურვილი თავს იჩენს როგორც ხატება, რომელიც თავად მიიწევს სასურველი საგნისკენ; იმ ვნებებს, რომლებიც ადამიანის ქვენა ბუნებაში არიან დამკვიდრებულნი, შეუძლიათ მიიღონ ცხოველების ან მსგავს არსებათა ფორმა, რომლებიც თავს ესხმიან ადამიანს. სინამდვილეში ეს ვნებები მიისწრაფიან გარეთ; ისინი ეძიებენ თავიანთ დამაკმაყოფილებელ საგანს გარესამყაროში. თუმცა, გარეთ მიმართული ეს ძიება **სარკისებური ანარეკლის** სახით ვლინდება, როგორც შემოტევა თვით გულისთქმათა მატარებელზე.

როდესაც იდუმალთმოწაფე უმაღლეს ჭვრეტასთან მისვლამდე მშვიდი, საქმი-

ანი თვითდაკვირვებით შეიმეცნებს საკუთარ თვისებებს, მისი შინაგანი სამყაროს გარეგნული ანარეკლის გამოვლენისას იგი ჰპოვებს თავის თავში სწორი მოქცევის თვის აუცილებელ სიმამაცეს და ძალას. ის ადამიანები, რომელთაც თვითგამოცდის გზით არ შეუმეცნებიათ თავიანთი შინაგანი სამყარო, სარკისებურ ანარეკლში ვერ ამოიცნობენ საკუთარ თავს და მას უცხო სინამდვილედ ჩათვლიან. მათ ასეთი ხილვის წინაშე შიში შეუდგებათ, რამდენადაც ამის ატანა არ შეუძლიათ და შთააგონებენ თავს, რომ ეს არის არაფრის მომცემი ნაყოფი ფანტაზიისა. ორივე შემთხვევაში ადამიანი საბედისწეროდ დაბრკოლდებოდა თავისი უმაღლესი განსწავლის გზაზე, რამდენადაც უმწიფარმა შეადგა ფეხი განვითარების გარკვეულ საფეხურზე.

ყოვლად აუცილებელია იდუმალთმოწაფემ გამოიაროს საკუთარ სამშვინველთან დაკავშირებული ზეგრძნობადი სანახაობა, რათა მიაღწიოს უმაღლეს სფეროს. მას ხომ საკუთარ მეობაში გააჩნია ის სულიერ-მშვინვიერი არსება, რის შესახებაც მას ყველაზე უკეთ ძალუძს განსაჯოს. თუკი მას ჯერ კიდევ ფიზიკურ სამყაროში შეუძენია რაღაც ცოდნა თავისი პიროვნების შესახებ, ხოლო ზენა სამყაროში პირველივე შემხვედრი მისივე პიროვნების ხატი იქნება, მას შეუძლია ერთმანეთს შეუდაროს ისინი; მას შეუძლია ეს უმაღლესი ხატება შეუპირისპიროს მისთვის უკვე ნაცნობს და ამრიგად, მყარ ნიადაგზე დადგეს. თუკი პირიქით, მას გამოეცხადებიან სხვა სულიერი არსებანი, იგი ვერ შესძლებდა თავიდან რაიმეს გაგებას მათი თავისებურებისა და არსის შესახებ. ის მალე იგრძნობდა, რომ ნიადაგი ეცლება ფეხქვეშ. ამადაც ხშირად უნდა გაესვას ხაზი, რომ ზენა სამყაროსთან ყველაზე საიმედოდ მისადგომი გზა საკუთარი არსების საფუძვლიან შემეცნებასა და განსჯაზე გადის.

ამრიგად, **სულიერი ხატებანია** ისინი, რასაც ადამიანი თავდაპირველად ხვდება ზენა სამყაროსაკენ მიმავალ გზაზე. ამ ხატებათა შესაბამისი სინამდვილე ხომ **თავად მასში** არსებობს. ამადაც იდუმალთმოწაფე იმდენად მომწიფებული უნდა იყოს, რომ პირველივე საფეხურზე არ მოითხოვდეს უხეშ რეალობებს, არამედ განიხილავდეს ამ ხატებებს როგორც სწორ მიღწევებს. თუმცა ამ ხატებათა სამყაროს შიგნით იგი მალევე ეცნობა რაღაც ახალს. საკუთარი **ქვენა** მეობა მას წარმოუდგება როგორც სარკეში არეკლილი ხატება, ხოლო ამ არეკლილ ხატებათაგან ცხადდება მისი **უმაღლესი** მეობის ჭეშმარიტი რაობა. ქვენა პიროვნების ხატებათაგან შესამჩნევი გახდება **სულიერი მე-ს** ხატი. მხოლოდ ამ უკანასკნელიდან გაიბმება ძაფები სხვა უმაღლესი სულიერი სინამდვილეებისაკენ.

ახლა კი მივედით თვალების არეში მოთავსებული ორფურცლიანი ლოტოსის ყვავილის განხილვამდე. როგორც კი ის მოძრაობას იწყებს, ადამიანს ეძლევა საშუალება დაუკავშიროს თავისი უმაღლესი **მე** ზემდგომ სულიერ არსებებს. ის ნაკადები, რომლებიც ლოტოსის ამ ყვავილისაგან გადმოედინებიან, მიემართებიან უმაღლესი სინამდვილეებისაკენ ისე, რომ ადამიანი მთლიანად აცნობიერებს შესაბამის მოძრაობებს. ისე როგორც სინათლე თვალისათვის საჩინოდ ხდის ფიზიკურ საგნებს, ასევე ეს დინებები ზენა სამყაროების სულიერ არსებებს ათვალსაჩინოებენ.

სულიერი მეცნიერებიდან ამოსულ წარმოდგენებში ჩაღრმავების შედეგად, რომლებიც უმთავრეს ჭეშმარიტებებს შეიცავენ, სწავლობს მოწაფე ხსენებული ლოტოსის ყვავილის ნაკადთა ამოძრავებას და მართვას.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი მსჯელობის უნარს, მკაფიო, ლოგიკურ აზროვნებას — ეს განვითარების სწორედ ამ საფეხურზე იჩენს თავს. უნდა გავიხსენოთ, რომ აქამდე ჩანასახოვან მდგომარეობაში, გაუცნობიერებლად ადამიანში მთვლემარე უმაღლესი მეობა ახლა ცნობიერ ყოფაში შემოდის. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სულიერ სამყაროში დაბადებასთან არა მხოლოდ ხატებრივი, არამედ სავსებით რეალური გაგებით. ახლადშობილი არსება — უმაღლესი მეობა ქვეყნიერებას აუცილებელი ორგანოებით და შესაძლებლობებით უნდა მოევლინოს, რათა სიცოცხლისუნარიანი გახდეს. ისევე როგორც ბუნების საზრუნავია ბავშვის სწორად ჩამოყალიბებული ყურებითა და თვალებით დაბადება, ასევე ადამიანის თვითგანვითარების კანონებმა უნდა იზრუნონ, რათა მისი უმაღლესი მეობა აუცილებელი უნარებით შემოვიდეს ყოფიერებაში. ეს კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ თავად სულის უმაღლესი ორგანოების განვითარებას, არიან ჯანსაღი გონებისა და ზნეობის კანონები ფიზიკურ სამყაროში. ისევე როგორც ბავშვი მომწიფდება დედის საშოში, ზუსტად ასევე ფიზიკური მეობა თავის წიაღში მოამწიფებს სულიერ ადამიანს. ბავშვის ჯანმრთელობა დამოკიდებულია ბუნების კანონების ნორმალურ მოქმედებაზე დედის საშოში. სულიერი ადამიანის ჯანმრთელობა კი მსგავსად განპირობებულია ჩვეულებრივი განსჯის კანონებით და ფიზიკურ ცხოვრებაში მოქმედი გონებით. ის, ვინც ფიზიკურ სამყაროში ჯანსაღად არ ცხოვრობს და არ აზროვნებს, ვერ შობს ჯანმრთელ უმაღლეს მეობას. ბუნებისა და გონების შესაბამისად ცხოვრება არის საფუძველი ჭეშმარიტი სულიერი განვითარებისა. ისე როგორც ბავშვი დედის საშოში ცხოვრობს იმავე ბუნების კანონების მიხედვით, რომელთაც დაბადების შემდგომ თავისი გრძნობის ორგანოებით აღიქვამს, ასევე ადამიანის უმაღლესი მეობა ჯერ კიდევ ფიზიკურ ყოფაში ცხოვრობს სულიერი სამყაროს კანონებით. ისე როგორც ბავშვი, სიცოცხლის ბუნდოვანი შეგრძნებიდან გამომდინარე, იკრებს შესაბამის ძალებს, ასევე შეუძლია ადამიანს მისი უმაღლესი მეობის დაბადებამდე სულიერი სამყაროს ძალთა გათავისება. დიახ, მან უნდა მოახერხოს ეს, თუკი სურს, რომ ეს მეობა სავსებით განვითარებულ არსებად დაიბადოს. სწორი არ იქნებოდა, ვინმეს რომ ეთქვა: მე არ შემიძლია სულიერი მეცნიერების სწავლებათა მიღება, ვიდრე თავად ვერ შევძლებ ხედვას. სულიერ კვლევაში ჩაღრმავების გარეშე მას არ შეუძლია ჭეშმარიტ შემეცნებამდე მისვლა. მაშინ ის იმ ბავშვის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რომელიც დედის საშოში მყოფი უარს იტყოდა დედისაგან მომდინარე ძალთა მიღებაზე და ამჯობინებდა ლოდინს იქამდე, ვიდრე ამ უკანასკნელთ თვითონ არ მოიპოვებდა. ისე როგორც ბავშვის ჩანასახი სიცოცხლის შეგრძნებიდან გამომდინარე ხვდება მისთვის მოწოდებულ ძალთა სარგებლიანობას, ასევე სულიერად ჯერ კიდევ თვალაუხილავი ადამიანი იმეცნებს სულიერი მეცნიერების სწავლებათა ჭეშმარიტებას. ამ სწავლებათა გაგება შესაძლებელია ჭეშმარიტების შეგრძნებისა და მკაფიო, ჯანსაღ, მრავალმხრივ გონებაზე დაყრდნობით, მაშინაც კი, თუ თავად არ ძალგვიძს სულიერი საგნების ჭვრეტა. თავიდან საჭიროა მისტიკურ შემეცნებათა შესწავლა და ამ შესწავლის გზით მომზადება ჭვრეტისათვის. ადამიანი, რომელიც ამგვარი შესწავლის გზით მივიდოდა ჭვრეტამდე, ემგვანებოდა თუმცა თვალებითა და ყურებით, მაგრამ ტვინის გარეშე დაბადებულ ბავშვს. მის წინაშე გადაიშლებოდა ფერთა და ბგერათა მთელი სამყარო; მაგრამ იგი ვერაფერს გააწყობდა მასთან.

ამრიგად, ის, რაც ადამიანისათვის ჭეშმარიტების შეგრძნების, განსჯისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონების წყალობით გასაჭები იყო, იდუმალთმოწაფეობის აღწერილ საფეხურზე მისი საკუთარი განცდა ვახდება. ამჯერად მას გააჩნია უშუალო ცოდნა საკუთარი უმაღლესი მეობის შესახებ. იგი შეიცნობს, რომ ეს უმაღლესი მეობა დაკავშირებულია ზენა რიგის სულიერ არსებებთან და ერთიანობაშია მათთან. იგი ხედავს, თუ როგორ წარმოსდგება მისი ქვენა მეობა ზენა სამყაროსგან. ეს კი უჩვენებს, რომ მისი უმაღლესი ბუნების ყოფიერება დაუტეველია ქვენა ბუნების არსებობის ფარგლებში. ახლა მას შეუძლია საკუთარ თავში თვითონვე გამოარჩიოს წარმავალი მუდმივისაგან. ეს ნიშნავს, რომ იგი საკუთარი ჭვრეტის ძალით შეისწავლის მოძღვრებას უმაღლესი მეობის უმდაბლესში განსხეულების (ინკარნაციის) შესახებ. ახლა ცხადი ხდება, რომ თავად გახდა იმ მაღალი სულიერი კავშირების შემადგენელი ნაწილი, რომლებიც განსაზღვრავენ მის თვისებებს და ბედს. იგი შეიმეცნებს **თავისი ცხოვრების კანონს** — კარმას. იგი რწმუნდება, რომ საკუთარი ქვენა მეობა იმ სახით, როგორითაც ის მის ყოფიერებას ავსებს, მხოლოდ ერთ-ერთი ხატებაა, შემძლე მისი უმაღლესი არსების მიღებისა. იგი დაინახავს შესაძლებლობას თავისი უმაღლესი მეობიდან იმუშაოს საკუთარ თავზე, რათა სულ უფრო მეტად სრულყოფილი გახდეს. ამჯერად მას შეუძლია შეამჩნიოს ადამიანთა შორის დიდი განსხვავებანი მათი სრულყოფილების სხვადასხვა ხარისხისდა მიხედვით. იგი გაიგებს, რომ არსებობენ უფრო დაწინაურებული ადამიანები, რომლებსაც მისთვის ჯერაც ფეხშეუდგამი საფეხურები აქვთ დაძლეული. იგი ხედავს, რომ ასეთ ადამიანთა სწავლება და საქმენი ზენა სამყაროს მიერაა შთაგონებული, რასაც უმაღლის თავის პირველ დამოუკიდებელ გახედვას ზენა სამყაროში. მათი ყოფიერება, ვისაც კაცობრიობის დიდ ხელდასხმულს უწოდებენ, იწყებს მისთვის სინამდვილედ ქცევას.

ყველა ამ ნიჭს უმაღლის იდუმალთმოწაფე განვითარების ამ საფეხურს: განჭვრეტა საკუთარი უმაღლესი მეობისა, წვდომა უმაღლესი მეობის უმდაბლესში განსხეულების ანუ ინკარნაციის შესახებ მოძღვრებისა, შეცნობა კანონისა, რომლის მიხედვითაც ფიზიკურ სამყაროში ცხოვრება სულიერი კავშირების თანახმად წესრიგდება (კარმის კანონი) და, ბოლოს, დიდ ხელდასხმულთა ყოფიერებაში შეღწევა.

ამადაც, ხსენებულ საფეხურზე ასული მოწაფის შესახებ ამბობენ, რომ ეჭვი საბოლოოდ გაუქრაო. თუ მას აქამდე გონებასა და ჯანსაღი აზროვნების საფუძველზე აგებული რწმენა ჰქონდა, ამჯერად ამ რწმენის ადგილს სრული ცოდნა და შეურყეველი წვდომა იკავებს.

რელიგიებმა თავიანთ რიტუალებში, საიდუმლოებებსა და წესებში თვალისთვის სახილველად გამოსახეს უმაღლესი სულიერი პროცესები და არსებანი. მხოლოდ ის, ვისაც დიდი რელიგიების სიღრმეები არ განუჭვრეტია, ჯეროვნად ვერ შეაფასებს მათ. მაგრამ ვისაც ძალუძს სულიერი სინამდვილის თავად განჭვრეტა, იგი შეიგნებს ამ გარეგნულად სახილველ ქმედებათა დიდ მნიშვნელობას. შემდგომ ამისა, რელიგიური მსახურება მისთვის გახდება ანარეკლი კავშირისა სულიერად მასზე მაღლამდგომ სამყაროსთან.

ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იქცევა იდუმალთმოწაფე ნამდვილად ახალ ადამიანად ამ საფეხურის მიღწევით. შემდეგ მას შეუძლია თანდათანობით მომწიფდეს ისე, რომ ეთერული სხეულის დინებებით მართოს საკუთარი უმაღლესი ცხოვრების ელემენტი და ასე განთავისუფლდეს თავისი ფიზიკური სხეულისგან.

ცვლილებანი იდუმალთმოწაფის სიზმრების სფეროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდუმალთმოწაფის სიზმრების სფეროში მომხდარი ცვლილებანი ნიშნავს, რომ მან წინა თავში აღწერილ განვითარების საფეხურს უკვე მიაღწია ან მალე მიაღწევს. აქამდე მისი სიზმრები არეული და თვითნებური იყო. ამიერიდან ისინი მოწესრიგებულნი ხდებიან. მათი ხატებანი აზრიან კავშირს ამყარებენ ერთმანეთთან ცხოვრებისეული წარმოდგენების მსგავსად. მათში ახლა შესაძლებელი ხდება კანონის, მიზეზის და ქმედების ამოცნობა. იცვლება აგრეთვე სიზმართა შინაარსიც. მაშინ როცა მოწაფე აქამდე მხოლოდ ყოველდღიურობის სხვადასხვა გამოძახილს, გარემოს მიერ ან საკუთარი სხეულის მდგომარეობით გამოწვეულ, ჩამოუყალიბებელ შთაბეჭდილებებს აღიქვამდა, ახლა თავს იჩენენ ხატებანი, რომლებიც აქამდე უცნობი სამყაროდან წარმოსდგებიან. თავდაპირველად სიზმართა სფეროს **ზოგადი ხასიათი** უცვლელი რჩება, სიზმარი ფხიზელი წარმოდგენისაგან ხომ იმით განსხვავდება, რომ იგი სათქმელს სურათ-ხატოვანი სახით იძლევა. სიზმართა სფეროს კურადღებიან დამკვირვებელს არ გამოეპარება ეს სურათხატოვნება. მაგალითად, ადამიანი სიზმარში ხედავს, რომ დაიჭირა რომელიღაც ამაზრზენი ცხოველი და ამის გამო ხელებზე უსიამო შეგრძნება აქვს. მას გამოეღვიძება და ხედავს, რომ ხელში საბნის კიდე ჩაუბღუჯავს. ამრიგად, აღქმა თავს ნამდვილი სახით კი არ ავლენს, არამედ სურათხატის საშუალებით. ან ვთქვათ, ადამიანს ესიზმრება, რომ გაურბის მდევარს. ამ დროს მას შიში ეუფლება. გამოღვიძებისას იგი შეამჩნევს, რომ ძილის დროს გაუხშირდა გულისცემა. კუჭი, რომელიც ძნელადმოსანელებელი საკვებითაა სავსე, იწვევს შიშისმომგვრელ სიზმრებს. მძინარე ადამიანის გარემოში მიმდინარე პროცესები აგრეთვე ირეკლებიან სიზმარში სურათხატების სახით. საათის რეკვამ შესაძლოა გამოიწვიოს ჩვენება ჯარისა, რომელიც მწყობრად მიაბიჯებს დაფდაფების ხმაზე. სკამის წაქცევამ შესაძლოა მთელი დრამა გამოიწვიოს სიზმარში — მაგალითად, დაცემის ხმა აირეკლოს გასროლად და ა.შ. სურათ-ხატოვანი ხასიათი აქვთ აგრეთვე იმ ადამიანების მოწესრიგებულ სიზმრებსაც, რომლის ეთერული სხეულიც განვითარებას იწყებს, მაგრამ მისი სიზმრები აღარ აირეკლავენ მხოლოდ ფიზიკურ გარემოში ან გრძნობად სხეულში მომხდარ ფაქტებს. გარდა იმისა რომ წესრიგდებიან ფიზიკური საგნებით გამოწვეული სიზმრები, მათში შემოერევიან აგრეთვე ისეთი სიზმარეული სურათ-ხატებიც, რომლებიც სხვა სამყაროს საგანთა და ურთიერთშესაბამისობათა გამოვლინებაა.

ადამიანი თავიდან ისეთ გამოცდილებას იღებს ამ სფეროში, რომელიც მიუწვდომელია ჩვეულებრივი მღვიძარე ცნობიერებისათვის. მხოლოდ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ვირწმუნოთ, რომ რომელიმე ჭეშმარიტი მისტიკოსი რაიმე სარწმუნო ცნობებს ზენა სამყაროს შესახებ საფუძვლად უდებს მის მიერ სიზმარში განცდილს. ამგვარი სიზმარეული განცდები განხილული უნდა იქნას როგორც პირველი ნიშანი უმაღლესი განვითარებისა. მალე შედეგის სახით თავს იჩენს ფაქტი, რომ იდუმალთმოწაფის მიერ სიზმარში ნანახი ხატებანი აღარ უსხლტებიან გონების გააზრებულ მართვას, არამედ ამ უკანასკნელის მიერ მოწესრიგდებიან და მწყობრად მიმოიხილებიან მღვიძარე ცნობიერების წარმოდგენათა და შეგრძნებათა

მსგავსად. სულ უფრო და უფრო ჰქრება განსხვავება სიზმარეულსა და მღვიძარე ცნობიერებას შორის. სიზმრის მნახველი ადამიანი ასეთ დროს მღვიძარე რჩება ამ სიტყვის სრული გაგებით. ეს კი ნიშნავს, რომ იგი იქცევა საკუთარი ხატოვანი წარმოდგენების მეუფედ და წინამძღოლად.

სიზმრისას ადამიანი ფაქტიურად იმყოფება იმ სამყაროში, რომელიც ფიზიკური სამყაროსაგან განსხვავდება. ადამიანს განუვითარებელი სულიერი ორგანოებით სხვა არაფერი შეუძლია, თუ არა ზემოაღწერილი აბნეული შთაბეჭდილებების შექმნა. მისთვის ეს ისევეა მისაწვდომი, როგორც ფიზიკური სამყარო ჩანასახოვანი თვალის მქონე არსებათათვის, ამადაც, ადამიანს ამ სამყაროში არ შეუძლია რაიმეს დანახვა გარდა ყოველდღიურობის ანაბეჭდებისა და ანარეკლებისა. ამას ის სიზმარში იმიტომ ხედავს, რომ სამშვინველი თავის ყოველდღიურ აღქმებს შთაბეჭდავს იმ სხვა სამყაროს შემადგენელ ნივთიერებაში. ჩვენთვის ნათელი უნდა გახდეს, რომ ადამიანი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებასთან ერთად ეწევა არაცნობიერ, მეორე ცხოვრებას ნაგულისხმევ სხვა სამყაროში. ყოველივეს, რასაც ის აღიქვამს და იაზრებს, აღბეჭდავს ამ სამყაროში. ამ ანაბეჭდების დანახვა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ადამიანს განვითარებული აქვს ლოტოსის ყვავილები. ყოველ ადამიანს გააჩნია ლოტოსის ყვავილების ჩანასახი. ჩვეულებრივ მღვიძარე ცნობიერებაზე მყოფს არ შეუძლია მათი საშუალებით რაიმეს აღქმა, ვინაიდან ზენა სამყაროს მიერ გამოწვეული შთაბეჭდილებანი მასში ძალზე სუსტია. ეს იმავე მიზეზის გამო ხდება, რა მიზეზითაც დღისით ვარსკვლავები არ ჩანს. ისინი ადამიანის აღქმამდე ვერ აღწევენ მზის მძლავრი ნათელის გამო. ამადაც, სუსტ სულიერ შთაბეჭდილებებს მნიშვნელობა აღარ აქვს ფიზიკურ გრძნობათა ძლიერი შთაბეჭდილებების პირისპირ. როდესაც ძილის დროს გარეგან გრძნობათა ბჭენი დახშულია, ხსენებული შთაბეჭდილებანი იწყებენ უწესრიგოდ წამონთებას. სიზმრის მნახველისათვის თავს იჩენენ სხვა სამყაროში მიღებული გამოცდილებანი. თუმცა, როგორც ითქვა, ეს გამოცდილებანი სხვა არაფერია, თუ არა ფიზიკურ გრძნობებს მიჯაჭვული მისი წარმოდგენის მიერ სულიერ სამყაროში გაკეთებული ანაბეჭდები. მხოლოდ განვითარებული ლოტოსის ყვავილი იძლევა საშუალებას იმ გამოვლინებათა მისანიშნებლად, რომლებიც არ განეკუთვნებიან ფიზიკურ სამყაროს. განვითარებული ეთერული სხეულის წყალობით ხდება შემდგომში ახლებური გაგება სხვა სამყაროებიდან წამოსული ამ უწყებებისა. ასე იწყება ადამიანის ურთიერთობა ახალ სამყაროსთან. ამჯერად ადამიანმა იდუმალთგანსწავლისას მიღებული მითითებებით უწინარეს ყოვლისა ორ რასმე უნდა მიაღწიოს. თავდაპირველად შესძლოს სრულიად ნათლად, როგორც სიფხიზლეში, გაიხსენოს სიზმარში ჩატარებული დაკვირვებანი. როდესაც ის ამას დაძლევს, მას წარმართავენ იქითკენ, რომ ჩაატაროს იგივე დაკვირვებანი ამჯერად ფხიზელ მდგომარეობაში. სულიერი შთაბეჭდილებებისაკენ მიქცეული მისი ყურადღება ამრიგად ისე გაიწვრთნება, რომ შთაბეჭდილებანი როდი გაჰქრებიან ფიზიკური განცდების პირისპირ, არამედ იგი შესძლებს მათ შენარჩუნებას **ამ უკანასკნელთან ერთად.**

თუ იდუმალთმოწაფემ მოიპოვა ეს უნარები, მისი სულიერი მხედველობის წინაშე გაჩნდება წინა თავში აღწერილი სურათი. მას უკვე შეუძლია აღიქვას, თუ რა წარმოადგენს სულიერ სამყაროში ფიზიკური სამყაროს პირველმიზეზს. და,

უწინარეს ყოვლისა, ძალუძს შეიცნოს საკუთარი მეობა ამ სამყაროში. მისი შემდეგი ამოცანაა გარკვეულწილად შეეთვისოს ამ უმაღლეს მეობას ანუ განიხილოს ეს თავის ჭეშმარიტ არსებად და შესაბამისადაც მოიქცეს. მასში სულ უფრო და უფრო ისადგურებს წარმოდგენა და ცოცხალი განცდა იმისა, რომ მის მიერ უწინ ქვენა მე-დ წოდებული არსება სხვა არაფერი იყო, თუ არა იარაღი უმაღლესი მეობისა. მას ქვენა მეობის მიმართ ისეთივე შეგრძნება უჩნდება, როგორიც გააჩნია გრძნობადი სამყაროთი შეზღუდულ ადამიანს მის მიერ გამოყენებული ხელსაწყოს ან მიმოსვლის საშუალებისადმი. და როგორც ეს უკანასკნელი თუნდაც რომელიმე ფორანს არ ჩათვლის საკუთარ მე-დ მაშინაც კი თუ ის იტყვის: „მე მივემგზავრები", ან „მე მივდივარ", ასევე განვითარებული ადამიანი, რომელიც ამბობს: „მე შევდივარ კარში", გულისხმობს — „მე შემაქვს ჩემი სხეული კარში". ეს იმდენად თავისთავად ცხადი ცნება უნდა იყოს, რომ ერთი წამითაც არ უნდა დაჰკარგოს მან მყარი ფიზიკური ნიადაგი ფეხქვეშ, მასში ამის გამო არასოდეს უნდა იჩინოს თავი გაუცხოებამ ფიზიკური სამყაროს მიმართ. თუკი იდუმალთმოწაფეს არ სურს მეოცნებედ ან მეზღაპრედ გადაქცევა, მან უმაღლესი ცნობიერებით არ უნდა გააღარიბოს თავისი წუთისოფელი ფიზიკურ სამყაროში, არამედ გაამდიდროს იმის მსგავსად, ვინც ფეხით სიარულის ნაცვლად მგზავრობისათვის მატარებელს იყენებს.

თუ იდუმალთმოწაფემ შესძლო ცხოვრება თავის უმაღლეს მეობაში, შემდგომ — ან სულაც უმაღლესი ცნობიერების გათავისების პროცესში — მისთვის ნათელი გახდება, თუ როგორ უნდა შესძლოს სულიერი აღქმის ძალის გამოღვიძება გულის არეში წარმოქმნილ ორგანოში და როგორ მართოს მისი საშუალებით წინა თავში აღწერილი დინებები. აღქმის ეს ძალა უმაღლესი ნივთიერების ელემენტია, რომელიც ხსენებული ორგანოდან გამოდის და მოელვარე მშვენიერების სახით გადმოიღვრება მბრუნავ ლოტოსის ყვავილებზე ან მოძრაობს განვითარებული ეთერული სხეულის სხვა არხების გავლით. ის აქედან ანათებს გარეთ, გარემომცველ სულიერ სამყაროში და მას სულიერად საჩინოდ ხდის ისევე, როგორც საგნებზე დაცემული მზის შუქი ფიზიკურად ათვალსაჩინოებს მათ.

თუ როგორ წარმოიშობა გულის ორგანოში აღქმის ეს ძალა, ეს თანდათანობით გახდება გასაგები თავად განვითარების მსვლელობაში.

საგანთა და არსებათა სახით სულიერი სამყარო მკაფიოდ აღქმადი იმ ადამიანისათვის გახდება, რომელიც აღწერილი მეთოდით შესძლებს აღქმის ეს ორგანო საკუთარი ეთერული სხეულის გავლით წარგზავნოს გარესამყაროში, რათა სინათლე მოჰფინოს საგნებს. აქედან ჩანს, რომ სულიერი სამყაროს რაიმე საგნის სრულყოფილი შეცნობა მხოლოდ იმ პირობით მოხდება, თუ ადამიანი თავად მოჰფენს მას საკუთარი სულის სინათლეს. სინამდვილეში ის მე, რომელიც აღქმის ამ ორგანოს წარმოშობს, ადამიანის ფიზიკურ სხეულში როდია, არამედ, როგორც ითქვა, მის გარეთ. გული ხომ ის ადგილია, სადაც ადამიანი გარედან შიგნით აანთებს სულიერი ნათლის ორგანოს. ეს რომ სხვა ადგილას აეხთო, ანალოგიურ ვითარებაში გამოწვეულ სულიერ აღქმებს აღარ ექნებოდათ რაიმე კავშირი ფიზიკურ სამყაროსთან. მაგრამ ადამიანმა ხომ მაღალი სულიერება სწორედ ფიზიკური სამყაროსკენ უნდა მიმართოს, ხოლო სულმა ადამიანითვე მოახდინოს ზემოქმედება სამყაროზე. გული ის ორგანოა, რომლის საშუალებითაც უმაღლესი მე თავის იარაღად აქცევს გრძნო-

ბად მეობას და საიდანაც ეს უკანასკნელი მართული იქნება.

თუმცა განვითარებულ ადამიანს სულიერი სამყაროს საგნების განსხვავებული შეგრძნება გააჩნია, საპირისპიროდ მხოლოდ ფიზიკური სამყაროს გრძნობადი ქმის უნარის მქონე ადამიანისგან. ეს უკანასკნელი თავს იგულვებს გრძნობადი სამყაროს ერთ გარკვეულ ადგილას, ხოლო აღსაქმელი საგნები მისთვის გარეთ იმყოფებიან. სულიერად განვითარებული ადამიანი საპირისპიროდ თავს მის მიერ აღქმულ სულიერ საგნებთან ერთარსებად შეიგრძნობს, თითქოსდა მათ შიგნით. სინამდვილეში იგი ერთი ადგილიდან მეორესკენ მოგზაურობს სულიერ სივრცეში. ამადაც მას იდუმალთმეტყველების ენაზე მოგზაურს უწოდებენ; თავიდან მას არსად უჩნდება მშობლიური სახლის განცდა. ის რომ ამგვარად მოგზაური დარჩენილიყო, ვერ შესძლებდა ნამდვილად გაერკვია რაიმე საგანი სულიერ სივრცეში. და როგორც ფიზიკურ სივრცეში ამა თუ იმ საგნის ან ადგილის დადგენა გარკვეული ამოსავალი წერტილის მიხედვით ხდება, ასევე უნდა მოხდეს ამ სამყაროშიც. აქ უნდა გამოიძებნოს რაიმე ადგილი, რომელიც ჯერ სულიერად დაწვრილებით უნდა იქნას გამოკვლეული და შემდეგ მოწაფის სამფლობელოდ იქცეს. ამ ადგილას საჭიროა სულიერი სამშობლო დაარსდეს, ხოლო შემდეგ სხვა დანარჩენი უნდა ჩადგეს მასთან რაიმე მიმართებაში. ფიზიკურ სამყაროში მცხოვრები ადამიანი ყველაფერს ისევე ხედავს, როგორც ამას მის ფიზიკურ სამშობლოსთან დაკავშირებული წარმოდგენები განსაზღვრავენ. ბერლინელი ძალაუნებურად სხვანაირად აღწერს ლონდონს, ვიდრე პარიზელი, თუმცა სულიერ სამშობლოსთან მიმართებაში ეს სხვაგვარად ხდება, ვიდრე ფიზიკურთან. ამ უკანასკნელში ადამიანი საკუთარი მონაწილეობის გარეშე დაიბადა, მან ჭაბუკობისას ინსტინქტურად გაითავისა მთელი რიგი წარმოდგენები, რომლებიც მისდა უნებურად აშუქებენ ყოველივეს. სულიერი სამშობლო კი ადამიანმა თავად შეიქმნა, სრულიად ცნობიერად. იგი წარმოადგენს ამოსავალ წერტილს მოწაფის ნათელი, თავისუფლებით აღსავსე მსჯელობისათვის. სულიერი სამშობლოს ამგვარ წარმოქმნას იდუმალთმეტყველების ენაზე ეწოდება „ქოხის შენება“.

სულიერი ხედვა განვითარების ამ საფეხურზე თავიდან ფიზიკური სამყაროს ანტიხატებებზე ვრცელდება, რამდენადაც ისინი ეგრეთ წოდებულ ასტრალურ სამყაროში იმყოფებიან. ყოველივე ამ სამყაროში მყოფი, თავისი არსით მსგავსია ადამიანური ლტოლვებისა, გრძნობებისა, გულისთქმათა და ვნებებისა. ისინი ენათესავებიან აგრეთვე ძალებს, რომლებიც დამახასიათებელია ადამიანის გარემომცველი ყველა საგნისათვის. მაგალითად, კრისტალი იღებს ფორმას იმ ძალთა მეოხებით, რომლებიც უმაღლესი ჭვრეტისას ჰგვანან ადამიანში მოქმედ ლტოლვას. მსგავს ძალთა მიერ წარიმართება წვენი მცენარის ძარღვებში, იფურჩქნებიან ყვავილები, ფეთქდებიან კვირტები. ყველა ეს ძალა განვითარებული სულიერი აღქმის ორგანოსთვის იღებს ფორმას და ფერს, ისევე როგორც ფიზიკური სამყაროს საგნებს გააჩნიათ ფორმა და ფერი ფიზიკური თვალებისათვის. განვითარების აღწერილ საფეხურზე იდუმალთმოწაფე ხედავს არამარტო კრისტალს ან მცენარეს, არამედ აღნიშნულ სულიერ ძალებსაც. ცხოველურ და ადამიანურ ლტოლვებს იგი არამარტო მათ მატარებელთა ფიზიკური ცხოვრების გამოვლინებათა წყალობით ხედავს, არამედ უშუალოდ საგნებად აღიქვამს. ზუსტად ისევე, როგორც ფიზიკურ სამყა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როში — მაგიდას ან სკამებს. ცხოველის ან ადამიანის ინსტინქტების, ლტოლვების, სურვილების და ვნებების მთელი სამყარო იქცევა მისთვის აურად, ასტრალურ ღრუბლად, რომელშიც გახვეულია ესა თუ ის არსება.

შემდგომში, განვითარების ამ საფეხურზე, ნათელმხილველი აღიქვამს ისეთ საგნებსაც, რომლებიც თითქმის ან სავსებით უსხლტებიან გრძნობად შემეცნებას. მაგალითად, მას შეუძლია შენიშნოს ასტრალური განსხვავება ორ სივრცეს შორის, რომელთაგანაც ერთში — ქვენა განწყობილების, ხოლო მეორეში კი — ამაღლებული განწყობის მქონე პიროვნებები იმყოფებიან. საავადმყოფოს არამარტო ფიზიკური, არამედ სულიერი ატმოსფეროც განსხვავებულია საცეკვაო დარბაზის ატმოსფეროსაგან. სავაჭრო ქალაქში, ასტრალური გაგებით, სხვაგვარი ჰაერია, ვიდრე საუნივერსიტეტოში. თავიდან ნათელმხილველად ქცეულ ადამიანში ამგვარ საგანთა აღქმისუნარიანობა სუსტად იქნება განვითარებული. მას თავიდან ისეთივე დამოკიდებულება ექნება ხსენებულ საგნებთან, როგორიც გააჩნია ფიზიკური ადამიანის სიზმარეულ ცნობიერებას მღვიძარე ცნობიერებასთან. მაგრამ თანდათანობით იგი ამ საფეხურზეც გამოიღვიძებს.

ნათელმხილველის უმაღლესი მიღწევა სულიერი ხედვის აღწერილ საფეხურზე არის ის, რომელზეც მას ადამიანურ და ცხოველურ ლტოლვათა ასტრალური ანტიხატებები წარმოუჩნდებიან. სიყვარულით აღსავსე მოქმედებას ახლავს სხვაგვარი ასტრალური თანამდევი მოვლენები, ვიდრე სიძულვილიდან გამომდინარეს. უაზრო გულისთქმა წარმოადგენს ამაზრზენ ასტრალურ ანტიხატებას; ამის საპირისპიროდ მშვენიერია რაღაც ამაღლებულისკენ მიმართული გრძნობა. ეს ანტიხატებანი ადამიანის ფიზიკური ცხოვრების პირობებში ოდნავ თუა შესამჩნევი. მათ ძალა ეცლებათ ფიზიკურ სამყაროში არსებობის პროცესით. მაგალითად, რაიმე საგნის სურვილი, გარდა საკუთარი გამოვლინებისა, წარმოქმნის სარკისებურ ანარეკლს ასტრალურ სამყაროშიც. თუ სურვილი შესაბამისი ფიზიკური საგნის მოპოვების შედეგად დაკმაყოფილდება, ან თუ არსებობს ამგვარი დაკმაყოფილების შესაძლებლობა, მაშინ ანტიხატება ძალზე სუსტად გამოვლინდება. მთელი ძალით იგი მხოლოდ ადამიანის სიკვდილის შემდგომ იჩენს თავს, როდესაც მისმა სამშვინველმა, საკუთარი ბუნების შესაბამისად უნდა შეინარჩუნოს ეს სურვილი, მაგრამ სამაგიეროდ ველარ შესძლებს მის დაკმაყოფილებას შესაბამისი საგნისა და ფიზიკური ორგანოს არარსებობის გამო. მაგალითად, სავსებით გარეგან გრძნობებზე შეჩერებულ ადამიანს სიკვდილის შემდგომაც არ დასტოვებს მიდრეკილება გემოთმოყვარეობისაკენ. ამჯერად მას აღარ აქვს დაკმაყოფილების შესაძლებლობა, მას ხომ აღარ გააჩნია პირი. შედეგად კი სურვილი ჰბადებს განსაკუთრებით მძაფრ ანტიხატებას, რომელიც მის სამშვინველს ძალზე აწვალებს. სამშვინველის დაბალი ბუნების ანტიხატებათა მიერ გამოწვეულ განსაცდელს სიკვდილის შემდგომ ეწოდება განცდები სამშვინველის საუფლოში, განსაკუთრებით კი გულისთქმათა სამყოფელში. ისინი გაჰქრებიან მას შემდეგ, როდესაც სამშვინველი განსწმენდს საკუთარ თავს ფიზიკური სამყაროსაკენ მიმართულ გულისთქმათაგან. მერმედ სამშვინველი ამაღლდება უფრო ზენა საუფლოში (სულიერ სამყაროში). თუმცა ფიზიკურად ცოცხალ ადამიანში ეს ანტიხატებანი სუსტია, ისინი მაინც არსებობენ და თან სდევენ მას საკუთარ გულისთქმათა ჩანასახის სახით როგორც კომეტას სდევს თან კუდი.

ნათელმხილველს შეუძლია მათი დანახვა, თუ განვითარების შესაბამის საფეხურზეა.

ამდაგვარ და ამის მსგავს გამოცდილებათა შორის ცხოვრობს იდუმალთმეტყველი. ეს
განვითარების აღწერილ ეტაპზე. ამ საფეხურზე მას არ შეუძლია უფრო მაღალი
სულიერი განცდების მიღწევა. ხოლო აქედან მას ისევ მოუწევს შემდგომი ზეასვლა.

ცნობიერების უწყვეტობის მიღწევა

ადამიანის ცხოვრება სამი მდგომარეობის მონაცვლეობით მიმდინარეობს: სიფხიზლე, სიზმრებიანი ძილი და უსიზმრო ძილი. თუ წარმოვიდგენთ, რა ცვლილებები ხდება ამგვარ შემეცნებათა მაძიებელ ადამიანში ხსენებული სამი მდგომარეობის გამო, შესაძლოა ჩავწვდეთ, როგორ მიიღწევა სულიერ სამყაროთა უმაღლესი შემეცნება. ვიდრე ადამიანი არ განსწავლულა ამ შემეცნების მისაღწევად, იქამდე მისი ცნობიერება გამუდმებით გაწყდება ხოლმე დასვენების იმ მონაკვეთებში, როცა კი ის დაიძინებს. ასეთ მონაკვეთებში სამშვინველმა არაფერი იცის არც გარესამყაროს, არც საკუთარი თავის შესახებ. მხოლოდ დროის გარკვეულ შუალედებში არაცნობიერის საყოველთაო ზღვიდან ამოტივტივდებიან სიზმრები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან გარესამყაროს პროცესებთან ან ამავე ადამიანის სხეულის მდგომარეობებთან. თავიდან სიზმრებში მხოლოდ ძილის მდგომარეობის საგანგებო გამოვლინებას ხედავენ და ამადაც ლაპარაკია ორი მდგომარეობის, ძილისა და სიფხიზლის შესახებ. მაგრამ იდუმალთმეტყველებისთვის ძილს დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნია ორ დანარჩენ მდგომარეობასთან ერთად. წინა თავში აღწერილი იქნა ის ცვლილებები, რომლებიც ხდება უმაღლესი შემეცნებისკენ აღმავალი ადამიანის სიზმართა სფეროში. მისი სიზმრები ჰკარგავენ უმნიშვნელო, მოუწესრიგებელ და ერთმანეთთან დაუკავშირებელ ხასიათს და სულ უფრო მოწესრიგებულ, ურთიერთდაკავშირებულ სიზმართა სამყაროდ იქცევიან. შემდგომი განვითარებისას სიზმართა საუფლოდან დაბადებული ეს ახალი სამყარო თავისი შინაგანი სიმართლით არ ჩამოუვარდება გარეგნულ, გრძნობად სინამდვილეს და მასში განაცხადებს ისეთ ფაქტებს, რომლებიც ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით უმაღლეს რეალობას წარმოადგენენ. გრძნობად სინამდვილეს და მასში განაცხადებს ისეთ ფაქტებს, რომლებიც ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით უმაღლეს რეალობას წარმოადგენენ. გრძნობად სამყაროში ყველგან საიდუმლობები და გამოცანები იმალება. ეს სამყარო ამხელს გარკვეულ უმაღლეს ხდომილებათა ზემოქმედებას. მაგრამ ადამიანი, რომლის აღქმაც შეზღუდულია მხოლოდ გარეგანი შეგრძნებებით, ვერ ადგენს **მიზეზებს**. სიზმართა სფეროდან შობილ (მაგრამ არავითარ შემთხვევაში უცვლელ მდგომარეობაში მყოფ) იდუმალთმოწაფეს მხოლოდ ნაწილობრივ გაეხსნებიან ეს მიზეზები. მან ეს გამოცხადებანი არ უნდა ჩათვალოს ნამდვილ ცოდნად, ვიდრე იგივე საგნები არ იჩენენ თავს მის წინაშე ჩვეულებრივ, მღვიძარე ცხოვრებაშიც, მაგრამ ის ამასაც შესძლებს. მისი განვითარება წარიმართება იქით, რომ მან თავისი სიზმრისეული მდგომარეობა გადმოიტანოს მღვიძარე ცნობიერებაში. ასეთ დროს გრძნობადი სამყარო მისთვის რაღაც სრულიად ახლით მდიდრდება. ისე როგორც ბრმადშობილ, ხოლო ოპერირების შემდგომ თვალახელილი ადამიანისათვის გარემო გამდიდრდება მხედველობისთვის მისაწვდომი აღქმებით, ასევე ხედავს ნათელმხილველად ქცეული ადამიანი მთელს გარემომცველ სამყაროს უკვე ახალი თვისებებით, საგნებით, არსებებით გამდიდრებულს. ამჯერად მას სხვა სამყაროში გადასახედად აღარ ესაჭიროება სიზმრის ლოდინი, არამედ, თუ ეს მიზანშეწონილია უმაღლესი აღქმისათვის, შეუძლია სულ უბრალოდ გადაინაცვლოს აღწერილ მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში მისთვის ამ მდგომარეობას იგივე მნიშვნელობა ექნებოდა, რაც ყოველდღიურობაში აღქმას მოქმედი გრძნობის ორგანოებით ამავე

ორგანოთა უმოქმედობასთან შედარებით აქვს. შეიძლება ჭეშმარიტი გაგებით ითქვას: იდუმალთმოწაფე ხსნის თავისი სამშვინველის გრძნობის ორგანოებს ჭვრეტს ისეთ საგნებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში დაფარულნი დარჩებოდნენ ფიზიკური გრძნობის ორგანოებისათვის.

ეს მდგომარეობა წარმოქმნის გარდამავალ საფეხურს შემეცნების უფრო მაღალ საფეხურებთან შედარებით. თუ იდუმალთმოწაფე განსწავლისათვის განკუთვნილი სავარჯიშოების შესრულებას განაგრძობს, გარკვეული ხნის შემდეგ ცხადი გახდება, რომ ეს გადამწყვეტი ცვლილებანი არამარტო მის სიზმართა სფეროში ხდება, არამედ უსიზმრო, ღრმა ძილზეც ვრცელდება. იგი ამჩნევს, რომ ის ცნობამიხდილი მდგომარეობა, რომელშიც ის უწინ ძილის დროს იმყოფებოდა, დაირღვევა ცალკეული ცნობიერი განცდების მიერ. ძილის სრული სიბნელიდან ამოტივტივდებიან აქამდე მისთვის უცნობი აღქმები. ამ აღქმათა აღწერა, რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია, რამდენადაც ჩვენი ენა მხოლოდ გრძნობადი სამყაროსთვისაა შექმნილი და აქედან მიახლოებით თუ შეირჩევა გრძნობადი სამყაროსაგან ცალკე მდგომი სიტყვები. და მაინც, ზენა სამყაროთა აღწერისათვის სიტყვებს ვიყენებთ. აღწერა შესაძლო გახდება, თუ ბევრი რამ იგავებით გამოითქმება; ამ ვიყენად ხომ ყოველი არსი ენათესავება ერთი-მეორეს. ზენა სამყაროთა საგნები და არსებები კი გრძნობადი სამყაროს შესაბამის ქმნილებებს იმდენად ენათესავებიან, რომ კეთილი ნების შემთხვევაში შეიძლება წარმოდგენა შევიქმნათ ამ ზენა სფეროთა შესახებ ფიზიკური სინამდვილისათვის განკუთვნილი სიტყვებით. მაგრამ საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ზეგრძნობადი სამყაროების მსგავსი აღწერისას ბევრ რასმე იგავისა და სურათხატის სახე ექნება. თავად იდუმალთგანსწავლა მხოლოდ ნაწილობრივ თუ მიმდინარეობს ჩვეულებრივი მეტყველებით. სხვა შემთხვევაში მოწაფე თავისი სულიერი აღმასვლისას სწავლობს უშუალოდ მისთვის გასაგებ სიმბოლური გამოხატვის ხერხებს. მან თავად უნდა გაითავისოს ეს ხერხები იდუმალთგანსწავლის დროს. თუმცა ამან არ უნდა შეუშალოს ხელი, აქ მოცემული ჩვეულებრივი აღწერების საშუალებითაც შეიტყოს ესა თუ ის ზენა სამყაროთა ბუნების ირგვლივ.

თუ გვსურს ვინმეს შთაბეჭდილება შევუქმნათ ზემოხსენებულ განცდებზე, რომლებიც თავიდან არაცნობიერის ზღვიდან ღრმა ძილისას ამოტივტივდებიან, დასაშვებია მათი შედარება ერთგვარ სმენით აღქმასთან. შესაძლოა ვისაუბროთ აღქმული ბგერებისა და სიტყვების შესახებ. ისე როგორც გრძნობად აღქმასთან შედარებით სიზმრებიანი ძილის განცდები შეიძლება დავახასიათოთ ერთგვარ **ჭვრეტად**, ასევე ღრმა ძილის ხდომილებანი შეიძლება სმენით შთაბეჭდილებებს შევუდაროთ. (დამატებითი შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ჭვრეტა უმაღლესია აგრეთვე სულიერი სამყაროებისთვისაც. ფერები **ამ სამყაროში** უფრო მაღლა დგას ვიდრე ბგერები და სიტყვები. მაგრამ ის, რასაც იდუმალთმოწაფე **თავდაპირველად ამ სამყაროში** აღიქვამს, არის არა უმაღლესი ფერები, არამედ ქვენა რიგის ბგერები. რამდენადაც ადამიანი თავისი ზოგადი განვითარებით შეეთვისა იმ სამყაროს, რომელიც სიზმრებიან ძილში იჩენს თავს, იმდენად აღიქვამს იგი ფერებს. ზენა სამყაროსათვის, რომელიც მას ღრმა ძილში გაეხსნება, იგი ჯერ კიდევ არაა სათანადოდ მომზადებული. ამადაც ადამიანი მას თავიდან ბგერებსა და სიტყვებში აღიქვამს და მხოლოდ მოგვიანებით შეეძლება აღმასვლა ფერებისა და ფორმების აღქმისაკენ.)

როდესაც იდუმალთმოწაფე შეამჩნევს ამგვარი განცდების გაჩენას ძილის გან-

მავლობაში, მისი უპირველესი ამოცანა იქნება გახადოს ისინი შეძლებისდაგვარად მკაფიო და ნათელი. თავიდან ძალზე ძნელია ეს; ასეთ მდგომარეობაში განცდები დასაწყისში ძალზე ძნელად აღიქმება. გამოღვიძების შემდეგ აშკარაა, რომ რაღაც განვიცადეთ, მაგრამ რა — სრულიად გაურკვეველია. ამ საწყის მდგომარეობაში მთავარია სიმშვიდისა და აუმღვრევლობის შენარჩუნება, შფოთისა და მოუთმენლობის თავიდან არიდება. ასეთ განწყობებს ყველა შემთხვევაში მხოლოდ ზიანის მოტანა თუ შეუძლია. ისინი ვერასოდეს დააჩქარებენ განვითარებას, მხოლოდ შეაფერხებენ. საჭიროა მშვიდად მიგეცეთ, რაც საჩუქრად გვეძლევა. ყოველგვარი ძალადობა მოშორებულ უნდა იქნეს. თუ გარკვეულ დროს არ ხერხდება ძილში განცდილის გახსენება, საჭიროა მოთმინებით ლოდინი, ვიდრე ეს შესაძლებელი გახდება. ეს წამი ერთხელაც დადგება. თუ მოწაფე მოთმინებასა და სიმშვიდეს გამოიჩენს, აღქმის უნარი საიმედო მონაპოვარი იქნება მისთვის. ძალდატანების შედეგად მან თუმცა შესაძლოა კიდეც იჩინოს თავი, მაგრამ შემდგომ მთლიანად გაჰქრეს ხანგრძლივი დროით.

თუ აღქმის ამ უნარმა კიდევ იჩინა თავი, ხოლო ძილში მიღებული განცდები საკმაოდ ნათლად და მკაფიოდ გამოვლინდნენ ცნობიერების წინაშე, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს — საჭიროა ამ განცდებში ორგვარი სახეობის გამორჩევა: ერთი სახეობა სრულიად განსხვავებულია ქნება ადამიანისთვის აქამდე ნაცნობ საგნებისგან. ამ განცდებმა თავიდან შესაძლოა სიხარულიც მოჰგვარონ მას, თუმცა ჯერჯერობით თავი ვანებოთ მათ. ისინი არიან ზენა, სულიერი სამყაროს პირველი მაცნენი, რომელშიც მოწაფე მოგვიანებით გაერკვევა. განცდათა მეორე სახეობა ყურადღებიანი დამკვირვებლისათვის ამჟღავნებს გარკვეულ ნათესაობას იმ ყოველდღიურობასთან, რომელშიც ის ცხოვრობს. ძილის დროს მიღებული განცდები მისცემენ ადამიანს წუთისოფლის და გარემომცველ საგანთა გამოცანების გასალებს, რომელთაც იგი ჩვეულებრივი განსჯით ვერ ხსნის. ყოველდღიური ცხოვრების განმავლობაში ადამიანი ფიქრობს იმაზე, რაც გარემოიცავს. იგი იქმნის წარმოდგენებს საგანთა ურთიერთკავშირებში ჩასაწვდომად; ცნებათა საშუალებით ცდილობს გაგებას, რასაც მისი გრძნობათა ორგანოები აღიქვამენ. ამგვარ წარმოდგენებს და ცნებებს შეესაბამებიან ძილის დროს მიღებული განცდებიც. ის, რაც უწინ ბნელი, აჩრდილისებრი ცნება იყო, ახლა ხდება ჟღერადი, ცოცხალი და მისი შედარება შეიძლება ფიზიკური სამყაროს ბგერებთან და სიტყვებთან. ადამიანისთვის ეს ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს ამ თავსატეხის პასუხი პირდაპირ ზენა სამყაროდან ჩაესმა ყურში ფერებისა და სიტყვების სახით. მაშინ იგი შეძლებს დაუკავშიროს სხვა სამყაროდან მოსული ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებას. ის, რასაც უწინ მხოლოდ აზრით სწვდებოდა, ახლა განცდად იქცევა მისთვის; იგი ისევე ცოცხალი და შინაარსიანია, როგორიცაა ფიზიკური სამყაროს ნებისმიერი განცდა. ფიზიკური სამყაროს საგნები და არსებები როდი არიან მხოლოდ ის, რადაც ისინი გრძნობად აღქმას წარმოუდგებიან. ისინი არიან სულიერი სამყაროს გამოხატულება და გადმონაღვარი. იდუმალთმოწაფისთვის აქამდე დაფარული ეს სულიერი სამყარო ახლა მთელი მისი გარემოდან ხმიანობს.

ოღონ მისახვედრია, რომ უმაღლესი აღქმის ამ უნარმა შეიძლება სიკეთე მოუტანოს გახსნილი, მოწესრიგებული მშვინვიერი ორგანოების მქონე ადამიანს, ისევე როგორც მას სამყაროზე დაკვირვებისათვის ძალუძს მხოლოდ კანონზომიერად ჩამოყალიბებული, ჩვეულებრივი გრძნობის ორგანოთა გამოყენება. ადამიანი თავად იქმნის უმაღლესი

გრძნობის ორგანოებს, როგორც ეს იდუმალთგანსწავლისას მიეთითება მას. ამგვარ სავარჯიშოებს განეკუთვნება კონცენტრაცია, ანუ ყურადღების წარმართვა სრულიად გარკვეულ სამყაროულ იდუმალებებთან დაკავშირებულ წარმოდგენებსა და ცნებებზე. ამავე სავარჯიშოებს განეკუთვნება მედიტაცია, ანუ ცხოვრება ასეთ იდეებში, სრული ჩაძირვა მათში მითითებული წესით. კონცენტრაციის და მედიტაციის საშუალებით მუშაობს ადამიანი თავის სამშვინველზე. ამის საშუალებით იგი განივითარებს მშვინვიერი აღქმის ორგანოებს. კონცენტრაციის და მედიტაციის ამოცანებში ჩაღრმავებისას მის სხეულში სამშვინველი იზრდება როგორც ბავშვის ჩანასახი დედის სხეულში. ძილის დროს, ზემოაღწერილი ცალკეული განცდების გამოვლენისას, ახლოვდება განთავისუფლებული სამშვინველის დაბადების წამი, რომელიც ამის შედეგად პირდაპირი გაგებით იქცევა ადამიანში ჩასახულ და მის მიერვე მომწიფებულ მეორე არსებად. ამადაც ძალისხმევა კონცენტრაციისთვის და მედიტაციისთვის მან ძალზე გულდასმით უნდა გასწიოს და ეს სავარჯიშოებიც ზუსტად უნდა შეასრულოს, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ადამიანის უმაღლესი არსების ჩასახვის და მომწიფების კანონებს. მშვინვიერი არსება თავისი დაბადებისას უნდა იყოს ჰარმონიული, სწორად აგებული ორგანიზმი. თუ ამ მითითებებს რაიმე დააკლდება, იშვება არა კანონზომიერად ჩამოყალიბებული ცოცხალი არსება, არამედ სულიერ სფეროში დაიბადება სიცოცხლის უნარს მოკლებული, უდღეური წარმონაქმნი.

ამ უმაღლესი მშვინვიერი არსების დაბადება ღრმა ძილისას გასაგებია იმის გათვალისწინებით, რომ ნაზი, წინააღმდეგობის უნარის ნაკლებად მქონე ორგანიზმის გამოჩენა გრძნობად, ყოველდღიურ ცხოვრებაში სრულიად არ მიიქცევდა ყურადღებას ამავე ცხოვრების ძალუმი, უხეში პროცესების ფონზე. მისი ქმედება არ მოხვდებოდა ადამიანის მხედველობის არეში სხეულებრივი ქმედების გვერდით. ძილის დროს, სხეულის დასვენებისას, რამდენადაც მისი ქმედება დამოკიდებულია **გრძნობად აღქმაზე**, შეიძლება საჩინო გახდეს უმაღლესი სამშვინველის თავდაპირველად ესოდენ ნაზი, მალული ქმედება. მაგრამ კვლავაც უნდა გაეწიოს ანგარიში იმას, რომ იდუმალთმოწაფე სრულფასოვან შემეცნებად არ უნდა განიხილავდეს ძილში მიღებულ განცდებს, ვიდრე არ შესძლებს გამოღვიძებული უმაღლესი სამშვინველის გადმოტანას აგრეთვე დღის ცნობიერებაში. თუ ეს შესძლო, მას შესწევს ძალა აღიქვას სულიერი სამყარო მთელი მისი თავისებურებებით აგრეთვე დღის განცდებს შორის და თავად ამ განცდებშიც, ანუ შეუძლია საკუთარი გარემოს ბგერებად და სიტყვებად გამოვლენილ საიდუმლოებებს სულიერად ჩასწვდეს.

განვითარების ამ საფეხურზე ადამიანისთვის ცხადი უნდა გახდეს, რომ დასაწყისში მას საქმე აქვს მეტ-ნაკლებად დაუკავშირებელ, ცალკეულ სულიერ განცდებთან. უნდა ვერიდოთ მათგან რაღაც შეკრული ან ურთიერთდაკავშირებული სისტემის აგების სურვილს. ამ შემთხვევაში მშვინვიერ სამყაროს შემოერეოდნენ ყოველგვარი ფანტასტიკური წარმოდგენები და იდეები. ამრიგად, ოღლი იქნებოდა ისეთი სამყაროს აგება, რომელსაც საერთო არაფერი ექნებოდა ნამდვილ სულიერ სამყაროსთან. იდუმალთმოწაფე ხომ გამუდმებით უნდა ვარჯიშობდეს უმკაცრესი თვითკონტროლის გამომუშავებისთვის. ყველაზე სწორი იქნება სულ უფრო და უფრო მეტი მკაფიოება მივანიჭოთ ჩვენში უკვე არსებულ ნამდვილ განცდებს და დავიცადოთ, ვიდრე სავსებით ძალდაუტანებლად არ წარმოიქმნებიან ახლები, რომლებიც თითქოსდა თავისთავად გადაებმიან მანამდე

წარმოქმნილთ. ამჯერად იდუმალთმოწაფეში სულიერი სამყაროს ძალისხმევით, რომელშიც ის უკვე შევიდა, და შესაბამისი საკარჯიშოების გამოყენებით ხდება სულ უფრო ყოვლისმომცველი განვრცობა ცნობიერებისა ღრმა ძილში. სულ უფრო და უფრო მეტი განცდა გამოვლინდება არაცნობიერი მდგომარეობიდან, ძილის სულ უფრო და უფრო მცირე მონაკვეთები დარჩება გაუცნობიერებელი. ამრიგად, სულ უფრო მეტად გადაებმიან ერთმანეთს ცალკეული ძილისმიერი გამოცდილებანი, ისე რომ არ დაარღვევენ ნამდვილ კავშირს გრძნობადი განსჯის ათასგვარი კომბინაციებით და დასკვნებით. ოღონდაც, რაც უფრო ნაკლებად მოხდება ამ გრძნობადი აზროვნების წესთა გაუმართლებელი შემორევა უმაღლეს განცდებთან, მით უკეთესი. ამგვარი საქციელით ადამიანი სულ უფრო მეტად მიუახლოვდება იმ საფეხურს უმაღლესი შემეცნების გზაზე, როცა უწინდელი არაცნობიერი სიზმრისეული მდგომარეობანი ახლა საკუთარი გაცნობიერდება. ამიერიდან სხეულის მოსვენებისას ადამიანი ისევე განაგრძობს ცხოვრებას სინამდვილეში, როგორც ეს სიფხიზლისას ხდება. ზედმეტი იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ ძილის დროს ადამიანს საქმე აქვს განსხვავებულ სინამდვილესთან, ვიდრე მისი გრძნობადი გარემოა, ფიზიკური სხეულის სამყოფელი. იმისთვის, რათა მყარად ვიდგეთ გრძნობადი სამყაროს ნიადაგზე და მეოცნებეებად არ გადავიქცეთ, ვსწავლობთ და უნდა ვისწავლოთ კიდეც ძილში მიღებული უმაღლესი განცდების დაკავშირება გრძნობად გარემოსთან. თუმცა თავდაპირველად ძილში განცდილი სამყარო საკუთარი ახლებური გამოცხადებაა. იდუმალთმეტყველებაში იმ მნიშვნელოვან საფეხურს, რომელიც ძილის პერიოდის ცნობიერ ხასიათში მდგომარეობს, უწოდებენ ცნობიერების კონტინუიტეტს (უწყვეტობას).[1]

ამ საფეხურს მიღწეული ადამიანისთვის გამოცდილების მიღება და განცდა არ წყდება დროის იმ მონაკვეთშიც, როდესაც ფიზიკური სხეული ისვენებს და გრძნობის ორგანოები არანაირ შთაბეჭდილებებს არ აწვდიან სამშვინველს.

[1] განვითარების გარკვეულ საფეხურზე ეს წარმოადგენს ერთგვარ იდეალს, რომელიც გრძელი გზის ბოლოში იმყოფება. იდუმალთმოწაფე თავიდან ორ მდგომარეობას ეცნობა: ერთ ისეთს, როდესაც მხოლოდ მოუწესრიგებელ სიზმრებს ხედავდა და სხვაგვარს, როდესაც მისთვის შესაძლებელია მხოლოდ ცნობამიხდილი, უსიზმრო ძილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიროვნების ნაწილებად დაშლა სულიერი განსწავლის დროს

ძილის დროს ფიზიკურ გრძნობათა ორგანოები აღარაფერს ამცნობენ ადამიანის სამშვინველს. გარესამყაროს ჩვეულებრივი აღქმები აღარ მოედინებიან მასში ასეთი მდგომარეობისას. იგი სინამდვილეში იმყოფება ადამიანური არსების ნაწილის, ეგრეთ წოდებული ფიზიკური სხეულის გარეთ, რომელიც სიფხიზლისას ამცნობს გრძნობათა და აზროვნების აღქმებს. იგი დაკავშირებულია ნატიფ სხეულებთან (ეთერულ და ასტრალურ სხეულებთან), რომლებიც უსხლტებიან ფიზიკური გრძნობის ორგანოებს. მაგრამ ამ ნატიფ

სხეულთა მოქმედება არ წყდება ძილში. ისევე როგორც ფიზიკური სხეული ინარჩუნებს კავშირს ფიზიკური სამყაროს დანარჩენ საგნებთან და არსებებთან, განიცდის მათ ზემოქმედებას და თვითონაც მოქმედებს მათზე, ასევე ცხოვრობს სამშვინველი ზენა სამყაროში. ეს ცხოვრება გრძელდება ძილის დროსაც. ფაქტიურად, სამშვინველი ძილის განმავლობაში მთლიანად მოძრაობაში იმყოფება. ადამიანმა შეიძლება თავისი ამ მოქმედების შესახებ იქამდე არაფერი იცოდეს, ვიდრე მას არ ჩამოუყალიბდება სულიერი აღქმის ორგანო და ამის საშუალებით მას შეუძლია ისევე კარგად დააკვირდეს ძილში ყოველივეს, რაც მის გარშემო ხდება, ან რასაც თვითონ სჩადის, როგორც დღის განმავლობაში აკვირდება საკუთარ ფიზიკურ გარემოს ჩვეულებრივი გრძნობის ორგანოებით. იდუმალთგანსწავლა (როგორც ეს ნაჩვენები იქნა წინა თავში) მდგომარეობს ამგვარი სულიერი გრძნობის ორგანოთა ჩამოყალიბებაში.

თუ იდუმალთგანსწავლის მეოხებით ადამიანის ძილის სფერო ისე გარდაიქმნება, როგორც ეს წინა თავში იქნა აღწერილი, მას შეეძლება ამ მდგომარეობაში ცნობიერად დააკვირდეს გარემოში მომხდარს. მას შეუძლია თავისუფლად გაერკვეს საკუთარ გარემოში, ისევე როგორც ყოველდღიურ განცდებში — სიფხიზლისას ხდება ეს, ჩვეულებრივი გრძნობის ორგანოების წყალობით. აქვე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ყოველდღიური გარემოს აღქმა უკვე ითვალისწინებს ხელდასხმის უფრო მაღალ საფეხურს. განვითარების დასაწყისში იდუმალთმოწაფე აღიქვამს საგნებს, რომლებიც სხვა სამყაროს განეკუთვნებიან, ისე რომ ვერ შეამჩნევს მათ კავშირს ყოფით საგნებთან.

ის, რაც სიზმრებისა და ძილის სფეროდან მოტანილი დამახასიათებელი მაგალითებით გათვალსაჩინოვდება, ყოველთვის სახეზეა ხოლმე ადამიანებთან მიმართებაში. სამშვინველი განუწყვეტლივ ცხოვრობს ზენა სამყაროებში და მოქმედებს ამ უკანასკნელის წიაღში. ამ სამყაროებიდან იგი იღებს მუხტს, რომელთა საშუალებითაც გამუდმებით ზემოქმედებს ფიზიკურ სხეულზე. მხოლოდ ჩვეულებრივი ადამიანისთვის საკუთარი უმაღლესი ცხოვრება გაუცნობიერებელი რჩება, იდუმალთმოწაფეს კი იგი ჩამოჰყავს ცნობიერებამდე. ამის საშუალებით მისი ცხოვრება სრულიად იცვლება. ვიდრე სამშვინველს თვალი არ ახელია ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით, მის გაძღოლას თავის თავზე იღებენ ზემდგომი სამყაროული არსებანი. მსგავსად ოპერირების შედეგად თვალახელილი ბრმის შეცვლილი ცხოვრებისა, რომელიც უწინ თავის წინამძღოლს უნდა მინდობოდა, იცვლება ადამიანის ცხოვ-

რება იდუმალთგანსწავლის შედეგად. იგი ამგვარი წინამძღოლობიდან გაიზრდება და ამიერიდან თვითვე უნდა იკისროს საკუთარი გაძღოლა. როდესაც ეს მოხდება, ცხადია, იგი ვერ ასცდება ისეთ ცდომილებებს, რომელთა შესახებაც არაფერი იცოდა ყოფითმა ცნობიერებამ. ახლა იგი მოქმედებს სამყაროდან, საიდანაც მასზე უწინ ზემოქმედებდნენ უმაღლესი ძალები ისე, რომ იგი ვერ აცნობიერებდა ამას. ეს ძალები ექვემდებარებიან მსოფლიოს საყოველთაო ჰარმონიას და იდუმალთმოწაფეც ამოდის ამ მსოფლიური ჰარმონიიდან. ახლა თვით უნდა მოიმოქმედოს ის, რასაც უწინ მისთვის სჩადიოდნენ მისივე მონაწილეობის გარეშე.

რამდენადაც ეს ასეა, ამგვარი შინაარსის წიგნებში ბევრს საუბრობენ იმ საფრთხეთა შესახებ, რომლებიც ზენა სამყაროებში აღმასვლასთან არიან დაკავშირებულნი. ამგვარად აღწერილ საფრთხეებს შეუძლიათ მფრთხალ სულებს მოჰგვარონ ჟრჟოლა ამ უმაღლეს ცხოვრებაზე ფიქრისას. და მაინც უნდა ითქვას, რომ ეს საფრთხეები თავს მხოლოდ მაშინ იჩენენ, როდესაც უგულებელჰყოფენ სიფრთხილის ზომებს. თუ პირიქით, ყველაფერი დაცული იქნება, რასაც ჭეშმარიტი იდუმალთგანსწავლა რჩევის სახით იძლევა, მაშინ აღმასვლისას თუმც კი გაივლიან ძალით და ხარისხით ყველაფერ მასზე აღმატებულ განცდებს, რისი წარმოდგენაც გრძნობადით შეზღუდული ადამიანის ყველაზე გაბედულ ფანტაზიას შეუძლია; მაგრამ ჯანმრთელობისთვის ან სიცოცხლისთვის ზიანის მიყენებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება. ადამიანი ეცნობა საზარელ ძალებს, რომლებიც ყოველი მხრიდან ემუქრებიან სიცოცხლეს. აწ მას ხელეწიფება ისარგებლოს ზოგიერთი ისეთი ძალით და არსებით, რომლებიც მიუწვდომელნი არიან გრძნობადი აღქმისათვის. დიდია ცდუნება ამ ძალების დაუფლებისა საკუთარი, აკრძალული ინტერესებიდან გამომდინარე, ან მათი არასწორი გამოყენებისა ზენა სამყაროების შესახებ ნაკლული ცოდნის გამო. ზოგი რამ ამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი განცდებიდან (მაგალითად, შეხვედრა „ზღურბლის გუშაგთან") აღწერილი იქნება შემდეგ თავებში. მაგრამ საჭიროა დაფიქრება იმაზე, რომ სიცოცხლისადმი მტრულად განწყობილი ძალები არსებობენ მაშინაც, როდესაც მათ შესახებ არაფერი იციან. თუმცა მართალია ისიც, რომ მათი დამოკიდებულება ადამიანისადმი განისაზღვრება ზენა ძალთა მიერ, და ეს დამოკიდებულება აგრეთვე იცვლება, როდესაც ადამიანი ცნობიერად შედის მისთვის აქამდე დაფარულ სამყაროში. მაგრამ ამით მისი ყოფიერება ახალ სიმაღლეს შესწვდება, ხოლო მისი ცხოვრებისეული წრე გამდიდრდება აქამდე არნახული საუფლოთი. ნამდვილი საფრთხე თავს იჩენს მაშინ, როდესაც იდუმალთმოწაფე მოუთმენლობის ან არასაკმარისი მოკრძალების გამო ადრე მიითვისებს გარკვეულ დამოუკიდებლობას ზენა სამყაროთა გამოცდილებებთან დაკავშირებით; როდესაც არ შეუძლია მოცდა, სანამ მას ნამდვილად წილხვდება საკმარისი განჭვრეტა ზეგრძნობადი კანონებისა. ამ სფეროში მორჩილება და მოკრძალება ბევრად უფრო ნაკლებადაა ცარიელი სიტყვები, ვიდრე ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუ ეს უკანასკნელნი მოწაფეს გათავისებული აქვს მათი საუკეთესო გაგებით, მას შეუძლია უშიშრად იგულვოს თავი, რამდენადაც მისი აღმასვლა ზენა ცხოვრებისაკენ საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხოდ მოხდება. უწინარეს ყოვლისა, დაუშვებელია რაიმე დისჰარმონია უმაღლეს განცდებსა და ყოველდღიური ცხოვრების პროცესებსა და მოთხოვნილებებს

შორის. ადამიანის ამოცანა მთლიანად ამ დედამიწაზეა საძიებელი. და ვინც [illegible] არიდებს საკუთარ ამოცანას დედამიწაზე და სურს რაღაც სხვა სამყაროში [illegible] მას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ვერასოდეს მიაღწევს მიზანს. მაგრამ ის, რასაც გარეგანი გრძნობები აღიქვამენ, მხოლოდ ნაწილია სამყაროსი. სულის საუფლოში იმყოფებიან ის არსებანი, რომლებიც ვლინდებიან გრძნობადი სამყაროს ხდომილებებში. სულთან წილნაყარი უნდა გახდე, რათა შესძლო მის გამოცხადებათა გადმოტანა გრძნობად სამყაროში. ადამიანი გარდაქმნის დედამიწას, რამდენადაც მასში იმას ჩანერგავს, რასაც სულის საუფლოში შეიმეცნებს. ესაა მისი ამოცანა. მას უნდა სურდეს სულიერ სამყაროსკენ აღმასვლა, რადგანაც ფიზიკური დედამიწა დამოკიდებულია ამ უკანასკნელზე. და მას ძალუძს ჭეშმარიტი ზემოქმედება დედამიწაზე, თუ ის წილნაყარია შემოქმედ ძალთა ფარულად დამტევ სამყაროსთან. თუ ამ განწყობით შევუდგებით იდუმალთგანსწავლას და არც ერთი წუთითაც არ გადავუხვევთ დასახულ მიმართულებას, არ უნდა გვეშინოდეს თვით იოტისოდენა საფრთხისაც კი. არავინ არ უნდა შეიკავოს თავი იდუმალთგანსწავლისაგან მოსალოდნელ საფრთხეთა გამო. მაგრამ ყოველი ადამიანისათვის ეს შესაძლო საფრთხე უნდა იქცეს მკაცრ მოთხოვნად იმ თვისებათა შეძენისაკენ, რომელიც უნდა გაჩნდეს ჭეშმარიტ იდუმალთმოწაფეს. ამ წინაპირობათა შემდგომ, რომლებიც მოწაფეს გზიდან ჩამოაცილებენ ყოველივე შიშისმომგვრელს, შეიძლება გადავიდეთ ცალკეულ, ეგრეთ წოდებულ საფრთხეთა აღწერაზე. იდუმალთმოწაფეში დიდ ცვლილებებს განიცდიან ზემოაღნიშნული ნატიფი სხეულები. ამგვარი ცვლილებები დაკავშირებულნი არიან სამშვინველის სამი ძირითადი ძალის — ნებელობის, გრძნობის და აზროვნების — განვითარების გარკვეულ პროცესებთან. ეს სამი ძალა იდუმალთგანსწავლის დაწყებამდე ერთმანეთთან უმაღლესი სამყაროული კანონებით მოწესრიგებულ კავშირში იმყოფებიან. ადამიანი როდი ისურვებს, გრძნობს ან ფიქრობს თვითნებურად. როდესაც მაგალითად, ცნობიერებაში ამოტივტივდება გარკვეული წარმოდგენა, მას ბუნებრივი კანონების მიხედვით დაუკავშირდება გარკვეული გრძნობაც, ან კანონზომიერად მოპყვება მასთან დაკავშირებული ნებელობისმიერი გადაწყვეტილება. ადამიანი შედის ოთახში, ჩათვლის, რომ ის დახუთულია და გააღებს ფანჯარას. მან ყური მოჰკრა, რომ დაუძახეს თავისი სახელი და მიპყვება ამ ძახილს. მას ეკითხებიან და იგიც პასუხს სცემს. როდესაც ვინმე აყროლებულ საგანს ხედავს, მას უკმაყოფილების გრძნობა ეუფლება. ეს არის მარტივი კავშირები აზროვნებას, გრძნობას და ნებელობას შორის. როდესაც თვალს გადავავლებთ ადამიანურ ცხოვრებას, აღმოვაჩენთ, რომ ყველაფერი ამ ცხოვრებაში აგებულია ასეთ კავშირებზე. ადამიანის ცხოვრება ნორმალურად ჩაითვლება, როდესაც მასში შეინიშნება ადამიანური ბუნების კანონებზე დაფუძნებული კავშირი აზროვნებას, გრძნობას და ნებელობას შორის. ამ კანონების საწინააღმდეგოდ მოიქცეოდა ადამიანი, თუ მაგალითად, აყროლებული საგნის დანახვისას კმაყოფილება დაეუფლებოდა ან პასუხს არ გასცემდა დასმულ შეკითხვებზე. ის წარმატებანი, რომელთაც მართებული აღზრდიდან ან სათანადო სწავლებიდან მოველით, ეფუძნება იმის დაშვებას, რომ აღსაზრდელში დამკვიდრდება ადამიანური ბუნებისათვის შესაფერისი კავშირი

აზროვნებას, გრძნობასა და ნებელობას შორის. როდესაც ამ უკანასკნელს ვაანალიზებ, გარკვეულ წარმოდგენებს, ასეთ დროს დავუშვებთ, რომ ნასწავლი მოგვიანებით კანონზომიერ კავშირში შევა მის გრძნობებსა და ნებელობით გადაწყვეტილებებთან. ყოველივე ეს იქიდან მომდინარეობს, რომ ადამიანის ნატიფ მშვინვიერ სხეულში სამი ძალის — აზროვნების, გრძნობის და ნებელობის ცენტრები კანონზომიერად არიან ურთიერთდაკავშირებულნი. და ამ კავშირს ნატიფ მშვინვიერ ორგანიზმში გააჩნია თავისი გამოხატულება აგრეთვე უხეშ ფიზიკურ სხეულშიც. ამ უკანასკნელში ნებელობის ორგანოები გარკვეულად კანონზომიერ კავშირში არიან აზროვნებისა და გრძნობის ორგანოებთან. გარკვეული აზრი ყოველთვის იწვევს გრძნობას ან ნებელობისმიერ ქმედებას. უმაღლესი განვითარებისას კი გაწყდებიან ის ძაფები, რომლებიც სამ ძირითად ძალას ერთმანეთთან აერთებს. თავიდან ეს გაწყვეტა უკვე დახასიათებულ ნატიფ მშვინვიერ ორგანიზმში ხდება. უფრო მეტად აღმასვლისას კი ეს დაყოფა მოიცავს ფიზიკურ სხეულსაც. (მაგალითად, უმაღლესი სულიერი განვითარებისას ადამიანის ტვინი ფაქტიურად იშლება სამ, ერთმანეთისაგან დაცალკევებულ ნაწილად. ეს დაშლა მიუწვდომელია ჩვეულებრივი გრძნობადი დაკვირვებისათვის და არ შეიძლება დაფიქსირდეს თვით ყველაზე მგრძნობიარე ინსტრუმენტების მიერ, მაგრამ ნათელმხილველს გააჩნია მასზე დაკვირვების საშუალება. მაღალგანვითარებული ნათელმხილველის ტვინი იშლება სამ დამოუკიდებლად მოქმედ ნაწილად. ესენია: ტვინი აზროვნებისა, გრძნობისა და ნებელობისა).

აზროვნების, გრძნობის და ნებელობის ორგანოები ამის შემდეგ სავსებით განთავისუფლდებიან ურთიერთისგან. მათ შორის კავშირი აღსდგება არა თავად მათში ჩადებული კანონებით, არამედ ადამიანის გამოდვიძებული უმაღლესი ცნობიერების საშუალებით. ამ ცვლილებას იდუმალთმოწაფე თვითვე ამჩნევს საკუთარ თავში, როდესაც არანაირი კავშირი აღარაა წარმოდგენასა და გრძნობას ან გრძნობასა და ნებელობისმიერ გადაწყვეტილებას შორის, თუ იგი თვითონ არ ამკვიდრებს ამ კავშირებს. აღარაფერი უბიძგებს მას აზრიდან მოქმედებაზე გადასვლას, თუ ის თავისუფლად არ გამოიწვევს ამ ბიძგს საკუთარ თავში. ამჯერად მას შეუძლია სრულიად უგრძნობი იდგეს ამა თუ იმ ფაქტის წინაშე, რომელსაც მასში მოწაფეობის დაწყებამდე მხურვალე სიყვარული ან გაბოროტებული სიძულვილი გამოუწვევია. მას შეუძლია სრული უმოქმედობა გამოავლინოს იმ აზრის თავში გავლებისას, რომელსაც უწინ ის მოქმედებისთვის შთაუგონებია. ნებელობისმიერი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე მას შეუძლია ისეთ საქმეთა ჩადენა, რისთვისაც იდუმალთგანსწავლას მოკლებულ ადამიანს არ ექნებოდა თვით უმნიშვნელო საბაბიც კი. უდიდესი მიღწევა, რომელიც წილად ხვდება იდუმალთმოწაფეს, არის სრული ბატონობის მოპოვება სამი მშვინვიერი ძალის ურთიერთქმედებაზე; მაგრამ ამიერიდან მთელი პასუხისმგებლობა ამ ურთიერთქმედებაზე დაეკისრება მას.

მხოლოდ საკუთარი არსების ამ გარდაქმნის საშუალებით შეუძლია ადამიანს დაამყაროს ცნობიერი კავშირი გარკვეულ ზეგრძნობად ძალებთან და არსებებთან. მის სამშვინველისეულ ძალებს გარკვეული ნათესაობა აკავშირებთ ძირითად სამყაროულ ძალებთან. მაგალითად, იმ ძალას, რომელიც ჩადებულია ნებელობაში, შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ზენა სამყაროს გარკვეულ საგნებსა და არსებებზე,

აგრეთვე მათი აღქმა. მაგრამ ეს შესაძლებელი გახდება ნებელობისთვის, თუ იგი სამშვინველის წიაღშივე განთავისუფლდება გრძნობისა და აზროვნებისაგან, რომელთა დესაც ეს კავშირი შეწყდება, ნებელობა განავრცობს თავისი მოქმედების ასპარეზს გარესამყაროში. იგივე ხდება აზროვნებისა და გრძნობის ძალებთან დაკავშირებითაც. როდესაც ვინმე სიძულვილის გრძნობას მომართავს ჩემსკენ, ნათელმხილველის მზერისთვის მას ექნება გარკვეული შეფერილობის მქონე ნატიფი, მანათობელი ლრუბლის სახე. ამგვარ ნათელმხილველს შეუძლია თავი დაიცვას სიძულვილის გრძნობისგან ისე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი ირიდებს მისკენ მიმართულ ფიზიკურ დარტყმას. სიძულვილი ზეგრძნობად სამყაროში ხილული მოვლენაა. ნათელმხილველისთვის შესაძლებელია მისი აღქმა, რამდენადაც ძალუძს საკუთარ გრძნობებში ჩადებული ძალის მიმართვა შიგნიდან გარეთ, ისევე როგორც ჩვეულებრივი ადამიანი მიმართავს გარესამყაროში თავის თვალთა აღქმისუნარიანობას. მსგავსად სიძულვილისა ხდება ეს გრძნობადი სამყაროს ბევრად უფრო მნიშვნელოვან ფაქტებთან დაკავშირებით. მათთან ურთიერთობის დამყარება ადამიანს შეუძლია თავისი სამშვინველის ძირითად ძალთა გამოთავისუფლების საშუალებით.

აზროვნების, გრძნობის და ნებელობის ზემოაღწერილი დაყოფის გამო იდუმალთმეტყველური მითითებების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში შესაძლებელია სამმაგი ცდომილება ადამიანის განვითარების მსვლელობაში. ამან შესაძლოა თავი იჩინოს, თუ შემეცნების გზაზე ხსენებული კავშირები უმაღლესი ცნობიერების იმგვარ დაწინაურებამდე გაწყდა, როდესაც ამ უკანასკნელს ჯერაც არ შეუძლია რიგიანი მართვა დაყოფილ ძალთა ჰარმონიულად მომაწესრიგებელი სადავეებისა. — წესით, ადამიანის სამივე ძირითადი ძალა ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში ერთნაირად როდი არიან განვითარებულნი. ერთ ადამიანთან აზროვნება წინ უსწრებს გრძნობას და ნებელობას, მეორესთან რომელიმე სხვა ძალა აღემატება დანარჩენ ორს. ვიდრე უმაღლეს სამყაროულ კანონთა მიერ დადგენილი კავშირები ძალთა შორის შენარჩუნდება, ერთ-ერთი ძალის უპირატესობა დანარჩენ ორზე არ გამოიწვევს დიდი გაგებით დამაბრკოლებელ უწესრიგობას. მაგალითად, ნებისყოფიან ადამიანში აზროვნება და გრძნობა ამ კანონების საშუალებით გამაწონასწორებლად მოქმედებენ და ხელს უშლიან მათზე აღმატებულ ნებელობას გადაიჭრეს უკიდურესობებში. როდესაც ასეთი ნებისყოფის მქონე ადამიანი იდუმალთგანსწავლის გზას შეუდგება, გრძნობის და აზროვნების კანონზომიერი ზეგავლენა სავსებით შეწყდება ძალის უზომოდ გამოვლენისაკენ დაუბრკოლებლად მიმართულ ნებაზე. თუ ამ დროს ადამიანი იმდენად ვერ ფლობს უმაღლეს ცნობიერებას, რომ თვითვე შესძლოს ჰარმონიის დამყარება, მაშინ ნებელობა შეუფერხებლად წავა თავის გზით. იგი გამუდმებით გადასძლევს ადამიანს. გრძნობა და აზროვნება სრულიად დაუძლურდებიან. ნებელობის ძალაუფლება ადამიანს მონასავით გაიგდებს წინ. წარმოსდგება მოძალადის ნატურა, რომლის გაუთლელი ქმედებებიც ერთი-მეორეს მოჰყვებიან. — მეორე გადახრა წარმოიშობა, როდესაც გრძნობა უზომოდ დააღწევს თავს კანონზომიერ მუხრუჭებს. თაყვანისცემისაკენ მიდრეკილი პიროვნება შესაძლოა გახდეს სხვებზე უზომოდ დამოკიდებული ისე, რომ დაჰკარგოს ყოველგვარი საკუთარი ნება და აზრი. ნაცვლად უმაღლესი შემეცნებისა იგი ჩავარდება საწყალობელ უძლურებაში და დაჰკარგავს ყოველგვარ ინდივიდუალობას.

თუ გრძნობათა სფერო აშკარად აღემატება სხვა სფეროებს. შესაძლებელია, რომ ღვთისმოსაობისკენ და რელიგიური აღმაფრენისკენ მიდრეკილი ნატურები აღმოჩნდნენ ხიბლში და რელიგიური მეოცნებეობა დასნეულდეთ. მესამე სახის უბედურებასა წარმოიქმნება მაშინ, თუ აზროვნება უპირატესობას მოიპოვებს სხვა ძალებზე. ამ შემთხვევაში თავს იჩენს ცხოვრებისადმი მტრულად განწყობილი საკუთარ თავში ჩაკეტილი ბვრეტა. ასეთი ადამიანებისთვის სამყარო იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც იძლევა საშუალებას მათი უსაზღვროებამდე გაზრდილი სიბრძნის წყურვილის დასაკმაყოფილებლად. არანაირი აზრი არ უბიძგებს მათ მოქმედებისკენ ან გრძნობისკენ. ისინი ყველგან უმოქმედო, ცივ ნატურებად გამოიჩენენ თავს. ისინი გაურბიან ნებისმიერ შეხებას ყოველდღიური სინამდვილის საგნებთან, ეს უკანასკნელნი მათთვის ზიზღის მომგვრელი ან, უკიდურეს შემთხვევაში, მნიშვნელობას სრულიად მოკლებული რამაა.

ეს ის სამი მცდარი გზაა, რომელთაც შეიძლება დაადგეს იდუმალთმოწაფე: ძალმომრეობა, დანთქმა გრძნობებში ან ცივი, უსიცოცხლო მისწრაფება სიბრძნისაკენ. გარეგნული დაკვირვებისათვის, ისევე როგორც მატერიალისტური სასწავლო ნედიცინისათვისა ამგვარად გზასაცდენილი ადამიანი მცირედ თუ განსხვავდება შეშლილისაგან ან სულ მცირე, ნერვიულად დაავადებული პირისაგან. ბუნებრივია, იდუმალთმოწაფე არ უნდა დაემსგავსოს მას. აქ საქმე სამშვინველის სამი ძირითადი ძალის, აზროვნების, გრძნობის და ნებელობის ჰარმონიულ განვითარებაშია, ვიდრე ისინი დაეხსნებიან მათთვის დამახასიათებელ კავშირებს და დაეკვემდებარებიან უმაღლეს ცნობიერებას. თუ შეცდომა ერთხელ მაინც დაშვებულ იქნა და ერთ-ერთმა ძალამ თავი აიშვა, უმაღლესი სამშვინველის დაბადება არასწორად მოხდება. თავაშვებული ძალა მოიცავს მაშინ ადამიანის მთელ არსებას. ზედმეტი იქნება ფიქრი იმაზე, რომ მოკლე ხანში ყველაფერი კვლავ წონასწორობაში მოვა. ის, რაც იდუმალთგანსწავლის დაწყებამდე ხასიათის უფიებელ თვისებად მოსჩანს და ახასიათებს ადამიანს ნებელობისმიერ, გრძნობისმიერ ან აზროვნებისმიერ ნატურად, იდუმალთმოწაფეში იმდენად გაიზრდება, რომ მის წინაშე შეიძლება საფსებით გაჰქრეს ცხოვრების ესოდენ მნიშვნელოვანი ზოგად — საკაცობრიო აზრი. ნამდვილად სერიოზულ საფრთხედ იგი გადაიქცევა მაშინ, როდესაც მოწაფე მოიპოვებს ძალის მდგომარეობაში განცდილის სიფხიზლეში შენარჩუნების უნარს. ვიდრე საქმე ეხება უბრალო გამონათებას ძალის ზოგიერთ მონაკვეთში, სიფხიზლისას საყოველთაო, სამყაროული კანონებით მოწესრიგებული გრძნობადი ცხოვრება ხელმოქმედებას ახდენს სამშვინველის დაკარგულ წონასწორობაზე. ამადაც აუცილებელია იდუმალთმოწაფის ცხოვრება სიფხიზლისას მოწესრიგებული და ჯანმრთელი იყოს. გარესამყაროს სხეულისგან, სამშვინველისგან და სულისგან მოითხოვს ძლიერ, ჯანმრთელ აგებულებას და მოწაფის ცხოვრებაც რაც უფროს მეტად შეესაბამება ამ მოთხოვნებს, მით უკეთესი. ხოლო ცუდია, თუ ყოველდღიური ცხოვრება აღმგზნებად ან გამომფიტავად მოქმედებს მასზე. როდესაც მასში უდიდეს ცვლილებებთან ერთად გარეგანი ცხოვრებიდან მომდინარე დამანგრეველი ან შემაფერხებელი გავლენები იჩენენ თავს, მან ყოველივე უნდა შეუხამოს საკუთარ ძალებს, რაც შეაძლებინებს დაუბრკოლებელ ჰარმონიულ თანაარსებობას გარემოსთან. იგი უნდა მოერიდოს ყველაფერს, რაც ამ ჰარმონიას აზიანებს, რაც მოუსვენრობას და

მოჩქარეობას შემოიტანს მის ცხოვრებაში. აქ საქმე მხოლოდ ის როდია, რომ გარეგნულად ჩამოვიცილოთ ეს მოუსვენრობა და მოჩქარეობა, არამედ ისიც, რომ დავიცვათ ჩვენი განწყობა, ზრახვანი, აზრები, აგრეთვე სხეულის ჯანმრთელობა აქედან გამოწვეული მერყეობისაგან. იდუმალთგანსწავლისას ადამიანს ეს როდი გამოსდის ისე ადვილად, როგორც უწინ. უმაღლესი განცდები ამიერიდან ერევიან მის ცხოვრებაში და განუწყვეტლივ ახდენენ ზეგავლენას მის მთელ ორგანიზმზე. თუ ამ უმაღლეს განცდებში რაღაც ვერ არის წესრიგში, მაშინ ყოველგვარ მოსალოდნელ ცდომილებას ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია მისი გადაცდენა სწორი გზიდან. ამადაც იდუმალთმოწაფეს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს ისეთი რამ, რაც განამტკიცებს მის მეუფებას საკუთარ არსებაზე. სული მუდამ თან უნდა ახლდეს მას, არასოდეს უნდა დაჰკარგოს მშვიდი დაკვირვების უნარი ცხოვრების მოცემულ ვითარებაში. თუმცა ჭეშმარიტი იდუმალთგანსწავლა თვითონ წარმოქმნის მასში ამ თვისებებს. ამგვარი იდუმალთგანსწავლისას ადამიანი ეცნობა ხსენებულ საფრთხეებს და იმავდროულად შესაფერის მომენტებში მოიპოვებს სრულ ძალას მათ აღმოსაფხვრელად.

ზღურბლის გუშაგი

ზენა სამყაროებში ასვლისას მნიშვნელოვან განცდათა რიგს განეკუთვნება შეხვედრები „ზღურბლის გუშაგთან“. არსებობს არა ერთი, არამედ ორი — „მცირე“ და „დიდი“ „ზღურბლის გუშაგი“. პირველ მათგანს ადამიანი შეხვდება მაშინ, როდესაც მის ნატიფ სხეულებში (ასტრალურ და ეთერულ სხეულებში) ნებელობის, აზროვნებისა და გრძნობის ურთიერთდამაკავშირებელი ძაფები მოეშვებიან წინა თავში აღწერილის მსგავსად. „დიდი ზღურბლის გუშაგს“ ადამიანი შეხვდება მაშინ, როდესაც ხსენებულ კავშირთა გაწყვეტა შეეხება აგრეთვე ადამიანური არსების ფიზიკურ ნაწილსაც (უწინარეს ყოვლისა, თავის ტვინს).

„მცირე ზღურბლის გუშაგი“ დამოუკიდებელი არსებაა. იგი მიუწვდომელი რჩება ადამიანისთვის, ვიდრე მას განვითარების შესაბამისი საფეხურისთვის არ მიუღწევია. აქ შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ რამდენიმე არსებითი თავისებურება.

უწინარეს ყოვლისა შევეცდებით იდუმალთმოწაფის შეხვედრის მოთხრობას „ზღურბლის გუშაგთან“. მოწაფე მხოლოდ ამ შეხვედრის შემდეგ შეიტყობს, რომ აზროვნება, გრძნობა და ნებელობა მასში განთავისუფლდნენ თანდაყოლილი კავშირებისაგან.

უდავოდ საზარელი, აჩრდილისებრი არსება დგას მოწაფის წინაშე. ახლა მას ესაჭიროება ბოლომდე თანხლება სულისა, სრული რწმენა თავისი შემეცნების გზის სიმართლეში, რის გათავისებაც მან საკმარისად შესძლო მანამდელი იდუმალთმოწაფეობის დროს.

„გუშაგი“ თავის მნიშვნელობას შემდეგი სიტყვებით ამცნობს: „აქამდე შენზე ბატონობდნენ ძალები, რომლებიც უხილავი რჩებოდნენ. მათი ქმედების წყალობით უწინდელ ცხოვრებაში შენს მიერ ჩადენილ ყოველ კეთილ საქმეს მოჰყვებოდა ხოლმე ჯილდო, უკეთურ საქმეებს კი ცუდი შედეგები. მათი გავლენის შედეგად გიყალიბდებოდა ხასიათი შენი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან და აზრებიდან. ისინი განაპირობებდნენ შენს ბედს. ისინი განსაზღვრავდნენ სიხარულისა და ტკივილის ზომას, რომელიც განგეჩინა შენ სხვადასხვა გარდასხეულებებში წინა გარდასხეულების ქცევების შესაბამისად. ისინი მეუფებდნენ შენზე კარმის ყოვლისმომცველი კანონის სახით. ეს ძალები ამჯერად ნაწილობრივ გაგანთავისუფლებენ თავიანთი წინამძღოლობისაგან. ახლა შენ თვითონ უნდა შეასრულო ამ სამუშაოს ერთი ნაწილი, რასაც ისინი უწინ შენთვის ასრულებდნენ. აქამდე შენ ბედისწერისგან ზოგიერთი მძიმე დარტყმა იწვნიე. თუ იცი, რატომ იყო ეს სამაგიერო იმ საზიანო საქციელისათვის, რომელიც შენ ერთ-ერთი წინა ცხოვრების მანძილზე ჩაგიდენია. შენ გზად გხვდებოდა ბედნიერება და სიხარული, შენც იღებდი მათ. ისინიც უწინდელ ქმედებათა შედეგები იყო. შენში მოიპოვება როგორც შესანიშნავი თვისებები, ისე უმსგავსი ლაქები. ორივე შენს მიერაა განპირობებული უწინდელი განცდებისა და აზრების წყალობით. ისინი შენთვის აქამდე უცნობი იყო და მხოლოდ მათი შედეგები იყო ცხადი. კარმიული ძალები კი ხედავენ შენს უწინდელ საქმეებს, დაფარულ აზრებსა და გრძნობებს. ამის მიხედვით დაადგინეს მათ, თუ რა ყოფაში უნდა იყო და როგორ ცხოვრობდე.

ამჯერად თავად შენს წინაშე უნდა გაცხადდეს შენს მიერ განვლილი ცხოვრების

კარგი და ცუდი მხარეები. აქამდე ისინი შენს არსებასთან იყო გადახლართული და ვერ ახერხებდი მათ დანახვას, ისევე როგორც არ ძალგიძს დაინახო საკუთარი ტვინი. ახლა ისინი გამოთავისუფლდებიან შენგან. შენი პიროვნებიდან გარეთ გამოდგებიან. ისინი იღებენ დამოუკიდებელ სახეს, რისი დანახვაც შეგიძლია გარესამყაროს ქვეგბისა და მცენარეების მსგავსად. მე თვითონ ვარ ის არსება, რომელმაც ჩემი სხეული შენივე კეთილშობილურ და უკეთურ საქმეთაგან შეგქმენი. ჩემი აჩრდილისებრი სახე შენი ცხოვრების საანგარიშო დავთრიდანაა მოქსოვილი. აქამდე უხილავად გიტარებივარ შენში, ეს კი შენთვის სასიკეთოდ ხდებოდა, რამდენადაც სიბრძნე შენში დაფარული ხვედრისა აქამდე მუშაობდა ჩემს სახეზე დაჩნეული უმსგავსი ლაქების ამოსაშლელად. ახლა კი, როდესაც მე გამოვედი შენგან, ეს დაფარული სიბრძნე გაგეცალა შენ და მეტად აღარ იზრუნებს შენთვის. იგი ამ სამუშაოს შენი საკუთარი ხელების ანაბარა დასტოვებს. მე თანდათან სრულყოფილ, მშვენიერ არსებად უნდა ვიქცე, თუკი დაღუპვა არ მიწერია. და თუ ეს მოხდება, მე თან გადაგიყოლებ წარწყმედის ბნელ სამყაროში. ამის ხელშესაშლელად საჭიროა შენი სიბრძნე იმდენად გაიზარდოს, რომ თავის თავზე აიღოს შენგან ჩამოშორებული სიბრძნის ამოცანები. თუ შენ გადააბიჯებ ჩემს ზღურბლს, ჩემი ხილულადქმნილი სახე არც ერთი ნაბიჯით აღარ მოგშორდება, ხოლო თუ კვლავ არასწორად მოიქცევი ან იფიქრებ, დაინახავ საკუთარ დანაშაულს, როგორც დემონიურ სიმახინჯეს, გაჩენილს ჩემს სახეზე. როდესაც შენ გამოასწორებ წარსულში ჩადენილ არასწორ საქციელს და იმდენად განსწმენდ საკუთარ თავს, რომ ბოროტის ქმნა სავსებით შეუძლებელი გახდება შენთვის, მაშინ ჩემი არსება ელვარე მშვენიერებად გარდაიქმნება. მაშინ შენი შემდგომი მოღვაწეობის საკეთილდღეოდ ჩემთვის კვლავ შესაძლებელი გახდება შენს არსებასთან შეერთება.

ჩემი ზღურბლი კი აგებულია შიშის ყოველგვარ შეგრძნებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს შენში და ემყარება შიშს იმ პასუხისმგებლობის წინაშე, რომელიც აწი დაგეკისრება ყოველგვარ საქმეთათვის და აზრებისათვის. ვიდრე შენ გექნება თუნდაც იოტისოდენა შიში საკუთარი ბედის დამოუკიდებელი წარმართვის წინაშე, მანამდე არ აიგება ეს ზღურბლი თავისი ყველა შემადგენელი ნაწილითურთ. ვიდრე მას აკლია თუნდაც ერთი ქვა, შენ მოგიწევს მოჯადოებულივით დგომა ზღურბლის წინაშე და ბორძიკი. ნუ ეცდები ზღურბლის გადალახვას იქამდე, ვიდრე სავსებით არ განთავისუფლდება შიშისგან და არ იგრძნობ მზადყოფნას უმაღლესი პასუხისმგებლობის შენს თავზე ასაღებად.

აქამდე შენი პიროვნებიდან გამოვდიოდი ხოლმე, როდესაც სიკვდილი გაგიხმობდა მიწიერი ცხოვრებიდან, თუმცა ჩემი სახე დაფარული რჩებოდა შენთვის. მხოლოდ ბედის წარმმართველი ძალები, რომლებიც მეუფებდნენ შენზე, მხედავდნენ მე და შეეძლოთ ჩემი გარეგნობის დანახვისას, სიკვდილსა და ახალ დაბადებას შორის არსებულ მონაკვეთებში განევითარებინათ შენში ძალა და უნარები, რომლითაც შეგეძლო მუშაობა ჩემი სახის დასახვეწად და შენი წინსვლის საკეთილდღეოდ. მე გახლდი ის, ვისი არასრულქმნილებაც ბედის წარმმართველ ძალებს მუდამ აიძულებდა დედამიწაზე კვლავ ახალ განსხეულებაში დაებრუნებინე. როდესაც გარდაიცვლებოდი, მეც გამოვჩნდებოდი; და ჩემს გამო ადგენდნენ კარმის წარმმართველნი შენს ხელმეორე განსხეულებას. თუ შენ კვლავ და კვლავ განახლებადი

ცხოვრების წყალობით გაუცნობიერებლად დახვეწდი ჩემს სახეს სრულყოფილებამდე, აღარ იქნებოდი მოწყვლადი სიკვდილის ძალთაგან; არამედ ჩვენ გავერთიანდებოდით და ერთარსებად გადაქცეულნი გადავიდოდით უკვდავებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, ხილულად ვდგავარ შენს წინაშე, როგორც უხილავად ვიდექი შენთან სიკვდილის ჟამს. როდესაც შენ მოისურვებ ჩემი ზღურბლის გადალახვას, შენ ფეხს შეადგამ საუფლოში, რომელშიც უწინ მხოლოდ ფიზიკური სიკვდილის შემდეგ შედიოდი. შენ ამჯერად სრული ცოდნით აღჭურვილი შედიხარ მასში და ამიერიდან, დედამიწაზე ფიზიკური გაგებით ხილულად მოგზაურობისას, იმავდროულად ადგახარ სიკვდილის საუფლოს, ანუ იგივე მარადიული საუფლოს გზებს. ჭეშმარიტად, სიკვდილის ანგელოზი ვარ მე. იმავდროულად მე ვარ მომტანი ამოუწურავი უმაღლესი ცხოვრებისა. ჩემი წყალობით შენ მოკვდები მხოლოდ სხეულით, რათა დაიბადო შეუმუსვრელ ყოფიერებაში.

საუფლო, რომელშიც შენ ამჯერად შედიხარ, გაგაცნობს ზეგრძნობადი რიგის არსებებს. ამ საუფლოში ნეტარება იქნება შენი წილხვედრი. მაგრამ პირველი, ვისი გაცნობაც შენ ამ სამყაროში მოგიწევს, მე ვიქნები, რამდენადაც შენი საკუთარი ქმნილება ვარ. უწინ მე შენი ცხოვრებით ვცხოვრობდი; ახლა კი შენი წყალობით გამოღვიძებული ვიქენ ახალი ყოფიერებისათვის და ვდგავარ შენს წინაშე, როგორც შენს მომავალ საქმეთა ხილული საზომი, შესაძლოა — როგორც მუდმივი საყვედური შენს მიმართ. შენ შესძელი ჩემი შექმნა; მაგრამ ამით საკუთარ თავზე აიღე ვალდებულება ჩემი გარდაქმნისა."

ის რაც აქაა მოთხრობილი, არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც სურათხატოვანი რამ, არამედ როგორც იდუმალთმოწაფის უაღრესად რეალური განცდა.[1] გუშაგმა უნდა გააფრთხილოს ის, აღარ განაგრძოს წინსვლა, თუ საკუთარ თავში არ იგრძნობს იმ მოთხოვნების შესაბამის ძალას, რომლებიც ზემოაღნიშნულ მოწოდებაშია ჩამოყალიბებული. რაოდენ საშინელიც არ უნდა იყოს გუშაგის სახე, იგი შედეგია თვით მოწაფის წარსული ცხოვრებისა, იგი მისი საკუთარი ხასიათია, დამოუკიდებლად გაცხადებული მის გარეთ. და ეს გამოღვიძება ხდება ნებელობის, აზროვნებისა და გრძნობის ერთმანეთისაგან გამოთავისუფლების წყალობით. ეს უკვე უმნიშვნელოვანესი განცდაა, როდესაც ადამიანი პირველად იგრძნობს, თუ როგორ მისცა დასაბამი სულიერ არსებას. ახლა იდუმალთმოწაფე იმისთვის უნდა

---

[1] ზემოთქმულიდან ცხადია, რომ აღწერილი ზღურბლის გუშაგი არის ისეთი (ასტრალური) სახე, რომელიც ეცხადება იდუმალთმოწაფის გამოღვიძების პროცესში მყოფ ხედვას. ამ ზეგრძნობადი შეხვედრისაკენ მივყავართ იდუმალთმეტყველებას. ზღურბლის გუშაგის გრძნობადი მხედველობისთვის გათვალსაჩინოება ქვენა მაგიის ილეთს წარმოადგენს. ეს მიიღწევა ნატიფი ნივთიერების ღრუბლის წარმოქმნით, რომელიც მიიღება სხვადასხვა რიგის ნივთიერებათა გარკვეული შერევის შედეგად. მოგვის განვითარებულ ძალას შეუძლია ფორმადმქმნელად იმოქმედოს კვამლის ღრუბელზე და მისი სუბსტანცია გააცოცხლოს ადამიანის ჯერაც გამოუსწორებელი კარმით. უმაღლესი ხედვისთვის საკმარისად მომზადებულს აღარ ესაჭიროება მსგავსი გრძნობად-ფიზიკური ჭვრეტა. ვინმეს თავისი ჯერაც გამოუსწორებელი კარმა მოუმზადებლად თვალწინ რომ წარმოუდგეს, მას დაემუქრება გზიდან აცდენის საფრთხე. ამადაც ის არ უნდა ისწრაფოდეს აქეთ. ბულვერის წიგნში „ზანონი" მოცემულია ლიტერატურული აღწერა ამგვარი ზღურბლის გუშაგისა.

ემზადებოდეს, რომ უშიშრად გაუსწორდეს თვალი შემზარავ სანახაობას და შეხვედრის ამ წუთებში იმდენად იგრძნოს თავისი მომეტებული ძალა, რომ საკუთარი ცნობიერად იკისროს „გუშაგის“ დახვეწა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ზღურბლის გუშაგთან“ შეხვედრის იღბლიანად გადატანის შედეგია ის, რომ იდუმალთმოწაფისთვის სიკვდილი სავსებით სხვა მოვლენად იქცევა, ვიდრე აქამდე განცდილი არაერთი სიკვდილი. ახლა იგი ცნობიერად განიცდის სიკვდილს და ისე ჩამოიშორებს ფიზიკურ სხეულს, როგორც გაცვეთილ ან შესაძლოა უეცარი გარდაცვლის შედეგად უვარგის ტანსაცმელს გაიხდიან ხოლმე. მისი ფიზიკური სიკვდილი მნიშვნელოვანი ფაქტია სხვებისათვის, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ და რომელთა აღქმაც მთლიანად შეზღუდულია გრძნობადი სამყაროთი. მათთვის იდუმალთმოწაფე „კვდება“, ხოლო ამ უკანასკნელისთვის საკუთარი გარემოს მნიშვნელობა უცვლელი რჩება. მთელი ზეგრძნობადი სამყარო, რომელშიც ის უკვე შესულია, სიკვდილამდე თვალწინ ედგა და ასევე დარჩება მისი სიკვდილის შემდეგაც. მაგრამ „ზღურბლის გუშაგი“ დაკავშირებულია აგრეთვე სხვასთანაც. ადამიანი განეკუთვნება ოჯახს, ხალხს, რასას; მისი ქმედება სამყაროში დამოკიდებულია იმაზე, რომ იგი ამგვარ კრებულებს განეკუთვნება. ამასთან დაკავშირებულია აგრეთვე მისი თავისებური ხასიათი. ხოლო ცალკეული ადამიანის ცნობიერი მოქმედება სრულად კიდევ არ მოიცავს იმას, რისი გათვალისწინებაც გვიწევს ოჯახთან, ტომთან, ხალხთან, რასასთან დაკავშირებით. არსებობს ოჯახის, რასის და ა.შ. ბედი, ისევე როგორც არსებობს ოჯახების, რასების და ა.შ. ხასიათი. საკუთარი გრძნობადი აღქმით შეზღუდული ადამიანისთვის ეს საგნები ზოგად ცნებებად რჩება, ამადაც მატერიალისტი მოაზროვნე თავისი აზროვნების წანამძღვრებიდან გამომდინარე არაფრისჩამგდები მზერით გადმოხედავს ზემოდან იდუმალთმეტყველს მას შემდეგ, რაც შეიტყობს, რომ ამ უკანასკნელისათვის ოჯახის ან ხალხის ხასიათი, ტომის ან რასის ბედი ისევე შეესაბამება რეალურ არსებებს, როგორც ცალკეული ადამიანის ხასიათი და ბედი შეესაბამება რეალურ პიროვნებას. იდუმალთმეტყველი ეცნობა ზენა სამყაროებს, სადაც ცალკეული პიროვნებანი მთელის ისეთივე ნაწილებს წარმოადგენენ, როგორც მკლავები, ფეხები და თავი არიან ადამიანის სხეულის ნაწილები. ხოლო ოჯახის, ხალხის, რასის ცხოვრებაში ცალკეული ადამიანების გარდა მოქმედებენ სავსებით რეალურად არსებული ოჯახების, ხალხების, რასების სულები. ცალკეული ადამიანები გარკვეული აზრით არიან ამ ოჯახის, რასის და ა.შ. სულთა ზრახვების შემსრულებელი ორგანოები. სავსებით წრფელად შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ მაგალითად, ერის სული ამ ეროვნების ცალკეულ ადამიანებს გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად იყენებს. ერის სული არ ემვება გრძნობად სინამდვილემდე. იგი იმყოფება ზენა სამყაროებში. ფიზიკურ-გრძნობად სამყაროში სამოქმედოდ იგი იყენებს ცალკეული ადამიანების ფიზიკურ ორგანოებს. მაღალი გაგებით ეს ისევე ხდება, როგორც ხუროთმოძღვარი შენობის ცალკეული ნაწილების ასაგებად იყენებს მუშებს. ყოველი ადამიანი მიიღებს ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით თავის წილ სამუშაოს ოჯახის, ერის ან რასის სულისგან. გრძნობადით შეზღუდული ადამიანი არ იქნება ხელდასხმული თავისი სამუშაოს უმაღლეს გეგმაში. იგი **გაუცნობიერებლად** მუშაობს ერის ან რასის სულის მიზნებისათვის. „ზღურბლის გუშაგთან“ შეხვედრისას იდუმალთმოწაფემ არამარტო თავისი პიროვნული ამოცანების

შესახებ უნდა უწყოდეს, არამედ იგი ვალდებულია ცნობიერად მუშაობდეს საკუთარი ერისა და რასის ამოცანებისათვის. ყოველგვარი გაფართოება საკუთარი თვალსაწიერისა მას უსათუოდ მეტ მოვალეობებს აკისრებს. აქვე ლირსშესანიშნავია ისიც, რომ იდუმალთმოწაფე თავის ნატიფ, მშვინვიერ სხეულს ერთ ახალ სხეულს მიუერთებს, ანუ კიდევ ერთ სამოსელს გადაიცვამს. აქამდე იგი დადიოდა სამყაროში გარსებით, რომლებიც ფარავდნენ მის პიროვნებას. რაც მას თავისი თანამემამულეებისათვის, ერისათვის, რასისათვის და ა.შ. უნდა გაეკეთებინა, ამისთვის ზრუნავდნენ უმაღლესი სულები, რომლებიც იყენებდნენ მის პიროვნებას. „ზღურბლის გუშაგი“ შემდგომ გამოუცხადებს იმას, რომ ეს სულები ამიერიდან აღარ მიეხმარებიან მას. იგი სრულიად უნდა გამოეყოს ყოველგვარ კრებულს. მარტოდმთენილს მოელის დაღუპვა, თუ თავად არ მოიპოვებს იმ ძალებს, რომლებიც დამახასიათებელია ერებისა და რასების სულებისათვის. თუმცა მრავალი იტყვის: „მე სავსებით განვთავისუფლდი ყოველგვარი ტომობრივი და რასსიული კავშირებისაგან. მე მსურს მხოლოდ ადამიანად ყოფნა, არაფრად სხვად, თუ არა ადამიანად“. მაგრამ მათ უნდა ვუთხრათ: „ვინ მიგიყვანა შენ ამ თავისუფლებამდე? განა შენმა ოჯახმა არ მოგანიჭა ეს მდგომარეობა სამყაროში, რა მდგომარეობაშიც ახლა იმყოფები, განა შენმა ტომმა, რასამ არ გაქცია იმად, რაც ხარ? მათ აღგზარდეს შენ და თუ შენ ამაღლდი ყველა განსჯისეულ წანამძღვარზე, გახდი განმანათლებელი და ქველმოქმედი შენი ტომისათვის ან რასისთვის, შენ ამას უნდა უმადლიდე მათგან მიღებულ აღზრდას. მაშინაც კი, როდესაც ამბობ, რომ შენ სხვა არაფერი ხარ თუ არა „ადამიანი“, უნდა უმადლიდე იმ კრებულთა სულებს, რომელთაც შენ განეკუთვნები“. მხოლოდ იდუმალთმოწაფე შეიტყობს ნამდვილად, რას ნიშნავს იყო სავსებით მიტოვებული ერის, ტომის, რასის სულისგან. იგი საკუთარ თავზე გამოსცდის ამგვარი აღზრდის მნიშვნელობას იმ ცხოვრებისათვის, რაც მას აწი მოუწევს. სავსებით გაჰქრებიან უწინდელი ჩვეულებანი ნებელობას, აზროვნებასა და გრძნობას შორის არსებული კავშირების დაწყვეტისას. იგი ხედავს თავისი მანამდელი აღზრდის შედეგებს, რომელიც ჰგავს აგურ-აგურ დაშლის პროცესში მყოფ სახლს და რომელიც კვლავ ახლებურად უნდა აიგოს. უბრალო სიმბოლოზე მეტს ნიშნავს, როდესაც ამბობენ: მას შემდეგ, რაც „ზღურბლის გუშაგმა“ გამოთქვა თავისი პირველი მოთხოვნები, მის მიერ დაკავებული ადგილიდან ადგება ქარბორბალა, რომელიც ჩააქრობს აქამდე ცხოვრების გზის მანათობელ შუქურებს. იდუმალთმოწაფის გარშემო სრული წყვდიადი მოიცავს ყოველივეს. მას გაჰკვეთს მხოლოდ ნათება, რომელსაც თავად „ზღურბლის გუშაგი“ გამოსცემს. სიბნელიდან მოისმის მისი შემდგომი უწყებანი: „ფეხი არ გადმოადგა ზღურბლზე, ვიდრე ცხადი არ გახდება შენთვის, რომ ამიერიდან შენ თვითონ გაანათებ წყვდიადს. წინ არ გადადგა არც ერთი ნაბიჯი, ვიდრე არ დარწმუნდები, რომ საკმარისი საწვავი მასალა გაგაჩნია შენი ლამპრისთვის. მომავალში აღარ გექნება შენს წინამძღოლთა ლამპრები, რომლებიც აქამდე გინათებდნენ შენს გზაზე“. ამ სიტყვებზე მოწაფე უნდა შემოტრიალდეს და უკან გაიხედოს. ახლა „ზღურბლის გუშაგი“ გადასწევს ფარდას, რომელიც აქამდე ცხოვრების უღრმეს საიდუმლოებზე იყო ჩამოფარებული. ტომის, ერის, რასის სულები განცხადდებიან მის წინაშე მთელი თავიანთი მოღვაწეობით. მოწაფე ნათლად დაინახავს ახლა, თუ როგორ მიუძღოდნენ ისინი მას აქამდე

აგრეთვე მისთვის ცხადი გახდება, რომ ამიერიდან ველარ ისარგებლებს ამ წინამძღოლობით. ეს არის მეორე გაფრთხილება, რომელსაც ადამიანი ზღურბლზე ფიზიკურ გუშაგისაგან იღებს.

მომზადების გარეშე ვერავინ გადაიტანდა აქ აღწერილ სანახაობას, მაგრამ უმაღლესი განსწავლა, რომელიც ადამიანს ზღურბლთან მიახლოების შესაძლებლობას აძლევს, მოაპოვებინებს საამისოდ აუცილებელ ძალას. ეს განსწავლა შესაძლოა იმდენად ჰარმონიულად შედგეს, რომ ახალ ცხოვრებაში შესვლამ მოწაფისათვის საკუთარი დაჰკარგოს ამაღელვებელი და ბობოქარი ხასიათი. შემდგომ ამისა მოწაფის თანმხლები განცდა ზღურბლზე იქნება ნეტარება, რომელიც უმთავრესი ელფერი იქნება მისი ახლადგამოღვიძებული ცხოვრებისა. ახალი თავისუფლების შეგრძნება გადასწონის ყველა სხვა გრძნობას, და ამ შეგრძნებასთან ერთად ახალი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ისეთ რაიმედ მოეჩვენება, რაც ადამიანმა თვითონ უნდა დააკისროს საკუთარ თავს ცხოვრების მოცემულ საფეხურზე.

სიკვდილი და სიცოცხლე დიდი ზღურბლის გუშაგი

ზემოთ უკვე ითქვა ეგრეთ წოდებულ მცირე ზღურბლის გუშაგთან ადამიანის შეხვედრის მნიშვნელობის შესახებ, როდესაც იგი ამ ზეგრძნობად სახეში ამოიცნობს თავისსავე წარმოშობილ არსებას. ამ არსების სხეული შედგება მისი ქმედებების, გრძნობების და აზრების უხილავი შედეგებისაგან. ამასთან, ეს უხილავი ძალები ქცეულან მისი ბედის და ხასიათის პირველმიზეზებად. ადამიანისთვის ამჯერად ცხადი ხდება, თუ როგორ ჩაუყარა საფუძველი თვითონვე საკუთარ აწმყოს წარსულში. საკუთარი არსება გარკვეულ დონემდე გახსნილია მის წინაშე. ესაა თუნდაც გარკვეული მიდრეკილებები და ჩვევები. ამჯერად მას შეუძლია ნათელჰყოს მათი არსებობის მიზეზები. თუ ბედისწერისაგან მიღებია გარკვეული დარტყმები, ამჯერად იგი შეიცნობს მათ წარმომავლობას. ამჯერად ის გაიგებს, რატომ უყვარს ერთი, მეორე კი სძულს, რატომ ანიჭებს ბედნიერებას ესა თუ ის საგანი, მაშინ როდესაც სხვა საგნის წყალობით იგი უბედურია. გარეგნული ცხოვრება გასაგები გახდება უხილავ მიზეზთა წყალობით. მისი მზერის წინაშე საფარველი აეხდებათ ისეთ ცხოვრებისეულ ფაქტებს, როგორიც არის ავადმყოფობა და ჯანმრთელობა, სიკვდილი და დაბადება. იგი აჩრნევს, რომ მან საკუთარ დაბადებამდე განაპირობა ყველა ის მიზეზი, რომელთაც გარდუვალად უნდა შემოეტანა იგი ახალ ცხოვრებაში. ამჯერად იგი იცნობს იმ არსებას, რომელიც ხილულ სამყაროში არასრულყოფილი სახით წარმოიშვა და რომელიც ამავე სამყაროში სრულყოფილებამდე უნდა დაიხვეწოს. არც ერთ სხვა სამყაროში არ არსებობს ამ არსების დასრულებაზე მუშაობის საშუალება. შემდგომ იგი ხედავს, რომ თვით სიკვდილსაც კი არ შეუძლია მისი სამუდამო დაშორება ამ სამყაროსთან. მან უნდა უთხრას თავს: „როდესაც პირველად მოვევლინე ამ ქვეყანას, ისეთი არსება ვიყავი, რომელსაც ესაჭიროებოდა ეს სამყარო სხვა სამყაროში მიღწევადი უნარების მოსაპოვებლად. და იმდენ ხანს უნდა დავრჩე ამ სამყაროსთან კავშირში, ვიდრე ჩემში არ განვავითარებ ყოველივეს, რისი მიღწევაც კი შესაძლებელია ამ სამყაროში. თუ ხილულ-გრძნობად საუფლოში გავითავისებ ყველა აუცილებელ უნარს, კიდევაც შევძლებ გამოსადეგი მოღვაწე გავხდე სხვა სამყაროში“. ხელდასხმულის უმნიშვნელოვანეს განცდათა რიგს განეკუთვნება ის, რომ იგი ფიზიკური, ხილული ბუნების ჭეშმარიტ ღირებულებას და დაფასებას უკეთესად სწავლობს, ვიდრე ეს იდუმალთგანსწავლამდე ხელეწიფებოდა. ამ შემეცნებას მიღწევს ის ზეგრძნობად სამყაროში განჭვრეტის შედეგად. ვისაც ჯერ ვერ მოუხერხებია ასეთი განჭვრეტა და საზრდოობს მხოლოდ წინათგრძნობით ზეგრძნობადი საუფლოების უზომო ფასეულობათა შესახებ, შესაძლოა სათანადოდ ვერ დააფასოს გრძნობადი სამყარო. ხოლო ვინც ზეგრძნობადი სფერო უკვე განჭვრიტა, მან იცის, რომ ხილულ სინამდვილეში მიღებული განცდების გარეშე იგი სავსებით უძლური აღმოჩნდებოდა უხილავში. ამ უკანასკნელში ცხოვრებისათვის მას ესაჭიროება სათანადო უნარები და ხელსაწყოები. მათი მოპოვება კი მხოლოდ ხილულ სინამდვილეშია შესაძლებელი. თუმცა „ზენა სამყაროში“ განჭვრეტის ეს უნარი თანდათანობით განუვითარდება მას „ქვენა“ სამყაროში გამოვლილი განცდების წყალობით. სულიერ სამყაროში ისევე შეუძლებელია სულიერი თვალებით დაბადება გრძნობად სფეროში მათი წინასწარი განვითარების გარეშე, როგორც ბავშვი ვერ დაიბადებოდა ფიზიკური თვალებით, თუკი ისინი ჯერ კიდევ დედის საშოში არ

ჩამოუყალიბდება.

ამ თვალსაზრისით გასაგები ხდება, თუ რატომ არის ზეგრძნობადი სამყაროს „ზღურბლი" დაცული „გუშაგის" მიერ. ადამიანს არავითარ შემთხვევაში არ უფლებას მიეცეს უფლება ამ სფეროებში გადახედვისა საამისოდ აუცილებელი უნარების მოპოვებამდე. ამადაც სიკვდილის ჟამს, როდესაც სხვა სამყაროში მუშაობის უნარს მოკლებული ადამიანი ფეხს შეადგამს აღნიშნულ სფეროში, საბურველი ჩამოეფარება ხოლმე აღნიშნულ განცდებს. იგი მათ დაინახავს მხოლოდ მაშინ, როდესაც სათანადოდ მომწიფდება.

როდესაც იდუმალთმოწაფე ფეხს შეადგამს ზეგრძნობად სამყაროში, მისი ცხოვრება სრულიად ახალ აზრს იძენს, იგი გრძნობად სამყაროში ხედავს ნიადაგს უმაღლესის აღმოცენებისათვის და გარკვეული თვალსაზრისით ეს „უმაღლესი" „ქვენას" გარეშე ნაკლული მოეჩვენება. მის წინაშე ორი პერსპექტივა გადაიშლება. ერთი წარსულში, მეორე მომავალში. იგი იყურება წარსულში, როდესაც ეს გრძნობადი სამყარო ჯერაც არ არსებობდა. იგი დიდი ხანია განთავისუფლებულია იმ წანამძღვრისაგან, თითქოს ზეგრძნობადი სამყარო განვითარდა გრძნობადი სამყაროსაგან. მან იცის, რომ თავდაპირველად იყო ზეგრძნობადი, ხოლო მისგან განვითარდა ყოველივე გრძნობადი. იგი ხედავს, რომ გრძნობად სამყაროში მოსვლამდე თვითონაც ზეგრძნობადს განეკუთვნებოდა. ამასთან, ეს წარსული ზეგრძნობადი სამყარო საჭიროებდა გრძნობადში გავლას. მისი შემდგომი განვითარება შეუძლებელი გახდებოდა ასეთი გავლის გარეშე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გრძნობად საუფლოში განვითარდნენ არსებანი შესაბამისი უნარებით, ზეგრძნობადი შესძლებს განაგრძოს საკუთარი განვითარება. და ეს არსებანი ადამიანები არიან. იმ სახით, როგორც ახლა ცხოვრობენ, ისინი წარმოსდგნენ სულიერი ყოფიერების არასრულყოფილი საფეხურიდან და ამ უკანასკნელის ფარგლებში იძენენ სრულყოფილებას, რისი მეოხებითაც ისინი გამოსადეგი გახდებიან შემდგომი მუშაობისათვის ზენა სამყაროზე. აქვე გადაიშლება მომავლის პერსპექტივაც. იგი მიუთითებს ზეგრძნობადი სამყაროს უფრო მაღალ საფეხურზე. აქ მომწიფდება გრძნობად სამყაროში დათესილი ნაყოფებიც. ეს უკანასკნელი, როგორც ასეთი, დაძლეული იქნება; მისი შედეგები კი შეუერთდება უმაღლესს.

ამით ჩვენ მოგვეცემა გასაღები ავადმყოფობისა და სიკვდილის გასაგებად გრძნობად სამყაროში. კერძოდ, სიკვდილი გამოხატულებაა იმისა, რომ ზეგრძნობადი სამყარო მივიდა ისეთ წერტილში, საიდანაც მას შემდგომი განვითარება აღარ შეუძლია. სიკვდილი იქნებოდა მისი ხვედრი, რომ არ მიეღო სიცოცხლის ახალი ნაკადი. ამრიგად იქცა ეს ახალი ცხოვრება ბრძოლად სიკვდილის წინააღმდეგ. კვდომის, საკუთარ თავში გაქვავების პროცესში მყოფი სამყაროს ნაშთებიდან ახლის ჩანასახებმა იხარეს. ამადაც გაგვაჩნია ჩვენ სამყაროში სიკვდილი და სიცოცხლე. საგნები ნელნელა ერთმანეთში გადადიან. ძველი სამყაროს მომაკვდავი ნამსხვრევები ებღაუჭებიან ახალი ცხოვრების ჩანასახებს, რომლებიც გამოჰყოფიან მათ. ეს ყველაზე მკაფიოდ ადამიანშია გამოხატული. გარსი, რომელსაც ის ატარებს, წარსული, ძველი სამყაროს გადმონაშთია. ამ გარსში წარმოიქმნება იმ არსების ჩანასახი, რომელმაც უნდა იცოცხლოს მომავალში. ამრიგად, იგი ორგვარი არსებაა: მოკვდავი და უკვდავი. მოკვდავი მხარე იმყოფება თავის საბოლოო, ხოლო უკვდავი

თავის საწყის მდგომარეობაში, მაგრამ სწორედ ამ ორმაგი სამყაროს ფარგლებში, რომელიც თავის გამოხატულებას გრძნობად-ფიზიკურში პოვებს, გაითავისებს ადამიანი ამ სამყაროს უკვდავებამდე მიყვანის უნარს. მისი ამოცანა მდგომარეობს თავის მოკვდავი საწყისიდან უკვდავებისთვის განკუთვნილი ნაყოფების ამოღებაში. საკუთარ არსებაზე დაკვირვებისას, ისეთზე, როგორიც თვითონ ჩამოქნა წარსულში, იგი ეტყვის საკუთარ თავს: „მე ჩემს თავში ვატარებ მომავალი სამყაროს ელემენტებს. ისინი მუშაობენ ჩემში და მათი ძალაუფლების დამარცხება შემიძლია მხოლოდ ცხოველმყოფელი უკვდავი ძალების წყალობით“. ამგვარად, ადამიანის გზა სიკვდილიდან სიცოცხლეზე გადის. მას რომ შესძლებოდა სიკვდილის ჟამს საკუთარ თავთან საუბარი, უნდა ეთქვა: „მოკვდავი საწყისი ჩემი მასწავლებელი იყო. ჩემი სიკვდილი არის მთელი წარსულის ზემოქმედების შედეგი, რასთანაც მე მჭიდროდ ვარ გადაჯაჭვული. თუმცა მოკვდავი საწყისის ამ ნიადაგზე იხარებს უკვდავების თესლებმა. ეს უკანასკნელნი მე სხვა სამყაროში თან მიმაქვს. ყველაფერი რომ წარსულზე დაიყვანებოდეს, მე ვეღარასოდეს შევძლებდი დაბადებას. წარსული ცხოვრება დასრულდება დაბადებით. გრძნობად სფეროში ახალი ცხოვრების ჩანასახმა სიკვდილს ბრძოლით გამოსტაცა სიცოცხლე. დრო დაბადებასა და სიკვდილს შორის მხოლოდ გამოხატულებაა იმისა. თუ რამდენი გამოსტაცა ახალმა ცხოვრებამ მოკვდავ წარსულს. ავადმყოფობაც სხვა არაფერია, თუ არა ამ წარსულის მოკვდავი მხარის შემდგომი ქმედება“.

აქედან გაიცემა პასუხი იმაზე, თუ რატომ იკვლევს ადამიანი გზას თანდათანობით ცდომილებიდან და არასრულყოფილებიდან სიმართლემდე და სიკეთემდე. მისი ქმედებანი, გრძნობები და აზრები თავდაპირველად წარმავალ, მოკვდავ საწყისს ემონებიან. აქედან არიან წარმოქმნილნი მისი გრძნობად-ფიზიკური ორგანოები. ამადაც წარმავალობა არ ასცდებათ ამ ორგანოებს და ყოველივე იმას, რაც უწინარეს ყოვლისა უბიძგებს მათ სამოქმედოდ. ინსტინქტები, ლტოლვანი, ვნებები და მათთან დაკავშირებული ორგანოები როდი წარმოადგენენ წარუვალ რასმე, არამედ წარუვალია ამ ორგანოთა მოქმედების შედეგი. მხოლოდ წარმავლის გადამუშავების შემდეგ ჩამოიცილებს ადამიანი იმ საფუძველს, საიდანაც თვითონ ამოიზარდა და რაც თავის გამოხატულებას ფიზიკურ-გრძნობად სამყაროში ჰპოვებს.

ამგვარად წარმოადგენს პირველი ზღურბლის გუშაგი ადამიანის ორმაგი ბუნების — წარმავლისა და წარუვალის ნარევის — მსგავსებას. აქ ნათლად მოსჩანს, ვიდევ რამდენი აკლია ადამიანს იმ ნათლითმოსილი სახის მიღწევამდე, რომელსაც შეუძლია კვლავაც წმინდა სულიერი სამყაროს ბინადარი გახდეს.

„ზღურბლის გუშაგის“ წყალობით ადამიანისათვის თვალსაჩინო გახდება, თუ რამდენად არის გახვეული თვითონ ფიზიკურ-გრძნობად ბუნებაში. ეს უწინარეს ყოვლისა თავს იჩენს ინსტინქტების, ლტოლვების, გულისთქმათა, ეგოისტური სურვილების, ყოველგვარი ანგარების და ა.შ. სახით. შემდგომ ის გამოიხატება ამა თუ იმ რასასთან, ხალხთან მიკუთვნებაში და ა.შ. ხალხები და რასები ხომ განვითარების სხვადასხვა საფეხურებია წმინდა სახის მქონე კაცობრიობისაკენ. ესა თუ ის რასა ან ერი მით უფრო მაღლა დგას, რაც უფრო სრულყოფილად გამოხატავენ მისი წარმომადგენლები კაცობრიობის წმინდა, იდეალურ ტიპს, რაც უფრო მეტად უმუშავიათ მათ ფიზიკურ-წარმავალი საწყისიდან ზეგრძნობად-წარუვალისკენ.

ამადაც ადამიანის განვითარება ხელახალ განსხეულებათა გზით სულ უფრო მაღალ მდგომ ხალხურ და რასიულ ფორმებში არის განთავისუფლების პროცესი. საბოლოოდ ადამიანი მთელი თავისი ჰარმონიული სრულქმნილებით უნდა წარმოჩნდეს. მსგავსად ამისა სრულყოფაა სულ უფრო წმინდად ზნეობრივ და რელიგიურ შეხედულებათა ფორმებში აღმასვლაც. ზნეობრივი განვითარების ყოველი საფეხური ხომ შეიცავს მისწრაფებას წარმავალისკენ მომავლის იდეალისტურ ჩანასახთან ერთად.

აღწერილ „ზღურბლის გუშაგში“ ვლინდება გარდასული დროის შედეგი. მომავლის ჩანასახიდან იგი მხოლოდ იმას შეიცავს, რაც ამ გარდასული დროის მანძილზე იქნა მასში ჩაქსოვილი. ამასთან, ადამიანმა მომავალ ზეგრძნობად სამყაროში თან უნდა წაიღოს ყოველივე ის, რისი წაღებაც კი შეუძლია გრძნობადი სამყაროდან. მას რომ მოესურვებინა მხოლოდ საკუთარ ორეულში წარსულის მანძილზე ჩაქსოვილის გადმოტანა, ის ნაწილობრივ თუ შეასრულებდა თავის მიწიერ ამოცანას. ამადაც „მცირე ზღურბლის გუშაგს“ გარკვეული ხნის შემდეგ შემოუერთდება მეორე, „დიდი ზღურბლის გუშაგი“. კვლავ თხრობითი ფორმით გადმოვცემთ იმას, რაც ამ მეორე „ზღურბლის გუშაგთან“ შეხვედრისას ხდება.

მას შემდეგ, რაც ადამიანმა შეიმეცნა, თუ რისგან უნდა დაიხსნას თავი, მის გზაზე აღიმართება ამაღლებული, ნათლითმოსილი სახე. მისი მშვენიერების აღწერა ძალზე ძნელია ჩვენი მეტყველების სიტყვებით. ეს შეხვედრა შედგება აზროვნების, გრძნობის და ნებელობის ორგანოების, აგრეთვე ფიზიკურ სხეულთან მიმართებაში ერთმანეთისაგან იმდენად განთავისუფლების შემდეგ, რომ ამ ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგება მათ მიერ კი აღარ ხდება, არამედ ფიზიკურ პირობებს სავსებით მოცილებული უმაღლესი ცნობიერების მიერ. აზროვნების, გრძნობის და ნებელობის ორგანოები ხელსაწყოების მსგავსად დაექვემდებარებიან ადამიანის სამშვინველს და ის განაგებს მათ ზეგრძნობადი საუფლოებიდან. ყოველგვარი გრძნობადი ბორკილისაგან დახსნილი სამშვინველის შესახვედრად გამოჩნდება მეორე ზღურბლის გუშაგი და აუწყებს შემდეგს:

„შენ განთავისუფლდი გრძნობადი სამყაროსგან და დაიმკვიდრე შენი სამყოფელი ზეგრძნობად სამყაროში. ამიერიდან შეგიძლია იმოქმედო აქედან და აღარ გესაჭიროება შენი ფიზიკური სხეულებრიობა თავისი აწინდელი სახით. ამ ზეგრძნობად სამყაროში ცხოვრებისათვის საჭირო უნართა მოსაპოვებლად აღარ გესაჭიროება არც გრძნობად სამყაროში დაბრუნება, მაგრამ შემომხედე მე. შეხედე, რაოდენ მაღლა ვდგავარ ყოველივე იმაზე, რაც შენ საკუთარი თავისგან შეგიქმნია. შენ მიაღწიე სრულყოფის ახლანდელ საფეხურს იმ უნარების წყალობით, რისი განვითარებაც შესძელი მხოლოდ გრძნობად სამყაროში მყოფმა. ამიერიდან დგება დრო, როდესაც შენი განთავისუფლებული ძალები დაიწყებენ გრძნობად სამყაროზე მუშაობას. აქამდე შენ მხოლოდ საკუთარი თავი ვაათავისუფლე. ამჯერად, როგორც განთავისუფლებულს, შეგიძლია გაათავისუფლო შენი თანამოძმენი. ამჯერად უნდა შეერწყა მთელს, რათა მხოლოდ საკუთარი თავი კი არ მიიყვანო ზეგრძნობად სამყაროსთან, არამედ ყოველივე გრძნობადში არსებული. ოდესმე შეგეძლება, შემოუერთდე ჩემს სახეს, მაგრამ მე როდი ვარ ნეტარი, ვიდრე არსებობენ უბედურნი. როგორც ცალკემდგომ, განთავისუფლებულ პიროვნებას შენ ახ-

ლავე შეგიძლია შეხვიდე ზეგრძნობად საუფლოში. მაგრამ მაშინ შენ მოგიწევს ცალკე დაბლა, გრძნობადი სამყაროს გამოუხსნელ არსებებზე. შენ საკუთარ ბედისწერა-მათი ხვედრისაგან განაცალკევებ. ხოლო თქვენ ყველა ერთმანეთთან ხართ დაკავშირებულნი. თქვენ უნდა დაშვებულიყავით გრძნობად სამყაროში, რათა იქიდან ამოგეტანათ ძალები ზენა საუფლოსათვის. თუ შენ ჩამოსცილდები მათ, მაშინ ბოროტად გამოიყენებენ იმ ძალას, რომლის განვითარებაც შენ მხოლოდ მათთან თანაარსებობაში შესძელი. ისინი რომ არ დაშვებულიყვნენ დაბლა, ვერც შენ შესძლებდი ამას. მათ გარეშე არ გეყოფოდა ძალა ზეგრძნობადი ყოფიერებისათვის. ის ძალები, რომლებიც მათთან ერთად მოგიპოვებია, უნდა გაუყო მათ. ამადაც მე გადაგელობები უმაღლესი საუფლოების კარიბჭესთან, ვიდრე არ დახარჯავ შენს მიერ მოპოვებულ მთელ ძალებს შენი წილხვედრი სამყაროს გამოსახსნელად. ყოველივე იმით, რაც უკვე მოგიპოვებია, შეგიძლია ზეგრძნობადი სამყაროს ქვენა საუფლოებში გაჩერება. ზენა საუფლოს შესასვლელთან კი ვდგავარ მე, როგორც ქერუბიმი ცეცხლოვანი მახვილით ხელში სამოთხის კარიბჭესთან და ვიცავ მას იქამდე, ვიდრე შენ ჯერ კიდევ შეგრჩენია გრძნობად სამყაროში დაუხარჯავი ძალები. და თუ შენ არ გამოიყენებ ამ ძალებს, მოვლენ სხვები, რომლებიც გამოიყენებენ მას. მაშინ უმაღლესი, ზეგრძნობადი სამყარო მიიღებს გრძნობადი საუფლოს ყველა ნაყოფს. შენ ფეხქვეშ გამოგეცლება ნიადაგი, რომელსაც შეზრდიხარ, განწმენდილი სამყარო კი ისე განვითარდება, რომ შენ უკან ჩამოგიტოვებს. ის თავისი წესრიგიდან გამოგრიცხავს შენ. ამრიგად, შენ დაადგები „შავ“ გზას, ისინი კი, ვისაც შენ გამოეყავი, დაადგებიან „თეთრ“ გზას.

ამგვარად ამცნობს თავს „დიდი ზღურბლის გუშაგი“ იდუმალთმოწაფეს მას შემდეგ, რაც შედგა მისი შეხვედრა პირველ გუშაგთან. ამასთან, ხელდასხმულმა მშვენივრად იცის, რა მოელის, თუ იგი აჰყვება ცდუნებას და ნაადრევად შევა ზეგრძნობად სამყაროში. მეორე ზღურბლის გუშაგი ენით აღუწერელ ელვარებას გამოსცემს. მასთან გაერთიანება შორეულ მიზნად მოსჩანს მჭვრეტელი სულისთვის. თუმცა მას სჯერა გაერთიანების შესაძლებლობისა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელდასხმული ამქვეყნიურ ძალებს მთლიანად გამოიყენებს სამყაროს გასანთავისუფლებლად და გამოსახსნელად. თუ იგი გადასწყვეტს გაჰყვეს უმაღლესი სახენათელი არსების მოწოდებას, მაშინ შესძლებს წვლილის შეტანას კაცობრიობის განთავისუფლების საქმეში. იგი ყველა თავის მადლს მსხვერპლად მიიტანს კაცობრიობის საკურთხეველზე. ხოლო თუ არჩევს ნაადრევ ამაღლებას ზეგრძნობად სამყაროში, მაშინ საკაცობრიო დინება მისი გვერდის ავლით განაგრძობს თავის გზას. გრძნობადი სამყაროდან განთავისუფლების შემდეგ მას აღარ შეუძლია ახალი ძალების მოპოვება აქედან. თუ იგი მაინც გაირჯება ამისთვის, ეს უნდა მოხდეს საკუთარი მოღვაწეობის ამ შემდგომი სფეროდან ყოველგვარ შესაძლო სარგებელზე უარის თქმით. ვერავინ იტყვის, თუ რამდენად თავისთავად ცხადია, ადამიანის მიერ ამგვარი არჩევანის წინაშე სწორედ „თეთრი გზის“ არჩევა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად განწმენდილია იგი ამ არჩევნისას; ვერავითარმა თავკერძოობამ ვერარ უნდა მოაჩვენოს მას სასურველად ნეტარების საცდური. ეს საცდური სიდიდით აღემატება ყოველგვარ წარმოდგენას. სხვა მხრივ კი არანაირი განსაკუთრებული ცდუნებანი არ მოელის მას. აქ საერთოდ არ არის ლაპარაკი ეგოიზმზე. ადამიანის მონაპოვარი ზეგრძნობადი საუფლოს უმაღლეს სფეროებში ის როდია, რაც მასთან მოდის, არამედ პირიქით, რაც მისგან გამოდის: სიყვარული თავისი წილხვედრი სამყა-

როსადმი. ხოლო ეგოიზმის ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს „შავი გზის“ ნაყოფები. და თუ ვინმეს მხოლოდ საკუთარი თავისთვის სურს ნეტარება, ეს უთუოდ დაადგება შესაფერის „შავ გზას“. ამადაც არავინ უნდა მოელოდეს „თეთრი გზის“ ოკულტისტებისგან მითითებებს საკუთარი ეგოისტური მე-ს განვითარებისათვის. ცალკეული ადამიანის ნეტარება მათთვის საერთოდ არ წარმოადგენს ინტერესის საგანს. ამის მიღწევა ყოველ კაცს თვითონვე შეუძლია. არც მისი დაჩქარებაა თეთრი ოკულტისტების ამოცანა. მათი საზრუნავია უმალ ყველა არსების, ადამიანის და მის თანაარსთა განვითარება და გათავისუფლება. ამადაც ისინი იძლევიან მითითებებს, თუ როგორ არის შესაძლებელი საკუთარ ძალთა განვითარება ამ საქმეში მათთან თანამშრომლობისათვის. ყველა სხვა თვისებაზე მაღლა ისინი აყენებენ უანგარო თავგადადებას და მზადყოფნას მსხვერპლის გაღებისათვის. ისინი არავის ეუბნებიან უარს, ვინაიდან თვით ყველაზე ეგოისტურ ადამიანსაც კი შეუძლია საკუთარი თავის განწმენდა. ამასთან, ვინც მხოლოდ საკუთარი თავისთვის ეძებს რაიმეს, ვერაფერს მიიღებს თეთრი ოკულტისტებისაგან, ვიდრე ასე იქცევა. მაშინაც კი, თუ ისინი უარს არ ეტყვიან დახმარებაზე, ამის მაძიებელი თვით განიშორებს თავიდან ამ დახმარების ნაყოფს. ამადაც ვინც იდუმალთმეტყველების კეთილ მოძღვართა მითითებებს იცავს, ის გაიგებს დიდი გუშაგის მოთხოვნებს ზღურბლის გადალახვისას. ხოლო ვინც ამ მოთხოვნებს არ იცავს, იგი არც უნდა იმედოვნებდეს, რომ მათი შემწეობით მიაღწევს ზღურბლს. მათ მითითებებს ან სიკეთისკენ მივყავართ, ან არსად. წინამძღოლობის გაწევა ეგოისტური ნეტარებისკენ ან უბრალოდ ზეგრძნობად სამყაროში ცხოვრებისკენ მათი ამოცანების ფარგლებს მიღმა ძევს. ეს უკანასკნელი ისეა მოწყობილი, რომ მოწაფეს ზემატერიალური სამყაროსაგან გარკვეულ სიშორეზე ამყოფებს, ვიდრე იგი თავგადადებული თანამშრომლობის სურვილით აღსავსე არ შევა მასში.

ბოლოთქმა 8-11 ათასი გერმანული გამოცემისათვის

წიგნში აღწერილ ზეგრძნობადი შემეცნების გზას მივყავართ ასეთ მშვინვიერ განცდამდე, რასთან დაკავშირებითაც ძალზე მნიშვნელოვანია ამ გზის მაძიებელმა არ შეიქმნას რაიმე ილუზია და არ აღმოჩნდეს ცდომილებაში. დიდია დაბნევის საფრთხე აქ წარმოდგენილ განხილვის საგნებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით მძიმე შეცდომაა დაშვებული ხოლმე, როდესაც მშვინვიერი განცდების მთელს სფეროს — სულიერი მეცნიერების მსჯელობის ობიექტს — გვერდზე გადასდებენ და ამის შედეგად იგი ცრურწმენის, ვიზიონერული სიზმრების, მედიუმიზმის და სხვა გადაგვარებულ კაცებრივ მისწრაფებათა წრეში აღმოჩნდება ჩართული. ასეთი გვერდის ავლა ხშირად იქიდან მომდინარეობს, რომ ჭეშმარიტი ზეგრძნობადი სინამდვილის შემეცნებისგან განსხვავებული გზის მაძიებელი ადამიანი, ხშირად ამ მხრივ გადაგვარებული, ერევათ ამ წიგნში აღწერილ გზაზე სვლის მოსურნეში. ის, რასაც ადამიანის სამშვინველი აქ ნაგულისხმევ გზაზე გაივლის, მიმდინარეობს წმინდა სულიერ-მშვინვიერი გამოცდილების სფეროში. ადამიანის მიერ ამის განცდა სხვა შინაგანი განცდებისათვის სხეულებრივი ცხოვრებისგან საკუთარი თავის იმ ზომამდე განთავისუფლების შედეგია, როდესაც ის, ნორმალურ ცნობიერებაზე მყოფი, აზრებსა და შეგრძნებებს იქმნის გარედან შემოსული აღქმების ან შინაგანი გრძნობების, სურვილების, ნდომის შესახებ, მაგრამ იმავდროულად მისი **აზრები** არ წარმოსდგებიან აღქმულიდან, ნაგრძნობიდან, ნასურვებიდან. არიან ადამიანები, რომლებსაც საერთოდ არ სჯერათ ამგვარი აზრების არსებობა. ისინი თვლიან: ადამიანს არ ძალუძს ისეთი აზროვნება, რაც არ მომდინარეობს აღქმიდან ან სხეულებრივი მდგომარეობის მიერ განპირობებული შინაგანი ცხოვრებიდან. ხოლო ყოველგვარი აზრი კი გარკვეულწილად აღქმათა ან შინაგან განცდათა ჩრდილოვანი ანარეკლია. ვინც ამას ამტკიცებს, ასე მხოლოდ იმიტომ სჩადის, რომ არასდროს ჰქონია უნარი თავად ეგემა წმინდა, თავის თავში მიქცეული აზრთა დინება. ვისაც კი ეს განუცდია, გამოცდილებიდან იცის, რომ აზროვნების გამოვლენისას მშვინვიერ ცხოვრებაში, რამდენადაც ეს უკანასკნელი განმსჭვალავს მშვინვიერ პროცესებს, ადამიანის მიერ წამოწყებული მოღვაწეობა სხეულის მონაწილეობის გარეშე ხდება. ყოველდღიურ მშვინვიერ ცხოვრებაში აზროვნება ხომ არეულია სამშვინველის სხვადასხვა პროცესებთან: აღქმასთან, გრძნობასთან, ნებელობასთან და ა.შ. ეს პროცესები სხეულის წყალობით მიმდინარეობენ, მაგრამ აზროვნება მაინც ერევა მათში. რამდენადაც ეს ჩარევა ხდება, იმდენად ადამიანში ან ამ ადამიანის საშუალებით ადგილი აქვს ისეთ რასმე, რაც სხეულის მონაწილეობის გარეშეა. უარმყოფელნი თავს ვერ აღწევენ იმ ცდომილებას, რომლის აღმოცენების მიზეზია სხვა პროცესებთან შერეულ აზროვნებით ქმედებაზე დაკვირვება. ამასთანავე, შინაგანი განცდისას შესაძლებელია სულიერი ძალების მოკრება ისე, რომ ყველაფრისგან გამორჩეულად შევიმეცნოთ აზროვნებისეული მხარე. მშვინვიერი ცხოვრების ერთობლიობიდან შესაძლოა გამოირჩეს ისეთი რამ, რაც მხოლოდ წმინდა აზრებისაგან შედგება. ეს აზრები საკუთარ თავში არიან მიქცეულნი. მათგან გამოთიშულია ყოველივე, რასაც აღქმა ან სხეულის მიერ განპირობებული შინაგანი ცხოვრება იძლევა. ასეთი აზრები საკუთარი რაობით წარმოადგენენ სულიერ, ზეგრძნობად არსებით რასმე. ამგვარ

აზრებთან გაერთიანებულმა სამშვინველმა, გამოთიშა რა ამ დროს ყოველგვარი აღქმა, მეხსიერება და შინაგანი ცხოვრება, იცის, რომ აზროვნებასთან ერთად იმყოფება ზეგრძნობად სამყაროში და სხეულს გარეთ განიცდის საკუთარ თავს. მათთვის, ვინც საქმის ვითარება განჭვრიტა, საერთოდ არ დაისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა სამშვინველის განცდა ზეგრძნობად სტიქიაში სხეულისაგან დამოუკიდებლად. ეს ხომ მისთვის იმის უარყოფას უდრის, რაც ცდის საშუალებით ცნობილია მისთვის. დაისმის მხოლოდ ასეთი კითხვა: „რა აბრკოლებს ადამიანებს ამ ეჭვსგარეშე ფაქტის აღიარებისაკენ?“ ამ შეკითხვაზე იგი ჰპოვებს პასუხს, რომ განსახილველი ფაქტი არ გამოავლენს საკუთარ თავს, ვიდრე ადამიანი თავად არ შეიქმნის გამოცხადების აღქმისუნარიან მშვინვიერ აგებულებას. თავდაპირველად ადამიანები უნდობლად არიან განწყობილნი, თუ მათგან არსებითად დამოუკიდებელი გამოცხადების მისაღებად მოუწევთ გარკვეული მშვინვიერი აქტიურობა. მათ მიაჩნიათ, რომ გამოცხადების მისაღებად აუცილებელი მომზადებისას ისინი თავად ქმნიან ამ გამოცხადების შინაარსს. მათ სურთ ისეთი გამოცხადებანი, რომელთა მისაღებადაც ადამიანი სრულიად არ ირჯება და სავსებით პასიური რჩება. თუ ამგვარი ადამიანები არ იცნობენ დასაბუთებული მეცნიერული მიდგომის ელემენტარულ მოთხოვნებს, მაშინ ისინი მიდრეკილნი არიან დაინახონ რაღაც არამატერიალური გაგებით არსებითის ობიექტური გამოცხადება სულის იმ შინაარსსა და გამოვლინებებში, როდესაც ხდება სამშვინველის მოქცევა მისი ცნობიერი თვითგამოხატვის — გრძნობადი აღქმისა და თვითნებური ქმედების — საფეხურზე დაბლა. ამგვარი მშვინვიერი შინაარსები არიან ვიზიონერული განცდები, მედიუმური გამოცხადებანი. — ის, რაც ამგვარი გამოცხადების შედეგად იჩენს თავს, ზეგრძნობადი კი არა, გრძნობადზე დაბლა მდგომი სამყაროა. ადამიანის ცნობიერი, მღვიძარე ცხოვრება არ მიმდინარეობს მთლიანად სხეულში, ამ ცხოვრების ცნობიერი ნაწილი, უწინარეს ყოვლისა, სხეულსა და ფიზიკურ გარესამყაროს შორის დადებულ საზღვარზე გაივლის. ჯერ ერთი, აღქმისმიერი ცხოვრება გრძნობათა ორგანოებში მომხდარის წინაშე იმდენადვეა გარე პროცესების შემოჭრა სხეულში, რამდენადაც სხეულის მიერ ამ პროცესების განმსჭვალვა. მეორეც — ნებელობითი ცხოვრება იმდენადაა დაფუძნებული ადამიანური არსებისთვის ადგილის მიჩენაზე სხვა სამყაროულ არსებებს შორის, რომ ადამიანის მიერ შეგნებულად ჩადენილი ქმედება იმავდროულად სამყაროულ პროცესთა შემადგენელი ნაწილია. სხეულებრიობის საზღვარზე მიმდინარე ამ მშვინვიერ განცდაში ადამიანი დიდწილადაა დამოკიდებული საკუთარი სხეულის ორგანიზაციაზე, მაგრამ აქ აზროვნებისეული ქმედება ჩაერევა ხსენებულ განცდაში და იმდენად, რამდენადაც ეს ხდება, გრძნობადი აღქმა და ნებელობა დამოუკიდებლობას მოიპოვებენ სხეულისაგან. ვიზიონერული განცდისას და მედიუმური მოვლენების გამოწვევისას ადამიანი სრულიად დამოუკიდებელი ხდება სხეულზე. იგი საკუთარი მშვინვიერი ცხოვრებიდან გამოთიშავს იმას, რაც აღქმისას და ნებელობითი ქმედებისას სხეულისაგან დამოუკიდებლობას ანიჭებდა. ამის წყალობით სულიერი შინაარსი და გამოვლინებანი იქცევიან სხეულებრივი ცხოვრების ჩვეულებრივ გამოცხადებებად. ვიზიონერული განცდები და მედიუმური მოვლენები შედეგია იმისა, რომ ადამიანი ამგვარი განცდებისას უფრო მეტადაა

დამოკიდებული სხეულზე, ვიდრე ეს ხდება ყოველდღიური აღქმისა და ნებელობისმიერი ცხოვრებისას. ზეგრძნობადის ამ წიგნში ნაგულისხმევი განცდისას სამშვინველის განცდათა განვითარება ვიზიონერულისა და მედიუმურისადმი სრულიად საპირისპირო მიმართულებით მიმდინარეობს. სამშვინველი თანდათანობით დამოუკიდებელი ხდება სხეულისაგან, კიდევ უფრო მეტად, ვიდრე აღქმისმიერ და ნებელობისმიერ ცხოვრებაში შეინიშნებოდა ეს. იგი უფრო ფართო სულიერი მოღვაწეობისთვის მიაღწევს იმ დამოუკიდებლობას, რომელიც მისაწვდომია წმინდა აზრების განცდისას.

აქ ნაგულისხმევი ზეგრძნობადი სულიერი მოღვაწეობისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სრული მკაფიოებით განვჭვრიტოთ წმინდა აზროვნების განცდა. ეს განცდა იმთავითვე ზეგრძნობადი სულიერი მოღვაწეობაა, მაშინაც კი, როცა ზეგრძნობადს ჯერ ვერაფერს ვერ ვხედავთ. წმინდა აზროვნებით ჩვენ უკვე ზეგრძნობად სფეროში ვცხოვრობთ, მაგრამ იმავდროულად მხოლოდ ამ წმინდა აზროვნებას განვიცდით, როგორც ზეგრძნობად რასმე. ჩვენ არ განვიცდით სხვა რამ ზეგრძნობადს. ზეგრძნობადის განცდა უნდა იყოს იმ მშვინვიერი განცდის გაგრძელება, რომელიც მიიღწევა წმინდა აზროვნებასთან გაერთიანებით. ამადაც არის ასე მნიშვნელოვანი შევძლოთ ამ გაერთიანების სწორი გაგება. შეგნება ამ ერთიანობისა გაგვინათებს გზას, რომელიც მიგვიყვანს ზეგრძნობადი შემეცნების არსთან. როდესაც მშვინვიერი განცდა დაეშვება აზროვნებისთვის დამახასიათებელი მკაფიო, ნათელი ცნობიერების დონეზე დაბლა, სული აღმოჩნდება ზეგრძნობადი შემეცნების მცდარ გზაზე. იგი სხეულებრივი პროცესების გავლენის ქვეშ მოექცევა. მისი განცდები და გამოვლინებანი ამ შემთხვევაში იქნება არა ზეგრძნობადი სამყაროს გამოცხადება მისი საშუალებით, არამედ სხეულებრივი პროცესების გამოცხადებანი გრძნობადზე დაბლა მდგომი სამყაროს სფეროში.

* * *

როდესაც სული მთელი თავისი განცდებითურთ შეაღწევს ზეგრძნობად საუფლოში, კიდევ უფრო ძნელი იქნება შესაბამისი ენობრივი გამოთქმების დაძებნა, ვიდრე ეს გრძნობადი სამყაროს განცდებთან დაკავშირებით ხდება. ზეგრძნობადი განცდის აღწერისას შეგნებული უნდა გვქონდეს ხოლმე, რომ დაშორება ენობრივი გამოთქმისა აღწერილ საგანთან აქ უფრო დიდია, ვიდრე ფიზიკურ სფეროში განცდისას. საჭიროა გაგებით მივეკიდოთ იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი გამოთქმა როგორც სიმბოლო მხოლოდ ძლივს შესამჩნევად, სუსტად მიანიშნებს იმ საგანზე, რასაც ის ასახავს. ასე, მაგალითად, ამ წიგნის მე-16 გვერდზე ნათქვამია: „თავიდან სულიერი მეცნიერების ყველა წესი და მოძღვრება გადმოცემული იქნა სურათ-ხატოვან ენაზე", 41-ე გვერდზე კი ლაპარაკია გარკვეული „დამწერლობითი სისტემის" შესახებ. იოლადაა შესაძლებელი ვინმეს თავში აზრად მოუვიდეს ასეთი დამწერლობის იმგვარად შესწავლა, როგორც ისწავლება ჩვეულებრივი ფიზიკური მეტყველების ამსახველ დამწერლობაში ასოები და მათი შესატყვისობანი. ამის შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი: არსებობდა და კვლავაც არსებობს სულიერ-მეცნიერული სკოლები და გაერთიანებანი, რომლებიც ფლობენ სიმბოლურ ნიშნებს და მათი საშუალებით ისინი გამოხატავენ ზემსოფლიურ რეალობებს. ვინც ხელდასხმულია ამ სიმბოლოების მნიშვნელობებში, მას გააჩნია საშუალება წარმართოს საკუთარი

მშვინვიერი განცდა იმ ზეგრძნობადი სინამდვილისაკენ, რის შესახებაც ამ [illegible] საუბარი. ისეთი ზეგრძნობადი განცდისას, რომელიც მიღწევადია ამ წიგნის შინაარსის განხორციელებისას, ბევრად არსებითია, რომ სულმა შესძლოს ამგვარი [illegible] წერილობის ამოხსნა საკუთარი გამოცდილებით. ზეგრძნობადი სფერო სულს გაუმხელს ისეთ რასმე, რაც ამ უკანასკნელმა უნდა გადათარგმნოს სურათ-ხატოვანი ნიშნების ენაზე და შესძლოს ამგვარად მისი ცნობიერად მიმოხილვა. შესაძლოა ითქვას: ის, რაც ნაუწყებია ამ წიგნში, განხორციელებადია ყველა სულისთვის. ამ განხორციელებისას, რომლის განსაზღვრაც უკვე ჩამოყალიბებული მონაცემების მიხედვით თავად სულს ძალუძს, თავს იჩენენ ზემოაღწერილი შედეგები. ამადაც ეს წიგნი შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ავტორის საუბარი მკითხველთან. როდესაც ითქვა: იდუმალთმოწაფეს ესაჭიროება ინდივიდუალური წინამძღოლობა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს წინამდებარე წიგნი თვით წარმოადგენდეს ასეთ წინამძღოლობას. ძველ დროში არსებობდა საფუძველი იმისთვის, რომ შეენარჩუნებინათ ამგვარი წინამძღოლობის უფლება იდუმალთსწავლებათა ზეპირი გადაცემისათვის. ამჟამად ჩვენ მივაღწიეთ კაცობრიობის განვითარების ისეთ საფეხურს, როდესაც სულიერ-მეცნიერულმა შემეცნებამ ბევრად უფრო დიდი გავრცელება უნდა ჰპოვოს, ვიდრე უწინ. იგი გაცილებით მეტად უნდა გახდეს ხელმისაწვდომი ყოველი ადამიანისათვის, ვიდრე ძველ დროში. ამრიგად, წიგნი იკავებს უწინდელი ზეპირი გადმოცემების ადგილს. რწმენა იმისა, რომ წიგნში ნათქვამის გარდა საჭიროა კიდევ ინდივიდუალური წინამძღოლობა, მხოლოდ შეფარდებითი სიმართლეა. ამა თუ იმ პირს შესაძლოა მართლაც ესაჭიროებოდეს პიროვნული დახმარება და ეს შესაძლოა მისთვის მნიშვნელოვანი იყოს, თუმცა კი ის აღმოჩნდება ცდომილებაში, თუ ჩათვლის, რომ არსებობს ამ წიგნში წინასწარგანზრახულად გამოტოვებული არსებითი პუნქტები. ისინი უთუოდ მოიძებნება, როდესაც წიგნი სწორად იქნება წაკითხული და, რაც მთავარია, თავიდან ბოლომდე.

* * *

რის შესახებაც წიგნი მოგვითხრობს, შეიძლება მოგვეჩვენოს მითითებებად ადამიანის სრული გარდაქმნისათვის. ვინც ამ მითითებებს სწორად წაიკითხავს, აღმოაჩენს, რომ მათ სურთ მხოლოდ აჩვენონ, თუ რა მშვინვიერი აგებულება უნდა გააჩნდეს ზეგრძნობადი სამყაროს წინაშე დადგომის მსურველს. ამ მშვინვიერ აგებულებას იგი განივითარებს როგორც სხვა რამ არსებას საკუთარ თავში, ხოლო თავდაპირველი ჯანსაღი არსება უწინდებურად განაგრძობს ცხოვრებას. ამ დროს ადამიანს შეუძლია მათ შორის მართებული ურთიერთქმედების განპირობება. ამით იგი არ ხდება ცხოვრებისთვის გამოუსადეგარი და უვარგისი, არ იქცევა მთელი დღის მანძილზე მხოლოდ სულის მკვლევარად. ამადაც უნდა ითქვას, რომ განცდა ზეგრძნობად სამყაროში ნათელს მოჰფენს ადამიანის მთელს არსებას. ეს მას ცხოვრებისაგან კი არ მოსწყვეტს, არამედ გაზრდის მის ქმედითუნარიანობას, გახდის ნაყოფიერს ამ ცხოვრებისთვის. და თუ მოცემულმა აღწერებმა მიიღეს მხოლოდ ასეთი და არა სხვაგვარი ფორმა, ეს შედეგია იმისა, რომ ზეგრძნობადზე მიმართული პროცესი ადამიანს მთლიანად იპყრობს და როდესაც ის მიეცემა ამ პროცესს, მთელი თავისი არსება უნდა აამოქმედოს. თუკი ფერების აღქმის პროცესი შეეხება მხოლოდ თვალებს მისი ნერვული დაბოლოებებით, ზეგრძნობადი შემეცნება მოითხოვს

მთლიანად ადამიანის მონაწილეობას — იგი იქცევა ერთიან თვალად ან ერთიან ყურად. და რადგანაც ეს ასეა, ამიტომაც შემეცნების ზეგრძნობადი უნარ[illegible] ჩამოყალიბებაზე საუბრისას ისე ჩანს, თითქოს ლაპარაკია მთლიანად ადამიანის გარდაქმნაზე, თითქოს ჩვეულებრივი ადამიანი ამ მხრივ უვარგისია და სრულიად სხვა ვინმედ უნდა იქცეს.

61-ე გვერდზე მინათხრობს „ხელდასხმის ზოგიერთი შედეგის შესახებ", მინდა დავუმატო ზოგი რამ, რაც — გარკვეულად სახეცვლილი — შესაძლოა ამ წიგნის სხვა თავებსაც შეეხოს. მკითხველს შესაძლოა გაუჩნდეს აზრი: „რა საჭიროა ხატოვან ფორმაში ზეგრძნობადი განცდის აღწერა, ხომ შესაძლებელია ამ განცდათა გადმოცემა იდეებში, ამგვარი სიმბოლურობის გარეშე?" ამაზე შესაძლოა გაიცეს შემდეგი პასუხი: ზეგრძნობადი სინამდვილის განცდისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ადამიანი ამ სფეროს განცდისას თავს ზეგრძნობად არსებად აცნობიერებს. საკუთარ ზეგრძნობად არსებაზე მზერის მიუქცევლად, რომლის რეალურობაც ლოტოსის ყვავილების და ეთერული სხეულის აქ მოცემულ აღწერაში ბოლომდე გამოვლინდება, ადამიანი ისე განიცდის საკუთარ თავს ზეგრძნობად სფეროში, თითქოს გრძნობად სივრცეში მყოფს ევლინებიან სხვადასხვა საგნები და პროცესები, თავად კი არაფერი უწყის საკუთარი სხეულის შესახებ. მშვინვიერ და „ეთერულ სხეულში" ადამიანის მიერ საკუთარ ზეგრძნობად აგებულებად განჭვრეტილი ფორმა განაპირობებს მის დგომას ზეგრძნობად სფეროში სრული თვითცნობიერებით, ისევე როგორც გრძნობად სამყაროში აცნობიერებს თავს საკუთარი გრძნობადი სხეულის აღქმის წყალობით.

სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინათქმა 8-11 ათასი გერმანული გამოცემისათვის 5

წინათქმა მეხუთე გამოცემისათვის 5

წინათქმა მესამე გამოცემისათვის 6

როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?
- წინაპირობები 10
- შინაგანი სიმშვიდე 16

ხელდასხმის საფეხურები 23
- შემზადება 23
- განსხივოსნება 28
- კონტროლი აზრებსა და გრძნობებზე 31

ხელდასხმა 40

პრაქტიკული მითითებანი 48

იდუმალთმოწაფეობის პირობები 54

ხელდასხმის ზოგიერთი შედეგის გამო 61

ცვლილებანი იდუმალთმოწაფის სიზმრების სფეროში 84

ცნობიერების უწყვეტობის მიღწევა 90

პიროვნების ნაწილებად დაშლა სულიერი განსწავლის დროს 95

ზღურბლის გუშაგი 102

სიკვდილი და სიცოცხლე დიდი ზღურბლის გუშაგი 108

ბოლოთქმა 8-11 ათასი გერმანული გამოცემისათვის 114

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტ 1000 შეკვეთა 245

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
დეპარტამენტის № 1 სტამბა. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50.